მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 7 აპრილი, 2021 წ., № 1-2 (35-36)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი



2021 წელი ღირსშესანიშნავი საიუბილეო წელია:

1. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის 30 წლისთავი;
2. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების 30 წლისთავი;
3. საქართველოს რესპუბლიკის პირველი ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების 1991 წლის 31 მარტის არჩევნების 30 წლისთავი;
4. 1991 წლის 26 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევის 30 წლისთავი;
5. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" (შემოკლებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი") არის თანამოაზრეთა პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შექმნილი ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის -, „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის", შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა" და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის - „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი. ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 1997 წლის 26 სექტემბრიდან დღემდე უწყვეტად რეგისტრირებული „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" სამართალმემკვიდრე.

წელს ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" („საქართველოს ჰელსინკის კავშირის") დაარსებიდან 45 წლისთავიცაა.

30

09 04 1991

1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტის საფუძველზე 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების თანახმად 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით საქართველოს რესპუბლიკაში აღდგა დამოუკიდებლობა

და 9 აპრილი გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღედ



საქართველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

ინტერვიუ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - - ეროვნული აღორძინების“ ერთ-ერთ ლიდერთან - ბატონ ნუკრი ბაღდავაძესთან

ინტერვიუს უძღვება

„საქართველოს ჰელსინკის

კავშირი -

- ეროვნული აღორძინების“

პრესცენტრის ხელმძღვანელი

ქალბატონი ნონა ქევხიშვილი

მოგესალმებით ბატონო ნუკრი! უპირველეს ყოვლისა გილოცავთ დაბადებისდღეს – საიუბილეო 65 წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, ულევ სიხარულს, უსაზღვრო ბედნიერებასა და ყოველივე კარგს ცხოვრებაში თქვენს შვილებთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად!

უღრმესი მადლობა თქვენ, ყველა ჩემს ახლობელს, მეგობარსა და თანამებრძოლს მოლოცვისათვის!

1. *ბატონო ნუკრი, თუ შეიძლება ორიოდ სიტყვით მოგვიყევით თქვენს მიერ განვლილი ბიოგრაფიული ცხოვრების შესახებ.*

რა გითხრათ, ორიოდ სიტყვით ჩემი ასაკის ადამიანს გაუჭირდება თუნდაც ძირითადი მომენტების ჩამონათვალის გაკეთება, მაგრამ შევეცდები.

მე, ნუკრი შოთას ძე ბაღდავაძე დავიბადე 1956 წლის 7 აპრილს ქ. ქობულეთში. 1963 წლიდან 1972 წლამდე ვსწავლობდი ქ. თბილისის 47–ე საშუალო სკოლაში, ხოლო შემდგომ, სწავლების ბოლო წლის მეოთხედი – ქ. თბილისის 68–ე საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1973 წელს. 1973–74 წლებში ვმუშაობდი შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტში ლაბორანტად. 1973 წელს ჩავაბარე და ვსწავლობდი საქართველოს სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტში, მექანიზაციის დაუსწრებელ ფაკულტეტზე. 1974–1979 წლებში ვსწავლობდი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტის თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის სპეციალობაზე, რომლის დამთავრების მერე, როგორც დიპლომირებულმა სპეციალისტმა განაწილებით დავიწყე მუშაობა საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ნაგებობათა ექსპერიმენტალური პროექტირების ზონალურ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ჯერ საპროექტო განყოფილებაში ინჟინრის თანამდებობაზე, ხოლო შემდგომ ამავე ინსტიტუტის საინჟინრო ნაგებობებში არატრადიციული ენერგიის გამოყენების სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდგომ კი ჯგუფის უფროსად. 1983 წელს პარალელურად ჩავაბარე თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო–სამრეწველო გაერთიანება „მზე"–ს ასპირანტურაში ქ. აშხაბადში, რომელიც დავამთავრე 1987 წელს თბოტექნიკის თეორიული საფუძვლების (თერმოდინამიკისა და სითბო–მასათა ცვლის ჩათვლით) სპეციალობით. გამოქვეყნებული მაქვს ოთხი შრომა, მაქვს ორი გამოგონება, სპეციალობით ვმონაწილეობდი სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვადასხვა სახის კონკურსებში,

მაქვს სამეცნიერო თემათა ნაშრომები. მიღებული მაქვს მადლობები და დაჯილდოებული ვიყავი რამდენიმე სიგელით.

1991 წლის 31 მარტს მონაწილეობა მივიღე საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნებში საზოგადოებრივ–პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" წარდგინებით, რომლის წევრიც ვიყავი 1989 წლიდან. „საქართველოს ჰელსინკის კავშირში“ ჯერ ვიყავი სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, შემდგომ ამავე კომისიის თავმჯდომარე, კავშირის ქ. თბილისის ორგანიზაციის გამგეობის წევრი, კავშირის ცენტრალური გამგეობის წევრი, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" მმართველი ორგანოს წევრი, ამავე გაერთიანების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, შემდგომ კავშირის თავმჯდომარის მოადგილე და მრავალჯერ კავშირის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

ზემოთაღნიშნულ არჩევნებში არჩეული ვიყავი ქ. თბილისის ვაკის რაიონის საკრებულოს დეპუტატად, შემდგომ იმავე, 1991 წლის 18 ივნისს არჩეული ვიყავი ვაკის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ, ხოლო 5 სექტემბრიდან პრეზიდენტის ბრძანებულებით დავინიშნე ამავე რაიონის პრეფექტად, რომელ თანამდებობაზეც ვმუშაობდი 1992 წლის 6 იანვრამდე. 1991–1993 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ სამხედრო საბჭოს განკარგულების საფუძველზე დაყრდნობით არალეგიტიმურად შემიჩერეს უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის არაკანონიერი შეჩერებიდან გამომდინარე სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით.

1992 წლიდან ფაქტობრივად დევნილობაში მყოფი კვლავ დავუბრუნდი სამეცნიერო–კვლევით მუშაობას, ისევ საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ნაგებობათა ექსპერიმენტალური პროექტირების ზონალურ სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტში, სადაც ვიმუშავე 2006 წლის 9 მარტამდე. 2006 წლის 10 მარტიდან 2019 წლამდე კი, ვმუშაობდი თბილისის ბიზნესისა და სამართლის საერთაშორისო უნივერსიტეტში კომპიუტერული სისტემებისა და ტექნოლოგიების კურსის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, ასევე, ამავე ინსტიტუტში ვკითხულობდი ლექციებს პოლიტოლოგიის, საინფორმაციო–ანალიტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგებში, პროფესორის რანგში. 2006 წლის 11 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით აღიარებული ვარ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად (საქმე №3/2329).

განათლებისა და მეცნიერების დარგში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მომენიჭა საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსის წოდება.

გავლილი მაქვს ტრენინგები და მიღებული მაქვს სხვადასხვა სახის სერთიფიკატები. კავშირის წესდების მე–5–ე მუხლის 5.5 (გ) პუნქტის შესაბამისად კავშირის საქმიანობაში და განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული პიროვნული და ორგანიზაციული წვლილისათვის მონიჭებული მაქვს საპატიო წევრის სტატუსი და დაჯილდოებული ვარ საპატიო წევრის სიგელით, ასევე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ ერთობლივი დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობების თანახმად, მასზე რომ გავიარე პროფესიული განვითარების საბაზისო აკრედიტებული პროგრამა – „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების სამაგისტრო პროგრამა“, ასევე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ საქმიანობებში შეტანილი განსაკუთრებული პიროვნული და ორგანიზაციული წვლილისათვის პოლიტიკისა და სამართლის მიმართულებით მონიჭებული მაქვს პოლიტიკისა და სამართლის მაგისტრის წოდება.

მნიშვნელოვანია, რომ ამავდროულად საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში გავიარე პროფესიული განვითარების საბაზისო აკრედიტებული პროგრამა, „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების სამაგისტრო პროგრამა“, რის გამოც უკვე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ გადმომცა შესაბამისი სერტიფიკატი.

ასევე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ ერთობლივი დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (მუხლი 119, 121), საქართველოს რესპუბლიკის

შესაბამისი კანონმდებლობების თანახმად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრსა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობისა და ცენტრალური მართვის კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ საქმიანობებში შეტანილი განსაკუთრებული პიროვნული და ორგანიზაციული წვლილისათვის პოლიტიკისა და სამართლის მიმართულებით მომენიჭა პოლიტიკისა და სამართლის დოქტორის წოდება.

2015 წლიდან სამწუხაროდ ვარ ქვრივი, მყავს ქალ–ვაჟი: თამუნა და შოთიკო.

აი, მოკლედ, ასე გამოვიდა.

2. ბატონო ნუკრი, როგორია თქვენი მრწამსი, თქვენი სულიერი მისია და ცხოვრების კრედო?

ოო, რთული კითხვებია, ესეც ორიოდ სიტყვით არ გამომივა, ვეცდები კი.

სახელმწიფოს მიერ პოლიტიკურ რეპრესირებულად აღიარებული პროფესორი ... დათოვლილი, მაგრამ რწმენაშენარჩუნებული ახლა უკვე ჩემი ასაკის გადაღმიდან კვლავ იმედით ვუყურებ მომავალს და ვფიქრობ, ეხლა უკვე თავად მასწავლებელსა და მოძღვარს, კვლავ შემიძლია, ამავდროულად მოსწავლეც და ჯარისკაციც ვიყო . . .

ჯარისკაცი სამშობლოსი და მოსწავლე ჩემზე ბრძენისა . . .

რომელი ენით გადმოქცეთ სათქმელი – მე მოსწავლემ მასწავლებლის ენით, თუ მე მასწავლებელმა და მოძღვარმა ჩემი მოსწავლეებისათვის გასაგები ენით?! . . .

და რადგანაც თავიდანვე ვთქვი, რომ ამჟამად მასწავლებელიც და მოსწავლეც ვარ, სათქმელიც ორივეს სინთეზი იქნება უთუოდ . . .

საოცრად, სრულიად არ მეჩვენება, რომ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე, ცხოვრების რა პარადოქსულ პერიოდშიც არ მიცხოვრია, პარადოქსული აზროვნება (იანისისეული) ვერ დავიკვეხნი და არ მქონია. ჩემეული თეზისეული აზროვნებით ვიარე ამ ანტითეზისეულ ხანაში და პროგრესის წყაროსაც ალაგ–ალაგ ვაწყდებოდი. თუმცა სხვადასხვა – ავტორიტარიზმულ, თუ მოჩვენებით დემოკრატიულ გარემოებებში ვცხოვრობდი, დღემდე შევინარჩუნე მგონია ჩემი პიროვნება. დოგმატიზმი ჩემში მხოლოდ ეროვნული და ადამიანისეული – კაცური პრინციპები იყო. თვით იმ მკაცრ, კალიუგას პერიოდშიც კი მქონდა ადამიანური ლმობიერების შენარჩუნების საშუალება და რეალიზმის დეფიციტისაგან არ შევწუხებულვარ. ყოველთვის მახსოვდა, რომ მოვლენებს ჰქმნის ისტორია, გარემოებები და ჩემი პიროვნებაც მათთან სინთეზში მიიკვლევდა გზას. ალბათ ჩემი პიროვნული მისია განსაზღვრავდა ჩემსავე ცხოვრების სტრატეგიას, რომელიც თავად უკეთებდა ორგანიზებას ყოველივეს წინააღმდეგობის გადალახვისათვის.

ბევრი ლიდერი მინახია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ზოგი უპირობოდ იღებდა ხელისუფლების, თუ ოპოზიციის წინადადებებს და თავის გზას ასე იკვლევდა, მაგრამ იყვნენ საუკეთესოები და საუკეთესოთა შორის აღმოჩენებიც. ყველანი ისინი თავისმხრივ სხვადასხვა განზომილებებს ეყრდნობოდნენ: ზოგი დისონანსური და დემაგოგი, რომლებიც უარყოფითი მუხტის მატარებლები იყვნენ, ზოგი კი რეზონანსული და ემოციური ინტელექტის მქონენი, სიკეთის მთესველნი, კეთილმოსურნენი და ხალხთან ურთიერთობაში ფუნდამენტალურად მამოძრავებელნი, რაც განაპირობებდა საჭირო კლიმატის ჩამოყალიბებას. იყო რამდენიმე ვარსკვლავი ლიდერიც, რომელთაც გააჩნდათ ამბიცია და ლტოლვა შედეგის მისახწევად. ისინი ყოველთვის ინიციატივას საკუთარ თავზე იღებდნენ, გააჩნდათ თანამშრომლობისა და გუნდური მოქმედების ჩვევები, გუნდის გაძღოლის უნარი. ასე ყალიბდებოდნენ დირექტიული (ავტორიტარული), თუ ხედვის მქონე (Visionary), რიტმის განმსაზღვრელი, თუ დემოკრატიული, ლმობიერი და მენტორული, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიდერთა სახეები. ისინი სხვადასხვა ჩემი დროის ლიდერები სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ: გააჩნდათ ესა თუ ის პოზიცია, ურთიერთობის ნება, ორგანიზებული შეტევის გამო ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები ხალხი მიჰყვებოდა, ზოგმა ხალხისათვის თავიც შესწირა, ზოგმა კი რაღაც გაუკეთა მათ და იყო რამდენიმე ლიდერი, რომლებსაც ადამიანები მიჰყვებოდნენ მათი განსაკუთრებულობის გამო. ჩემი დროის ლიდერები გადაწყვეტილების იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ: ზოგი მხოლოდ საკუთარ თავზე, ოჯახზე და სანათესაო–სამეგობროზე ფიქრობდა, ზოგი კი საკუთარ თემზე, საზოგადოებაზე, ქვეყანაზე, ცივილიზაციასა და კაცობრიობაზე. ზოგ მათგანს ზოზინა, ზარმაცი და ნელი მოქმედების უნარი გააჩნდათ, ზოგს კი – ლომის ზონაში მყოფთ, ჩქარი და აგზნებული. იყვნენ ე. წ. გედის ენერგეტიკის მქონენიც, მშვიდნი და

გაწონასწორებულნიც. ალბათ ამიტომაც, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების გარიჟრაჟზე, ასეთი სხვადასხვა სახის ლიდერთა გამოვლინებანიც უცხო და უცნაური არ უნდა ყოფილიყო.

და ჩვენც, მათი თანამედროვენიც, თვითეული ჩვენთაგანის ბუნებიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე, ზოგნი ერთ მხარეს, ზოგნიც მეორე მხარეს აღმოვჩნდით. ყოველივემ კი იმ პერიოდში თავისებური გარემო შექმნა, ზოგი ნაჭუჭში ჩაიკეტა, ზოგი კი დროის მღელვარე ზღვაში აღმოჩნდა. ადამიანთა განსხვავებული მსოფლმხედველობისა და პარადიგმის ჭიდილი კი დროსა და სივრცეში ვერ ჩაეტია, რითაც ეშმამ ისარგებლა და კუმშვამ შვერა გამოიწვია.

სიცოცხლისათვის, არსებობისათვის, გადარჩენისათვის, სიყვარულისათვის, მემკვიდრეობის დატოვებისათვის, სწავლისა და ზრდა განვითარებისათვის ბრძოლამ დღეს მოითხოვა ადამიანის ახალი პარადიგმის აუცილებლობის შეჰქმნა: გულისხმიერად მოქცევა, შემოქმედებითად გამოყენება და საზოგადოებისათვის პატიოსანი სამსახური დადგა დღის წესრიგში. ადამიანმა უნდა გააკეთოს არჩევანი დაბალი იერარქიიდან მაღლისაკენ: წინააღმდეგობა–აჯანყებიდან, ბოროტი დამორჩილებიდან და საკუთარი სურვილის დათმობიდან ხალისიან თანამშრომლობამდე, გულსავსე ვალდებულებამდე და შემოქმედებით აღტკინებამდე. უნდა ამაღლდეს ლიდერთა ფუნქციაც დისციპლინის (გარემოს შეცნობა, კომუნიკაციის უნარი – თავდაცვითი და მტრული კომუნიკაციიდან კომპრომისულ და სინერგეტიკულ, ალტერნატიულ კომუნიკაციამდე და პიროვნული ოსტატობა), დიალოგის (აქტიური მოსმენა – შერჩევითი, მოჩვენებითი და იგნორირებითი მოსმენიდან ყურადღებიან და თანაგრძნობით მოსმენამდე, პატივისცემა, თავშეკავება და ხმა), კონფლიქტების გადაწყვეტისა და შედეგის მისაყწევად, ყოველივეს გრძელვადიანი, თუ მოკლევადიანი ბალანსის გამომუშავების მიმართულებით.

სიბრძნე ასევე გვირჩევს, რომ არამარტო ლიდერნი, არამედ ადამიანებიც, სხვაზე დამოკიდებულნიც, ინდეფერენტულნი და „მე"–ზე ორიენტირებულნიც, თავიანთი განსხვავებულლი პიროვნული წარმოჩინებითა და ბუნებრივი ჩვევებით, უნდა დადგნენ თავიანთ თავზე მაღლა და საჭიროა ვიყოთ აქტიურნი, ფუნდამენტალურად პიროვნულად პასუხისმგებლიანნი და არა დეფენიტურნი, რათა არავის შეეძლოს გვაგრძნობინოს თავი არასრულფასოვნად. ახალი პარადიგმის გამოვლინებისათვის უნდა გავიჩინოთ მენტალური (ხედვა), ფიზიკური (დისციპლინა), ემოციური (განათლება, აღტკინება) და სულიერი (სინდისი) კომპეტენციები. მზრუნველი დამოუკიდებლობისა და განსაკუთრებული უნიკალური ხედვის მაღალი სტანდარტით, ასევე პირადი მაგალითის კოეფიციენტით კვლავ იშვებიან ახალი პარადიგმის ახალი ლიდერები.

აი, რა მოთხოვნებს და საჭიროებეს ვგრძნობ ჩემს ირგვლივ. ვფიქრობ ჯერ კიდევ არ გარდავცვლილვარ და მაქვს შერჩენილი ისეთი თვისებები, ნიჭი და ჩვევები, რომ დავაკმაყოფილო ირგვლივ არსებული საჭიროება. ჩემი სინდისი მაძლევს შინაგან აღტკინებას და ნებას, რომ ჩავერთო ქმედებაში მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება კი ჩემში იწვევს აღტაცებასა და შთაგონებას. ერთ დროს მეც ვიყავი გარკვეულ კოეფიციანტიანი ლიდერი მღელვარე პერიოდისა, მაქვს გამოცდილება და ვფიქრობ დღესაც არ დამიკარგავს პროგრესული უნარ–ჩვევები. დღესაც მსურს მქონდეს და მაქვს კიდეც სასიამოვნო სამსახური ჩემი ქვეყნისა, პასუხისმგებლობით აღსავსეს მაქვს ჩამოყალიბებული მიზნები და კვლავ ვეძებ თვითრეალიზაციის საჭირო ადგილს, შემიძლია პრობლემების სწორი გადაწყვეტილების მიღება–შესრულება, ვიყო დამოუკიდებელი და ავტონომიურიც, გარკვეულწილად წინამძღოლიც და ინდივიდუალურად მებრძოლიც.

ასეთია ჩემი მისსიის განაცხადი (My mission statement) და ამას მირჩევს შინაგანად ჩემი ბრძენი მოძღვარიც. ადამიანის ცხოვრების განმავლობაში უფალი არაერთგზის უცხადებს მას თავისი მყოფადობის გარეგან დამამტკიცებელ საბუთებს.

„– გვიყვარდეს ღმერთი მისი ქველმოქმედებისათვის" – გვეუბნება ბრძენი მოძღვარიც.

მადლი უხმოდ მიუგებს სულს: „– მე ახლოს ვარ შენთან, ნუ გეშინია, მხოლოდ გწამდეს". მაგრამ გადის დრო და ადამიანი უსინდისოდ ივიწყებს მადლს.

ადამიანს ავიწყდება, რომ მადლისა და ცოდვის ერთიერთშეთვისება შეუძლებელია. როცა ნება და გონება კავშირს დებენ ვნებებთან, ღმერთის იქ ყოფნის გრძნობა იკარგება.

მარტოდ დარჩენილი ვნება კი, ეს არის სიყვარული დემონისა, რომელიც სულში აღმართავს

კერპს – ფუყეს შიგნიდან. მხოლოდ მატერიალური კი – ეს არის პირობა ხორციელის არსებობისა. მაგრამ თუ კი იგი პირობისაგან მიზნად იქცევა, მახედ გადაიქცევა სულისათვისაც.

ადამიანი ნამდვილად ბედნიერი რომ იყოს, მისი ცხოვრება უნდა თავსდებოდეს სიტყვებში: „დიდება უფალს ყველაფრისათვის".

აი, ესეც რა მოკლედ ნათქვამი გამომივიდა!

3. სავსებით მისაღებია! ... და ამ „კალიუგას ხანაში“, ამ თავდაღმართზე რომ მივექნებით, მხოლოდ უფლის იმედით უნდა ვიყოთ?

არა, რათქმაუნდა! ჩვენც ხელი უნდა გავანძრიოთ და ვირძოლოთ თავისუფლებისათვის!

დეპოში ვართ უკვე კარგა ხანია . . . აი, შენც, მეც და ისინიც უკვე გავჩერდით, სხვა გზა არცაა, ყრუ კედელი . . . WALL! . . .

ვინ დაანგრევს ამ კედელს? ვინ დაიჭერს შემდეგ დაგორებულებს, ვინ გვიხსნის ჭყლეტისაგან? . . .

ვატყობ შენც გაბრაზდი, მეც და ისიც, ეს უკვე კარგია . . .

ორი გზა გვაქვს: ან სხვაგან, ჭიუხვებში უნდა გადავიკარგოთ, ან გვერდში დავუდგეთ ერთმანეთს, მოვაგროვოთ ჩვენსავით დაღმართზე დაგორებულების ძალა და ერთად გავანგრიოთ კედელი . . .

სწორედ ამიტომაც უნდა შევწიროთ მადლობა უფალს გადარჩენისთვის . . .

უფლის წყალობით ასეთი ბრძოლისათვის მართლაც კედლის გარღვევა და ზღვის გადაცურვა მოგინდება ადამიანს, ისე მაღალია ამ დროს თავისუფლებისათვის ბრძოლის ხარისხი, ურთიერთბებიც უფრო ბუნებრივად ჩანს. ამ დროს, უშუალო განწყობა ისადგურებს, რა დროსაც ადამიანებიც, ნამდვილად, გაცილებით კეთილგანწყობილნი არიან ერთმანეთის მიმართ.

ამ დროს, მართლაც, მეც ვცურავ, შენც ცურავ და ისიც ცურავს . . .

და ჩნდება იმედი, იმედი, რომ აუცილებლად გადავცურავთ გაუცხოებისა და უიმედობის ზღვას!

ჰოდა, ღრმად ჩავისუნთქოთ და ნუ შეგვეშინდება ...

ჩვენ ერთად გადავცურავთ ზღვას!

4. დღეს ყოველმხრივი კრიზისული სიტუაციაა საქართველოში, თქვენი აზრით რა არის უმთავრესი გადასაწყვეტი პრობლემა?

ჩემის აზრით, საქართველოში, უმთავრესად, ძალიან მძიმე დემოგრაფიული პოლიტიკაა. მნიშვნელოვნად კლებულობს მოსახლეობის რაოდენობა, მეტად არასახარბიელოა დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებელი და სულ უფრო მწვავდება დემოგრაფიული პრობლემები. უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის საინტერესოა კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი უკანასკნელ წლებში, რომელიც საგრძნობლად დაირღვა. კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი ძირითადად დაირღვა სწორედ საქართველოს ხარჯზე. კავკასიაში მოსახლეობის რიცხოვნობით, დაახლოებით ნახევარი მილიონით აღვემატებოდით აზერბაიჯანელებს და მილიონნახევრით – სომხებს. დღეს აზერბაიჯანის მოსახლეობა ჩვენზე ორჯერ მეტია და სომხებიც სადაცაა, გაგვისწრებენ. ესაა უბედურება. ჩვენ ახლა პოზიციებს არამარტო პოლიტიკურად ვკარგავთ, არამედ, ფაქტობრივად დემოგრაფიულადაც და მომაკვდავი ერი გავხდით. წერილობითი წყაროებით ცნობილია, რომ მის ზოგიერთ ისტორიულ პროვინციაში მრავალრიცხოვანი ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. საქართველოს მოსახლეობა ისტორიულად ყველაზე მრავალრიცხოვანი მე-XIII საუკუნის პირველ ნახევარში იყო. ამ დროს ჩატარებული აღწერის მიხედვით საქართველოს სახელმწიფოს მოსახლეობა 8 მილიონ კაცს აღწევდა. ეს იყო შედეგი იმ უძლიერესი მე-12-ე საუკუნისა, რომელსაც დავითისა და თამარის მეფობის ხანას უწოდებენ. გამუდმებული შემოსევების შედეგად მე-18 საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა 8 მილიონიდან 761 ათასამდე შემცირდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი ქვეყანაში შავი ჭირის გავრცელების გამო მოსახლეობა თითქმის განახევრდა და 400 ათას კაცს შეადგენდა. ასეთი მცირე რაოდენობით მოსახლეობა საქართველოში მთელი მისი ისტორიის განმავლობაში არასოდეს ყოფილა, ხოლო მე-19 საუკუნის ბოლოს საყოველთაო აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობა იმდროინდელ საზღვრებში 2 მილიონზე მეტს შეადგენდა, ანუ ერთ

საუკუნეში 5-ჯერ გაიზარდა. უკანასკნელ წლებში, საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი 1989-1992 წლებში იყო და 5 მილიონ 400 ათასს შეადგენდა. ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს მოსახლეობა განუხრელად მცირდება და ბოლო მონაცემებით, 4 მილიონ ნახევარს არ აღემატება. მიუხედავად ბოლო წლებში შობადობის მცირედი ზრდისა, საქართველოში ბუნებრივი მატება არ შეინიშნება. პირიქით, საქართველოში დემოგრაფიული პრობლემები დღითიდღე მწვავდება.

მსოფლიოს არაერთი ქვეყანა დგას დემოგრაფიული პრობლემის და ამ პრობლემებით გამოწვეული შედეგების საფრთხის წინაშე. გაეროს მონაცემებით, საქართველო მსოფლიოს იმ 20 ქვეყანას შორისაა, სადაც მოსახლეობის დეპოპულაცია მიმდინარეობს. შობადობის მიხედვით კი საქართველო მსოფლიოს 196 ქვეყნიდან 164-ე ადგილზეა.

ნეგატიური გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ემიგრაციამაც იქონია. მეტად ინტესიური გახდა გარე მიგრაციულ პროცესები, ძირითადად მძიმე ეკონომიკური პირობების გამო უკანასკნელ წლებში ქვეყანა მილიონ ნახევარზე მეტმა ადამიანმა დატოვა და ფიზიკური არსებობისათვის სახსრის საშოვნელად საცხოვრებლად სხვა ქვეყნებს მიაშურა. ყოველივე ამის შედეგად მთელ მოსახლეობაში მცირდება ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფი და იზრდება 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი ე. ი. მოსახლეობა დემოგრაფიულად ბერდება. ეს პროცესები განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელ წლებში და ყველაზე მეტად თავი იჩინა ქართულ მოსახლეობაში. ვითარება იმდენად რთულია, რომ ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსწორებას არ უნდა მოველოდოთ.

დიახ, ქართველი ერი ფიზიკური წყვეტის, გადაშენების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ერთიდაიმავე რაოდენობით თაობათა განახლება სულ უფრო ძნელი ხდება, რაც სულიერი უწყვეტობის პროცესის საგრძნობ შენელებასთან შედარებით ბევრად უფრო სახიფათოა.

აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, რომელიც ხანგძლივი პერიოდზე იქნება გათვალისწინებული მხოლოდ შეიძლება შენელდეს ეს პროცესი და საკმაო დროის გავლის შემდეგ მიღწეული იქნეს სასურველი შედეგი.

დღეს მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესი ისე სწრაფად მიმდინარეობს, რომ ძალიან უჭირთ, განსაკუთრებით მცირე ერებს, ეროვნული ადათ-წესებისა და ტრადიციების შენარჩუნება, რაც ჩვენნაირი პატარა ერების ეროვნულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც მწვავედ აისახება.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური საგანგებო ღონისძიებები:

1. ერთის მხრივ აუცილებელია საჭირო რაოდენობის მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზება, მეორეს მხრივ საზოგადოებისათვის სასურველი რეპროდუქციული განწყობის ჩამოყალიბება. ფინანსური რესურსების მობილიზება ასევე საჭიროა უფასო მშობიარობის ღონისძიებების გასატარებლად;

2. მოსახლეობის არასაკმარისი დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა უნდა შეივსოს საყოველთაო სამედიცინო და სოციალური დახმარების პროფილაქტიკური პროგრამული დანამატით. ბავშვთა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს 5 წლამდე ბავშვების სამედიცინო მომსახურეობის სრული დაფინანსება;

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სოციალური მომსახურების სააგენტოთა მიერ მშობიარეებზე, სამშობიარო ღონისძიებების გარდა დამატებითი დახმარებების გაცემა. ამასთან ერთად, ე. წ. ,,დედობის დაცვის" №103 კონვენციის შესაბამისად ფეხმძიმე ქალს უნდა მიეცეს დეკრეტული შვებულება ხელფასის არანაკლებ 2/3 ოდენობით. ამ თანხების მოძიება სავსებით რეალურია;

4. ექსპერტთა შეფასებით, ქართველ საზოგადოებას არსებული დემოგრაფიული კრიზისის თანდათანობითი მოგვარება შესაძლებელია ბუნებრივი შობადობის წახალისება-ზრდითაც. უშუალოდ ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არა მარტო ქართულ სახელმწიფოს, არამედ სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებს, კერძოდ: რელიგიურ ინსტიტუტებს; სამოქალაქო საზოგადოებების ჯგუფებს; ბიზნეს ჯგუფებს; ოჯახის, გვარისა და სათემო ინსტიტუტებს; საშუალო და უმაღლეს სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული ასეულ-ათასობით ქართველი ემიგრანტის საქართველოში რეპატრიაციით, რაც პირველ რიგში, ქართული სახელმწიფოს მიერ მათი დაბრუნებისათვის ხელსაყრელი სოციალ - ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შექმნას მოითხოვს;

5. დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის გზად აუცილებელია ყოვლისმომცველი დემოგრაფიული პროგრამის შემუშავება, მრავალშვილიანი და ღარიბი ოჯახების ხელშეწყობა, ახალშობილთა და ქალთა ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვა, ეკონომიკის განვითარება, მაღალმთიანი რეგიონების გაუკაცრიელების პროცესის შეჩერება და სხვა.

6. აუცილებელია, სახელმწიფოს მიერვე, საქართველოში შეიქმნას სახელმწიფოს დემოგრაფიული განვითარების ფონდი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან უნდა დაკომპლექტდეს და ჩამოყალიბდეს სპეციალური ინსტიტუცია, რომლებიც ერის გენოფონდის გადარჩენის გზებს შეიმუშავებს. ამდაგვარი ინსტიტუციის მიერ უნდა შემუშავდეს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, რითაც უზრუნველყოფილუნდა იქნას გლობალიზაციისა და ეროვნული ინტერესების შეხამება. ეს თანამედროვე მსოფლიოში ისედაც ურთულესი პრობლემაა. დემოგრაფიული პრობლემის მოსაგვარებლად კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა გვმართებს, რათა თავიდან ავიცილოთ ჩვენი ეროვნული სულიერების მსხვრევა და ქართული სულიერი სამყაროს გადაგვარება;

7. რამდენადაც, ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე დემოგრაფიულ სიტუაციას აქვს სისტემური კრიზისის ხასიათი და ამ სისტემის შემადგენელი ნაწილებია: შობადობის კრიზისულ ზღვრამდე შემცირება, სიკვდილიანობის ზრდა, ზოგიერთ რეგიონში – მოსახლეობის შემცირებული გამრავლება, ანუ როდესაც მომდევნო თაობა წინა თაობაზე ნაკლებია, დეფორმირებული სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ნარკომანია და მისთანა შესაბამისი დაავადებები, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება, ჯანმრთელობის გაუარესება, ცხოვრების გაუკუღმართებული პირობებიდან გამომდინარე, ორმხრივი გენდერული, ძალადობრივი მოვლენების მკვეთრი სიხშირე, უახლოეს ისტორიაში მამაკაცის როლისა და შესაძლებლობების მკვეთრი დაცემა, გარე და შიდა მიგრაციის ფართო მასშტაბები, ე. წ. ,,ტვინების გადინება”, ისედაც დიდი რაოდენობით განდევნილი მოსახლეობა, მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ დაბალია დემოგრაფიული პროცესების მართვა და სისტემური ეკონომიკური კრიზისის შედეგად უაღრესად შეზღუდულია სახელმწიფო რესურსები, ყოველივე ეს მოითხოვს სისტემურ და რეფორმისტულ გარდაქმნებს;

8. დღეს საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, საფრთხე ემუქრება ქვეყნის ფიზიკურ არსებობას და ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთობლივი მუშაობა. დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების ღონისძიებათა სისტემაში უპირველესია სახელმწიფოს ჩარევა დემოგრაფიული პროცესების მსვლელობაში.

პირველ რიგში, ქვეყანაში უნდა გამოცხადდეს საგანგებო კრიზისული დემოგრაფიული ვითარება და შემუშავდეს საქართველოს დემოგრაფიული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი დემოგრაფიული პროგრამები და სამოქმედო გეგმები;

9. უმნიშვნელოვანესია იმის სწორი გაგება, რომ 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ, რამაც, ყოველმხრივ, კიდევ უფრო მეტი სავალალო შედეგები მოიტანა, ამ ბოლო 25 წლის განმავლობაში წარმოებულმა ყველა სახის ომებმა, დევნილების გაჩენამ და, რა თქმა უნდა, სოციალურმა პრობლემებმა და ავადმყოფობის მაღალმა კოეფიციეტმა დემოგრაფიულ რეგრესს მისცა ,,რევოლუციური" ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის შემცირების ტემპი არის კატასტროფულად მაღალი. ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა იზრდება, მაგრამ ეს არარეალურია, რამეთუ, ცნობილია, რომ მოსახლეობის მატება ხდება ორი ფაქტორით – ბუნებრივით, ან მიგრაციით, საქართველოში კი ორივე მაჩვენებელი კლებისკენაა. ასევე არასწორად ხდება გარდაცვლილთა დაფიქსირებაც. საქართველოს ფაქტობრივმა მთავრობამ პრაქტიკულად აკრძალა მიგრაციის აღრიცხვა, რამაც აბსოლუტურად თავდაყირა დააყენა ყველაფერი. ემიგრანტთა გონიერი და ღირსეული დაბრუნება სამშობლოში, მიგრაციის დადებითი სალდოს მიღწევა-შენარჩუნება და თაობათა სწორი და სამართლებრივი აღწარმოება;

10. უნდა გამოცხადდეს გონიერი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების დეკლარაცია და ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცეს ეს საკითხი. სწორედაც, გონიერი და ძლიერი დემოგრაფიული პოლიტიკით უნდა შევამციროთ მოსახლეობის კლება. აქაც მნიშვნელოვანია სახელმწიფო დონეზე ჩართულობა;

11. მნიშვნელოვანია ცუდი ეკონომიკური პირობებისა და ცხოვრების არასტაბილური პირობების დაძლევა და აღმოფხვრა, ადამიანის საყოველთაო უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, შრომის უფლებებისა და თავისუფლებების მკვეთრი აღმავლობა, სულიერი – ეროვნულ-სარწმუნოებრივი დონის ამაღლებასთან ერთად, რაც სულიერი ფასეულობების მდიდარი დასაყრდენის შექმნაში გამოიხატება, უნდა გაიზარდოს ფიზიკური მატებისა და მასთან დაკავშირებული წამახალისებელი პროცესები.

მიმაჩნია, რომ ზემო ჩამონათვალში მითითებულ ღონისძიებათა გატარება და მასთან ერთად, ამ მიმართულებით, სხვა აუცილებელი სამუშაოების ჩატარება, კომპლექსში კი, სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოება საწინდარი იქნება ურთულესი დემოგრაფიული სირთულეების დაძლევისა და სახელმწიფოებრივი აღორძინებისა.

5. *ბატონო ნუკრი, ვიცით რომ ეროვნული და მორწმუნე პიროვნება ბრძანდებით, მოგვიყევით, თუ შეიძლება თქვენი აზრი-შეხედულება ეროვნულ-სარწმუნოებრივ საკითხზე და თუ როგორ შეიძლება განვიხილოთ ეროვნულ-სარწმუნოებრივი საკითხი სამართლებრივი გაგებით.*

თუ დავიწყებთ უძველესი დროიდან - წარმართობიდან – ესაა ჩვენი და ჩვენი წინაპრების ქრისტიანობამდელი რწმენა, მსოფმხედველობა, ფილოსოფია, სამყაროს აღქმის უნარი და ცხოვრების წესი. ესაა სულიერი და ყოფითი ცოდნის უდიდესი სისტემა, რომელსაც ჩვენი წინაპრები ათასწლეულების მანძილზე აგროვებდნენ. იგი აღმოცენდა იბერო-კავკასიური ცივილიზაციის ცენტრში და ყოველთვის მისი თანმსდევი გახლდათ. ესაა სამყაროსა და საკუთარი „მე“-ს ბუნებრივი აღქმის უნარი, რომელიც ახასიათებს ყველა იბერო-კავკასიელს, რამეთუ წარმართული კოდი დევს ყველა მათგანის გენში და ისტორიულ მეხსიერებაში, ადამიანიც ხომ თვით ისტორიული მეხსიერებაა, რომელსაც გაშიფვრა სჭირდება და სწორედ ამაში ეხმარება ადამიანს წარმართობა.

სიტყვა „წარმართობა“ ბევრს შეცდომით დამამცირებელი ჰგონია. „წარმართი“ ქართული წარმომავლობის სიტყვაა და შესდგება ორი ნაწილისგან: 1. წარ(ღ) – წინ; 2. მართი – მავალი (სწორი) – თანამედროვე ქართულით ეს იქნება „ის, ვინც სწორი გზით მოძრაობს“, „ის, ვინც მართალია (სწორია)“, „ის, ვინც წინ მოძრაობს“. ამრიგად, წარმართი – წინ მავალს, ხოლო უკუღმართი – უკან მავალს ნიშნავს. წარმართი ისაა, ვინც იცავს საკუთარ მშობლიურ რწმენას და მისი აღმსარებელია, უკუღმართი – ვინც უღალატა მშობლიურ რწმენას და სხვის რწმენაზე გადავიდა.

წარმართობა – ეს პირველ რიგში სიყვარულია გარესამყაროს მიმართ: სიყვარული საკუთარი თავის მიმართ, წინაპრების მიმართ, გარშემომყოფთა (მოყვასთა) მიმართ, შენი მშობლიური ღმერთებისა და შენი სამშობლოს მიმართ. სამშობლო და წარმართობა განუყოფელია ერთმანეთისგან, რამეთუ წარმართი, რომელიც არ აღიარებს მისი მიწის კანონებსა და წესებს, მეტიც, ამახინჯებს, ან სულაც უარჰყოფს მას, ის წარმართი ვერასდროს ვერ იქნება. წარმართი იცავს და უფრთხილდება ყველაფერს, რაც მისი, როგორც პიროვნების და ერის, როგორც მისი გვარისა და სხვა მონათესავე გვარების ერთიანობის საკუთრებაა. იგი იცავს და უფრთხილდება ისტორიას, კულტურას, ღირებულებებს, რწმენას, ტრადიციებსა და თავად მოდგმას, რამეთუ ვინც ისტორიას ივიწყებს მას მომავალი არ აქვს. ეს უკანასკნელი კი უმნიშვნელოვანესია წარმართისთვის, რამეთუ მოდგმა და წარმომავლობა მისთვის უპირველესია.

წარმართობის საზომად გვევლინება არა ადამიანისვე დაწერილი მცნებები, არამედ სული, გული და სინდისი. წარმართობა, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო, ცხოვრების წესი და შემდეგ უკვე რწმენა და აღმსარებლობა. წარმართისთვის ღმერთი ერთიც იყო და მრავალიც. წარმართები ღმერთს (ღმერთებს) ეძახდნენ არა მხოლოდ როგორც უზენაეს ძალებს, ბუნების კანონებსა და მის გამოვლინებებს, არამედ ხშირად წინაპრებსაც, რამეთუ ისინი იწოდებოდნენ ღვთის შვილებად და არა მონებად. წარმართისთვის მონობა მიუღებელი იყო, რამეთუ ამით, ცხადია, ისინი კარგავდნენ დამოუკიდებლობას, თავის უფლებას და ეს უკანასკნელი უმნიშვნელოვანესია. მთელი წარმართობა დაფუძნებული იყო ბუნებაზე და მის კანონებზე, ბუნებრივი სიბრძნე კი მარადიულია.

წარმართობა ეფუძნება სულიერ სიყვარულს ყველა ცოცხალი არსების მიმართ. სიყვარული – არა მხოლოდ საკუთარი თავის დასაკმაყოფილებლად, არამედ ბუნებაში მცხოვრები ყველა ცოცხალი არსების მიმართ. წარმართობა ადიდებს სიცოცხლეს, შესაბამისად წარმართი ვერ იქნება სიცოცხლის მომსპობი. სიყვარული წარმართმა უნდა გამოავლინოს არა სიტყვით, არამედ ქმედებით. მისი ყოველი ნამოქმედარი უნდა იყოს კეთილშობილი და ღირსეული.

წარმართობა წარმოუდგენელია წინაპრების დიდების გარეშე. წარმართი პატივს სცემს საკუთარ გვარს, ოჯახს, მოდგმასა და მშობლებს. უფროსების პატივისცემის გარეშე წარმართობა არ არსებობს. წარმართს შეუძლია სხვისი ერი შეისწავლოს, პატივი სცეს მას, თუმცა ამან არ უნდა გადაფაროს საკუთარი გვარისა და ერის სიყვარული, რამეთუ ეს უკანასკნელი მოღალატეობად ჩაითვლება. წარმართმა უძველეს სიბრძნეს პატივი უნდა სცეს და მოუფრთხილდეს, გადასცეს იგი შთამომავლობას – ასეთი იყო ოდითგან მათი კრედო. წარმართისთვის ოდითგან იკრძალებოდა სხეულის შეურაცხყოფა და მისი დამახინჯება. ძველქართულად სხეულს სასახლე/ტაძარი ჰქვია. ცხადია, ყველა რელიგიასა თუ მოძღვრებაში ტაძარი, როგორც საკრალური ადგილი, უწმინდესია.

წარმართისთვის უმთავრესია ჰქონდეს სრულად გათვითცნობიერებული, თუ ვინაა, რას წარმოადგენს, სადაა მისი ფესვები.

ქალი – სიცოცხლის საწყისია ყოველთვის. სიცოცხლის შობა და მათში წარმართული სულის აღზრდა – მისი მოვალეობაა. კაცი, რომელიც ქალს პატივს არ სცემს, ის კაცად არ მოიხსენიება, რამეთუ ყოველი მათგანი ქალმა შობა. ქალისადმი ჩხუბი და უპატივცემულობა – ცოდვად ითვლებოდა ყოველთვის. ქალისადმი სისუსტის გამოვლინება – სუსტისთვისაა დამახასიათებელი.

ოჯახური კერა ყოველთვის უწმინდესი იყო წარმართისთვის, ხოლო კერიის მცველი ქალია. ქალი პატივსაცემია ორი უმთავრესი მიზეზის გამო: პირველი – ის დედაა და მეორე – ქალი ბუნებით სუსტია და მას დაცვა სჭირდება. ქალმა უნდა იგრძნოს, რომ მის გვერდით ნამდვილი მამაკაცი და მეომარია, სულით მტკიცე და ძლიერი. ქალის მოვალეობაა შვილებს ღირებულებები გააცნოს, ტრადიციებსა და წესებზე აღზარდოს, რათა შემდგომში შვილები სამშობლოსა და გვარის სადარაჯოზე იდგნენ.

წარმართობა მიუთითებდა – დასახე ზუსტი მიზნები და ფრთხილად გაჰყევი მას. მიზანი დაფუძნებული უნდა იყოს შენს მსოფმხედველობასა და გატაცებებზე. მიზანი უნდა იყოს ის, რაც მომავალში სიამოვნებას მოგანიჭებს. ადამიანი, რომელიც მიზნის გარეშე ცხოვრობს – დაკარგულია და მას არ აქვს მომავალი.

წარმართვა ყოველთვის მიუთითებდა – იცოდე, რომ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. არ ეძიებდე და ჰპოვებდე სიკვდილს და აქციე მას ზურგი. იფიქრე შენს შთამომავლობაზე და შენს გვარზე და არ დაივიწყო წინაპართა სახელი, არამედ ადიდე ისინი მარადიულად. წადი მამათა და პაპათა სამყაროში ღირსეულად, როგორც მეომარს შეეფერება. ლამაზი და ღირსეული ცხოვრების დასასრული ლამაზი და ღირსეული გარდაცვალება უნდა იყოს. არ უნდა გეშინოდეს გარდაცვალების, თუმც მოგვდევს სიკვდილისადმი შიში. კაცი – ის არაა, ვისაც არ ეშინია, კაცი ისაა, ვინც შიშს იმორჩილებს. გარდაცვალება არ ნიშნავს სიკვდილს, რამეთუ სიკვდილი გაქრობაა, გარდაცვალება კი ერთი ფორმიდან მეორე ფორმაში გადასვლას, სახეცვლილებას ნიშნავს. ღირსეულმა გარდაცვალებამ შეიძლება შთამომავლების ცხოვრება მეტად ღირსეული და ბედნიერებით სავსე გახადოს.

ქართული წარმართობა სინამდვილეში არ ქადაგებდა არც მრავალღმერთიანობას და არც ერთღმერთიანობას – არც მონოთეიზმსა და არც პოლითეიზმს. ქართული წარმართობა ქადაგებდა ღმერთის ერთიანობას, ყველაში და ყველაფერში. ქართველი წარმართები, იყვნენ და არიან ღვთის შვილები, მისი ყმები, ძენი და ასულნი. ჩვენ ჩვენს ღვთაებებთან და ღმერთთან ისეთი დამოკიდებულება გვაქვს, როგორც შვილსა და მამას. ჩვენ არ ვებრძვით არცერთ რელიგიას, თუმც გვებრძოდნენ და გვებრძვიან ახლაც.

ღმერთის გამოსახულებას, იქნება ეს ტილოზე დახატული, ქანდაკება, ან რაიმე სხვა გამოსახულება, ქართულად ჰქვია ხატი. ხატი ნიშნავს სახეს, გამოსახულებას. სწორედ ამიტომაც ეძახდნენ ძველი ქრისტიანებიც თავიანთ გამოსახულებებს ხატებს.

ქართული წარმართობა წარმოიშვა ჩვენს მშობლიურ მიწაზე ჩვენი მშობლიური წინაპრების მიერ და სწორედ ეს მსოფმხედველობა, რწმენა შერწყმული იყო ჩვენს ბუნებასთან, ხასიათთან, ყოფასთან და სულიერებასთან.

როგორც ადამიანი ვითარდებოდა, ისე ვითარდება წარმართობაც. ასე მოვედით წარმართობიდან ქრისტიანობამდე ქართველებიც, თუმცა მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი პირვანდელობა და მისი არსი ხელუხლებელი რჩება. დღესაც, გვერდიგვერდ ამშვენებენ ქართული წარმართული და ქრისტიანული ხელთუქმნელი, მართლაც ღვთიური ისტორიული ძეგლები.

ქრისტიანობა ჩვენ კი არ გვიბოძეს, ჩვენ ის დავიმსახურეთ.

ცივილიზაციათა გასაყარზე, ეთნოსოციალური მეხსიერების ფორმირების საკითხისათვის, წარმართულ ცივილიზაციაში ქრისტიანობის გავრცელებამ ძირეული გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის მსოფლმხედველობაში, კულტურაში, ეთიკაში, პოლიტიკაში, ამ ყველაფერს კი, წინ უძღოდა კაცობრიობის ცნობიერების შემოტრიალება ახალი სარწმუნოებრივი იდეალებისკენ.

წარმართული ცივილიზაციის ქრისტიანობასთან ურთიერთმიმართება, თავის თავში მოიცავს უდიდეს ძვრებს, რომლებმაც კაცობრიობის განვითარების ისტორია რადიკალურად შეცვალა და ეს ტრანსფორმაცია დღემდე გრძელდება.

ეთნოსოციალური მეხსიერების მთავარი ფუნქციონალური მახასიათებელია ეროვნული თვითმყოფადობის, თვითიდენტობის შენახვა და გადაცემა. ჩვენი ღვთის ძეობა, სარწმუნეობის აღსარება, ეკლესიურობა არის კულტურა, რომლისგანაც ჩვენ დავალებული ვართ იმ ცხოვრების წესით, რომლის ჩარჩოებში ჩვენ ვიმედოვნებთ არა მარტო გადარჩენას, არამედ სრულფასოვან ცხოვრებას. ამავე დროს იგი არის ჩვენი კუთვნილება საკუთარ ხალხთან, რომელსაც თავისი ისტორიული გზა აქვს, რომლის შენარჩუნებაში, თუ შეცვლაში, ჩვენ ასე თუ ისე ვმონაწილეობთ. ქართველი ერი მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან.

ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, არის მოწამოებრივი გზა, ქრისტემიერი გზა

სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა.

დიადი მიზნები კი მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან საქართველოში, ეკლესია, რომელსაც ყველაზე მეტად ჰქონდა და უნდა ჰქონდეს კიდეც მოსახლეობის ნდობა, ყოველთვის იყო და უნდა იყოს კიდეც ძირითადი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მასაზრდოებელი ქვეყნის სამოქალაქო ეროვნული საზოგადოებისა.

საქართველოს ეკლესია ხომ დაარსებისთანავე თავისთავადია, ქართველ ერზე კი ნათქვამია: ,,ერი იგი საზეპურო", რაც უფლის სიტყვებით ნიშნავს, რომ ქართველი ერი არისტოკრატიულია. არისტოკრატიული კი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც დახვეწილი, კეთილშობილი, განსაკუთრებული, რჩეული და თავისუფალი.

ჩვენი ერი ვერასოდეს გახდება დამოუკიდებელი და თავისუფალი, თუ ის ზნეობრივად, რელიგიურად და სარწმუნოებრივად არ ამაღლდა. თუ ღვთის სჯულის დასაცავად ზნეობრივად და წესიერად ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ.

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ინტეგრაცია არ გულისხმობს იმას, რომ არაქართველური ეთნიკური ჯგუფები ქართველ ეთნიკურ ჯგუფად გადაიქცევიან, არამედ იმას, რომ ისინი შეინარჩუნებენ შიდა ეთნიკურ თავისთავადობას, მაგრამ საქართველოს თანამედროვე ერის ნაწილად იქცევიან ქართული ენის ცოდნით, საქართველოს საკუთარ სახელმწიფოდ აღიარებით, მისი კულტურის მატარებლობით, მის სრულფასოვან მოქალაქეებად გადაქცევით. კულტურა კი ხალხთა გამაერთიანებელი უდიდესი ძალაა, საფუძველია ერთობისა და ცხადია, სახელმწიფოებრიობასთან, საერთო მოქალაქეობასა და სამართალთან ერთად საერთო ქართულმა კულტურამ უნდა შექმნას სამომავლოდ საქართველოს ერის იერსახე და მისი მთლიანობის ნიშნად იქცეს.

უფალმა ჩვენ მოგვცა სახელმწიფო, ეროვნული ეკლესია, უძველესი კულტურა, ენა, ჩვენ კი მხოლოდ ერთი მოვალეობა დაგვაკისრა – მათი დაცვა, განმტკიცება და განვრცობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ერი სრულყოფილი ხდება, როდესაც იგი „ეროვნულ-სარწმუნოებრივ სახელმწიფოებრიობას" აყალიბებს.

არიგად, არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელიდან თავისუფლებისაკენ სავალ გზაზე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი – ეროვნულ-სარწმუნოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება.

ცივილიზაციათა გასაყარზე, ეთნოსოციალური მეხსიერების ფორმირების საკითხისათვის, წარმართულ ცივილიზაციაში ქრისტიანობის გავრცელებამ ძირეული გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის მსოფლმხედველობაში, კულტურაში, ეთიკაში, პოლიტიკაში, მაგრამ ამ ყველაფერს წინ უძღოდა კაცობრიობის ცნობიერების შემოტრიალება ახალი სარწმუნოებრივი იდეალებისკენ.

წარმართული ცივილიზაციის ქრისტიანობასთან ურთიერთმიმართება, თავის თავში მოიცავს უდიდეს ძვრებს, რომლებმაც კაცობრიობის განვითარების ისტორია რადიკალურად შეცვალა და ეს ტრანსფორმაცია დღემდე გრძელდება. ერის ეთნოსოციალური მეხსიერება ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობის შენარჩუნების საწინდარი და მისი შემადგენელი ნაწილია. თვით ეს ფენომენი კი საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანია.

ერთის მხრივ, ის შესაძლოა გამოყენებულ იქნას ეთნიკური და ჯგუფური ზიზღის გაღვივებაში, ეროვნებათაშორისი დაძაბულობის აღმოცენებაში, მეორესმხრივ კეთილმეზობლობასა და ერებს შორის თანამშრომლობის გამყარებაში. ეთნოსოციალური მეხსიერების ასეთი წინააღმდეგობრივი გამოვლინება ამ ფენომენის ანგაჟირებულობითაცაა განპირობებული. ერის სოციალური მეხსიერება რთული და მრავალკომპონენტიანი მოვლენაა, რომელიც სავალდებულო პირობაა ნებისმიერი საზოგადოების არსებობისა, ეფუძნება დაგროვებას, შენახვას და სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის ტრანსლირებას. ეთნოსოციალური მეხსიერება, როგორც ქვესისტემა სოციალური მეხსიერების, სპეციფიკური ფორმის აკუმულირებისა და სოციალურ-ეთნიკური გამოცდილების ტრანსლირებას განსაზღვრავს.

ამ მეხსიერების შემადგენელ საფუძველს კი ერის კულტურული გენოფონდი შეადგენს, რომელიც თავისთავში მოიცავს ეთნიკური კულტურის ელემენტებს: ენა, ხალხური ხელოვნება, ერის მატერიალური კულტურა, ნაციონალური ჩვეულებანი და ტრადიციები, ხალხური ფილოსოფია და ტრადიციული აღზრდის სისტემა, ხალხის ეთიკა და რაც მთავარია რელიგია.ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი და შესაბამისად ადამიანის ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი არის ერის ენა და რელიგია, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ახდენს აკუმულირებას ერის ეთნოსოციალურ მეხსიერებაში.

ფრიად მნიშვნელოვანია ეთნოსოციალური მეხსიერების რელიგიური დატვირთვა. იგი ეროვნული თვითშეგნებისა და იდენტიფიკაციის ჩამომყალიბებელია, რადგან ერი არის ერთი ეთნიკური წარმოშობის მატერიალური და სულიერი კავშირის მქონე მკვიდრი მოსახლეობა, რომლის წევრებიც, გარდა ხორციელ-სულიერი ერთობისა, აგრეთვე ერთმანეთთან შედუღაბებულ-შეკავშირებულნი არიან ისტორიით.

ქართველი ხალხის ეთნიკური თვითშემეცნება კი სწორედ ამდაგვარად ყალიბდებოდა. ეთნოსოციალური მეხსიერების მთავარი ფუნქციონალური მახასიათებელია ეროვნული თვითმყოფადობის, თვითიდენტობის შენახვა და გადაცემა.

არ არსებობს ისტორია, სადაც არ ყოფილიყოს სახელმწიფოთაშორისო ომები და ეროვნებათშორისი კონფლიქტები, უსამართლობა და წყენა, მაგრამ ცალსახაა, წარსულის მოვლენათა ანალიზი ნაციონალური ტოლერანტურობის პოზიციით უნდა განხორციელდეს.

ეს კი, იმას ნიშნავს, რომ თუ რა ისტორიული კონტაქტები ამდიდრებდა ხალხებს, აახლოებდა მათ და არა ის, რაც ყოფდა აშორებდა და ანსხვავებდა.

ჩვენი ღვთის ძეობა, სარწმუნეობის აღსარება, ეკლესიურობა არის კულტურა, რომლისგანაც ჩვენ დავალებული ვართ იმ ცხოვრების წესით, რომლის ჩარჩოებში ჩვენ ვიმედოვნებთ არა მარტო გადარჩენას, არამედ სრულფასოვან ცხოვრებას. ამავე დროს იგი არის ჩვენი კუთვნილება საკუთარ ხალხთან, რომელსაც თავისი ისტორიული გზა აქვს, რომლის შენარჩუნებაში, თუ შეცვლაში, ჩვენ ასე თუ ისე ვმონაწილეობთ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის სრული აღდგენა ვერ მოხერხდება ეროვნულ-სარწმუნოებრივი, ზნეობრივი აღორძინების გარეშე და ყოველივე ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც.

საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში, ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას. სწორედ ამიტომაც, ქართველი ერი მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან.

აქვე, ნიშანდობლივია იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი – ეროვნულ-სახელმწიფოებრივი – ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა, ეს არა სხვადასხვა, განსხვავებული, არამედ ერთიანი, თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით.

აქედან გამომდინარე, ლეგიტიმურმა, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა მთავრობამ (ხელისუფლებამ) უნდა იღვაწოს კიდეც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად, რათა ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი დაემყაროს, არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს.

სამართლებრივი ეროვნული სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეროვნული ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას.

სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებას დაემყარება.

ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, არის მოწამოებრივი გზა, ქრისტემიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა.

უცილებელია დავუბრუნდეთ მამა-პაპეულ გზას, ავაღორძინოთ დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო და საქართველოს დაუბრუნდეს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში.

დღეს, ეკლესია, სამწუხაროდ, საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას მხოლოდ კულტურული, რელიგიური და ეროვნული სიბრტყიდან ცდილობს, მხოლოდ ამ ფასეულობების დასაცავად და ისიც ზერელედ იწყებს მოსახლეობის გააქტიურებას, მათთვის არასასურველი იდეების გამავრცელებლებთან საბრძოლველად.

რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი არაა ეკლესიის პოლიტიზირება, თუმცა მნიშვნელოვანია ეკლესიის როლი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, რამეთუ ეკლესია ყოველთვის ახერხებდა პოლიტიკური პროცესებიდან განზე დგომას.

საქართველოში, სამწუხაროდ, ეკლესიის პოზიცია მიუხედავად რთული პოლიტიკური დაპირისპირებების ფონისა, ყოველთვის როდია მოზომილი და კონკრეტულ შედეგებზე გათვლილი, იგი ხშირად მმართველი პოლიტიკური რეჟიმის მიმართ დამთმობი და უუნაროა, არადა, ამ დროს, ეკლესია აუცილებელია იყოს ეროვნულ–სარწმუნოებრივი იდეოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი.

საქართველოს მფარველი ანგელოზი თვით ზეციერი დედოფალია. ეს უდიდესი წყალობაა, მაგრამ მიწიერ სიბრტყეზე, ეს არის საღმრთო მოწოდება ღვაწლისა და თავდადებისაკენ.

აუცილებელია, ვეცადოთ ვიცხოვროთ უფრო მეტად სულიერად, ვიყოთ უფრო ახლოს ქრისტესთან და არაფრის გვეშინოდეს, რადგან ყველაზე დიდი რაც შეიძლება შეგვემთხვას, არის ის, რომ მოწამეები გავხდებით.

საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა, პრაქტიკულად მისი შექმნისთანავე ატარებდა ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობის ნიშნებსაც და ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამავდროულად იყო, არის და იქნება ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობა. მისი ლოზუნგიც – „ენა, მამული, სარწმუნოება“ ხომ ამასვე ადასტურებს. დღევანდელი საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობაც თავისი შინაგანი არსით ეროვნულ–რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ–პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით. ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაემყაროს არა მარტო ხელისუფლების სოციალურ–პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს. სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურ–ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას.

ჩვენ მომხრენი უნდა ვიყოთ არა სახელმწიფოსა და ეკლესიის, ეკლესიისა და სკოლის ურთიერთგამიჯვნისა, არამედ მათი ბუნებრივი კავშირისა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც დაემყარება.

ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ ცოდნისა და რწმენის არა დაპირისპირება, არამედ მათი სიმფონიური თანაარსებობა საზოგადოებრივ პრობლემათა გადაჭრის საქმეში. რა თქმა უნდა, გარეშე სახელმწიფოებრივი ნებისა და საყოველთაო ეროვნულ–სარწმუნოებრივი პროგრამის მხოლოდ თეორიული ქმედებით ფონს გასვლა გაჭირდება, მაგრამ სააზროვნო სივრცის გაფართოება უეჭველად გამოავლენს ახალ პრაქტიკულ საშუალებებს, თუ როგორ უნდა წარვმართოთ ჩვენი ბედი, თუნდაც უკუღმართი ისტორიული პირობების გათვალისწინებით.

დროა კვლავ დავეპატრონოთ, მაღლა ავსწიოთ, ავიტაცოთ ეროვნულ–სარწმუნოებრივი ცნობიერების მამულიშვილთა სისხლით შეღებილი კეთილშობილი დროშა და ეროვნულ–სარწმუნოებრივი ცნობიერებით გავაგრძელოთ ,,მამულისა ჩვეულებისამებრ სლვაჲ” ერის ხსნის გზაზე.

ჭეშმარიტად მორწმუნე სულისა და სიკეთის მსახურთ კი, მუდამ გვფარავდეს სიკეთითა და სათნოებით სავსე უფალი ჩვენი.

6. *დღეს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობასა და ორიენტაციას, ხშირად ჩვენგან უკითხავად, დეკლარირებით განიხილავენ როგორც სახელმწიფოებრივი მიმართულებით პროდასავლურს, ასევე ფაქტობრივად, ეკონომიური და მასზე განსაზღვრებით, პროჩრდილოეთის მიმართულებით მცოცავს, თქვენის აზრით რა ორიენტაციისა და მიმართულების ქვეყანა უნდა იყოს საქართველო?*

წარმართობიდან დღემდის ქრისტიანობამდე კავკასიის ღვთისშვილები ვიყავით და უნდა ვიყოთ მუდამ.

საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული და რელიგიური თავსებადობა. ჩვენს ქვეყანაში ათასწლეულების მანძილზე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ–კავკასიური

სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

ევროპის კავშირი კი, როგორც ცნობილია, აგებულია ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობების მთელი ერთობლიობის, უმეტესად ეკონომიკურ-მიზნობრივ საფუძველზე და მისი ძირითადი პოლიტიკის მიზანია ძირითადად მისი ეკონომიკური ერთობა. გეოგრაფიიდან ვიცით, რომ ევროპა და აზია ერთი კონტინენტის – ევრაზიის ნაწილებია, მაგრამ ისინი დამოუკიდებელ კონტინენტებად განიხილებიან, რადგან ევროპისა და აზიის მოსახლეობა, მათი ისტორია მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სრულიად სხვაა კავკასია. კავკასიის კონტინენტის საზღვრები, გაჰყვება წყალგამყოფ და წყლის გამყოფ ზოლებს. პირველი უფრო საიმედოა, არ იცვლის მიმართულებას, მეორე კი რთულად განსასაზღვრია მთაგორების რთული რელიეფის გამო.

ამრიგად: გეოგრაფიულად კავკასიის კონტინენტს ორი მხრიდან (აღმოსავლეთით და დასავლეთით) ზღვა აკრავს, ჩრდილოეთით სრუტე, სამხრეთით (წყალგამყოფი) მდინარეები და მხოლოდ 1–2% შეიძლება საღვრად წარმოჩინებული იყვეს ხმელეთი, რაც კონტინენტის საერთაშორისო განმარტებებს შეესაბამება.

სამყაროს გამგებელმა ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. რადგანაც ადამიანია დედამიწის მთავარი შემადგენელი არსება ყველა ხალხთა ჯგუფს თავიანთი ტერიტერიული ფართი გამოუყო. ცნობილია, რომ ნეგროიდული რასა აფრიკის კონტინენტზეა განსახლებული. წითელი რასა ამერიკის კონტინენტზე სახლობს. ყვითელი კანის ფერის ხალხებს კი აზიის აღმოსავლეთ და სამხრეთ – აღმოსავლეთ ნაწილი უკავია. თეთრი რასა განსახლებულია ინდოეთიდან ევროპამდე და ჩრდილოეთ აფრიკაში.

თეთრი რასა, თავისთავად, შედგება სემიტებისაგან, ინდოევროპელებისაგან და იაფეტებისაგან. სემიტები უმეტეს წილად ჩრდილოეთ აფრიკაში სახლობენ, იაფეტის შთამომავალნი კი უმეტესწილად კავკასიაში, აპენინის ნახევარკუნძულზე და ირლანდიაში.

ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიაში უმთავრესი სამწერლო ენის მქონე ქართველები სახლობენ, მათ გვერდით ასევე იაფეტები: აფხაზები, მეგრელები, სვანები, ლეკები, ალბანელები სახლობენ. ასევე სამხრეთ კავკასიაში სახლობენ ინდოევროპული მოდგმის ერები: არმენები (სომხები) და აზერბაიჯანელები.

ჩრდილოეთ კავკასიაში იაფეტებს – იბერიულ-კავკასიურ ხალხებს, მიეკუთვნება: ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ინგუშები, ჩეჩნები, დაღესტნელები. ჩრდილოეთ კავკასიაში ისტორიული ქარტეხილების შედეგად შემოსახლებულები არიან ყარაჩაეველები, ბალყარელები – ეს ის ერებია, რომლებიც დავით აღმაშენებელმა ყივჩაღების სახით საქართველოში ჩამოასახლა, აქ ფეხი ვერ მოიკიდეს და შემდგომში ქართველებმა ჩრდილოეთ კავკასიაში, ქართველთა სავანეში, ჯიქეთში დაასახლეს. ყარაჩაეველები და ბალყარელები არიან თურქული მოდგმის ერები. თუ გადავინაცვლებთ აღმოსავლეთით სახლობენ ოსები, რომელნიც ირანული მოდგმის ერია. მათ აღმოსავლეთით სახლობენ ინგუშები და ჩეჩნები, რომლებსაც მოუწყეს გენოციდი და გადაასახლეს ყაზახეთის სტეპებში. დაღესტნელები უფრო მრავალრიცხოვანიკი არიან მაგრამ მათი ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში ყუმიკებია შესახლებული და ა. შ. ასე და ამგვარად იბერიულ კავკასიურ ერებს აქვთ საკუთარი ენა და დამწერლობა, განსხვავებული ისტორია და სახლობენ მკვეთრად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე,

რაც დამატებით საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ გეოგრაფიულადაც და პოლიტიკურადაც კ ა ვ კ ა ს ი ა კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ ი ა.

ასევე, ცნობილია, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი-ხმელთაშუა ზღვის რასა, მედიტერანული რასა, ანუ მედიტერანული მოდგმა. იმ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასა, არის აგრეთვე ტერმინები: პალეოკავკასიური რასა, ანუ უძველესი კავკასიური რასა, უძველესი მედიტერიანული რასა, რაც ურთიერთის იდენტურია.

საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე, მცირე აზიაში და პალესტინაში. ეს არის გავრცელების არეალი იმ პროტოიბერიული მოდგმისა, რომელსაც ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა ამ მოდგმისა, ამ რასისა იყო ერთი ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალი დიალექტური განშტოება და თუ ეს ენაკავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ როგორც ურთიერთმონათესავე ენები.

ეს არის სხვადასხვა განშტოებები ერთი და იმავე მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური, ან პროტოიბერიული მოდგმა ეწოდება, ხოლო საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით, დაკავშირებულია იბერიულ-კავკასიურ განშტოებასთან. იბერიულს აქვს მრავალი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია პირინეულ-იბერიული, ანუ ბასკური და კავკასიურ-იბერიული, ანუ ქართული და მისი მონათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში. დანარჩენი კი ამჟამად ასიმილირებულია ინდოევროპული კაცობრიობის მიერ, რომელიც არის გვიან მოსული ევროპის კონტინენტზე, კერძოდ მეორე ათასწლეულის შემდეგ, ხოლო პროტოიბერიული კაცობრიობის, ანუ პალეომედიტერანული, პალეოკავკასიური კაცობრიობის მოღვაწეობის, მისი ზნეობის ხანად მიჩნეულია ეპოქა უძველესი დროიდან ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში იწყება დაკნინება ამ რასისა, მისი რიცხობრივი შემცირება, მისი ასიმილირება მოსული ინდოევროპელების მიერ. ამ დროიდან და უფრო გვიან წამოიწევს წინ ხეთური და ძველბერძნული, ელინური სამყაროები. მაგრამ აქ ხდება კულტურათა სინთეზირება: პალიომედიტერანულ, ანუ პროტოიბერიულ მოდგმასთან დაკავშირებულია პირველადი კულტურები მინოსისა, ეგეოსური კულტურები, კოლხური (ძველკოლხური), რომელიც უაღრესად მჭიდროდ არის მინოსურთან დაკავშირებული. ხოლო შემდგომ, უკვე მეორე ათასწლეულიდან იწყება წამოწევა ხეთური სამყაროსი, რომელიც უკვე ინდოევროპული სამყაროა, აგრეთვე ძველბერძნული სამყაროსი, რომელიც ვედური ტომიდან მომდინარეობს და მოსულია იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შემდგომ აღმოცენდა ძველბერძნული კულტურა და ძველბერძნული სამყარო, ხოლო პირველადი მოსახლეობა ძველი საბეძნეთისა, ძველბერძენი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით, განასზღვრულია როგორც პელაზგური, ანუ პროტოიბერიული. პელაზგები არიან ერთ-ერთი განშტოება პროტოიბერებისა, ისევე როგორც ეტრუსკები და სხვა ხალხები, ისევე როგორც კოლხები. კოლხური, პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები მონათესავე სამყაროებია, უფრო სწორად, ერთ სამყაროს წარმოადგენენ.

მართალია, არსობრივად არა, მაგრამ არის ნიუანსური განსხვავება ქართულსა და ქართველურს შორის. ქართული და ქართველური მაინც უნდა განვასხვავოთ იმიტომ, რომ ქართული აღნიშნავს უშუალოდ საქართველოს, ყოველივეს ისტორიულ საქართველოსთან, ქართულ ენასთან დაკავშირებულს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ისტორიიდან და რომელიც სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს. ქართველური კი, გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. ქართველურნი არიან ტომები, რომლებიც „ქართები" არ არიან და არც, უშუალოდ ქართველები, მაგრამ ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან. ქართველური არის რასიული გაგება, უფრო ყოვლისმომცველი ვიდრე ეროვნული. როგორც არსებობს სემიტური რასა, ასევე არსებობს იაფეტური რასაც. ეს იაფეტური რასა არის ქართველური რასა. ქართველური ენები მომდინარეობენ სწორედ ამ პირველადი იაფეტური ენიდან, რომელსაც ჩვენ პროტოქართულ ენას ვუწოდებთ. ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური მოდგმის ხალხები ძირითად როლს ასრულებენ („საქართველოს სულიერ მისია", ზ. გამსახურდია).

სულაც არ არის ნონსენსი ასეთი ცნება – ერის ფსიქოლოგია, ერის ფსიქიკა. ფსიქიკა სულიერი არსების მახასიათებელია, მაგალითად, ადამიანისა და აქედან გამომდინარე, თუ ვამტკიცებთ, რომ ერსაც აქვს ფსიქიკა, ხასიათი, გონი, დადებითი და უარყოფითი თვისებები, ე. ი. ერიც სულიერი არსებაა! ფიზიკური არსება მხოლოდ გარემოებებზეა დამოკიდებული, ანუ დეტერმინირებულია. მას „საკუთარი ინიციატივით" არაფრის შეცვლა არ ძალუძს. ადამიანს კი – სულიერ არსებას, არა მხოლოდ აწმყოში ცხოვრების და წარსულის ხსოვნის თვისება აქვს, არამედ მომავლის ამოცანის, გეგმის დასახვაც შეუძლია. ეს ყოველივე ერსაც ახასიათებს, მას აქვს ცნობიერება! ცნობიერება კი ისეთ არსებას აქვს, რომელიც აყალიბებს სისტემას, თუ რა უნდა გააკეთოს გარკვეული ხნის განმავლობაში და თუ ეს არა აქვს, ე. ი. აღარ ცოცხლობს არც ერი და არც ადამიანი, ის, უბრალოდ, სულდგმულობს. ერთი სიტყვით – ერი არის სულიერი არსება, ინდივიდი, ყველასგან განსხვავებული, რომელსაც სჭირდება გეგმა თავისი შემდგომი განვითარებისათვის. სწორედ ეს „გეგმა" არის იდეოლოგია და თუ იგი სხვებისაგან გამორჩეულია (და ასეც უნდა იყოს), ეს უკვე ეროვნული იდეოლოგიაა.

ერი ვეღარ გახდება კაცობრიობის წევრი, თუ იქ თავისი ინდივიდუალიზმი, თავისი განსაკუთრებული კულტურული „წილი" არ შეიტანა. ერი არ არის მარტო ადამიანების, პიროვნებების უბრალო გაერთიანება, რადგან პიროვნება უკვე ის არის, ვის ჩამოყალიბებაშიც ეროვნულმა ნიშანმა გადამწყვეტი როლი ითამაშა და ის სხვა ერს ვეღარ შექმნის.

თავისუფლება უფლებებისა და მოვალეობების გონივრული გაწონასწორებაა და ერიც და პიროვნებაც, ასევე მათ შორის ურთიერთობა, ამის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს.

დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთი და იგივე არ არის. დამოუკიდებლობა მხოლოდ პირველი ნაბიჯია თავისუფლებისაკენ, მას საქართველომ ჯერ კიდევ ეროვნული ხელისუფლების – 1990–1991 წლების დროს მიაღწია, მაგრამ შემდეგ ჩვენმა ერმა, სახელმწიფომ – ფაქტობრივი, უკანონო ხელისუფლებების სახით, სამწუხაროდ, გეზი არ აიღო თავისუფლებისაკენ. დამოუკიდებლობა უძნელესი პროცესია. ამავდროულად, ცნობილია ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ტერმინი – შიში დამოუკიდებლობისადმი. 1991–1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან მოყოლებულ ფაქტობრივ ხელისუფალთ სწორედ ეს შიში სჭირდა და სჭირს: ხან „ძველ პატრონთან" დაბრუნებას ცდილობს, ხან „ახალ პატრონს" ეძებს, ხანაც ვითომ „დამოუკიდებლად ფუსფუსებს" – ვითომ საქმეს აკეთებს... ამით კი, თანდათან გვაცილებს თავისუფლებას.

ამით კი, დღეს საფრთხე ჩვენს თავისუფლებასთან ერთად ემუქრება დამოუკიდებლობასაც, რომელიც თავისუფლების გარეშე დიდი ვერაფერი ღირებულებაა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ერი სრულყოფილი ხდება, როდესაც იგი „ეროვნულ-სარწმუნოებრივ სახელმწიფოებრიობას" აყალიბებს. დღეს კი, ეროვნულობამ დაკარგა (დააკარგვინეს) ფასი და სწორედ ეს გადაგვარება, ეს არაეროვნული ორიენტაცია არის ხუნტისა და მათი მემკვიდრეთა ხელისუფლების „დამსახურება". დიახ, საქართველოში მნიშვნელოვანია რელიგიის – ეროვნულ-სარწმუნოებრივი საკითხი, რომელიც ყოველთვის იყო ეროვნულობის შემადგენელი ნაწილი. დღეს-დღეისობით კი, ბევრისთვის რელიგია მხოლოდ „გარე მანიპულაციები" – პირჯვრის გამოსახვა და სანთლების დანთებაა.

დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის არსებული დიდი განსხვავების არცოდნამ მიიყვანა ფაქტობრივი ხელისუფალნი აქამდე. განა შეიძლება ქვეყნის პარლამენტის, მთავრობის ცხოვრების მიზანი საკუთარი ოჯახისა და მეგობრების წრეს ვერ სცილდებოდეს?! სამწუხაროდ, დღეს ეს ასეა! თუნდაც პატრიოტიზმის დეფიციტი, ან ეროვნულობისადმი „საერთო-სახალხო ნიჰილიზმი" ყოველთვის ხელისუფლების „დამსახურებაა" და იგი ანტიეროვნულია, ე. ი. ეროვნულობის წინააღმდეგ მოღვაწე, თუნდაც თავისი უმოქმედობით. მათივე წარმდგენით „ეროვნული" ხალხი, მათ ხელს უშლით! მაგრამ ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც არაეროვნული მთავრობის გაფუჭებული საქმე თვითონ ერს გამოუსწორებია.

წამალიც სწორედ ეს არის – ჩვენ კვლავ ერად უნდა ვიქცეთ და ერს პიროვნებებმა უნდა უხელმძღვანელონ. ამაში მთავარი როლი, ვფიქრობ, სამართლებრივმა, ლეგიტიმურმა, კანონიერმა მთავრობამ და მისმა ლეგიტიმურმა პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იკისრონ, მათ ზუსტად უნდა იცოდნენ და იციან კიდეც, რა სჭირდება ერს და როგორ მიაღწიონ ამას. მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შესძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა.

უნდა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და უნდა მომზადდეს საფუძველი, რათა ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონი და ერთობა – კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა. ამასთან, უკვე ახალ საუკუნეში, მსოფლიო ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაეყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თვისობრივად ახალ ინსტიტუტს – მსოფლიოს ერთა ანსამბლეას, რომლის უზენაესი მიზანი ასევე იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიოს ერთა კულტურათა და სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაც.

ამდაგვარ ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც, ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც რომელიმე ავზრახვიან ქვეყანასსაშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს.

საშუროა, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა, ერთა კულტურათა, უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვისა და უზრუნველყოფის „მსოფლიო ერთა ანსამბლეა", რამდენადაც საქართველოს, როგორც „კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს ეზიაროს ჭეშმარიტად საღვრთო საქმეს და განხორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი. იგი უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანულ და მუსულმანურ სამყაროს შორის, რაც მისი ოდინდელი ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება.

მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები მათი უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში. უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი პოლიტიკური წყობა, რომლის დროსაც დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ერთა ხელისუფლებათა საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებულია თვითთოეული ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში.

მოწინვე ქვეყნები უნდა ადასტურებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემისა და მათი ეფექტური განხორციელების საყოველთაო მნიშვნელობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის.

კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის, შიგა მოწესრიგების პრინციპი კი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ, მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს, რაც საქართველოს იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და ასევე შავი ზღვის ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

მთავარი ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება.

ამრიგად, საქართველოს და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" მთავარი მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა კავკასიისა და ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძვნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა ერთობის ამოცანაა

ყველა სფეროში ჩვენი ერისა და მსოფლიოს ახალი რეგიონის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერთა თვითმყოფადობის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისა და სრულიად კავკასიისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა.

სწორედ ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფოც დაეფუძვნება. ქართული სახელმწიფო კი უნდა იყოს ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის გარანტი, ქართული ცხოვრების არსის განმსაზღვრელი. საქართველომ პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე.

7. *გამოდის, რომ საქართველომ რაც შეიძლება დროულად და მკაფიოდ უნდა განსაზღვროს თავისი სახელმწიფოებრივი მიმართულების მართებული ორიენტაცია და უნდა განაგრძოს ახალი ვექტორით სვლა?!*

სწორედაც დადგა გადარჩენის უკანასკნელ შესაძლებლობათა გამონახვა-გატარების აუცილებლობის გარდაუვალობა, ამისათვის ყველა საქმე, იქნება ეს მეურნეობრივი, წარმოებრივი, ცხოვრებისეული, სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური თუ სხვა, უნდა ვაქციოთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად, რათა აშენდეს ერთიანი ქართული სხეულით გასხივოსნებული სახელმწიფო. ღვთის იმედად ყოფნა აუცილებელია, მაგრამ არც ჩვენ არ უნდა ჩამოვუშვათ ხელები.

საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური რეალიზმი და სამართლებრივი ტენდენციები მუდმივ თანაფარდობაში და ჰარმონიაში უნდა იყოს მომავალი მსოფლიოს სამართლებრივ წესრიგთან.

დღეს გეოპოლიტიკური სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ამუშავდა სხვა სქემები. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკით, მსოფლიო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია ოპტიმალურად გადავწყვიტოთ დღევანდელი პრობლემები.ოღონდ ყოველივე ამის განსახორციელებლად საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის უნდა გადაჭრას უპირველესი პრობლემა: უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალ-მემკვიდრეობისა და ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რაც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებისა შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობებს დაარეგულირებს.

აქედან გამომდინარე, საჭიროა უკომპრომისო ბრძოლა იმ დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომელსაც ხელისუფლება უზურპირებული და ოკუპირებული აქვს. ამასთან, საჭიროა დაპირისპირება ანტიეროვნულ პოლიტიკასა და იდეოლოგიასთან, რომელსაც ქვეყანაში ნერგავენ ხელისუფლების სხვა სატელიტი ფსევდო-დემოკრატიული ორგანიზაციები.

უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება, მანამდე, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდება ყველა ასპექტით: ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური. შესაბამისად უწყვეტია ისტორიულ-თემატური დრო და ამ ყოველივეს დამწყები პიროვნების როლი. მის მიერ დატოვებულია კვალი ამ ისტორიულ-თემატურ დროში, რომელიც გრძელდება მომავალში. საერთოდ პიროვნებები, რომლებიც ისტორიას ქმნიან მათი მოღვაწეობა არ მთავრდება ეგზისტენციალური დროის დასრულებით. მათი მოღვაწეობა სიუჟეტურ დროში გრძელდება და ყველა სიუჟეტი, რომელიც მათ ერს შესთავაზეს განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა.

ამ დროს, მნიშვნელოვანია პირველადი განმარტება: საქართველოს სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს - სახალხო მოთხოვნით საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის მიერ სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზისა და მის საფუძველზე ქვეყანაში განხორციელებული კანონიერი საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენას.

არსებულ ვითარებაში, ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრივობის გადასარჩენად

ლეგიტიმური კონსტიტუციის მიხედვით სავსებით აუცილებელი და გადაუდებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლის ხელახალი აღმავლობა, მისი ორგანიზაციების აღდგენა-აღორძინება. ამიტომაც, უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმურობის აღდგენის საკითხები, ანუ ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ეროვნული, ანუ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა პირველ რიგში და საფუძველში გულისხმობს მის აღდგენას როგორც ეროვნული მოძრაობის ინსტიტუციისას, ინსტრუმენტისას და არა რაღაც განყენებული აბსტრაქციისას. დავსძენთ, რომ ლეგიტიმურობის აღდგენა პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ზოგადად ქართველი ერის მიზნების განმახორციელებელი ხელისუფლების აღდგენას.

ლეგიტიმურობა და კანონიერება ჩვენი თვალსაზრისით და ჩვენი სიმართლით ეროვნულობაზეა აგებული და არა შემონერგილ რაღაც ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალურ აბსტრაქტულობებზე. ამდენად, მთელი ამ ჩვენი მსჯელობების მიზანია დავასაბუთოთ და განვმარტოთ, რომ პირველადია სამართლებრივად კონსტიტუციური საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზაციები, ხოლო ეროვნული მოძრაობის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები – პარლამენტი იქნება ეს, თუ მთავრობა კი მეორეულია, დაქვემდებარებულია, ინსტრუმენტია და მეტი არაფერი და თუ ეს ასეა, მაშინ, ეროვნული ხელისუფლებისა და ზოგადად ჩვენი კანონიერებისა და ჩვენი სამართალ-- სიმართლის აღდგენა შეუძლებელია მთლიანად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციების ხელახალი და მძლავრი აღმავლობისა და მომძლავრების გარეშე.

საქართველოში მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება შეიძლება იყოს კანონიერი, ლეგიტიმური და ვერავითარი ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალური ხელისუფლება ლეგიტიმური ვერ იქნება და ქართველი ერის ინტერესებს ვერ ემსახურება.

„საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძვნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. სახელმწიფოს ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

გამოსავალი აღნიშნული მდგომარეობიდან არის ერთადერთი – რეალობიდან გამომდინარე ლეგიტიმური მთავრობის მიერ 2014 წლის 26 მაისის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული შეფასების თანახმად, რომელშიც შეფასებულია 1991–1993 წლების სახელმწიფო

გადატრიალება და მისგან გამომდინარე ქვეყნის შემდგომი პროცესები, უნდა შემუშავდეს ახალი სამართლებრივი და იურიდიული საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი აქტები, სადაც გათვალისწინებული იქნება და იურიდიულად აღსდგება 1992 წლის 2 იანვარს შეჩერებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები საზღვრების ურღვევობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ადმინისტრაციულ–ტერიტორიული მოწყობის პრინციპების შესახებ, რაც სრულიად აღადგენს ასევე სამართლებრივ საფუძველს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

1991–1993 წლებისა და 2008 წლის ომები დაკარგავს თავის პოლიტიკურ შინაარსს და ის ტერიტორიები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარეთ დარჩნენ, კანონიერად მოექცევიან მისი გავლენის ქვეშ. ამის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის ფაქტობრივად აღდგენისათვის წარმოებული ყოველგვარი ღონისძიება საერთაშორისო სამართლის დამატებითი სტატუსითაც იქნება განმტკიცებული.

უნდა შემუშავდეს, მომზადდეს და რეფერენდუმის გზით მიღებულ იქნას ახალი ეროვნული კონსტიტუცია, სადაც ასევე აღნიშნული იქნება სახელისუფლო კანონიერებისა და მისი სამართლებრივი უწყვეტობის საკითხი, რითაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული მოწყობის სამართლიანობა და კანონის უზენაესობა. საქართველოს ნამდვილ მამულიშვილს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს და სჯეროდეს, რომ უნდა ემსახუროს ქართველი ხალხის უზენაესობას, მარადიული ჭეშმარიტების მოთხოვნებს. დიდი მიზნების მიღწევას შესაძლოა ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდეს. გამარჯვების გარანტი სწორად საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა.

მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, ლოზუნგი, არამედ – სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება და რეალურად ეროვნულ–სახელმწიფოებრივი თანხმობის მიღწევა.

მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შესძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ–დიპლომატიური აქტიურობა.

ამავდროულად, უთუოდ უნდა დავეყრდნოთ რა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით განცხადებულ პრინციპებს.

ზოგადად, ლეგიტიმურობა კანონიერებას, სამართლებრივი საფუძვლების არსებობას ნიშნავს, ეს ცნობილია. ცნობილია ასევე, დევნილი ხელისუფლების – მთავრობის საკუთრივ სამშობლოში, თუ სხვა ქვეყანაში დევნილობაში მოქმედება, სამართლებრივი, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მისი პრეცედენტულობა.

1990–2021 წლების საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გარკვეული სამართლებრივი ფუნქციები გააჩნდათ და გააჩნიათ, მათ შორის, წარმომადგენლობითიც – ერთი, თუ სხვადასხვა ქვეყნის შიგნით გადაადგილებული კანონიერი ხელისუფლების დღეისათვისაც არსებული მმართველი ორგანოების (საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა, მისი სპგ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ და მისი დამფუძვნებელი და ძირითადი მმართველი პოლიტიკური ორგანო მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“) ფუნქციობას თანამედროვეობა არ იცნობს. ამიტომაცაა, რომ სწორედ ეს არის პრეცედენტული. პრეცედენტულობა კი თავისთავად არაკანონიერებას როდი ნიშნავს, პირიქით, სწორედ ისაა სამართლებრივი და ჭეშმარიტად ლეგიტიმური.

ხალხის კანონიერი ინტერესების დასაცავად და სამართალმემკვიდრეობის აღსადგენად საჭირო და აუცილებელია ლეგიტიმური და კონსტიტუციური წარმომადგენლობითი ორგანოების არსებობა, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებასთან – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, უნდა დაიცვან მათი შელახული უფლებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ასეთი ორგანოები კი უნდა იყვნენ

სამართლებრივი და კანონიერი კონსტიტუციის სახელმწიფოებრივი სტატუსის მატარებელი და არჩევითობის შემთხვევაში არჩევითი. ისინი უნდა გახდნენ ქმედუნარიანი, მოქმედი, ახალი ძალებითა და საზოგადოებისაგან უფლებამოსილების მატარებელი ადამიანებისაგან დაკომპლექტებული. სამართლებრივად, კანონიერად და კონსტიტუციურად თანდათანობით უნდა აღსდგეს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციებიც.

ყოველივეს კი ხელს უნდა უწყობდეს ლეგიტიმური, სამართალმემკვიდრე, ხელისუფლების კანონიერი, კონსტიტუციური და სამართლებრივი წარმომადგენლობა – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საერთაშორისო სამართალი და ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დეკლარაცია კონკრეტულ განმარტებას აძლევს ლეგიტიმურ ხელისუფლებას: ლეგიტიმურია ხელისუფლება, თუ მას აქვს ხალხის ნდობის სამართლებრივი და კანონიერი მანდატი, ანუ თუ იგი გამოხატავს თავისი ერის კანონიერ ნებას.

ყველა დროში ასე აღიქმებოდა იგი.

ლეგიტიმური ხელისუფლება, კონკრეტულად კი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა არის ნამდვილი (ერის ნების გამომხატველი) რეალური ხელისუფლება და მთავრობა. ნებისმიერი ერი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი ერი საკუთარ მიწაზე, როცა მას ჰყავს საკუთარი ინტერესების გამომხატველი და მსახური ხელისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერი თავად ხდება მსახური, ნიჰილისტური ფსიქო-ინტოქსიკაციითა და ტერორით იქცევა ვიტალისტურ მასად, რომელსაც არ გააჩნია ეროვნება და, აქედან გამომდინარე, არც – სამშობლო.

ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზა არის ნამდვილი საშუალება და გასაღები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადაც. ეს მომენტი უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც, რადგან ამ „გასაღების", პირობითად, მოსკოვში, ვაშინგტონსა, თუ პეკინში ძებნა მიუთითებს ნიჰილისტურ მარაზმს სრული ამნეზიით, რეალობის აღქმის სრული დაკარგვითა და თვინიერობით რომ აღიწერება.

ლეგიტიმურობის „გასაღები" – უკანონოდ განდევნილი ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი კოსტიტუციური და სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზის ამოქმედება, ერთადერთია ასევე აფხაზეთისა და შიდა ქართლის დასაბრუნებლადაც. ის საქართველოშია, მის უდიდებულესობა ხალხშია და მის ნება-გადაწყვეტილებაშია.

შემდგომში კი ლეგიტიმური წყვეტის აღდგენის აუცილებელი ნიშანია არა მხოლოდ კანონიერი არჩევნების დანიშვნა (კანონიერმა ხელისუფლებამ – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უნდა დანიშნოს და ჩაატაროს არჩევნები და მხოლოდ ამ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი და კანონიერი) არამედ, ამ დროს, ასევე, უმნიშვნელოვანესია შემუშავებული ლეგიტიმური სამართლებრივი ბაზის ამოქმედება საქართველოს სახელმწიფოს გადასარჩენად, რითაც, საბოლოოდ მოხდება სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წყვეტის აღდგენა.

ამ მხრივ კი, აუცილებელია კონსტიტუციურად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზაცია, რათა აღსდგეს ეროვნული ცნობიერება, ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღორძინება, ქართული სახელმწიფოებრიობა და ეროვნული ხელისუფლება. ეს კი ჩვენი სამშობლოს ბრძოლის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს. ღვთისა და მამულისათვის თავგანწირვა დღეს ერთადერთი გზაა გადარჩენისა, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა.

ამრიგად, ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ-კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც, თავის მხრივ, უპირისპირდება ტოტალიტარულ, ავტორიტარულ სახელმწიფოებს.

ამ ახალ ეტაპზე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებები ისაა, რომ იგი ამიერიდან სათავეში უნდა ჩაუდგეს დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ ბრძოლას, რამდენადაც მას ენიჭება დუალისტური ფუნქცია – ის, თავის კანონიერ და სამართლებრივ სტრუქტურებთან (ინსტიტუციებთან) ერთად, წარმოადგენს, როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ასევე ეროვნული მოძრაობის წარმმართველ ცენტრსაც, ეროვნული

დაუმორჩილებლობის მთავარ იურიდიულ ინსტიტუტს. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კონსტიტუციურად თავად წარმოადგენს სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეროვნულ ხელისუფლებას, ქვეყნის პოლიტიკური სივრცის იურისდიქციის სუბიექტს.

საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდულობის ცენტრი უდავოდ სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა უნდა იყოს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში უნდა გავიაზროთ. ეროვნულ-პოლიტიკური თვითიდენტიფიკაციაში უნდა დავინახოთ ამ მოვლენის არსი და იმპერიალისტურმა ნომენკლატურულმა ფაქტობრივმა რეჟიმმა სწორედ რომ ვერ უნდა გაუწიოს რეალური წინააღმდეგობა სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პროცესს, რამეთუ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება კომპლექსურ-ინდუქციური პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მართებული, ობიექტური იქნება და უნდა შეფასდეს შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთიან სისტემაში და არა – მათგან იზოლირებულად და განყენებულად.

კიდევ ერთი ფუძემდებლური მომენტი: ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აუცილებლად უნდა დადგეს ერის გვერდით. მან მთელი თავისი სულიერ-ზნეობრივი ძლიერებით უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთო-ეროვნული აღორძინების პროცესში, რითაც უნდა გამოიკვეთოს ჩვენს ეპოქაში შექმნილი სულიერი ვაკუუმის ქრისტიანული რწმენით შევსების ტენდენცია.

რადგანაც ამ ხნის მანძილზე საქართველოში მოქმედ არცერთ ფაქტობრივ სახელისუფლებო, თუ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას რეალობასთან მიახლოებული ქართული სახელმწიფოებრიობის არანაირი კონცეფცია არ შეუქმნია, ეს ფორმულა ერთადერთი პოლიტიკური რეალობის განსახიერებად იქცა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაგანი დინამიკა უნდა იყოს ,,ახალი მსოფლიო წესრიგის” არქიტექტონიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცისა და მისი ღერძული სახელმწიფოს – საქართველოს სუვერენობის საკითხის უცილობელი ჩასმა და აღდგენა და იმ ბარბაროსული კოსმოპოლიტური ოკეანედან გამოსვლა, სადაც პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გენეზისის ეპოქაში ქართული ეროვნულობა შთაინთქა იმპერიალისტური ძალების დროებითი გარიგებებით.

უნდა გვახსოვდეს ასევე, რომ მთავარი არგუმენტი და უმოკლესი გზა მთელი კავკასიის რეკოლონიზაციისაკენ, დამოუკიდებელი და თავისუფალი კავკასიის, როგორც მსოფლიო ახალი რეგიონის ჩამოყალიბებისაკენ, საქართველოს სამართლებრივ და კანონიერ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე გადის.

თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ ისტორიულ, ეროვნულ და მართლმადიდებელ-ქრისტიანულ ტრადიციებს, მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ ეროვნული ღირებულებების ჭეშმარიტ ფასეულობათა სამართლებრივ სისტემას.

ამასთანავე, დავძენთ, რომ ჩვენ არ უნდა გვამოძრავებდეს შურისძიების გრძნობა, თუ არა ქვეყნის გადარჩენის წმიდათაწმიდა იდეა, რაც გვავალებს, მოვთხოვოთ გზააბნეულთ – ზურგი შეაქ-ციონ მორიგ პოლიტიკურ ავანტიურას, საქართველოს განადგურებით რომ ემუქრება და აღიარონ საჯაროდ, ქართველი ერის წინაშე ჩადენილი შეცდომები. მათ, ვინც გაითავისებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნას, მიეცემა ტრიბუნა, თავისუფლების ტრიბუნა და შანსი საქმით გამოისყიდონ შეცდომები იმ ადამიანების გვერდით, ვისთვისაც თავისუფალი საქართველოს იდეა პირველადია და შეუცვლელი!

აი, სწორედ ასე მესახება ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, ეროვნული იდეოლოგიისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიმართულების ახალი ვექტორით სვლა.

8. *როგორც ვხედავთ, საქართველოსათვის ამ მთავარ ეტაპზე, უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლის ხელახალ აღმავლობას, მისი ორგანიზაციების აღდგენა-აღორძინებას, ანუ ერთიან სისტემაში ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც კონსტიტუციური და ლეგიტიმური სახელმწიფოებრივი ერთობისა და მისი მმართველი პოლიტიკური ორგანოს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ურთიერთდამოკიდებულების საკითხს.*

დიახ, უმთავრესია საქართველოს რესპუბლიკის მმართველი პოლიტიკური ორგანოს - „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ მნიშვნელობისა და არსებობის პრეცენდენტულობა.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება” (შემოკლებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი"), არის თანამოაზრეთა პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შექმნილი „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის“, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა” და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული სამართალმემკვიდრე ორგანიზაციის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების” საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების” დაარსებას საფუძველი დაუდო 1975 წლის 31 ივლისს ჰელსინკში დადებულმა ხელშეკრულებამ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა შორის, რომელმაც მსოფლიო პოლიტიკაში ხალხებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაფუძნებული ახალი ჰუმანური ერის დაწყების იმედი მისცა.

მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს: აზრის, სინდისის, რელიგიისა და შეხედულებათა თავისუფლებების ჩათვლით ყველასთვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა, თუ რელიგიისა. სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ და განავითარებენ სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებების ეფექტურ განხორციელებას, რომელნიც გამომდინარეობენ ადამიანის პიროვნების ღირსებებიდან და არსებით პირობას წარმოადგენენ მისი სრული და თავისუფალი განვითარებისათვის.

მონაწილე ქვეყნები ადასტურებენ ერთა თანასწორუფლებიანობის საყოველთაო მნიშვნელობას, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემას და ეფექტურ განხორციელებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის. ისინი შეახსენებენ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობას, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით.

აღნიშნული ხელშეკრულების დადების პერიოდში საქართველოში უკვე დაწყებული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თუმცა მას ტოტალიტარული, რეპრესიული რეჟიმის ბატონობის გამო ნახევრად იატაკქვეშა ხასიათი ჰქონდა.

ჰელსინკის ხელშეკრულების დადების შემდეგ, მთელს საბჭოთა კავშირში შეიქმნა ამ ხელშეკრულების შესრულებისათვის ხელისშემწყობი საზოგადოებრივი ჯგუფები. საქართველოში ასეთი ჯგუფი შეიქმნა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ინიციატივით. ისინი არიან ამ ჯგუფის დამაარსებელნი.

ჯგუფის საქმიანობა საქართველოში წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებას და უფრო ფართო მასშტაბის გაშლას. კერძოდ, ჯგუფის მიზანი იყო ჰელსინკის შეთანხმების აქტის პოპულარიზაცია, თვალყურის დევნება, თუ როგორ სრულდებოდა ეს ხელშეკრულება საქართველოში, როგორ ხორციელდებოდა მისი ჰუმანიტარული პუნქტები.

1987 წელს, შედარებითი ლიბერალიზაციისა და პოლიტპატიმრების გათავისუფლების შემდეგ, ჰელსინკის ჯგუფი და მისი ორი ლიდერი გამსახურდია და კოსტავა აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში გამართულ თითქმის ყველა დიდ და მცირე საპროტესტო აქციაში.

კავშირი 1988 წლიდან უშვებს ჟურნალ „მატიანეს” ქართულ ენაზე და საინფორმაციო ჟურნალს „ვესტნიკ გრუზიი” რუსულ და ინგლისურ ენებზე უცხოეთის საინფორმაციო საზოგადოებრიობისათვის.

საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი 1989 წლის მაისიდან ოქტომბრამდე გარდაიქმნა ჰელსინკის კავშირად, ხოლო ოქტომბერში – მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებად”. ამ დროს კავშირი არა მარტო გაიზარდა რიცხობრივად, არამედ გააფართოვა თავისი მოქმედების არეალი. იგი უკვე იყო არა მარტო უძველესი სამართალდამცავი ორგანიზაცია, არამედ შეიძინა სრული პოლიტიკური ორგანიზაციის დატვირთვა.

1989 წლის ოქტომბერში იმართება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” (ერთადერთი და ნამდვილი სამართალმემკვიდრე ორგანიზაცია 1976 წლის ჰელსინკის ჯგუფისა) I ყრილობა, რომელზეც მიიღეს კავშირის წესდება და პროგრამა. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ზვიად გამსახურდია.

კავშირის სახელწოდებას დაემატა მისი მიზანი, რასაც ისახავდა ორგანიზაცია – „ეროვნული აღორძინება”. შემდგომ პერიოდებში, ისტორიის დამახინჯებულად წარმოდგენის მიზნით, ზოგიერთ პირთა მიერ რამდენჯერმე გაიჟღერა კავშირის სრულ სახელწოდებასთან დაკავშირებულმა თითქოს გაორებულმა აზრებმა, მაგრამ დღემდე არ არსებობს არცერთი იურიდიულად დასაბუთებული მასალა სახელწოდების შეცვლის, გარდაქმნის, ან უკუშეცვლის შესახებ.

ამრიგად, 1989 წლიდან ორგანიზაცია არსებობდა და დღესაც არსებობს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” სახელწოდებით.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” (შემოკლებულად „საქართველოს ჰელსინკის კავშირი”) უშუალო მონაწილეობით მთელს საქართველოში ტარდებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქციები. კავშირი სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად ორგანიზატორი იყო ყველა საპროტესტო აქციისა დემოკრატიული საარჩევნო კანონის გასატანად და დასამტკიცებლად.

1990 წლის 11 მაისს იქმნება საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა, რომლის ერთ–ერთი დამფუძნებელია სწორედ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება”.

1990 წლის სექტემბერში კავშირი გადის რეგისტრაციას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და „მრგვალი მაგიდის” სხვა პარტიებთან ერთად ჰქმნიან საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს”.

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო” ღებულობს ხმათა 54 პროცენტს, იმარჯვებს და ქმნის უზენაესი საბჭოს უმრავლესობას. კავშირს უზენაეს საბჭოში ჰყავდა მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა, როგორც პარტიული, ისე მაჟორიტარული სიით, ხოლო 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნებში, იგი კვლავ იმარჯვებს დიდი უპირატესობით და ძირითადად აკომპლექტებს ადგილობრივ–მმართველობით ორგანოებს. 1991 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის კანონის – „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” შესაბამისად სამთავრობო გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა” ქვეყნდება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” წესდება და კავშირი კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ” მეოთხე მუხლის თანახმად ჩაითვალა ლეგალიზებულად `საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” სახელწოდებით. რადგან იმავე წლის 1 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით შეჩერდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის მოქმედება, შეჩერდა მისი რეგისტრაციის საკითხიც იუსტიციის სამინისტროში.

1991 წლის 9 ნოემბერს გაიმართა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება”–ის II ყრილობა, რომელმაც მოუწოდა ქართველ ერს გადაარჩინონ დემოკრატია, სააშკარაოზე გამოიყვანონ ცრუ პარტიები და ცრუ ორგანიზაციები. ყრილობამ კავშირის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ბატონი ზვიად გამსახურდია, თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ვახტანგ ჭითავა (გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა” 1991 წლის 12 ნოემბერი).

1991–1993 წლების სახელმწიფო, სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდგომ კავშირის წევრები, ხუნტის მიერ სატიკად დევნილი და უკვე ფაქტობრივ კანონგარეშედ გამოცხადებულნი, ქართველი ერის შეუდრეკელ შვილებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა იმდროინდელ საპროტესტო მიტინგებსა, თუ აქციებში. კავშირი კვლავ განაგრძობდა აქტიურ მოქმედებას პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულ ახალ ძალებთან და „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” დარჩენილ პოლიტიკურ ძალებთან ერთად.

1993 წლის აპრილში განახლდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანების „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” მუშაობა, რომელშიც კვლავ აქტიურად მონაწილეობდა მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება”.

1993 წლიდან დღემდე, პერიოდულად, შიდა თუ გარე ძალების მიერ ხდებოდა დესტრუქციული ძალების სამტრო ქმედებები. კავშირის სხვადასხვა სტრუქტურულ-იერარქიულ საფეხურებზე მდგომი წევრების მცირე ჯგუფების მიერ ზოგჯერ მალულად და ზოგჯერ ღიად აქტიურად უპირისპირდებოდა კავშირის პოლიტიკურ კურსს.

მათ განზრახვებს მუდამ ეწინააღმდეგებოდა ჭეშმარიტად სამართლებრივი გზებით მებრძოლი კავშირის წევრები. დესტრუქციულ ძალთა მიზანი იყო კავშირისა და „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” უზურპაცია და მათთვის სასურველი პოლიტიკური კურსით სვლა, რაც ეროვნული მოძრაობის დაქუცმაცებასა და დაშლას ითვალისწინებდა.

1995 წლის 1 ოქტომბერს ჩატარდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” III ყრილობა. ყრილობამ მიიღო ახალი, განახლებული წესდება და პროგრამა. კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ბატონი თენგიზ კიკაჩეიშვილი, რომელიც 1993 წლიდან ასევე არჩეული იყო „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” ვიცე-სპიკერად. პერიოდულად კვლავ ჩნდებოდა საშიშროებები კავშირის შიგნითა კონფლიქტისა, რომელსაც კავშირში შემოსული, თუ შემოგზავნილი და გარკვეულ იერარქიაზე მომჯდარი პიროვნებები ახორციელებდნენ. ეს ჯგუფებიც ირიცხებოდა კავშირიდან, მაგრამ კვლავ და კვლავ არ ჩერდება ჯერჯერობით ის უხილავი ძალები, რომლებიც ჰქმნიან კავშირის დაქუცმაცებასა და დაპარალებების საშიშროებას.

1996 წლიდან კავშირში მწიფდება აზრი კავშირის პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკის შეცვლისა, რაც მდგომარეობდა თანდათანობით, პოლიტიკური სვლებით, კავშირს თავისი მიზნების მისაღწევად გამოეყენებინა ასევე არჩევნებში მონაწილეობის ხერხიც, რაც პოლიტიკური მოქმედების არეალის გაფართოების საშუალებას მისცემდა. 1997 წლის 26 სექტემბერს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” გადის რეგისტრაციას იუსტიციის სამინისტროში (რეგისტრაციის მოწმობა №0152) და ემზადება არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. 1997 წლის დეკემბერში იმართება რიგგარეშე მე-4 ყრილობა, სადაც განიხილება ახალი სამოქმედო გეგმები და არჩევნებში მონაწილეობის საკითხი. ყრილობამ კავშირის თავმჯდომარედ აირჩია ბატონი თენგიზ კიკაჩეიშვილი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ ბატონი ნუკრი ბაღდავაძე.

1997 წლიდან ფსევდო და პარალელურ სტრუქტურებთან ბრძოლა იურიდიულ ხასიათს ღებულობს და ხდება ყველა რანგის სასამართლეობის განხილვის საგანი.

1998 წლის 23 იანვარს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება”, ახალი კანონის („პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ”, 1997 წლის 31 ოქტომბერი) საფუძველზე ხელახალ რეგისტრაციას გადის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში (რეგისტრაციის მოწმობა №0007). ასევე რეგისტრაციას გადიან „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოში” შემავალი სხვა პარტიებიც. თუმცა 1998 წლის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნებში კავშირი არ მონაწილეობდა არადემოკრატიული საარჩევნო კანონისა და მმართველობის უზურპაციული ფორმების გამო.

მხოლოდ 1999 წლის 26 თებერვალს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე, რეგისტრაციაში გატარდა ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო” თავისი შემადგენელი ორგანიზაციებით: „საქართველოს ჰელსიკის კავშირი –

– ეროვნული აღორძინება”, „საქართველოს ქრისტიან–კონსერვატიული პარტია”, „საქართველოს ქრისტიან–სოციალური კავშირი”, „საქართველოს სამეფო ლიგა”. (დადგენილება №7 (316).

1999 წლის 28 ოქტომბერს ქ. თბილისის ვაკის რაიონულ სასამართლოში არარეგისტრირებულ ორგანიზაციას – „საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალ მაგიდას” (ხელმძღვანელი მ. არჩვაძე) შეაქვს დამატებითი სარჩელი, სადაც მოითხოვს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას იმ საკითხზე, რომ მოპასუხეს, ამჯერად „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებას” აეკრძალოს სახელწოდების გამოყენება და ასევე ითხოვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში კავშირის რეგისტრაციის გაუქმებას. ამ სარჩელზე, 1999 წლის 11 ნოემბერს, მოსარჩელეს ეთქვა უარი განცხადების შეტანის ხანდაზმულობის გამო (საქმე №2/1207).

1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოში” შემავალი „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” ღებულობს მონაწილეობას, მაგრამ ყოველივე ზემოთთქმული ფაქტორებიდან გამომდინარე, ეროვნული მოძრაობის პარტიების წინააღმდეგ მიმართული აშკარა დაქუცმაცებისა და დაპარალელების მცდელობების, შუღლის გაღვივების, ამომრჩეველთა დაბნევისა და ხმების დაკარგვის გზებით, გარკვეული მიზანს აღწევენ – კავშირი ვერ აგროვებს არჩევნებზე ხმების საჭირო კვოტას და მარცხდება.

პარალელურად კვლავ გრძელდებოდა კავშირისა და „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ წინააღმდეგ მიმართული სასამართლო პროცესები.

2000 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, პერიოდულად, ფაქტობრივი კანონის მიხედვით ტარდებოდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” რიგითი, თუ მორიგი ყრილობები და კავშირი შესაბამისად გადიოდა რეგისტრაციას იუსტიციის სამინისტროში (2004–2009 წ.წ., თავმჯდომარე – ფირუზ დიაკონიძე; 2009–2013 წ.წ., თავმჯდომარე – თორნიკე ამაშუკელი; 2013–2017 წ.წ., თავმჯდომარე – ნოდარ კიკნაძე; 2017–2019 წ.წ. თავმჯდომარე – ნუკრი ბაღდავაძე; დღეისათვის კი თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მალხაზ მუსერიძე).„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებამ” სასამართლო პროცესებისა და თვითგადარჩენის გამო იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებსა და 2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მაგრამ არადემოკრატიული საარჩევნო კანონის, მმართველობის უზურპაციული ფორმებისა და არჩევნების გაყალბების გზებით ჩატარების გამო კავშირი ვერ მოაგროვებდა და ვერც მოაგროვა არჩევნებზე ხმების საჭირო კვოტა, არჩევნებში მონაწილეობამ
თავისი დადებითი როლი ითამაშა სახელწოდების შენარჩუნებისა და სამართალმემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის.

2009 წლის ნოემბერში „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” ინიციატივითა და ორგანიზებით, ემიგრანტულ ორგანიზაციებთან ერთად ცხადდება საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის აღდგენა და სპეციალურ საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის კონფერენციაზე ხდება საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოს არჩევა (თავმჯდომარე – ნუკრი ბაღდავაძე). განისაზღვრა საკოორდინაციო საბჭოს სტრუქტურა, დებულება და სამოქმედო გეგმა. საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭომ დაიწყო თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელება.

2014 წლის იანვრიდან, ორი წლის სამომზადებლო სამუშაოების შემდგომ, 31 მარტისათვის განახლდა–გაფართოვდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუშაობა რომლის შემადგენლობის სრულ უმრავლესობას (გარდა მაშინდელი თავმჯდომარისა, რომელიც წარმოადგენდა „სრულიად საქართველოს ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრს) წარმოადგენდნენ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” პრეზიდიუმისა და კავშირის წევრები.

9. *როგორც ბრძანეთ სწორედ 2014 წლიდან იწყება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” ახალი ერა, რა დროსაც შედგა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებისა” და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური და სახელმწიფოებრივი სისტემური ერთობა, რომელმაც დასახული სტრატეგიული გეგმის მიხედვით განაახლა მოღვაწეობა. რა ძირითადი მიმართულებებითა და პრინციპებით განახლდა კანონიერი ხელისუფლების საქმიანობები?*

დიახ, სწორედ, 2014 წლიდან მოყოლებული, უკვე პერიოდულობის დაცვით იმართებოდა სამთავრობო სხდომები და გამოიცემოდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” ერთობლივი გადაწყვეტილებები და დადგენილებები, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ 2014 წლის 31 მარტის ერთობლივი განცხადება–მიმართვა ქართველი ერისადმი;
2. საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ 2014 წლის 9 აპრილის ერთობლივი განცხადება–მიმართვა ქართველი ერისადმი;
3. საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ 2014 წლის 26 მაისის ერთობლივი დადგენილება 1991–1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და დღემდე შემდგომი პერიოდის სამართლებრივი, იურიდიულ–პოლიტიკური შეფასების შესახებ;
4. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დაარსდა და შემოღებულ იქნა „საქართველოს გმირის" წოდება და „საქართველოს გმირის ორდენი". „საქართველოს გმირის" წოდება მიენიჭათ და „საქართველოს გმირის ორდენით" დაჯილდოვდნენ: საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის დამფუძვნებლები – საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია და ბატონი მერაბ კოსტავა, ასევე, 1989 წლის 9 აპრილს უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაცემულნი: აზა ადამია, ნათია ბაშალეიშვილი, ეკა ბეჟანიშვილი, ვენერა მეტრეველი, ნატო გიორგაძე, თამუნა დოლიძე, თინა ენუქიძე, ნინო თოიძე, ზაირა კიკვიძე, მანანა ლოლაძე, თამარ მამულაშვილ, მამუკა ნოზაძე, ნანა სამარგულიანი, მარინე ჭყონია–სამარგულიანი, ელისო ჭიპაშვილი, თამარ ჭოველიძე, მზია ჯინჭარაძე, ნოდარ ჯანგირაშვილი, მანანა მელქაძე, გია ქარსელაძე, შალვა ქვასროლიაშვილი.
   მოგვიანებით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით 1991–1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისას, საომარ სიტუაციაში სამშობლოსათვის თავდადებული მამაცობისათვის და თავგანწირვისათვის, საქართველოს გმირის წოდება მიენიჭა და „საქართველოს გმირის ორდენით" დაჯილდოვდა (დაღუპვის შემდეგ), საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის – ბატონ ზვიად გამსახურდიას პირადი მდივანი და უერთგულესი თანამებრძოლი, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" მდივანი – ქალბატონი ლალი მაისურაძე.

2014 წლიდან 26 მაისიდან ასევე განახლდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” საგამომცემლო ორგანოს ჟურნალ „მატიანეს“ გამოცემა (ადრე 2008 წელს გამოცემული იქნა მხოლოდ ორი ნომერი), რომელმაც სისტემატიურ–პერიოდული ხასიათი მიიღო (ჟურნალ „მატიანეს“ აღმდგენი, გამომცემელი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე – ნუკრი ბაღდავაძე).

2017 წლის 11 ივლისს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” მორიგმა X ყრილობამ მიიღო, როგორც ფაქტობრივი, ასევე იურიდიული და სამართლებრივი გარემოს შესაბამისი კანონისა და კავშირის წესდების შესაბამისი განსაკუთრებული გადაწყვეტილებები და სამოქმედო გეგმები.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლების, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების)რეესტრის ფორმისა და რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 9 აგვისტოს №161 ბრძანების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გადაწყვიტა:

1. რეგისტრირებულ იქნეს ცვლილებებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება";

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოცემისთანავე. ანუ, საჯარო რეესტრის სააგენტომ, ერთის მხრივ, რეგისტრაციაში გაატარა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება", ხოლო მეორეს მხრივ მოითხოვა აბსურდული, ახალი ყრილობის გამართვა, ახალი წესების თანახმად (ყრილობაზე ნოტარიუსის დასწრებითა და მის მიერ ყრილობის ამ ნაწილისათვის შესაბამისი გადაწყვეტილებების დამტკიცება).

ამავდროულად, რაც შეეხება კავშირის ახალი, მორიგი რეგისტრაციის, როგორც მისი, დროში - დღიდან დაარსებისა დღემდე, სამართლებრივ და კანონიერ სივრცეში ნამდვილობისა და არსებობის დამტკიცებისათვის „საქართველოს ჰელსინკის კავშირმა" მიმართა საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებას - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რათა შასაბამისი საკითხი - კავშირის X ყრილობის გადაწყვეტილებების ცნობისა და სამართლებრივ-იურიდიულ სივრცეში მისი ხელახალი რეგისტრაციის გავლის შესახებ განხილული და დამტკიცებული იქნას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე. კავშირის, როგორც მისი, დროში - დღიდან დაარსებისა დღემდე, კანონიერ, სამართლებრივ-იურიდიულ სივრცეში ნამდვილობისა და არსებობის შესახებ, ასევე, კავშირის X ყრილობის გადაწყვეტილებების ცნობის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ ჩაითვალა დამტკიცებულად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ამ პერიოდის (2017-2020 წლების) ერთობლივი გადაწყვეტილებებიდან და დადგენილებებიდან აღსანიშნავია:

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, კიდევ ერთხელ, ერთხმად მიიღო „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარისა და და თავმჯდომარის მოადგილის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების განახლებული პროექტი, სადაც ნათქვამია: აცნობიერებს რა პასუხისმგებლობას ქართველი ერის წინაშე, საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, კავშირი კვლავ მზადყოფნაშია ჩამოყალიბდეს და განვითარდეს ორგანიზებულ ძალად, რომელმაც სხვა პროგრესულ, ეროვნულ ძალებთან ერთად, უნდა გააგრძელოს ბრძოლა მშვიდობიანი, პოლიტიკური გზებით, რათა შექმნას პირობები, საფუძველი და გარანტია სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის გზით ოკუპაცია-ანექსიის დანაშაულებრივი შედეგების ლიკვიდაციისა და საყოველთაო, კანონიერი, დემოკრატიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ საქართველოს ჭეშმარიტი, სამართლებრივი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებისათვის" მიზნად ისახავს რა თავის პროგრესულ ორიენტაციას, ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეით გამსჭვალულ ქართველ ხალხთან ერთად კვლავ აცხადებს, რომ დასავლეთის კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნააზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უაღრესად ახლოა მისთვის და რომ, ამ თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება, დასავლური, ღია სამართლებრივი და დემოკრატიული საზოგადოების აშენება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ქართულ, იბერიულ-კავკასიურ ცნობიერებას, იდეოლოგიას და არა რაიმე სხვა, არის მისაღები პოლიტიკური ვექტორიცა და ორიენტაციაც.

კავშირი განაგრძობს ბრძოლას საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი სიძლიერისათვის, კრიმინალის, კორუფციის, სიღატაკის, უსამართლობის, გულგრილობის, უცოდინარობის, უსულგულობის დასამარცხებლად და მისი მთავარი მიზანია გამარჯვება, რომელიც ჩვენი შვილების მომავალს ეძღვნება.

კავშირი დასახული მიზნების მისაღწევად მჭიდროდ თანამშრომლობს და ითანამშრომლებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ადგილობრივ სამართალდამცავ

ორგანიზაციებთან, პარტიებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კავშირის წესდებასა და პროგრამას.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას, რომ იგი კვლავაც არის საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი და კანონიერი ხელისუფლების მმართველი პოლიტიკური ორგანიზაცია, შექმნილია 1990 წლიდან განუსაზღვრელი ვადით და მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი" თავისი პრინციპებიდან, ამოცანებიდან, მიზნებიდან, სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენისათვის პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებისა და სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარე პროტესტს აცხადებს ფაქტობრივი ხელისუფლებისა და მასთან დაქვემდებარებული სტრუქტურების მიერ არადემოკრატიული, არაჯანსაღი, უზურპაციული, აბსურდული და ყოვლად უკანონო გადაწყვეტილებებისა და არასამართლებრივი პირობების მიმართ, მანამ, სანამ არ მოწესრიგდება შესაბამისი სამართლებრივი კანონმდებლობა და ურთიერთობების ფორმები;

ამავდროულად, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის მიერ მოხდა ამ წლების განმავლობაში მოღვაწეობის პირობებისა და ვითარების სამართლებრივი შეფასება – „ახალი პოლიტიკური ლევილის" დაფიქსირება. სამწუხაროდ, „ლევილის შატოს“ გეგმა სახეცვლილებით, მაგრამ პოლიტიკურად კვლავ განმეორდა. წინა ისტორიული პერიოდისაგან განსხვავებით, ამჟამად, ვერც „ახალი პოლიტიკური ლევილის“ ქართული სათვისტომოს ფონდიც შეიქმნა, მაგრამ, საბედისწეროდ, ,,ახალი პოლიტიკური ლევილი" სამწუხაროდ დღესაც არსებობს.

,,ახალი პოლიტიკური ლევილი" კვლავ ცოცხლობს, მოღვაწეობს და პოლიტიკურად იბრძვის სხვადასხვა ქვეყანაში და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს . . . უკანონო, ძალაუფლების მქონე პუტჩისტთა მემკვიდრეებისა და მათი უცხოელ პატრონთა მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ საქართველოშიც . . . ,,ახალი პოლიტიკური ლევილი" დღესაც არსებობს . . . დღესაც ომია, ომი მამულისათვის დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე და, როცა სხვა გზა არაა, სასურველია, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უწყვეტი მოღვაწეობისათვის, შეჰქმნას და გააძლიეროს თანამედროვე, აქტიურად მომქმედი ახალი „პოლიტიკური ლევილის" ტიპის სამთავრობო, საემიგრაციო მოღვაწეობის ფუძე-სამყოფელნი, საიდანაც განახორციელებს თავის სავალდებულო საქმიანობას, ხოლო საქართველოში მისი წარმომადგენლობა კვლავ იმოქმედებს ე. წ. ,,რეზიდენტული" წესით.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: ხელისუფლებისა და მის მიერ შეკოწიწებული უკანონო მთავრობის პირობებში, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობისა და ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" დამფუძვნებელმა და ძირითადმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა კვლავაც უნდა განაგრძონ აქტიური ბრძოლა უკანონობისა და არალეგიტიმურობის წინააღმდეგ. აუცილებლობის შემთხვევაში, მათი ნაწილი უნდა გადავიდეს იატაკქვეშეთში, ხოლო ნაწილმა უნდა იმოქმედოს ღია, ლეგალური მეთოდებით.

ასევე, სასურველია, შეძლებისდაგვარად შეიქმნას „ახალი პოლიტიკური ლევილის“ სამთავრობო ფონდიც. მიიღებულ იქნა გადაწყვეტილება პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალ საქართველოს" რეკონსტრუქციისა და განახლების შესახებ;

მნიშვნელოვანია – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" ერთობლივი დადგენილება-რეზოლუცია საქართველოს რესპუბლიკის, მისი მთავრობისა და მოქალაქეობის სტატუსის შესახებ, სადაც ნათქვამია:

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკაში, როგორც სამართლებრივად სუვერენულ სახელმწიფოში, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობითა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის პირველადობის გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ გარდამავალ პერიოდში, საქართველოში სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენამდე, იმავდროულად ითვლება, როგორც დღევანდელი ფაქტობრივი საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეები, ასევე საბჭოთა კავშირის დროის საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც იმავდროულად, კანონიერი კონსტიტუციის საფუძველზე შეიძლება ჩაითვალნონ როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები და მსოფლიოში ემიგრანტად მცხოვრები სხვა ქვეყნის მოქალაქენი (მათი სურვილით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში), თუ მოქალაქეობის არმქონე ყველა პირი, რომლებსაც ოდესღაც მოქალაქეობრივი, თუ მასთან მიმართული განსაზღვრული იურიდიული საფუძვლები გააჩნიათ.

მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები და სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქენი, მემკვიდრეობითობით, გენეტიკურად, თუ ეროვნული წარმოშობით დაკავშირებული, თუნდაც ყოფილი იურიდიული საფუძვლის მქონე პირები, რომლებიც რაიმე სამართლებრივი ნიშნით დაკავშირებული არიან საქართველოს სახელმწიფოსთან, მათი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებამდე, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის არის დაწესებული. ასეთი სახის უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს სამართლებრივ და კანონიერ საქართველოს რესპუბლიკაში გარანტირებული აქვთ კანონით გათვალისწინებული უფლებანი და თავისუფლებანი. ამავდროულად, ისინი, როგორც საერთოდ ყველა სახის უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოს რესპუბლიკის მთელს სამართლებრივ ტერიტორიაზე, მოვალენი არიან პატივი სცენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და დაიცვან რესპუბლიკის კანონები. თავისუფლებისა და მშვიდობის საქმის დაცვისათვის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული, ან სხვაგვარი შემოქმედებითი საქმიანობისათვის. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი და თავისუფლებანი ასევე უზრუნველყოფილია კანონიერი კონსტიტუციის თანახმად და შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა კანონიერებისა და სამართალმემკვიდრეობის აღდგენამდე, გარდამავალ პერიოდში, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონის მიღებამდე, ნიშნავს პირის პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას, საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის უფლებათა დაცვას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი დადგენილებითა, თუ გადაწყვეტილებით.

ასევე, გათვალისწინებული და განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის ზემოთნახსენები ყველა კატეგორიის მოქალაქეების რეგისტრაცია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დროებითი დადგენილებით ჩამოყალიბებული სპეციალური სტრუქტურული სახელმწიფოებრივი რგოლის მიერ.

ვინაიდან, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” წარმოადგენს სამართლებრივი, კანონიერი ხელისუფლების დღემდე შემორჩენილ ერთადერთ მმართველ პოლიტიკურ ორგანიზაციას და „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" დამფუძნელ-ძირითად ორგანიზაციას, რომელსაც აღიარებს, როგორც კანონიერი ხელისუფლება, ასევე ბოლო ოთქმის ოცდაათი წლის განმავლობაში ყველა ფაქტობრივი ხელისუფლება, აუცილებლად

საჭიროებს განახლებასა და გადახალისებას, კავშირის ხელმძღვანელი სტრუქტურული რგოლების ხელმძღვანელთა გაახალგაზრდავებას, რათა კავშირმა შეძლოს თავისი მოღვაწეობის–პოლიტიკური ბრძოლის დროში გახანგრძლივება და წესდების თანახმად, მისი, დროის სივრცეში, მიზნებისა და ამოცანების შესრულებამდე, დროის გაზრდა და აქტივობების გარანტიების შექმნა. საკითხებთან – კავშირის ზოგიერთი სტრუქტურული რგოლის ხელმძღვანელთა არჩევასთან, სხდომის გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის სათანადო შეფასების საკითხთან არჩეულ წევრთა მხრიდან და მათ დასტურთან პასუხისმგებლობის სრულიად აღებასა და მისი შესრულების გარდაუვალობაზე, მიიღებულია უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება – კავშირის უხუცესთა საბჭოს ჩამოყალიბება. როგორც კავშირის მმართველი და ხელმძღვანელი სტრუქტურული რგოლების მაკონტროლებელ–მაკოორდინებელი საკონსულტაციო ორგანო, რომლის არჩევა–შედგენა, დაკომპლექტება–განახლება ხდება კავშირის პრეზიდიუმის მიერ. გარდამავალ პერიოდში, ყრილობამდე, წესად იქნა მიღებული, რომ პრეზიდიუმის გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს უხუცესთა საბჭოსთან (მის თავმჯდომარესთან – ნუკრი ბაღდავაძე, რომელიც წარმართავს საბჭოს მუშაობას). საბჭო სარგებლობს ვეტოს უფლებით და სავალდებულოა მისი რეკომენდაციები და შენიშვნები გათვალისწინებული იქნას პრეზიდიუმის გადაწყვეტილებების მიღებისას. უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ბატონი ნუკრი ბაღდავაძე.

კავშირის მმართველი თანამდებობების პოსტებზე საცდელი ვადით არჩეული წევრები შეთანხმდნენ მიღებული თანამდებობრივი პოსტების, ფუნქციების განაწილებაზე და იღებენ პასუხისმგებლობას კავშირისა და უხუცესთა საბჭოს წინაშე, რასაც სხდომის მიერ არჩეულ წევრებთან, სხდომის თავმჯდომარესთან და მდივანთან ერთად ადასტურებენ ოქმზე ხელის მოწერით. ამასთან, მიღებულ გადაწყვეტილებაზე მკაცრად განისაზღვრა არჩეულ წევრთა მხრიდან პასუხისმგებლობის სათანადო შეფასების საკითხი და მიიღო დასტური პასუხისმგებლობის სრულიად აღებასა და მისი შესრულების გარდაუვალობაზე.

ამავდროულად, აღსანიშნავია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” ერთობლივი, უმნიშვნელოვანესი მიმართვები, დადგენილებები და გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" ერთობლივი მიმართვა ქართველ ერს, საქარ–თველოს მოსახლეობას;

2. 2019 წელსვე შემუშავდა და დაიწერა საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური რეალიზმი და სამართლებრივი ტენდენციები, რომელიც თავდაპირველად გამოიცა მონოგრაფიის სახით (ავტორი ნუკრი ბაღდავაძე) და რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებისა” და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ახალ სამოქმედო გეგმასა და პოლიტიკური საქმიანობის მიმართულებებს;

3. მნიშვნელოვანია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ წერილი–მიმართვა გაერთია–ნებული ერების ორგანიზაციას, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს, საერთაშორისო თანამეგობრობის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ორგანიზაციებს გამოხმაურების, ოფიციალური მსვლელობის მხარდაჭერისა და სათანადო წარმართვისათვის;

4. საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოსა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ მიმართვა საქართველოს მამულიშვილებს, სადაც დასკვნის სახით ნათქვამია, რომ საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა, საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება მამულიშვილთა ნებითა და დასტურით მომავალი, მხოლოდ სამართლებრივი, ლეგიტიმური და საყოველთაო არჩევნებით, ეროვნული ხელისუფლების არჩევამდე, მზადაა კვლავ ჩაუდგეს სათავეში თავის მიერვე გამარჯვებით დაწყებულ, სამართლებრივად, ლეგიტიმურად და კანონიერად მიღებული კონსტიტუციურად გამართლებულ–გამყარებული საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე გარდამავალ–გარდამსახველი ეტაპის გამარჯვებით დასრულებისათვის;

5. უმნიშვნელოვანესია ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, ეროვნული იდეოლოგიისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიმართულების ახალი ვექტორით სვლა – საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებისა“და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ახალი სამოქმედო გეგმა და პოლიტიკური საქმიანობის მიმართულებები.

ამ წლებში ხდებოდა არასასიამოვნო შიგა მმართველობითი სუბიექტური პროცესებიც. ვინაიდან, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ და სახელმწიფო მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის, თავის დროზე პრემიერ მინისტრად დანიშნულმა პიროვნებამ, თავისი მცირე ურაპატრიოტულმა ჯგუფმა უგულველყო თავიანთი პიროვნული მოვალეობები ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არალეგიტიმურად შეაყოვნეს სახელმწიფოს მთავრობის მუშაობა, საქმიანობდნენ თავიანთი ამბიციური, ყოვლად უკანონო სუბიექტური გადაწყვეტილებებით, ყოფილმა მეთაურმა კი მხოლოდ თავისი თავი გამოაცხადა მუდმივ დანიშნულად, შეუცვლელად და ეცადა პიროვნულად უზურპირებულად გამოეცხადებინა თავისი თავი საქართველოს რესპუბლიკის ერთმმართველად, ემოქმედა მის მიერვე გამოგონილი ე. წ. რელიგიური მოძრაობის ლიდერად და მოძღვრად, არსებულ ვითარებაში, თავისი არაქმედითუნარიანობით შექმნა ფსიქოზური და დაძაბული გარემო, ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრივობის „გადასარჩენად“ თავის თავზე მოირგო და უარყო ლეგიტიმური კონსტიტუცია, ქვეყნის სამართალმემკვიდრეობის აღსადგენად მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შეიყვანა ჩიხში, პროცესი კი სტაგნაციამდე დაიყვანა. არადა, ლეგიტიმური კონსტიტუციის მიხედვით სავსებით აუცილებელი და გადაუდებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლის ხელახალი აღმავლობა, მისი ორგანიზაციების აღდგენა-აღორძინება რისთვისაც, უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმური მმართველობის აღდგენისა და სიტუაციის სასწრაფოდ გამოსწორებისა და სამართლებრივად გამართული ვექტორით სვლა, ანუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ეროვნული ხელისუფლების ლეგიტიმური და კონსტიტუციური ურთიერთდამოკიდებულების აღდგენა-აღორძინება.

კვლავ ხაზს ვუსვამთ, რომ ლეგიტიმურობის აღდგენა პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ზოგადად ქართველი ერის მიზნების განმახორციელებელი ხელისუფლების აღდგენას და არა ერთი პიროვნების მიერ ხელისუფლების უზურპაციას. მითუმეტეს, როცა მის მიერ ხდებოდა ყოველგვარი ეროვნულობის ანულირება. არადა, უდაოა, ლეგიტიმურობა და კანონიერება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სრულად ეროვნულობაზეა აგებული და არა შემონერგილ რაღაც ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალურ აბსტრაქტულობებზე.

სამართლებრივად ცალსახაა, რომ პირველადია სამართლებრივად კონსტიტუციური საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზაციები, ხოლო ეროვნული მოძრაობის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები – პარლამენტი იქნება ეს, თუ მთავრობა კი მეორეულია, დაქვემდებარებულია, ინსტრუმენტია და მეტი არაფერი და თუ ეს ასეა, მაშინ, ეროვნული ხელისუფლებისა და ზოგადად ჩვენი კანონიერებისა და ჩვენი სამართალ--სიმართლის აღდგენა შეუძლებელია მთლიანად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციების ხელახალი და მძლავრი აღმავლობისა და მომძლავრების გარეშე.

საქართველოში მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება შეიძლება იყოს კანონიერი, ლეგიტიმური და ვერავითარი ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალური ხელისუფლება ლეგიტიმური ვერ იქნება და ქართველი ერის ინტერესებს ვერ ემსახურება.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება. მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, ლოზუნგი, არამედ – სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება და რეალურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თანხმობის მიღწევა და გზა სამარლიანობისა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ.

ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი კოსტიტუციური და სამართლებრივ-პოლიტიკური საკანონმდებლო ბაზის თანახმად ზემოთხსენებულ ახსნა-განმარტებებს შეიძლება დაემატოს შემდეგი სახის საკონსტიტუციო მტკიცებულებები:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანიზაციები, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებები, სხვა ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს. ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს უკანონოდ შეწყვეტილი გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი. გარდამავალი პერიოდი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაში უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები. საქართველოში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს (კონსტ. მუხლი 2). ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა), რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ;

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით თანაბრად მონაწილეობენ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში და სახელმწიფო საქმეთა მართვაში. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანება, ასრულებს რა თავისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული საკანონმდებლო აქტებისა და თავისი წესდების შესაბამისად (კონსტ. მუხლი 6-7). პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანო მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს. მოქალაქეთა პიროვნების პატივისცემა, მათი უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის მოვალეობაა (კონსტ. მუხლი 55). უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებისაგან. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ვალდებულია იცავდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს (კონსტ. მუხლი 57);

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე). საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის *წინაშე)* მიერ უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი სრულად გადადგება (კონსტ. მუხლი 124). საქართველოს მინისტრთა კაბინეტი თავისი მუშაობის შესახებ წელიწადში ერთხელ მაინც აბარებს ანგარიშს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს *(დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას).* საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ინიციატივით (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, თუ მისი ცალკეული წევრისათვის უნდობლობის გამოცხადებას მხარი უნდა დაუჭიროს უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის ორმა მესამედმა მაინც;

საქართველოს რესპუბლიკის ყოველი თანამდებობის პირი შეიძლება ვადამდე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ იგი სათანადოდ ვერ ასრულებს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას (კონსტ. მუხლი 87);

საქართველოს სახელმწიფოს საქართველოს რესპუბლიკის მეთაურია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურად შეიძლება არჩეულ იქნეს დაბადებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ოცდათხუთმეტიდან სამოცდახუთ წლამდე ასაკისა (კონსტ. მუხლი 121).

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" საგანგებო ერთობლივ სხდომაზე (26. 05. 2020), რომელსაც ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სრული შემადგენლობა (ცხრა წევრი), გარდა პრემიერ მინისტრ ბესარიონ გუგუშვილისა (რომელმაც არც დიალოგზე ისურვა გამოსვლა, დააყენა ულტიმატუმი, რომ საქართველოს რესპულიკის მთავრობის

პოლიტიკური ვექტორია არა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიმართულება, არამედ მხოლოდ გაურკვეველი რელიგიური სწავლება და მმართველ პოლიტიკურ ძალასთან – „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებასთან“ მოსალაპარაკებლად და თავისი ინტერესების განსახორციელებლად დიალოგისათვის გამოგზავნა კავშირიდან გარიცხული პიროვნება, რომელმაც თავისთავად გარიცხვამდე მთავრობისა და კავშირის ერობლივ სხდომაზე თავადვე განაცხადა უარი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველ ვიცეპრემიერობაზე), ერთხმად დაადგინა:

საქართველოს რესპუბლიკის თანამდებობის პირის (პრემიერ მინისტრი) თავისი უშუალო ვალდებულებებისადმი გულგრილი, არასახელმწიფოებრივი და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრთა მიმართ ქედმაღლური, ცინიკური და მიუღებელი ფსიქიკური დამოკიდებულებების გამო, ასევე, ყოველივე ზემოთთქმული განმარტებებიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი ჩაითვალოს არაქმედითუნარიანად და სრულად გათავისუფლდეს პრემიერ მინისტრისა და აქედან გამომდინარე, ასევე, საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობებიდან და მოეხსნას ყოველგვარი უფლება-მოსილება-ვალდებულებები.

დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ყველა წევრი და ძალაშია დადგენილების მიღებისთანავე.

ამავე დროს, ლეგიტიმური კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ, ერთხმად არჩეული იქნა საქართველოს რესპუბლიკის ახალი თავმჯდომარე და საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლი და დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

უმნიშვნელოვანესია, რომ 2020 წლის 26 მაისის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" ერთობლივი დადგენილებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობისა და ცენტრალური მართვის კომიტეტი, რომელიც თავის თავში ასევე მოიცავს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საკონტროლო-საზედამხედველობითი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მართვის ფუნქციებს, რომელთა მოღვაწეობა განმტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობებით.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობისა და ცენტრალური მართვის კომიტეტი (თავმჯდომარე – ნუკრი ბაღდავაძე) შეიქმნა ათი წლის ვადით პოლიტიკისა და სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა (მოადგილეების) ჩათვლით სულ 5-7 წევრის ოდენობით;

რადგანაც ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსიფლმხედველობისა და იდეოლოგიის მატარებელი ძალა, არ არის მხოლოდ ადამიანთა გულანთებული, პატრიოტული ერთობა და ის გაერთიანებულია საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი პოლიტიკური მმართველი ძალის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის – „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ გარშემო, შეიქმნა აუცილებლობა, რომ ამ იდეის მატარებელ ლეგიტიმურ სახელისუფლებო ძალას გარდამავალი პერიოდის დროში, რომელიც დამოკიდებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის – „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ მოღვაწეობით, სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების სრულ აღდგენამდე მიეცა სრული პოლიტიკური იარაღის ტარების უფლება და იმოქმედოს როგორც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ასევე სახელმწიფოს უმაღლესი პირისა და მმართველი ორგანოს დირექტივებითა და დადგენილებებით. ეს პროცესი ვალდებულს ხდის თავის მხრივ ყველა ამ პოლიტიკური იარაღის მატარებელ პიროვნებას, გამოიყენოს იგი ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის სამსახურში და ამ იდეის მატარებელი კანონიერი მთავრობის ქვეყნის ფაქტიურ მმართველობაში დაბრუნებისათვის ბრძოლაში. ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, ეროვნული იდეოლოგიისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიმართულების ახალი ვექტორით სვლიდან გამომდინარე, დადგა აუცილებლობა ჩამოყალიბებული პოლიტიკური ფორმა მიეცეს ყოველივეს და ეროვნული იდეით შეკავშირებული ქართველი მამულიშვილები მოექცნენ პოლიტიკურ ჩარჩოებში,

შეისწავლონ მისი მართვისა და გამოყენების ფორმები და ერთგულად ემსახურონ ქართულ ეროვნულ საქმეს. ასეთი პოლიტიკური ფორმა დღესდღეისობით მოცემული რეალობიდან გამომდინარე არის ლეგიტიმური მთავრობის უსაფრთხოების საბჭო (ზედა პალატა) და პრეზიდიუმი (ქვედა პალატა). პირველი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იერარქიული და ე. წ. ორ პალატიანი – უსაფრთხოების საბჭო და პრეზიდიუმი – იმიტომ, რომ იდეის გარშემო გაერთიანებული პიროვნებათა რიცხვი არც თუ ისე დიდია, არცთუ მთლად ერთგვაროვანი, სამაგიეროდ იკვეთება მათი, მიზნებიდან გამომდინარე, ერთგულების მაღალი მაჩვენებლი და მათი იერარქიულ პოლიტიკურ ჩარჩოებში მოქცევა აუცილებელია, რაც პოლიტიკურად პასუხისმგებლობის უნარიანს გახდის მათ.

პრეზიდიუმი თავისი იურიდიულ-საკანონმდებლო არსით არის უფრო მრავალფუნქციული, გადაწყვეტილებისუნარიანი და მისი დამორჩილება სახელმწიფოს უმაღლეს პირზე და მთავრობის უმაღლეს ორგანოზე – უსაფრთხოების საბჭოზე (ზედა პალატაზე) ხდის მას ბრძოლისუნარიანს და ანიჭებს უფლებას მიიღოს ქვეყნისათვის საჭირო გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, რომელიც კანონიერების აღდგენის შემდეგ შეიძლება მოყვანილ იქნეს სისრულეში მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის უშიშროების საბჭო და პრეზიდიუმი უნდა იყოს ურყევი, გადაწყვეტილებისუნარიანი და ქართულ ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის მატარებელი. ეს ერთგვარად უნდა სცდებოდეს კიდეც მხოლოდ მთავრობის პრეზიდიუმის არსს და მისი წევრობა უნდა იგივდებოდეს სამუდამოდ თავის გადადებას ღვთისა და ერის სამსახურში.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ამ და სხვა მნიშვნელოვან მიზეზთა გამო, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა შეუწყვიტოს უფლება-მოსილება მინისტრთა კაბინეტის (მისი ჩამოყალიბებიდან დღემდე) ყველა წევრს გარდა საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი შემადგენლობისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების თანახმად ჩამოყალიბდეს მთავრობის ახალი შემადგენლობა. შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მმართველი პარტია – ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" წესდების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში და პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალ საქართველოში" ახალი წარმომადგენლობის არჩევამდე, უწყვეტს უფლება-მოსილებას ადრე წარდგენილ და თუნდაც ფორმალურად მომქმედ მთავრობის ყველა წევრს, გარდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დღეისათვის არსებულ წევრებისა.

ყოველივე აქედან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ლეგიტიმური მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ ერთობლივი დადგენილებითა და მასთან ფარდობაში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებულებით:

1. გაუქმდა დღემდე არსებული მინისტრთა კაბინეტის, უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრების უფლება-მოვალეობები, დიდი ხნით მთავრობაში გამოუცხადებლობისა და მათი არაქმედითუნარიანობიდან გამომდინარე გაყვანილ იქნენ ისინი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობიდან გარდა დღეისათვის დარჩენილი წევრებისა და მომავალში, ლეგიტიმური მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ წარდგენით სახელმწიფო მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებულითვე სახელობით შეიქმნა მთავრობის ახალი წარმომადგენლობა-შემადგენლობა;

2. თანამედროვე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ახალი, შერჩეული და ბრძანებით დადგენილი წარმომადგენლების მიერ შედგენილი მთავრობამ დაადასტურა და დაამტკიცა მთავრობის ახალ შემადგენლობა და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ მთავრობის წევრთა თანამემდობრივ-რანგობრივ-იერარქიულ ფორმულაცია. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის, მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეოლოგიაზე დაფუძვნებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ამ დღისათვის არსებულ საკანონმდებლო ბაზა და ამ ბაზაზე დაყრდნობილ სტრატეგიული დანიშნულების სამოქმედო გეგმა;

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის, მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ ახალ სტრუქტურულ რგოლი – საქართველოს რესპუბლიკის რანგობრივ და მობილურ უსაფრთხოების საბჭო (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ზედა პალატა);

დარჩენილ სხვა წევრებთან ერთად მთავრობის მთლიანი შემადგენლობა გადაყვანილ იქნა ასევე მობილურ საპრეზიდიუმო-ფუნქციონალური დანიშნულების ძირითად ტაქტიკური სამუშაო-სამოქმედო საკანონმდებლო-აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელ სტრუქტურულ სათაო რგოლად (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ქვედა (აღმასრულებელ პალატაში). ორივე პალატას, მთავრობის სრულ დაკომპლექტებამდე, უხელმძღვანელებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე;

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრებს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე) წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით – დადგენილებით სახელმწიფოებრივი სტატუსისათვის მიენიჭათ შესაბამისი თანამდებობრივი სამხედრო წოდებები (პიროვნულად დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს სხდომაზე);

4. სრულად ამოქმედებისათვის შესაბამისად მომზადდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების შესაბამისი კანონი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსის აღსრულების შესახებ;

საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციისათვის მიზნად დაისახა შემუშავდეს და მომზადდეს შემდეგი აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა და ღონისძიებები:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ განისაზღვროს და მომზადდეს სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის სამართლებრივ-იურიდიული-პოლიტიკური, ასევე სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციისა და სახელისუფლებო მმართველობითი სტატუსისა და ფორმების სამომავლო, თანდათანობითი, დროში გადაცემითი აუცილებელი მეთოდიკა და მექანიზმები;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავდეს და მომზადდეს სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციისათვის სამომავლოდ აუცილებელი, ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეოლოგიაზე დაფუძნებული, განახლებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ-იურიდიული საკანონმდებლო ბაზა და საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმი და საბოლოოდ უშიშროების საბჭო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დამტკიცებითა და ხელმოწერით;

5. სანამ არსებობს ხუნტის სამართალმემკვიდრე, არაკანონიერი ფაქტობრივი და მათ მიერ შეკოწიწებული უკანონო სამთავრობო ხელისუფლებები, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურული წარმომადგენლობისა და ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" დამფუძვნებელი და ძირითადი პოლიტიკურმა ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლობები კვლავ განაგრძობენ აქტიური ბრძოლას უკანონობისა და არალეგიტიმურობის წინააღმდეგ;

6. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრთა ნაწილი გადავიდა იატაკქვეშეთში, ხოლო ნაწილი მოქმედებს ღია, ლეგალური მეთოდებით. სასურველია, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, საჭიროებისამებრ, არამარტო საზღვარგარეთ მოღვაწეობისათვის, შეჰქმნას თანამედროვე, აქტიურად მომქმედი ,,ახალი ლევილის" ტიპის სამთავრობო, საემიგრაციო მოღვაწეობის ფუძე-სამყოფელი (სამყოფელნი), საიდანაც განახორციელებს თავის სავალდებულო საქმიანობას, ხოლო საქართველოში მისი წარმომადგენლობა იმოქმედებს ე. წ. ,,რეზიდენტული" წესით;

7. დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო ფონდის შექმნა-შემუშავება, თანხების სხვადასხვა წყაროების მოძიებისა და დიფერენცირების გზით მათი განსაზღვრა და ერთიანი სახელმწიფო-საფინანსო სისტემის შექმნა;

8. აუცილებელი გახდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ახალი ბეჭდის შექმნა და წევრთა პირადობის დამადასტურებელი პლასტიკური ბარათების დამზადება;

9. კვლავ აქტუალური გახდა მპგ ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" 1993 წლის მონაცემებით არსებული ორგანიზაციების აღდგენისათვის და ახალი ორგანიზაციების ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება;

10. დაიწყო ახალი იდეის – კმპგ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი კავკასიის“ შექმნისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება;

11. საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის – საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის ერთიანი ფრონტის ჩამოყალიბებისათვის განისაზღვრა აუცილებელი ღონისძიებები, დაიწყო ახალ ეროვნულ ძალთა მოძიება, ერთიანობის სათანადო საფუძველის მომზადება, მათი კონსოლიდაციისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავება-ხელშეწყობა და მთავრობის მიერ დადგენილი სამოქმედო გეგმით მუშაობისა და ახალი ბრძოლის დაწყება;

12. კვლავ გაგრძელდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სამოქმედო არეალის გაფართოებისათვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავება, საინფორმაციო ველის გაფართოება, მიმართვების, მემორანდუმებისა და დეკლარაციების მომზადება-გაგზავნის ღონისძიებების განსაზღვრა და საერთაშორისო მოლაპარაკებების დაწყება წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული გეგმის მიხედვით. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ განისაზღვრა და მომზადდა კანონ-პროექტი დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკაში მართლმადიდებლურ-ქრისტიანული, როგორც სახელმწიფო რელიგიის არსებობის აუცილებლობისა და გამოცხადების წესის შესახებ.

ასე და ამრიგად, ამ ძნელბედობის ჟამს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” კვლავაც მედგრად დგას და იბრძვის სანუკვარი, დასახული მიზნების მისაღწევად.

საქართველოს სახელმწიფო და მისი თითოეული მოქალაქე დღეს იმყოფება, ერთის მხრივ, ექსტრემისტების ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, მეორე მხრივ, ფსევდოდემოკრატია-მოჩვენებითი კეთილდღეობის სამყაროში და ეს ყველაფერი არსებული გაუსაძლისი რეალობის ფონზე იმდენად ამაზრზენია, რომ პიროვნება გადაჰყავს ან რეაქციულ ან ილუზორულ სამყაროში. ქართული საზოგადოებისათვის ორივე ვითარება დამღუპველია.

კვლავ მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, არამედ – სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს რეალურად ეროვნულ ძალთა გაერთიანება და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თანხმობა-შერიგების მიღწევა.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტებია:

1. სამართლებრივი და კანონიერი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-აღორძინებისათვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა;

2. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური უპირატესობანი, დამოუკიდებლად შესძლოს პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა და კავკასიის სტაბილურ რეგიონად გადაქცევა;

3. საზღვრების ურღვევობისა და ტერიტორიული პრინციპებიდან გამომდინარე სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობა, სახელმწიფოს საზღვრებისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პრობლემატური საკითხების ნორმატიული ბაზების შექმნა;

4. ისეთი ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელშიც გაცხადდება და განივთდება ქართველი ხალხის ნება. ერი ხომ ჩვენი პოლიტიკური ფილოსოფიის უმთავრესი ცნებაა;

5. საგარეო პოლიტიკა ჩამოყალიბებული უნდა იყოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. მთავარი ამოცანაა ისტორიული ფუნქციის აღდგენა კავკასიაში და ყოველმხრივ თანაბარუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობის განვითარება, მშვიდობიანი სახელმწიფო კურსი მსოფლიო ასპარეზზე, გეოსტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთაში საქართველოს ადგილის დამკვიდრების გაღრმავება, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;

6. სახელმწიფოს ეკონომიკის სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ეროვნულ-ტრადიციული ეკონომიკის თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე მოწყობას და დემოკრატიულ მმართველობას. აქედან გამომდინარე საკუთარი ეკონომიკით მსოფლიო ეკონომიკურ

ინტეგრაციაში თანამშრომლობის დამყარება. სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იყოს სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები და კომუნიკაციები, ბუნებრივი რესურსები, საჰაერო სივრცე, კონტინენტური შელფი და წიაღისეული;

7. სუვერენული სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ხელიუფლების უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობის მიღწევა, მათი შრომის უფლების რეალიზაცია, სიღარიბის დაძლევა, უნდა შემუშავდეს მთლიანად ქვეყნისა და ასევე რეგიონალური სოციალური პროგრამები, უნდა დამკვიდრდეს სოციალური სამართლიანობა და სოციალურად ორიენტირებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა;

8. საფინანსო სისტემა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის განმტკიცების ერთ-ერთ საფუძვლად უნდა გადაიქცეს. საფინანსო სტრატეგიული კონცეფციების რეალიზაცია უნდა ვაქციოთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად;

9. სახელმწიფოს თავდაცვის ბაზისის შექმნასა და აღორძინებაში უმნიშვნელოვანესია ეროვნული ღირსების იდეა, რომელიც ქვეყნის ძირითად მსოფლმხედველობის პრინციპს უნდა წარმოადგენდეს;

10. მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის, დაშვებულ შეცდომათა, როგორც სიტყვით, ასევე საქმით აღიარება-მონანიებისა და მიტევების გზით უნდა შეიქმნას პირობები, საფუძველი და გარანტი, ქართველთა ურთიერთდაპირისპირების თანხმობა-შერიგების გზით სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის, ოკუპაცია-ანექსიის შედეგების ლიკვიდაციისა და საქართველოს ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის. საჭიროა მკაფიო, თანამიმდევრული პოლიტიკური კურსისა და მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რაც, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოებრივი საფუძვლების დამცავ მექანიზმად ამოქმედდება;

11. სახელმწიფოს აუცილებელია ჰქონდეს შეფარდებითი სამართალი, რომლიდანაც გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ღირსების უზრუნველყოფის, თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიულ და სამართლებრივი სახელმწიფოებრივი მშენებლობის საძირკველს;

12. სახელმწიფოს შეფარდებით სამართალს საფუძვლად უნდა დაედოს სულიერ ღირებულებათა უპირატესობის აღიარება. ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობა, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება, საკუთარი იერ-სახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრეობა;

13. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იქცეს ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის სისხლხორცეულ საქმედ;

14. მთლიანად გადასახალისებელია საარჩევნო სისტემა და კანონი, რომელიც უნდა ემყარებოდეს ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბებისა და აღმშენებლობის პრინციპებს, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის საფუძვლებს;

15. უნდა განმტკიცდეს ქრისტიანული მართლმადიდებლური ქართული ტრადიციული რელიგია. ამავდროულად, ერისა და ქვეყნის სულიერი, ზნეობრივი ამაღლებისათვის აღიარებული უნდა იქნეს რწმენისა და სინდისის თავისუფლება.

16. მივიჩნევთ:

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნდა იყოს უნიტარული შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სქემით;

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო;

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული.

კავშირის დევიზია: „დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო და პიროვნების თავისუფლება”.

კავშირი 1976 წლიდან არის „საერთაშორისო ამნისტიციის” (ცენტრი–ლონდონში) წევრი, 1990 წლის 22 სექტემბრიდან არის „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშირისო ასოციაციის” (IGFM–ISHR, მაინის ფრანსკფურტი) ასოცირებული წევრი.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” მჭიდროდ თანამშრომლობდა და კვლავაც სურს გააფართოვოს ურთიერთობები აშშ–ს სამართალდამცავ ორგანიზაცია „ჰიუმან რაითს ვოთჩ ჰელსინკთან”, დიდი ბრიტანეთისა და ფინეთის ჰელსინკის ჯგუფებთან, ფინეთის პარლამენტის ე. წ. „საქართველოს ჯგუფთან”, პატიმართა უფლებების დამცავ ორგანიზაცია „საერთაშირისო ამნისტიასთან” (ინგლისი) და ა. შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” ეყრდნობა რა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ–სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის აუცილებლობის ძირითად პრინციპებს, კვლავ ხაზს უსვამს, რომ არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელი ერთადერთი გზაა ყველა ეროვნული ღირსების მქონე ჯანსაღ ძალთა გაერთიანება და საქართველოს ეროვნულ–სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის ბრძოლა. სახელმწიფო ხომ ერის პოლიტიკური და სულიერი დამკვიდრებაა. საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობაა ერთიანი ეროვნულ–სახელმწიფოებრივი პოლიტიკური კურსის შემუშავება, რომელიც შეცვლის ქვეყნის ბედს და მივაღწევთ იმ ბედნიერებას, რომელსაც დიდი ხანია ვიმსახურებთ.

10. *მართლაც, მეტად საინტერესო კრებულია თქვენის მეოხებით გაწეული მოღვაწეობისა, რომელმაც სისტემური და ფართო ასახვა ჰპოვა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მისი მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის – „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების", ერთიანობაში კი, საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ საქმიანობებსა და აქტივობებში, რომელთა ბევრი მიმართვები, მემორანდუმები, დეკლარაციები, ქარტიები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის მანიფესტი და სხვადასხვა საშინაო, თუ საერთაშორისო დოკუმენტები დღესაც კი არ კარგავენ აქტუალობას. თუ შეიძლება, მოგვიყევით უშუალოდ თქვენს მიერ შემუშავებული საქართველოში სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის ძირეული მექანიზმების შესახებ და მათთან მიმართებაში, ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მისი მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" მსოფლიო თანამეგობრობი–სადმი ბოლო ერთობლივი მიმართვის შესახებ.*

მართლაც, აღსანიშნავია საქართველოში სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის ძირეული მექანიზმების ამოქმედება, მასთან მიმართებაში კი, **ძალზედ მნიშვნელოვანი** დოკუმენტია „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მისი მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" მსოფლიო თანამეგობრობობისადმი ერთობლივი მიმართვა”.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდულობის ცენტრი უდავოდ სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა უნდა იყოს და ეროვნულ–სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში უნდა გავიაზროთ. ეროვნულ–პოლიტიკური თვითიდენტიფიკაციაში უნდა დავინახოთ ამ მოვლენის არსი და ნომენკლატურულმა ფაქტობრივმა რეჟიმმა სწორედ რომ ვერ უნდა გაუწიოს რეალური წინააღმდეგობა სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პროცესს, რამეთუ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება კომპლექსურ–ინდუქციური პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მართებული, ობიექტური იქნება და უნდა შეფასდეს შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთიან სისტემაში და არა მათგან იზოლირებულად, განყენებულად.

ცხადია, რომ ამას ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დონეზე გლობალურმა პროცესებმაც, რისი იურიდიულ ბაზა საჭიროებისამებრ უნდა შექმნას მსოფლიო თანამეგობრობამ, თუნდაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სპეციალური დეკლარაციით, რითაც ბოლო მოეღება ე. წ.

თალასოკრატიული სახელმწიფოების არსებობას. მათ ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურას მეტროპოლია-კოლონიის სუბორდინაციის სისტემაზე აგებული იურიდიული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

როგორც ვიცით, დღესაც არსებობს სამართალმემკვიდრე, კანონიერი ხელისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების ეროვნული ინსტიტუციები და კანონიერი სახელისუფლებო წარმომადგენლობა ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახით, დღესაც და იმედია უახლოეს მომავალშიც, რეალურად შესაძლებელია მისი, ერთიანი, კანონიერი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ბაზის კანონიერი, ფაქტობრივი ამოქმედება.

კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის ლეგალიზაცია და აღდგენა გარდამტეხ როლს შეასრულებს ქვეყანაში სამართლიანობისა და ამომრჩეველთა ღირსების აღდგენის, ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისითაც. ზოგადად, ლეგიტიმურობა კანონიერებას, სამართლებრივი საფუძვლების არსებობას ნიშნავს, ეს ცნობილია. ცნობილია ასევე, დევნილი ხელისუფლების – მთავრობის საკუთრივ სამშობლოში, თუ სხვა ქვეყანაში დევნილობაში მოქმედება, სამართლებრივი, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მისი პრეცედენტულობა.

დღეს, საქართველო, კვლავ, ქვეყნის, არაკანონიერ ხელისუფალთა შეცვლა-ჩანაცვლების არასამართლებრივი, არალეგიტიმური, მორიგი სახელმწიფო გადატრიალებებსა და ვითომ სახალხო ჯანყი-ბრძოლებში დაღვრილ სისხლიან გზაზე დგას და შემოთავაზებული, მოჩვენებითი, ვითომ სამართლებრივ-კანონიერ ჩარჩოებში მოქცეული ეგრეთწოდებული „დემოკრატიული არჩევნებში" მონაწილეობის მორიგი სპექტაკლები თავიანთი ფიქტიური არჩევითა და ქართველთა სისხლის ხელახალი დაღვრის პერსპექტივით ცოდვების დამძიმება დაუშვებელი, შეუძლებელი და გამორიცხულია ...

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამართლებრივი და კონსტიტუციური სტატუსითა და ეგიდით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებას" ქვეყნისთვის კატასტროფის აცილებისა და ნაკლებად სარისკო უალტერნატივო გზაა – სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა მისი თანამედროვე დროში გასათვალისწინებელი ყველა სამართლებრივი ნიშნით, მცირე გარდამავალი პერიოდის გამოცხადება, სამართლებრივი, ლეგიტიმური, კანონიერი, საყოველთაო არჩევნების დანიშვნა-ჩატარება და მომავალი ხელისუფლების სამართლიანი, ლეგიტიმური გზით არჩევა, „ამისტებად და იმისტებად" დაყოფილი საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება და რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, ეს გზა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება. ეს ყოველივე საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სამართლებრივად სწორ გზაზე დააყენების ერთადერთი მექანიზმია. ამ გზის დაუსაბუთებელი უარყოფა კი, მხოლოდ კვლავ კონფრონტაციის, ქვეყნის გათიშულობის, ტერიტორიული მთლიანობის არაკეთილმოსურნე და საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილების ძალებსღა აწყობს. საჭიროა, კანონიერი და ფიქტიურ-ფაქტობრივი ხელისუფლების თანხმობის შემთხვევაში, ან საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის, მშვიდობიანი პოლიტიკური ზეწოლით, ფაქტობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოხდეს, სახელმწიფო გადატრიალების დღიდან დღემდე პერიოდი გამოცხადდეს უკანონოდ, კანონიერი ხელისუფლების მიერ უნდა დაინიშნოს მრავალპარტიული, დემოკრატიული, დამოუკიდებელი ცენტრალური საარჩევნო კომისია, შეთანხმებული საარჩევნო კანონის მიხედვით. ყოველივე ეს სასურველია გაკეთდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სახელმწიფოებისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების კეთილი ნებისა და თანხმობის პირობებში.

აქედან, ნათლად სჩანს, რომ აუცილებელია, მოხდეს სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა და შემდგომ ქვეყანამ უნდა საყოველთაოდ აირჩიოს ახალი ლეგიტიმური ხელისუფლება. თავიდანვე, სწორედაც, კანონიერმა ხელისუფლებამ – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უნდა დანიშნოს და არაპოლიტიკური, დამოუკიდებელი შეურყვნელი, სუფთა რეპუტაციის მქონე პიროვნებებით დაკომპლექტებულმა დემოკრატიულმა,

მრავალპარტიულმა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა ჩაატაროს არჩევნები. მხოლოდ ამ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი, კანონიერი, ლეგიტიმური, ასევე უფლებამოსილი და ვალდებულიც, რომ იხელმძღვანელებს ლეგიტიმური, სამართლებრივი ბაზით.

ამრიგად, ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ–კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს აღორძინება და აღმშენებლობა.

თავისუფლება უფლებებისა და მოვალეობების გონივრული გაწონასწორებაა და ერიც და პიროვნებაც, ასევე მათ შორის ურთიერთობა, ამის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს. რამეთუ, დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთი და იგივე არ არის. დამოუკიდებლობა მხოლოდ პირველი ნაბიჯია თავისუფლებისაკენ, მას საქართველომ ჯერ კიდევ ეროვნული ხელისუფლების – 1990–1991 წლების დროს მიაღწია, მაგრამ შემდეგ ჩვენმა ერმა, სახელმწიფომ – ფაქტობრივი, უკანონო ხელისუფლებების სახით, სამწუხაროდ, გეზი არ აიღო თავისუფლებისაკენ. დამოუკიდებლობა უძნელესი პროცესია. ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ცნობილია ტერმინი – შიში დამოუკიდებლობისადმი. 1991–1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან მოყოლებულ ფაქტობრივ ხელისუფალთ სწორედ ეს შიში სჭირდა და სჭირს ... ამით კი, თანდათან გვაცილებს თავისუფლებას. ამით კი, დღეს საფრთხე ჩვენს თავისუფლებასთან ერთად ემუქრება დამოუკიდებლობასაც, რომელიც თავისუფლების გარეშე დიდი ვერაფერი ღირებულებაა. დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის არსებული დიდი განსხვავების არცოდნამ მიიყვანა ხელისუფლება აქამდე.

დიახაც, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებას" მიაჩნია და აქვს ქვეყნისა და კავკასიის რეგიონის კონკრეტული სამართლებრივი გზა, რომელსაც ფოსტულატებად, შემდგომი განხილვისათვის, წარმოგიდგენთ:

1. უპირველესად, აუცილებელია სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი წყვეტის აღმოფხვრა და მომავალი ლეგიტიმირებული, სამართლებრივი, საყოველთაო არჩევნების დანიშვნა–ჩატარება, რამეთუ სწორედ ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებასა და გამარჯვებას აქვს აზრი. მხოლოდ მას შემდეგაა რეალური და უცილობელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ემიგრანტთა, ლტოლვილთა და დევნილთა მშობლიურ კერაზე დასაბრუნებლად ხელსაყრელი პირობების შექმნა. ჩვენი მიზანი არ არის თანამდებობის დაბრუნება, არამედ ჩვენს ქვეყანაში კანონიერებისა და სამართლიანობის, კანონიერი ხელისუფლების აღდგენაა. მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. ამ გზით საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შესძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ–დიპლომატიური აქტიურობა;

2. კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ ევროპა და აზია ერთი კონტინენტის – ევრაზიის ნაწილებია, მაგრამ ისინი დამოუკიდებელ კონტინენტებად განიხილებიან, რადგან ევროპისა და აზიის მოსახლეობა, მათი ისტორია მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ევროპის კავშირი, როგორც ცნობილია, აგებულია ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობების მთელი ერთობლიობის, უმეტესად ეკონომიკურ–მიზნობრივ საფუძველზე.

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ–კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

ასე და ამგვარად იბერიულ-კავკასიურ ერებს აქვთ საკუთარი ენა და დამწერლობა, განსხვავებული ისტორია და სახლობენ მკვეთრად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, რაც დამატებით საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ კავკასია პოლიტიკურად და გეოგრაფიულადაც კონტინენტია.

კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის, შიგა მოწესრიგების პრინციპი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ, მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს, რაც საქართველოს იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და ასევე შავი ზღვის ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივემხრივ უნდა წარიმართოს.

კიდევ ერთხელ ვამახვილებ ყურადღებას იმაზე, რომ უნდა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და უნდა მომზადდეს საფუძველი, რათა ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონი და ერთობა – კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა;

3. ამასთან, უკვე ახალ საუკუნეში, მსოფლიო ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაეყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (დანიშნულებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე, მისი უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების დაუბლოკავად, გამარტივებულად მიღებისა და ამ გადაწყვეტილებების დროულად შესრულების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს) თვისობრივად ახალ ინსტიტუტს – ახალ მსოფლიოს ერთა ანსამბლეას, რომლის უზენაესი მიზანი ასევე იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიოს ერთა კულტურათა და სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ამდაგვარ ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც, ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც რომელიმე ავზრახვიან ქვეყანას საშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს. საშუროა, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა, ერთა კულტურათა, უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვისა და უზრუნველყოფის „მსოფლიო ერთა ანსამბლეა", რამდენადაც საქართველოს, როგორც „კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს ეზიაროს ჭეშმარიტად საღვრთო საქმეს და განხორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი. იგი უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანულ და მუსულმანურ სამყაროს შორის, რაც მისი ოდინდელი ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება.

მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები მათი უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში. უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი პოლიტიკური წყობა, რომლის დროსაც დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ერთა ხელისუფლებათა საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებულია თვითოეული ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში.

მოწინვე ქვეყნები უნდა ადასტურებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემისა და მათი ეფექტური განხორციელების საყოველთაო მნიშვნელობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის. მათ უნდა შეახსენონ ურთიერთს აგრეთვე იმის

მნიშვნელობა, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით. მართალია ისტორიულ ეტაპებზე ხდება ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ მისი მუდმივობის ცვალებადობა ფაქტობრივად არ ხდება, რამეთუ ცვალებადობას მხოლოდ სუბიექტივიზმი განსაზღვრავს მნიშვნელოვნად. ასე, რომ იდეალიზმთან მიახლოებული რეალობა ობიექტურ, თეორიულ და ემპირიულ განსაზღვრებაში შეიძლება ისტორიულად განსაზღვრულ მუდმივად მივიჩნიოთ. მორალური პრინციპების განხორციელება კი შესაძლებელია არა მხოლოდ სახელმწიფოში და თავად ერში, არამედ საყოველთაოდ და ყველგან;

4. ამასთან, აუცილებელია დადგეს 1975 წლის ჰელსინკის საერთაშორისო ხელშეკრულების დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი. ამ საკითხის მოგვარება ხელს შეუწყობს ასევე ჩვენდამაგვარ ქვეყნებში რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა–თავისუფლების დამკვიდრებისა და ამ გზით მათი ეროვნულ–სახელმწიფოებრივი თვითმყოფათობის განვითარების უზრუნველყოფას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" მიერ უნდა დაისვას საკითხები:

ა) 1975 წლის ჰელსინკის დ დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი, მსოფლიოს ხალხებისა და ერების თვითმყოფადი განვითარების უზრუნველყოფის, ანუ ჰელსინკის საერთაშორისო დეკლარაციაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობების ვექტორით მოცემული გარანტიების აღსრულების საქმეში;

ბ) საკითხი, საქართველოს, როგორც კავკასიის პოლიტიკური რეგიონის, ცენტრისა და ევრაზიური გზაჯვარედინი ქვეყნის საერთაშორისო მისიის შექმნისას და ამასთან მისი ორგანიზაციული დაფუძნებისას, საკუთარი წვლილის გაღებისათვის პლანეტარული სამშვიდობო ცხოვრების უზრუნველყოფის საქმეში.

ამრიგად, ეს საკითხები სიღრმისეულად უნდა იყვნენ დაკავშირებულნი მსოფლიოს ახალ მსოფლმხედველობასთან, მის პრინციპებთან, რაც, დღეს, უმწვავესი საჭიროებით, ჰაერივით სჭირდება დღევანდელ მსოფლიო საზოგადოებრიობას, თავად მსოფლიოს ხალხებსა და კაცობრიობის მომავალს. მთავარი მიზანია დავანახოთ და გავაცნოთ საქართველოსა და მთელ მსოფლიოს ახალი ხედვა კავკასიისა და ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ–სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა–განმტკიცებისა და მისი სამართლებრივი და კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძვნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას.

საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა ერთობის ამოცანა ყველა სფეროშიუნდა იყოს ჩვენი ერისა და მსოფლიოს ახალი რეგიონის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერთა თვითმყოფადობის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება–განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისა და სრულიად კავკასიისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. სწორედ, ამ ფუძემდებლურ პრინციპებს აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. საქართველომ პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე.

11. დღეს აქტუალური გახდა დავით გარეჯის თემა, როცა მასთან დაკავშირებული აზრთა და მათი დამამტკიცებელ წყაროთა ბუნდოვანი სხვადასხვაობა ჭარბობს. ისმის კითხვა: რომელი სახელმწიფოებრივი, თუ საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტებით შეგვიძლია დავამტკიცოთ და განვამტკიცოდ, რომ გარეჯის მონასტრის კომპლექსი საქართველოა?

საოცარი ხალხი ვართ ქართველები. მსოფლიო გადანაწილების პროცესებში ღრმად ვეფლობით, ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიას კი ზერელედ ვუყურებთ. თანაც ყოველთვის ნაჩუქარს ველოდებით და „პრო“-ობა გვირჩევნია, საკუთარი გარჯით მიღწეულ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. მერე კი, უბრძოლველად მოპოვებულს უნიათოდ ვანიავებთ და ახალ „პრო“-ბ-ს ვირგებთ.

აბა, გავიხსენოთ, საუკუნის წინ, თავდაპირველად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ორიენტაცია იყო პრო-გერმანული, ხოლო პირველ მსოფლიო ომში, გერმანიის იმპერიის დამარცხების შემდეგ, პრო-ბრიტანული.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა თითქმის ხუთი საუკუნის მონობის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციის დაშლის შედეგად.

მე-15 საუკუნის შემდეგ ეს იყო პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო. ნაჩუქარი დამოუკიდებლობა სამ წელიწადში ჩვენივე უნიათობით დავკარგეთ და საბჭოური იმპერიის კლანჭებში ავღმოჩნდით, როგორც ყოველთვის, მაშინაც ისტორიულად ტკბილად შევეგუეთ ყოველივეს და თბილი „ძილ-ბურანის ნეტარების“ ქურქში გავეხვიეთ.

მანამდე კი, დაახლოებით 103 წლის წინ, კიდევ გვქონდა შანსი სახელმწიფოდ შევმდგარიყავით, მაგრამ ვაი, რომ ისევ ჩვენი უნიათობითა და ამის გამო ჩვენდამი დასავლეთის პოზიციათა არამდგრადობის გამო ჩვენს მიმართ, ყველაფერი წყალში გადაიყარა.

1919 წლის 14 მარტს, საქართველოს პირველი არჩეული პარლამენტის თავჯდომარის ნიკოლოზ ჩხეიძის ხელმოწერით მოკავშირეთა ანტანტის უმაღლეს საბჭოს გადაეცა ყველაზე მაღალი დონის სტრატეგიული დოკუმენტი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემორანდუმი, რომელიც მოითხოვდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებას და მის ცნობას იმ პერიოდის საზღვრებში. ეს დოკუმენტი წარმოდგენილ რუქასთან ერთად უნიკალური იყო არამარტო იმ დროისათვის. მართალია იგი ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ დღესაც აქტუალურია თავისი მნიშვნელობით. სამწუხაროდ, ჩვენი „ურაპატრიოტული“ დამოკიდებულების გამო, მასობრივ და სოციალურ მედია საშუალებებში, წარმოიდგინეთ მუზეუმებშიც, ეს რუქა გავრცელდა სათაურით ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთა ლიგის მიერ აღიარებულ საზღვრებში", რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. მიუხედავად ერთა ლიგის მიერ ამ დოკუმენტის არაღიარებისა, ამ დოკუმენტს უდიდეს სტრატეგიული, იურიდიული და ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და როგორც სჩანს, აქვს დღესაც. ამ დოკუმენტს გააჩნდა და დღესაც გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა არამხოლოდ საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ ქვეყნის შიგნითაც. სწორედ მის გარშემო შედგა კონსენსუსი და ქვეყნის მთელი პოლიტიკური ელიტა გააერთიანა. საქართველოს ფაქტობრივად ამხელა ტერიტორია არასდროს ჰქონია და ძლიერ დასანანია, რომ ჩვენთან ერთად დასავლეთმაც ეს ვერ გამოიყენა. სკეპტიკურად განწყობილი და კომუნისტური იდეებით დაბრმავებული ხალხი, შურით დაგესლილი დასავლეთი და მოგვიანებით ზოგიერთი მეცნიერიც ამ რუქას ,,ქართულ იმპერიალიზმს" უწოდებდა.

დარჩა მხოლოდ ისტორიული მეხსიერება, რომელიც ქართველებს აერთიანებდა, ჩვენთვის ეს იყო უმნიშვნელოვანესი, გარე სამყაროსთვის კი, გადამწყვეტი არგუმენტი არ ყოფილა და როგორც ბევრჯერ ყოფილა შეგვატოვეს მხეცის ხახაში. 1921 წლის თებერვლის მდგომარეობით, ჩამონათვალთაგან ტერიტორიებზე, საქართველო უკვე პრეტენზიას აღარ და ვეღარ აცხადებდა. სოჭზე, ოლთისზე, ლაზეთზე, სადავო იყო ლორე და ზაქათალა, გაგრასათვის, ახალქალაქის, არტაანისა და ამ ტერიტორიების დაცვისათვის ქვეყანამ უზომოდ ბევრი იბრძოლა.1921-23 წლებში, საბჭოთა რუსეთმა თურქეთს დაუთმო ჩვენი ართვინი და არტაანი, სადავო ზაქათალა და ლორე აზერბაიჯანელი და სომხური გახადა ...

აი, ასეთი იყო ამ მოკლე პერიოდში ქართული საზღვრების ისტორია ...

როგორც ცნობილი მკვლევარნი განმარტავენ, დე-ფაქტო აღიარება ქვეყნის ცნობის პირველი ნაბიჯია, ფაქტის ცნობა, რომ რაღაც სუბიექტი ნამდვილად არსებობს სახელმწიფოს ფორმით. დე-იურე კი სრულფასოვანი საერთაშორისო აღიარება და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას გულისხმობს.

აი, რა გვქონდა, რა დიდებული სტრატეგიული მნიშვნელობის იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი გვეპყრა ხელთ და ტერიტორიებთან ერთად როგორ დავკარგეთ დამოუკიდებლობაც.

თითქმის იგივე მიზეზთაგან, ანალოგიურად განმეორდა 1990–1991 წლების უკვე საქართველოს რესპუბლიკის ისტორია ...

მაგრამ დარჩა ქართული სახელმწიფოს ისტორიული, სამართლებრივი სახის დოკუმენტების წყება, რომლებიც დღესაც ძალაშია და ქართველთა ხელთაგან ელიან მის ამოქმედებას ...

ვინაიდან გასული საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა კანონიერი გზით არ გაუქმებულა, საქართველოს კანონიერ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, არ არსებობდა საქართველოს სსრკ-ს შემადგენლობაში შეყვანის სამართლებრივი საფუძველი.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ, ძალადობრივად, ანექსია–ოკუპაციის გზით ფაქტობრივად დავკარგეთ დამოუკიდებლობაცა და თავისუფლებაც.

საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი დოკუმენტების, იურიდიულად დღესაც ძალაში მქონე მთელი რიგი სამართლებრივი და საკანონმდებლო ბაზის არსებობა, უფლის შეწევნით, ერთ დღესაც მისცემს საშუალებას ქართულ სახელმწიფოს დაიბრუნოს ძალითა და უკანონოდ წართმეული ძველი დიდება და მხოლოდ სამართალმემკვიდრეობის აღდგენით გაბრწყინდება და გასხივოსნდება ქართული სახელმწიფოებრივობა.

უდაოა, რომ დღესაც, უცილებლად უნდა ვაცნობიერებდეთ პასუხისმგებლობას ქართველი ერის წინაშე, ვალდებულნი ვართ ვეყრდნობოდეთ რა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით განცხადებულ პრინციპებს, კანონიერი, ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია (1990–1991 წლების შესწორებითა და დამატებებით) და მისი ქვემდებარე სახელმწიფო კანონმდებლობები იყო და კვლავაც რჩება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, აღდგენა–აღორძინებისა და განვითარების უზრუნველყოფის გარანტი.

რაც შეეხება, ლოკალურად დავით გარეჯის კომპლექსთან და მსგავსად სახელმწიფოს ტერიტორიების დავებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ ისეთი უნიკალური სახელმწიფო მნიშვნელობის არგუმენტები და დოკუმენტაციები, როგორიცაა 1919 წლის 14 მარტის ყველაზე მაღალი დონის სტრატეგიული დოკუმენტი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემორანდუმი და მასთან არსებული რუქები. არც 1938 წლების ნამდვილი რუქების არსებობა უშლის ხელს ტერიტორიის საჩვენოდ გადაჭრის საქმეს, მაგრამ თუ გამოვალთ იმ სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული ფაქტებიდან გამომდინარე, რომ როგორც 1921 წლისა და 1991–1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან, კოლონიზატორი ქვეყნის აგრესიის, ოკუპაცია–ანექსიიდან გამომდინარე, როცა 1921–1990 წლები თავადვე საქართველოს კომუნისტური უზენაესი საბჭოს მიერ იქნა გამოცხადებული უკანონო პერიოდად და შემდგომ 1992 წლიდან დღემდე პერიოდი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ ასევე შეფასდა როგორც უკანონო, უკანონო პერიოდების ამოგდებით კი ძალაშია სწორედ საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის სტრატეგიული დოკუმენტი, რაც სადაოდ არ ხდის სამართლებრივად და იურიდიული ძალის მქონედ საქართველოს რესპუბლიკის ნამდვილი და კანონიერი ტერიტორიების არსებობას.

დიახაც, ლეგიტიმური სახელმწიფოებრივი აქტებით უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რაც ასევე, ქვეყნის ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ მოწყობასა და მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებისა შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობებს დაარეგულირებს.

სახელმწიფოს შიდა კანონები ამდაგვარად სწყვეტენ ამ ტერიტორიული მოწყობის საკითხს და მას უნდა დაერთოს საერთაშორისო თანამეგობრობის აზრიცა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც.

ამრიგად, რათქმაუნდა დავით გარეჯის კომპლექსის ტერიტორია საქართველოს იურისდიქციის ქვეშაა და მასთან ერთად როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ ლტოლვას თავდაუზოგავი ბრძოლა სჭირდება.

12. *ბატონო ნუკრი, ჩვენ, კავშირის წევრები აღფროვანებულები ვართ თქვენი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, გამოცდილებით. დღიდან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებისა და კავშირის დაარსებიდან თქვენ ყოველთვის უმნიშვნელოვანესი, განსაკუთრებული როლი გეკავათ და გიკავიათ დღესაც, ყოველთვის მაღლა, შემართულად გეჭირათ ქვეყნის სამფეროვანი და მასთან კავშირის დროშები, როგორც სიმბოლო სამართლებრივი ბრძოლისა. დღესაც, ამ ინტერვიუს სახით თქვენ თითქოს გააკეთეთ მთელი მოღვაწეობის სრული შეფასება და მოძღვრების სახით დაგვიტოვეთ სრული კრებული კაცთცხოვრებისა, ქართული იდეისა, მექანიზმები მისი აღსრულებისა, უაღრესად დიდი ცოდნა პირადი და პოლიტიკური გამოცდილებისა. კიდევ რას გვეტყოდით დამატებით?*

საქართველო პატარა ქვეყანაა, თბილისი – პატარა ქალაქი, თუმცა დიდი ქალაქებისა და ქვეყნების დარად ცხოვრებისეული რადიკალიზმი ჩვენთანაც კარგად სჩანს.

დიახაც, კატეგორიული ლოზუნგი, რომელიც სრულებითაც არაა მოძველებული და სანაგვეზე გადაგდებული: ,,ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია", დღესაც, სამწუხაროდ, ადამიანების ურთიერთობის მთავარი ბრენდია. კვლავ ,,ბრწყინავს" არანაკლები ლოზუნგიც: ,,ყველა მინუს ერთი!", სადაც ერთი X-ის ტოლფასია და შეიძლება ყველასაგან, ნებისმიერი თითოეულის დარად მერკანტილურად ჩასმა, რამეთუ, მართლაც, ყველა მხარე წინასწარაა დარწმუნებული, რომ მხოლოდ მისი აზრია აბსოლუტური ჭეშმარიტება.

არ მახსოვს საშობაო ისტორიებს როგორ წერდნენ ადრე, მაგრამ მეც ანდერსენის ზღაპრების ეპოქა მაქვს გამოვლილი და ბევრი განსხვავებული საღამოებითაც ,,დავმტკბარვარ", რომლებიც დღეს, შესაძლოა, ოცნებადღა შემორჩა ჩვენს სიზმრებს. ჩვენთან, ყველაფერი ორია: ორ-ორი საეკლესიო, თუ სამოქალაქო დღესასწაულები, ორი ენა – სასაუბრო და ,,გამოსაჩენი", ორ-ორი წარწერები, ხან აქეთური, ხან იქეთური, ლამის გულიც კი გაორგულებული, კონტრასტულია და არც არავის უკვირს უკვე ეს ყოველივე. არავის უკვირს ორ ფერში დახატული ჩვენი აწმყოცა და მომავალიც.

ოდესღაც, სადღაც, დაკარგული გვაქვს ცისარტყლისფერი

და რაღა დაგვარჩა?! თეთრი და შავი?! სხვა არაფერი?!

ამ, კრებულშიც, როგორც თავად ბრძანეთ, ნათლადაა წარმოდგენილი ის ორი სამყაროც, რომლის წაკითხვისას ჩვენ ჩვენს თავშივე უნდა გავცეთ პასუხი დასმულ ორმნიშვნელოვან შეკითხვას და ჩვენვე უნდა გავაფერადოთ შავ-თეთრი ჩვენი ცხოვრებაც. ამაშია მთელი სილამაზეც, არსიც და სიძლიერეც ცხოვრებისა . . .

მე ასე ვკითხულობ, მე ასე ვფიქრობ, მე ასე მინდა . . . თორემ . . .

,,... და კვლავ იწყება ახალი წელი...

და ისე, როგორც ძველი, თავდება,

დღე მომავალი, დღე ხვალინდელი

გუშინდელ დღისგან არ განსხვავდება?!“

დიახ, უნდა ვისწავლოთ გუშინდელი დღისაგან, ვიცხოვროთ აწმყოთი და ყოველთვის უნდა გვქონდეს მომავლის იმედი!

მინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ, რომ მომეცით საშუალება ამ კრებულის სახით შემეგროვებინა ჩემი ცხოვრებისეული და პოლიტიკური იდეები, განცდები და მართლაც თაიგულად მომერთმია თქვენთვის, მეგობრებისათვის, ახლობლებისათვის და ყველა იმ ადამიანისათვის, რომელიც ჩემსავით ეძებს სუფთა წყაროს წყურვილის მოსაკლავად!

მთვარია რწმენა გვქონდეს ჩვენი მიზნებისა, დაუზარებლად მოვინდომოთ და წყალწაღებულიც კი, მშრალი ფუნჯებით დავხატავთ ლამაზი ცხოვრების ნახატს . . .

თუ ვიბრძოლებთ, თავს არ დავზოგავთ, ისე მოქნილები გავხდებით, რომ ნემსის ყუნწშიც კი თავისუფლად გავალთ და ცნობიერებას რეალობად გადავაქციეთ, მიზნის მიღწევა საკუთარ თავთან სასიამოვნო შეხვედრას დაემსგავსება . . .

უფლის იმედად ყოფნა აუცილებელია, მაგრამ არც ჩვენ უნდა ჩამოვუშვათ ხელები.

საქართველოს სულიერი მისიის განსახორციელებლად თუ გვერდით დაგვიდგებიან, ხომ კარგი, თუ არადა ხელს მაინც ნუ შეგვიშლიან. მიზნის მისაღწევ ბრძოლაში სიცოცხლემისჯილი

გევედრებით . . . ღვთის გულისათვის იმედებს მაინც ნუ გაგვიფანტავთ! ... რამეთუ, ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობით ისტორიულ-სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი იდეის გარშემო თანხმობისა და შერიგების გზით ერის გამთლიანება ძნელია, მაგრამ აუცილებელი და შესაძლებელი . . .

ადამიანები არ ვიზომებით, ადამიანები ვფასდებით, ვფასდებით ჩვენი მოღვაწეობის მიხედვით ...

ამასთან, ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება, ეს ბრძოლის მოგებაა, ხოლო თავისუფლების კი – ომის.

მაშინ, როცა უნდა ავიღოთ ფორმულა: მე მიყვარს სამშობლო და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობა ჩემს თავში და არა პირიქით, კვლავ დეპოში ვართ და მხოლოდ მარტივი დონის ტიპიური „პოსტებითა“ და „ლაიქებით“ ვკმაყოფილდებით!

არადა, თუ ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნება არ დაეფუძვნა ღვთის ჭეშმარიტ რწმენას, ჰუმანისტური აზროვნების მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების შეუვალ სურვილს, ზნეობრივ ფასეულობათა ერთგულებას, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრიორიტეტს, ვეჭვობთ მივაღწიოთ ერის დარღვეული შინაგანი წონასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, კანონიერებისა და მართლწესრიგის დამყარებას, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას და ეკონომიკის აღმავლობას!

ღვთის წინაშე ადამიანის ცხოვრების სატარებელი ტვირთი კუჭის დონეზე და ცხენისძალებით როდი იზომება! მისი საზომი ერთეული ჩვენი განვლილი კაცური ცხოვრების წლებისძალებია მხოლოდ!

. . . მართლაც მარადიულ კითხვებად იქცა: ,,სად არის ჭეშმარიტი რეალობა, სად ვარსებობთ ჩვენ სინამდვილეში, სადაც ნაოცნებარ სურათ-ხატებს ვხედავთ სიზმარ-ოცნებაში, თუ რეალურ ცხოვრებაში – დიადი მიზნების ბრძოლის ველზე?“

და ეს მარტო პირადი ტრაგედია როდია, ის ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა უპირველეს ყოვლისა!

ჰოდა, უხარია შინაურ და გარეულ მტერსაც ჩვენი ტრაგედია, კომიკურად ქირქილებს

... თითქოს ამით მარტო „ჩვენი საქართველო“ „დასველდა“! სხვაგვარად ვერც ვუპასუხებ: „უფალო ღმერთო, მიუტევე მათ, რამეთუ არ იციან, რას სჩადიან!“.

ხოლო ჩვენ, რომელთაც, კალდერონის მსგავსად, რაც მართლაც უცნაური დამთხვევაა, კვლავ სიზმარში გვგონია თავი, ყველაფერს უფლის რისხვად შევრაცხავთ ხოლმე და ამავდროულად, უფალსვე შევსთხოვთ დახმარებას!

არადა, ყველა ტრაგედიას თავისი კათარზისი ახლავს, თუ, რა თქმა უნდა, ამისი სულიერი მზაობა იქნა. იმედი ვიქონიოთ, იმედი უფლის შეწევნით ჩვენივე თავისა. ისე, ესეც სრულიად მართებული ნაუბარია, რომ ჩვენივე აშენებულ, თუნდაც სიყვარულის წარმოსახვით კერიაში, ცეცხლი მრავალჟამიერ უნდა ენთოს და ძალუმადაც გვათბობდეს.

გამოიდარებსო გვეუბნება იმედი, პროგნოზითაც ასეაო, გვეუბნება რწმენა! ქარ-ბუქ-წვიმებისაგან, ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან შეიძლება კიდეც გვეშველოს რამე, მაგრამ საერთოდ, ძალზე რთულია ასეთ ძილ-ბურან-გამყინვარებაში, თითქოს წინასწარ განწირულ-გაწერილ ხანაში ცხოვრება-მოღვაწეობა.

„ჩვენს ყოფასა და საზოგადოებაში, ყველა დარწმუნებულია, რომ შველა ჩვენ ერთ მშვენიერს დილას ჩამოგვიფრინდება, ისე, რომ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის... ჩვენ ჩვენი უნდა ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისთვის ვიზრუნოთ... მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო გაძლიერებაზე და განათლებაზე ვიმუშაოთ, მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენ ხალხს და დამხმარებელიც. თუ არადა, დიდი სახელმწიფოები საქართველოს ან დაიმონებენ, ან ძარცვას დაუწყებენ! ერთიცაა: „– რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენ ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ სამშობლოსათვის აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას.“

აი, ასეა მეგობრებო, მარტო ვაი-ვიშით, წარსულის მოგონებებითა და უფლის კალთაზე ჩამოკიდებით ვერაფერს გავხდებით, ჩვენც უნდა მოვეგოთ გონს, გამოვიღვიძოთ და სიყვარულით სამშობლოსათვის ვიღვაწოთ! ცხოვრება კვლავ სიზმარია, თუ სიზმრების დრო წავიდა უკვე?!

მომავლის იმედითა და რწმენით ცოცხლობს ადამიანი! . . . ნუ ვიქნებით ის, ვინც მხოლოდ ერით ამაყობს! ვიყოთ ის, ერი ვისითაც იამაყებს და სანამ კიდევ ერთგული ბეღურები შემორჩენია ჩვენს სოფელს, ყოველთვის – ვიყუროთ იმედით წინ მომავლისაკენ, კმაყოფილი უკან წარსულისა, მაღლა რწმენით უფლისადმი, დაბლა სიფრთხილითა და გვერდზე მუდამ სიყვარულით!

მეგობრებო, დღევანდელი დღე დასაწყისია ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ბრძოლებისა, რომელშიც უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა ერმა და რომელსაც ჰქვია თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის აღორძინება!

მართალია, უფალი დროსა და თარიღებზე აღმატებულია, მაგრამ იდეის ერთგულნი ქმნიან დროს, ეპოქას და ისტორიას პიროვნული, თუ ერთობლივი ენერგიით, ამიტომაც, მეტ დროს ვეღარ მივცემთ დროს, ასე ხომ დრო თავად გაგვატიალებს. გვახსოვდეს ცნობილი მხედართმთავრის უკვდავი სიტყვები: „დიდკაცობას კარგი კაცობა სჯობს, კარგ კაცობას კი კარგი მამულიშვილობა“.
... და, როცა შენი გზა თავადვე აირჩიე და არ სდევ ჟამთა სვლას და შენს სიმართლეს რომ აქვს უფლება, სწორედ ეს არის თავისუფლება. უფალო, შეგვაძლებინე ჩვენი წილი სიმძიმე ალალად და სუფთად აგვატანინო ცხოვრების ბოლომდე!...

მადლობა მინდა მოვუხადო ... ჩემს მტრებს! მადლობა ჩემს ბოროტ, შურიან და სულელ მტრებს, იმათ, ვინც არ მიცნობს და ვერასოდეს გამიცნობს. რამდენი დამსახურება აქვთ მათ ჩემს მიმართ?! ღმერთო, უჩემოდ, ნუ დამისჯი ჩემს მტრებს! სიკეთით გაუთენე მათ ხვალინდელი დღე, რომ ერთი წამითაც კი არ მოვდუნდე ცხოვრებაში და მუდამ თავისუფალი ვიყო! დღეს ცოცხალი ვარ და სანამ ვარ სიცოცხლემისჯილი, ღვთის გულისათვის იმედებს ნუ გამიფანტავთ! ...

ჩემო უძვირფასესო მეგობრებო, თანამებრძოლებო და ახლობლებო, მთელი გულითა და სულით გიხდით მადლობას დაბადებისდღის მოლოცვისათვის. ნება მომეცით მეც გისურვოთ უფლის წყალობა, ჯანმრთელობა, ულევი სიხარული, უსაზღვრო ბედნიერება, სიყვარული, დღეგრძელობა, წარმატებები და ყოველივე საუკეთესო ცხოვრებაში!

დღეს ხარების ბრწყინვალე დღესასწაულია!

ამიტომაც, გილოცავთ ხარების ბრწყინვალე დღესასწაულს – ერთ–ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს ქრისტიანულ სამყაროში, რამეთუ ხარება მიჩნეულია კაცობრიობის ხსნის დასაბამად და საუკუნეებით დაფარული ღვთის საიდუმლოს გამოცხადებად! გისურვებთ სიყვარულსა და უფლის წყალობას! ბედნიერება შემოეტანოს თქვენს ლამაზ ოჯახებში ხარების დღესასწაულს! დაესწარით მრავალს! დაე, დედაღვთისმშობელთან ერთად, ამ დღესასწაულის ძალა და მადლი მუდამ გვფარავდეს ჩვენ, ყველა ჩვენთვის ძვირფას ადამიანს და სრულიად საქართველოს. ყველანი ერთად, მხიარულად და ბედნიერად მალე მენახეთ ჭეშმარიტად დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში. დარწმუნებული ვარ, დამოუკიდებლობას, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, მოკლე მომავალში ვაქცევთ ქვეყნისა და თითოეული მოქალაქის თავისუფლებად. თავისუფლება კი, ნიშნავს, გავხადოთ სამშობლო სამართლებრივი, ეროვნულ–სახელმწიფოებრივი – ეროვნულ–სარწმუნოებრივი და ისეთი, როგორზეც ჩვენი წინაპრები ოცნებოდნენ – უფლის წყალობით ისტორიულად თავისი მისიის მატარებული. დღესაც, ბრძოლით ხელახლა უნდა მოვიპოვოთ სამართლიანობაც, თავისუფლებაცა და კეთილდღეობაც. იმედი ვიქონიოთ, რომ სამართლიანობა კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს, რომ სიკეთე დაამარცხებს ბოროტებას, რომ ვირუსული ომები და სამყაროს განადგურებაც შეწყდება, რომ უფრო ნათლად გავიგებთ ცხოვრების აზრს, დღეგრძელობისა და ბედნიერების მნიშვნელობას. კაცობრიობის ეს ყველაზე სანუკვარი სურვილები რეალობად გვიქციე უფალო. თავისუფლება ნიშნავს, რომ მივუტევოთ ერთმანეთს ის შეღლი და შეცდომები, რომლებიც გვქონდა. თავისუფლება ნიშნავს გვიყვარდეს ერთმანეთი. თავისუფლება ნიშნავს ვიყოთ უფლის რწმენით განმსჭვალულნი. ყველანი ერთად, მხიარულად და ბედნიერად მალე მენახეთ ჭეშმარიტად დამოუკიდებელ და თავისუფალ ქრისტიანულ საქართველოში!

ამდაგვარად, საქართველოც პირუთვნელად აღასრულებს თავის სულიერ მისიას კაცობრიობის წინაშე. ბრძოლის გარეშე კი, ვერავინ ვერაფერს მოიპოვებს. საქართველოს იხსნიან მისი საუკეთესო, თავდადებული და თავგანწირული შვილები.

უფალი შეგვეწიოს ყველას!

ამინ!

თბილისი, 2021 წლის 7 აპრილი

აღვმართოთ დროშა ქართული სამფეროვანი ალმითა

ამავდროულად, თემიდან გადახვევად სრულებითაც არ ჩაგვეთვლება ოდნავი ეტიმოლოგიური ექსკურსი, რათა უკეთ ვიცოდეთ ქართული სახელმწიფოს საბოლოო სახით ჩამოყალიბების საფუძვლები.

თავდაპირველად „ქართლი“ აღნიშნავდა მთელ საქართველოს („კოლხეთის“ გამოკლებით), ამჟამად კი, იგი არის აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი თავად საქართველოსავით დაქუცმაცებული სამი პროვინცია.

„ქართველი“ ყოველთვის იყო და არის ჩვენი სამშობლოს ეროვნული სახელი.

სიტყვები ქ ა რ თ ლ ი და ქ ა რ თ ვ ე ლ ი ეტიმოლოგიურად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ ქ ა რ თ ლ ი ერთ ფუძეს ემყარება, ქ ა რ თ ვ ე ლ ი კი – სხვას.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება რამდენიმე ცდა ამ სიტყვების ახსნისა ეტიმოლოგიურად, მაგრამ არც ერთი მათგანი ისტორიულ სიმართლეს არ შეეფერება.

ნ. მარის აზრით, „ქ ა რ თ“ ფუძე, რომელიც „ქ ა რ თ ლ“-ში და „ქ ა რ თ უ ლ“-ში გვაქვს, წარმოდგება „ქ ა ს დ“-ისაგან, ხოლო „ქ ა რ თ ვ ე ლ“ -ი წარმომდგარია ასე: „ქ ა რ თ“ ფუძეს ერთვის არქაული იბერიული სუფიქსი მრავლობითი რიცხვისა „ი ვ“ (ქ ა რ თ ი ვ), რომელსაც ერთვის წარმომავლობის სუფიქსი „ე ლ“ და მიღებულია „ქ ა რ თ-ი ვ-ელ-ი“, რომელმაც შემდეგ „ქ ა რ თ ვ ე ლ-ი“ მოგვცა. ამგვარად, ფუძე „ქ ა რ თ“ ადის უფრო ძველ „ქ ა ს დ“ ფორმამდე, რაც მრავლობითი რიცხვის სუფიქსის დართვით „ქ ა ს დ ი ვ“-ს გვაძლევს, ეს კი არის ზუსტი გადმოცემა ებრ. ქ ა შ დ ი მ-ისა.

შემდეგ ნ. მარი სხვაგვარად ხსნიდა: „რაც შეეხება ფუნქციონალურ ნაწილს „ქ ა რ თ ვ ე ლ“ სიტყვისას, რომელიც ქართველთა ეროვნული სახელწოდებაა, ე. ი. „ვ ე ლ“-ს ანუ „ვ ე რ“-ს, იგი „მ ა ნ“-ის ვარიანტია, რომელიც „გ ა რ-დ -მ ა ნ-ის შემადგენელი ნაწილია.“

ნ. მარს მიაჩნდა, რომ „ქართლ-ი“ მიღებულია ქართუ-ი ფორმისაგან.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „დასასრულ, ურ-კაშდიმ-ის შესახებ. იქ ცხოვრობდა, სხვათა შორის, მამამთავარი იბრაჰამი; რომელ ქვეყანას გულისხმობდა „დაბადების“ დამწერი, ან მისი წყარო, როდესაც ამ „ურ-კაშდიმ“-ს იხსენიებდა, ჯერ კიდევ საცილობელია. ამ საკითხის გამოსარკვევად მრავალი მასალები აქვს შეკრებილი დ ი ლ ლ მ ა ნ ს. ზოგს „ურ“ სამხრეთ ბაბილონში ევფრატის პირას მდებარე დაბა „მუღიერად“ მიაჩნია, რომელსაც წინათ „ურუ“ ერქვა (Holzinger, Genesis 118-119). მაგრამ ისეთი აზრიც არსებობს, რომ „ურ-კაშდიმ“-ად ის ადგილია ნაგულისხმევი, სადაც თქმულებისამებრ ვითომც ნოეს კიდობანი გაჩერდა: ესე იგი არარატის სანახები (იქვე 119). უკანასკნელი აზრი, ვგონებ, უნდა სიმართლესთან ახლოს იყოს იმიტომ, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი „ქაშდიმ“ ქართველების სახელია: კაშდიმ=კასდივ=ქართ-ივ. აქ „ი მ“ და „ი ვ“ მრავლობითი რიცხვის (=ებ) ნიშანია. ამგვარი ბგერათა ცვლილება „შ“-ის „ს“-ად, ხოლო შემდეგ „რ“-ედ ქცევა ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგ., შჯული=სჯული=რჯული. მაშასადამე, დაბადების „კაშდიმ“ ქართებს ნიშნავს, ხოლო „ურ-კაშდიმ“ ურარტუს ქართებს.“

ივ. ჯავახიშვილი განაგრძობდა: „ჩვენი ეროვნების სხვადასხვა ტომთა სახელებში ჩვენი ერის უძველესი ბინადრობისა და სამშობლოს სახელია შემონახული. ავიღოთ, მაგალითად, სიტყვე „ქართველი“: „ელი“ სადურობის, ანუ ჩამომავლობის აღმნიშვნელი საკვეცია, როგორც, მაგ., გორელი, თელაველი, ჯიხაიშელი, ოკრიბელი და სხვა; ყველა ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ საკვეცი „ელი“, ანუ ადგილის სახელს ემატება ხოლმე (გორი, თელავი, ჯიხაიში, ოკრიბა). მაშასადამე, სიტყვა „ქართველის“ პირველი ნაწილიც „ქართუ“ ქვეყნის სახელი უნდა იყოს. განვიხილოთ ახლა კარდუხების სახელი, რომელთა ქვეყანაშიც მდ. კინტრიტი (კინტრიშის მოსახელეა) დიოდა. სიტყვა „კარდუხი“-ც ჩვეულებრივ ეროვნების აღმნიშვნელი საკვეც „ხი“-თ ბოლოვდება, ამ სიტყვის პირველი ნაწილიც უნდა ქვეყანასა ნიშნავდეს.

ავიღოთ, მაგალითად, სახელი ტაოხი, კოლხი; ორივეს რომ საკვეცი მოვაშოროთ, რჩება ტაო – იმ ქვეყნის სახელი, რომელსაც სომხები „ტაიქ“-ს ეძახდნენ და ჭოროხსა და თორთუმის წყალს შორის მდებარეობდა. მაშასადამე, ტაოხი უდრის ტაოელ ტომს.

სიტყვა „კოლხი“-საც რომ საკვეცი მოვაცილოთ, დაგვრჩება „კოლ“, იგივე კოლა, იმ ქვეყნის სახელი, სადაც მტკვრის სათავეა. მაშასადამე, ზემომოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ სიტყვა „კარდუ“-ც ქვეყანას უნდა ნიშნავდეს და „ქართუ“-ს უდრის; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეორე სიტყვაში ფშვინავი თანხმოვნები ზის; „კ“-ანის მაგიერ „ქ“-ანი, ხოლო „დ“-ონის მაგიერ „თ“-ანი. კარდუხი, როგორც ვიცით, ერთ-ერთი მეგრულ-ჭანური შტოს სახელიცაა.

ამგვარად, დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართ-მეგრული შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართუელი, კარდუხი) ერთი და იგივე ქვეყნის სახელი გვხვდება: იგი არს „ქ ა რ თ უ“, ანუ „კ ა რ დ უ“. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უეჭველია, იგი ქართველების თავდაპირველი სამშობლო უნდა ყოფილიყო.

ამ სამშობლოს ხსოვნა მესამე შტოს წარმომადგენელს სვანებსაც აქვს შერჩენილი. სვანეთში ახლაც მოიპოვება რამდენიმე სოფლის საზოგადოება, რომელსაც „ქ ა ლ დ ე“, ანუ „ხ ა ლ დ ე“ ჰქვია. ერთი სიტყვით, „ხალდე“, ანუ „ქ ა რ თ უ“ ჩვენი ეროვნების თავდაპირველ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ეს კ ა რ თ უ ანუ ქ ა რ თ უ განთქმული ქვეყანა ქ ა ლ დ ე ა არის; ტუკლატ-ადარ I-ის 1275 (ქრ. წ.) წარწერაში იგი „ქვეყანა კ ა რ დ უ“-დ იწოდება სწორედ ისე, როგორც ამ ქვეყნის სახელი კარდუხების საკუთარ სახელწოდებაშია შესული“.

ნიკოლოზ ადონციც აგრეთვე კარდუხების კარდუ ფუძეს უდარებდა „ქ ა რ თ უ ს“, რომლისაგანაც წარმოდგება მისი აზრით „ქ ა რ თ უ-ე ლ-ი“.

„ქართველ“ სიტყვის პირველი ნაწილის შესახებ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი გრ. ლაფანციანი გაკვრით ამბობს, რომ არ შეიძლება უშუალოდ დამტკიცდეს, რომ „ქართ“ ენათესავებოდეს „კ ა რ დ უ||გ ო რ დ უ“-ს. იგი უმთავრესად მეორე („ვ ე ლ“) ნაწილის შესახებ მსჯელობს და ამბობს, რომ ეს „ველ“-ი მიღებულია „ბ ე რ“-ისაგან, რომელიც პირველად „სახლს“ აღნიშნავდა და შემდეგ მიიღო მნიშვნელობა გვარისა, ტომისა, უკანასკნელ კი კაცისა „ქართ“-სახლიდან.

„ბ ე რ“ ძირი გვარის მნიშვნელობით, ავტორის აზრით, ახლაც გვხვდება საქართველოში. ასეთია მაგალითად, „კ ა ხ ა ბ ე რ“-ი (კახაბრის ხევი აჭარაში), რომელიც სხვა არა არის რა, თუ არ „კახა“-გვარი (შდრ. „კახეთ“-ი კახთა ქვეყანა). გრ. ლაფანციანს არ ეეჭვება, რომ ზოგიერთი ქართული გვარი, რომლებშიაც შედის ეს „ბ ე რ“ (ბერ-ია, ბერ-იძე, ბერ-იტაშვილი, ღოღო-ბერ-იძე, მიქა-ბერ-იძე და სხვ.) აგრეთვე ნაშთია ამ ძველი „ბ ე რ“-ისა და, მაშასადამე, ბერია და ბერიძე, რომლებიც როგორც სიტყვები თავდაპირველად საზოგადო შინაარსისა იყო. პირველად მათ უნდა აღენიშნათ „ძე (ჩამომავალი) გვარისა“, გვაროვნული კაცი, ხოლო ფეოდალური წყობილებისას შეიძლება ნიშნავდა კიდეც ამას: „კარგი გვარისა“, „კეთილშობილი“ და სხვა. ადგილის სახელი „ს ა ბ ე რ ი ო“ ალბათ ნიშნავდა „(ადგილს) გვარისათვის“.

ამ „ბ ე რ“-ს გრ. ლაფანციანი პოულობდა სომხურშიც; ასეთია ტაბ-ბერ, ტარ-ბერ-უნი, ქაჯ-ბერ-უნი, რაც საკუთრივ ამას აღნიშნავდა. ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობდა, რომ „ქართველი“ შეიცავს ორი ეროვნების სახელის შეერთებას: „ქართ-ივერი“.

არც ერთი ამ ახსნათაგანი ბოლომდე ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება.

რომ ნათლად გავერკვეთ საქმის ვითარებაში, უნდა მოვიგონოთ, რომ გარკვეული ისტორიული პირობების გამო შეიძლება ერთი ერის სახელი სხვა ერის სახელად იქცეს. ამის მაგალითი რამდენიმეა და ერთი მათგანი არის „ბ უ ლ გ ა რ ი“. თავდაპირველად ეს სიტყვა აღნიშნავდა ვოლგის შუა მდინარებაზე მცხოვრებ თურქ ხალხს, რომლის ერთი შტო დაიძრა დასავლეთისაკენ, გადალახა რუსეთისა და უკრაინის ველები, მიაღწია დანუბამდე (დუნაიმდე) და დაიპყრა ადგილობრივი სლავური ერი. ეს მოხდა მე-5-მე-6 საუკუნეში. შემდეგ ეს დამპყრობი ერი გაითქვიფა დაპყრობილ ერში. დაკარგა თავისი ენა, მაგრამ თავისი სახელი გადასცა ამ დაპყრობილ ერს, რომელსაც იგი შეერია და რომელშიც გაითქვიფა სრულიად. ბულგარლები (ანუ ბოლგარლები, ძველი ქართულით ბორღალნი) სლავური ერია, მაგრამ სახელი თურქული აქვთ.

რაღაც ამის მსგავსი, ოღონდ შიდა ქართულ ვარიანტში მომხდარა საქართველოშიც. თავდაპირველად „ქ ა რ თ ლ ი“ აღნიშნავდა ერს, რომელმაც დაიპყრა მცხეთა და მიმდგომი ქვეყნები, კარგა ხანს იბატონა აქ, შემდეგ თანდათან გაითქვიფა ადგილობრივ მოსახლეობაში, თავისი ენა დაკარგა, მაგრამ თავისი სახელი გადასცა დაპყრობილ ერს, რომელიც წინათ, ალბათ, მესხების სახელით იყო ცნობილი.

ცნობა ამ დამპყრობი ერის შესახებ მოიპოვება „ქართლის მოქცევაში“,რომელიც შემონახულია ცნობილ შატბერდის კრებულში. ეს კრებული გადაწერა იოანე-ბერამ X საუკუნეში, 973 წლის ახლო. ამ წელს კი მან გადაწერა პარხლის ოთხთავი იმავე შატბერდში და შესწირა პარხალს. თვით „მოქცევაი ქართლისაი“ წარმოშობით უფრო ძველი ძეგლია და მე-7 საუკუნის I ნახევარს უნდა მიეკუთვნებოდეს. ძეგლი გამოსცა ე. თაყაიშვილმა ორჯერ: 1890 წ. და 1912 წ.

მოიპოვება აგრეთვე თ. ჟორდანიას გამოცემა. „მოქცევის“ იმ ნაწილში, რომელსაც აქ ვეხები, ვიყენებ ს. ჯანაშიას შესწორებულ ტექსტს, რომელიც მან დაბეჭდა თავის ამ გამოკვლევაში: „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველი საცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე“. ე. თაყაიშვილი და თ. ჟორდანია „ა რ ი ა ნ“-ის ნაცვლად „ა რ ა ნ“-ს კითხულობდნენ და კერპის სახელად „გ ა“-ს ნაცვლად „გ ა ი მ“-ს.

„ქართლის მოქცევაში“ ორჯერ გვხვდება სიტყვა „ქ ა რ თ ლ ი“, შეერთებული „ა რ ი ა ნ“ სიტყვასთან: „ა რ ი ა ნ-ქ ა რ თ ლ ი“. მაგალითები ტექსტიდან: „და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოი, ძე არიან-ქართლისა მეფისაი. ... და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთაი ცროლისა და წარვიდა“. ალექსანდრედ აქ იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი, მაგრამ მისი ხსენება აქ უადგილოა, რადგანაც კარგად ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში არ ყოფილა. მაგრამ ამბები, რომლებზედაც აქ საუბარია, და რომლებიც უფრო გვიან მოხდა (საფიქრებელია, II ს-ში ჩ. წ.-მდე), რამდენადმე ნდობის ღირსია.

ქრონიკა განაგრძობს: „ხოლო ესე აზოი წარვიდა „ა რ ი ა ნ-ქ ა რ თ ლ ა დ“ მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას. და თანა ჰყუანდეს კერპნი ღმრთად გაცი და გა. და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზოი, ძე „ა რ ი ა ნ-ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა“ მეფისაი, და მოკუდა. და შემდგომად მასა დადგა ფარნავაზ“.

გვხვდება „ა რ ი ა ნ-ქ ა რ თ ლ ი“ აგრეთვე წმ. ნინოს „ცხოვრებაში“, რომელიც შატბერდის კრებულში უშუალოდ მოსდევს „ქართლის მოქცევის“ ტექსტს.

ზემოხსენებულიდან ჩანს, რომ „ქ ა რ თ ლ ი“ „პ ა რ თ ნ ი“ ფორმის ცვლილებაა, ნარის ლასად ქცევა ამ შემთხვევაში ადვილად ასახსნელია (პართნი>პართლი). უფრო დამაფიქრებელია პარის ქანად ქცევა.

უნდა ვიფიქროთ, რომ „პ“-მ პირველად „კ“ მოგვცა (კართნი), რომლის მაგალითია დიალექტური (გურული) „კ ო რ ფ ი ლ ე“ „პ ო რ ფ ი ლ ე ს“ ნაცვლად. შემდეგ ეს „კ“ ნაწილობრივ დაემსგავსა მომდევნო „თ“-ს და მივიღეთ „ქ ა რ თ ნ ი“ და აქედან „ქ ა რ თ ლ ი“.

პართების ლაშქრობა სომხეთზედაც უნდა გავრცელებულიყო და გავრცელდა კიდეც.

პართი სომხური ფორმით არის „პართევ“. პართებს რომ გარკვეული გავლენა მოუხდენიათ სომხეთზე, იქედან ჩანს, რომ ზოგიერთი სომეხი მოღვაწე პართელად („პართევ“-ად) არის ცნობილი, უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ სომეხთა განმანათლებელი გრიგოლი, რომლის შესახებ მოსე ხორენელს ნათქვამი აქვს: „ესე (გრიგოლი), როგორც ყველასთვის ცნობილია, ქვეყანით „პართელი“ იყო, „პ ა ჰ ლ ა ვ მხარიდან“ (სომხეთის ისტ., II, 91). „პ ა ჰ ლ ა ვ“ კი იგივე „პ ა რ თ ა ვ“ არის, მიღებული საშუალო სპარსულის ფონეტიკური წესების მიხედვით.

გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრებაში, რომელიც სომხურიდან ქართულად არის თარგმნილი ადრინდელ ხანაში, გრიგოლი პართელად არის ნახსენები: თუესა სეკდემბერსა 30-სა, „ცხორებაი და მოქალაქობაი და ამისსა შემდგომად წამებაი წმიდისა მღდელ-მოწამისა გრიგოლი „პ ა რ თ ე ლ ი ს ა ი“, ხოლო თვით „ცხოვრებაში“ პართების სახელია „პ ა რ თ ნ ი“, მაგ., „და ესრეთ შემოკრბეს ყოველნი ერნი „პ ა რ თ თ ა ნ ი“ და აღიარეს მეფედ ყოველთა არტაშირი“.

რაკი გამოირკვა „ქ ა რ თ ლ“-ის ეტიმოლოგია, ადვილია „ქართველისა“ და „ქართულის“ ახსნა.

„ქართველ“-ი წარმომდგარია პართიის ქვეყნის სახელისაგან, რომელიც „პ ა რ თ ა ვ ა“ იყო, შემდგომ კი „პ ა რ თ ა ვ“. მას დაჰრთვია წარმომავლობის სუფიქსი „ე ლ“, რომელსაც ამოუღია წინამავალი ხმოვანი: „პართ-ავ-ელ-ი>პართ-ვ-ელ-ი>ქართ-ვ-ელ-ი“.

რაც შეეხება „ქართულ“-ს, იგიც იმავე „პ ა რ თ ა ვ“-ისაგან არის ნაწარმოები უ ლ-ის დართვით. ამ „უ ლ“-ს ამოუღია წინამავალი ხმოვანი, მაგრამ ამასთანავე ერთად დაკარგულა „ვ“, რომელიც ფუძის შეკუმშვის შემდეგ უშუალოდ „უნის“ წინ აღმოჩენილა: „პართავ-ულ-ი>პართვული>პართული>ქართული“.

ამგვარად, „ქ ა რ თ ლ ი ს ა“ და „ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს“ ეტიმოლოგიურმა ძიებამ გადაგვიშალა თვალს წინ დიდი ისტორიული ამბები, რომლებიც დატრიალებულა ჩვენში, ალბათ, მეორე საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

გ. მელიქიშვილი თავის ცნობილ გამოკვლევაში ამბობს: „დაწყებული, ყოველ შემთხვევაში, II საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენს ერამდე, როდესაც პართელთა ძლიერება ძალიან გაიზარდა და პართელებმა სელევკიდებს მთელი რიგი გამანადგურებელი დამარცხებანი აგემეს და თავისი პოლიტიკური გავლენა სომხეთზე გაავრცელეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართლისა და პართიის ურთიერთდამოკიდებულება საკმაოდ ინტენსიური გახდა, იმ დროს, პოლიტიკური პირობებიდან გამოსვლით, როგორც ჩანს, ქართლის მფლობელები პართიაში ეძებდნენ მოკავშირეს თავის მეტოქის არმენიის წინააღმდეგ“.

ცნობილ ირანისტს მზია ანდრონიკაშვილს მოჰყავს სია პართული წარმომავლობის სიტყვებისა ქართულში. აქ აღნუსხულია 66 სიტყვა (აბჯარი, ავაზაკი, ჰამბავი, ჰასაკი და სხვ.), რომლებიც პართული წარმოშობისად მიაჩნია ავტორს და რომლებიც უშუალოდ პართულისაგან, ან სომხურის საშუალებით შემოსულა ქართულში. მეორეს მხრივ, იმავე წიგნში ვკითხულობთ: „რაიმე ხელშესახები პირდაპირი მითითება, ან ისტორიული ცნობა ქართლის დამოკიდებულების შესახებ პართელთა სახელმწიფოსთან შემონახული არ არის. ქართული ისტორიული ტრადიცია არ იცნობს სახელწოდებას „პ ა რ თ ი“, ან მისი საშუალებით სპარსულ ეკვივალენტს „ფ ა ჰ ლ ა ვ“ , „ფ ა ჰ ლ ა ვ ა ნ ი“-ის სატომო და გეოგრაფიულ სახელად, რომელიც უშუალოდ ირანულიდან მოდიოდეს და იგი ქართულ საისტორიო წყაროებში შემონახული არა გვაქვს“. ამ ჩვენმა გამოკვლევამ კი დაგვანახა, რომ „ქართლი“ სახე-ცვლილი „პართნი“ არის, ასე რომ არათუ ისტორიულ წყაროებში, არამედ დღესაც ეს სიტყვა საყოველთაო ხმარებაშია.

საყურადღებოა, რომ „ქ ა რ თ“ ფუძე მეგრულად „ქ ო რ თ“-ს გვაძლევს („ქ ო რ თ უ“=„ქართველი“). ეს კი, გვავარაუდებინებს, რომ „ქ ა რ თ“ ფუძის სიტყვები დიდი ხანია იხმარება ისე, რომ საუკუნეთა განმავლობაში მოესწრო გაკეთებულიყო მეგრული შესატყვისი.

რაც შეეხება იმ დაპყრობილ ერს, რომელსაც შეერივნენ დამპყრობი პართელები და თავისი სახელი მისცეს, ეს უნდა ყოფილიყო, როგორც ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, მესხები. ამას რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ მცხეთა იყო მესხთა მთავარი ქალაქი. ეს „მ ც ხ ე თ ა“ ასე დაიშლება: „მცხ-ეთ-ა“, სადაც „მ ც ხ“ მიღებულია „მ ს ხ“ კომპლექსისაგან, თანახმად ჰარმონიული ბგერების კანონისა, ხოლო „მ ს ხ“ არის „მ ე ს ხ“ სიტყვის შეკუმშული სახე. შეკუმშვა გამოიწვია „ე თ“ სუფიქსის დართვამ. ბოლოკიდურად რომ „ა“ ზის, იგია კნინობით სახელთა მაწარმოებელი. მსგავსი ფორმაა „მ ო გ უ ე თ ა“, რომელიც ამავე „ქართლის მოქცევაში“ იკითხება: „და მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა“. სიტყვა „მცხეთა“ ვერ წარმოდგებოდა, რომ მცხეთაში მესხები არ სახლებულიყვნენ. მსგავსი მოვლენაა „ს ა მ ც ხ ე“-ში, რომელიც წარმომდგარია „ს ა მ ე ს ხ ე“-დან: „სამესხე>სამსხე>სამცხე“.

ეს მცირე ექსკურსი აუცილებელი იყო ქვეყნის სახელის არამარტო წარმომავლობისათვის, არამედ მისი სიმბოლიკების სამართლებრივი დასაბუთებისათვის.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ფაქტობრივ პარლამენტში, ე. წ. საქართველოს პირველი კონსტიტუციის დღე აღინიშნა და ეს დღე უამრავი ცრუ, არასამართლებრივი, არალეგიტიმური სიტყვებით შეიმკო, მნიშვნელოვნად გაუფერულდა თავად 1921 წლის მთავრობის ქვეყნიდან გასვლა და გზაში დაწეული კონსტიტუციაც. აქ, სახელმწიფო დროშა არ თამაშობს რაიმე როლს, რამდენადაც იგი უცვლელი დარჩა, მაგრამ გამომსვლელთა ცრუ სიტყვებში 1921 წლის სამართალმემკვიდრეობა 1991 წლის არც რეფერენდუმთან, არც დამოუკიდებლობის აღდგენასთან არავითარ სამართლებრივ კავშირში არაა, მითუმეტეს 1995 წლის ცრუ, არალეგიტიმურ კონსტიტუციასთან. ეს ყოველივე ფაქტობრივი ხელისუფალთა მხრიდან მორიგი და ჩვეულებრივი პოლიტიკური „კვლავდაბოლებაა“, როგორც ის ფაქტები, რომ საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ, თუ სამთავრობო შენობებთან ორ-ორი დროშის აფრიალება და კომუნიზმის მსგავსად ევროკავშირში შესვლა ფიქცია და არასამართლებრივი აქტია მხოლოდ.

სახელმწიფო სიმბოლიკის შერჩევისას განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, რადგან დროშა, ჰიმნი და გერბი ცხადზე უცხადესად უნდა გამოხატავდნენ ქვეყნის ინტერესებს, სამართლებრივ პოლიტიკურ მიმართულებას, ისტორიასა, თუ სამომავლო მიზნებს.

ამჯერად დავის მიზეზი გახდა ხუთჯვრიანი დროშა, რომელიც მავანთა მიერ გორგასლის დროშად მოინათლა. აღსანიშნავია, რომ მის აღმართვაზე ნებართვა თვით მომქმედმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ გასცა.

ჩვეულებრივ, სახელმწიფო ატრიბუტიკა საუკუნეებს უძლებს, ერთი საუკუნეც არ გასულა და ჩვენ უკვე მესამედ ვცვლით მას. როგორმე ქართული ატრიბუტიკაც ისეთი უნდა იყოს, რომ ყოველმა ახალმა პარტიამ, რომელიც ძალაუფლებას ჩაიგდებს ხელში, ის ვერ შეცვალოს.

ატრიბუტიკაზე გამართულ საუბარში ერთი რამ განსაკუთრებით გვაფიქრებს. ვმსჯელობთ საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკაზე და არაფერს ვამბობთ იმაზე, რომელ და როგორ საქართველოს ვგულისხმობთ, მომავალში როგორი საქართველო წარმოგვიდგენია. სახელმწიფო ატრიბუტიკა, უპირველესად, იმ იდეალზე უნდა მიუთითებდეს, საითაც ქვეყანა მიდის. უმჯობესია, ჯერ კარგად და ცხადად უნდა გავიაზროთ, როგორი ქვეყანა გვინდა ავაშენოთ და მერე ავარჩიოთ სიმბოლოები, რომლებიც ატრიბუტიკაში შევა.

რა არის საქართველო ტერიტორიულად? ჩვენს ქვეყანას დიდი ტერიტორია აქვს დაკარგული. დღეს საქართველოს ის მიწა-წყალიც არ უჭირავს, რაც საქართველოს სამართლებრივად გააჩნია. წინათაც, საუკუნეების მანძილზე, მიმდინარეობდა საქართველოს ტერიტორიის „ჭრა-კერვა“,

მაგრამ თუ ახლა ჩვენ მართლაც გვინდა ავაშენოთ ახალი ქართული სამართლებრივი სახელმწიფო, მაშინ ყველა წართმეული ქართული მიწა-წყლის დაბრუნებაც უნდა გვინდოდეს და საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებაც. სწორედ ამ მიწა-წყლის ერთიანობა-მთლიანობას უნდა გამოხატავდეს ქართული სახელმწიფო ატრიბუტიკა.

დღეს, რა თქმა უნდა ვლაპარაკობთ მხოლოდ სამართლებრივ იდეალზე, რომლისკენაც ქართული სახელმწიფო უნდა ილტვოდეს, რომლითაც უნდა აღიზარდოს ქართველთა ახალი თაობები, ჩამოყალიბდეს მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი - ეროვნულ-სარწმუნოებრივი შეგნება.

სამწუხაროდ, ქართველს დღეს, უმეტესად, საერთოდ არა აქვს სახელმწიფოებრივი შეგნება ... სახელმწიფოებრივი ცნობიერება და რწმენა. დღევანდელი საქართველოს ბედიც უმძიმესი და ურთულესია. სამწუხაროდ, ჯერჯერობით გამართული ქართული არმიაც არ არსებობს.

ფაქტობრივმა ხელისუფლებამ ჩინებულად იცის, რომ უახლოეს ხანებში ვერც ტერიტორიებს ვერ დაიბრუნებს, ვერც დევნილ მოსახლეობას დააბრუნებს შინ, მაგრამ ცრუ იმედით დროის გაყვანას ცდილობს. ეს კი, უკადრესი საქციელია. ამას ნამდვილი ხელისუფლება არ უნდა სჩადიოდეს. სიმართლე, როგორი მწარეც უნდა იყოს ის, მაინც უნდა ითქვას. მომავლის რწმენა ტყუილს ვერ დაეყრდნობა. ის სიმართლესა და სამართალს უნდა ეფუძნებოდეს.

გარკვეული და ჩამოყალიბებული იდეალის, ვითარცა საქართველოს სულიერი მისიის აღსრულების იდეის ქონა სრულებით არ უშლის ხელს დემოკრატიის დამკვიდრებას.

რატომღაც გაჩნდა სურვილი, ჩვენი სახელმწიფოებრივი დროშა გააიგივონ იმ დროშასთან, რომელიც ისტორიულ მატიანეში მოხსენიებულია „გორგასლიან-დავითიანის“ სახელით. მართალია, ჩვენი ისტორიული მატიანე ახსენებს „გორგასლიან-დავითიანის“ დროშას, მაგრამ არსად ოდნავადაც კი არ არის მინიშნებული - როგორი იყო ის. არ არსებობს მისი აღწერილობა. არ გვაქვს არც იმისი არავითარი საბუთი, რომ უცხოელთა მიერ დახატულ საქართველოს რუკაზე გამოსახული ხუთჯვრიანი დროშა გავაიგივოთ „გორგასლიან-დავითიანის“ დროშასთან. აი, ზუსტადაც კი, ასეთი ხუთჯვრიანი დროშა ცნობილია იერუსალიმის დროშად.

ჩვენს მეცნიერებს არ დაუსაბუთებიათ, რომ იერუსალიმის ხუთჯვრიანი დროშა ქართველების შეტანილია სამი რელიგიის - იუდაიზმის, ქრისტიანობის, ისლამის - წმიდა ქალაქში. უნდა მეცნიერულად გაირკვეს, რატომ ემთხვევა ასე ზუსტად ერთმანეთს იერუსალიმის დროშა და ის დროშა, რომელსაც გვთავაზობენ საქართველოს სახელმწიფო დროშად?! ფრთხილად, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ და დროშის ქურდობა არ დაგვწამონ.

ისტორიამ იცის ორხელისუფლებიანობა, მაგრამ ორდროშიანობა ერთ სახელმწიფოში ალბათ უნიკალური მოვლენაა, რასაც მოწმობს დღევანდელი სამართლებრივი და ფაქტობრივი სახელმწიფო და მათი სიმბოლიკები. თუმცა საქართველო პარადოქსების ქვეყანაა, სადაც საზოგადოებას არ უყვარს კანონმორჩილი იყოს, სადაც ყველამ ყველაფერი იცის და ყველას ყველაფრის უფლება აქვს. სწორედ ორდროშიანობის სტადიაში იმყოფება დღეს ჩვენი ქვეყანა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან მემკვიდრეობით მიღებული და ქართველ მეცნიერთა, ჟურნალისტთა და, საერთოდ საზოგადოების, ერთი ნაწილის მიერ აგდებულ-გამასხარავებული და ლამის ქვეყნის ყველა უბედურების მიზეზად გამოცხადებული საქართველოს სახელმწიფო დროშის პარალელურად, მის ალტერნატივად და შეურაცხყოფად, თითქმის ყოველ ნაბიჯზე, უკვე გამოფენილია მეორე სახის ქართული - დე ფაქტო სახელმწიფო - დროშები, რომლებზეც ხუთი ჯვარია გამოსახული.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა კანონიერად ჯერჯერობით არავის გაუუქმებია. ამდენად, ნონსენსი უნდა იყოს ორდროშიანობის არსებობაც და მასზე საუბარიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოვლენა ჩვენი ბოლოდროინდელი ცხოვრების თანამგზავრი გახდა.

„ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა“... „ვეფხისტყაოსნიდანაა“. ამით განცხადებულია მთავარი თეზისი: როგორც ვიცით, საკითხი ჯერჯერობით არ არის სათანადოდ შესწავლილი - არც ზოგადი ვექსილოლოგიის, არც ზოგადი ჰერალდიკის და არც ქართული ტრადიციების რეკონსტრუირების პოზიციებიდან, ამიტომაც, ჩვენ ბევრი რამ ჯერ არ ვიცით, ბევრი რამისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია (მაგალითად, იმისთვის, რომ დროშაზე, რომელიც აღწერილია „ვეფხისტყაოსანში“, ფიგურირებს შავი ფერიც - დღეს რატომღაც ყბადაღებული). ამ პირობებში პრობლემა ნამდვილად შესასწავლია და ლოგიკასთან სულაც არ არის ახლოს, რომ, ჯერ ერთი, დღეს მასში ყველაა ჩართული არასპეციალისტების ჩათვლით, მეორეც, სწორედ ამ უკანასკნელთა მეცადინეობით არგუმენტირებისას, თუ საკუთარი მოსაზრებებისათვის ბრძოლისას შეუმოწმებელი ცოდნა ხშირად აპრიორულ ჭეშმარიტებად საღდება ხოლმე და, საბოლოოდ, ფაქტობრივად, ან ნახევარცოდნას ვიღებთ, ან - არცოდნას.

სიმბოლიკის შეცვლის კამპანია საქართველოში ზოგჯერ, თუ ხშირად არა, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, და საქართველოს ისტორიის, როგორც სახელმწიფოს ისტორიის, შეურაცხყოფის აკომპანემენტით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. როდესაც ჩვენ აბუჩად ვიგდებთ იმ დროშას, რომელიც დღეს სამართლებრივად წარმოადგენს (ჯერ კიდევ წარმოადგენს) საქართველოს რესპუბლიკის სიმბოლოს ეს ჩვენი სახელმწიფოს შეურაცხყოფაა. როგორც სჩანს, ყველა ვერ ხედავს იმას, რომ ეს მკრეხელობაა. აზარტში შესულები, ხშირად ვერ ვგრძნობთ იმას, რომ ნამდვილ სახელმწიფო დროშას შეურაცხყოფას ვაყენებთ. დროშა – მისი ფერი, თუ მოხატულობა – შეიძლება არ მოგვწონდეს. ამის უფლება გვაქვს. მაგრამ მისი აბუჩად აგდების უფლება ნამდვილად არ გვაქვს. სხვა ქვეყნებში ეს არა მარტო უკადრისი, არამედ დასჯადი საქციელია. სამწუხაროდ, ეროვნული დროშის მიმართ თავხედობა სრულიად დასაშვებია ჩვენთან. ისევ და ისევ აზარტში შესულები, ჩვენ ვერ ვგრძნობთ იმას, რომ ლანძღვის საგანი არა უბრალოდ საქართველოს რესპუბლიკაა, ან დემოკრატიული რესპუბლიკა, არამედ 1918 წლის დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოა.

გავიხსენოთ, 1918 წლამდე იყო ის, რომ არ არსებობდა საქართველო, ანუ ამ სახელწოდებით ერთიანი საქართველო.

იყო მრავალსაუკუნოვანი დაშლა–დაქუცმაცება, ზოგჯერ – პოლიტიკური დეგრადაცია, თითქმის ყოველთვის – ფიზიკური განადგურების საფრთხე, ბოლოს – მიუხედავად მამულიშვილთა თავგამოდებული მცდელობებისა – სახელმწიფოებრიობის მთლიანი დაკარგვა და იმპერიაში შესვლა. თუ ჩვენ მამულიშვილები ვართ, უნდა გვიყვარდეს იგი და არავის ვაძლევდეთ უფლებას გააყალბოს სამართლებრივი ისტორია, ან ამოაგდოს მისგან მთელი ეპოქა.

ეს ის საქართველოა, რომელმაც კატეგორიულად გაახსენა ქართველებს, რომ ოდესღაც არსებობდა და მომავალშიც უნდა იარსებოს ერთიანმა საქართველომ, რომლის ფართობიც ბევრად აღემატებოდა დღევანდელს. ჩვენ ეს სწორედ დღეს უნდა გავახსენოთ ერთმანეთს, გავახსენოთ ყოველდღე. სადაც პირველად შეიქმნა ჭეშმარიტად დემოკრატიული და დასავლეთზე ორიენტირებული ახალი ინსტიტუტები. ჩვენ ესეც უნდა გვახსოვდეს – მაშინ შეიქმნა პირველად და არა დღეს.

ეს ის საქართველოა, სადაც პირველად შეიქმნა თანამედროვე ტიპის ქართული უნივერსიტეტი, ყველა ჩვენგანის ალმა მატერი.

თუნდაც აქედან გამომდინარე, ყოველივე ამის შემდეგ კატეგორიულად უნდა დავსვათ კითხვა: გვაქვს უფლება არა მარტო არ ვიმჩნევდეთ და არ ვაფასებდეთ საქართველოს რესპუბლიკას, არამედ არ ვაცხადებდეთ თავს მის, ამ ერთიანი ქართული სახელმწიფოს, სამართლმემკვიდრეებად? პასუხი ასევე კატეგორიული უნდა იყოს: ასეთი უფლება ჩვენ არა გვაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ გადავუსვამთ ხაზს საქართველოს მონაპოვრებს, ჩვენ ხელთ შეგვრჩება – „დიდი ღამე“ და ჩვენი, როგორც ერთიანი ქვეყნის, ძირებისა და რაციონალური მარცვლების ძიება XII–XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიაში.

დემოკრატიულმა საქართველომ და საქართველოს რესპუბლიკამ დაუტოვა შთამომავლობას პირველი ქართული სახელმწიფო ჰიმნი, საქართველოს ისტორიულ ტრადიციებზე დამყარებული გერბი და თვისებრივად უმნიშვნელოვანესი დროშა.

როგორ წარმოგვიდგენია დღევანდელი ფაქტობრივი დროშა, როგორც ამბობენ გორგასლიან–დავითიანი? წითელი და თეთრი ფერისა, ხუთჯვრიანი. არის ჯერჯერობით აბსოლუტურად დაუმტკიცებელი შეხედულება (რომელსაც, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება), უფრო მეტიც, ყველაფერი, რაც აქვს მეცნიერებას, მის სასარგებლოდ არ მეტყველებს.

უპირველეს ყოვლისა, გვაქვს სადმე ამ დროშის ნიმუში შემორჩენილი? ამ დროშის ნიმუში არ არსებობს. არის მისი რაიმე სახით აღწერა ქართულ წყაროებში? ასეთი აღწერა არსად არ არის. გვაქვს მისი აღწერა უცხოურ წყაროებში? დღემდე ცნობილ აღმოსავლურ და დასავლურ წყაროებში ასეთი დროშის აღწერა არსად მოგვეპოვება.

მაშ, რა გვრჩება ხელთ და რას ვეყრდნობით? მხოლოდ და მხოლოდ საეჭვო მონაცემებს ევროპული რუკებისას.

უფრო დაწვრილებით, ანჯელინო დულჩერის 1339 წ. და ძმები პიციგანების 1367 წ. საზღვაო კომპასურ რუკებზე, პორტულანებზე თბილისის თავზე ფრიალებს თეთრი დროშა ხუთი წითელი ჯვრით. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთივე დროშა ამავე დროს ფრიალებს არა მარტო თბილისის თავზე, არამედ სხვაგანაც, მაგალითად, სებასტიის თავზეც. სებასტია, დღევანდელი სივასი, მცირე აზიის ეს ქალაქი, საქართველოს იურისდიქციაში არასოდეს არ შედიოდა. XIV საუკუნეში, როცა შეიქმნა ზემოაღნიშნული პორტულანები, ის ჯერ ილხანთა ვასალ რუმის სელჩუკებს ექვემდებარებოდა, ხოლო შემდეგ – ადგილობრივ თურქულ საგვარეულოებს.

სებასტიის და თბილისის თავზე ერთნაირი დროშები ისეთი ფაქტია, რომ, მას თუ ახსნა არ მოეძებნა ხუთჯვრიანი დროშის გამოცხადების თემა საქართველოს სახელმწიფო დროშად საერთოდ უნდა დაიხუროს. შემთხვევითი არაა, რომ ხუთჯვრიანი დროშის იდეის მომხრეები ამ მნიშვნელოვან საკითხს საერთოდ გვერდს უვლიან. გვერდის ავლა კი ნამდვილად არ შეიძლება. პირიქით – სწორედ ამ ფაქტის არსებობაზე აიგება ლოგიკა, რომლის მიხედვითაც ან სებასტიის თავზე იყო აღმართული საქართველოს დროშა, ან საქართველოს დედაქალაქზე – სებასტიისა. მესამე ვარიანტი, რომელიც მისაღებია: არც ერთზე და არც მეორეზე აღმართული დროშები მოცემული ქვეყნის დროშები არაა.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გვინდა გავიმეოროთ, რომ პრობლემა შესასწავლია.

ახლა, რაც შეეხება წყაროთა სხვა მონაცემებს: 1223 წელს მეფე რუსუდანი დაქორწინდა არზრუმის სელჩუკიან უფლისწულზე, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო. ისლამური სამყაროსთვის ეს უჩვეულო ამბავი აღშფოთებით აღწერა XIII ს. არაბმა ისტორიკოსმა იბნ ალ–ასირმა. იგი იუწყება, რომ უფლისწულის მამამ არზრუმის დროშის თავზე ჯვარი მოათავსა, ეს ამტკიცებს, რომ თვით ქართველებსაც სახელმწიფო დროშის თავზე ჯვარი ჰქონდათ. ჯვარი აშკარად დროშის ბუნს აბოლოებდა, რისი მაგალითებიც მოიძიება ქრისტიანულ იკონოგრაფიაში. გარდა ამისა, ძველად დროშას შუბსაც შეაბამდნენ ხოლმე და საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში შუბს თავზე ჯვარი ჰქონდა. ასე იყო, მაგალითად, მეზობელ ბიზანტიაშიც. იბნ ალ–ასირის ცნობაზე დაყრდნობით, აკად. დ. მუსხელიშვილი დასაშვებად თვლის, რომ ჯვარი დროშის ალამსაც ამკობდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ წყარო ამის შესახებ დუმს. გარდა ამისა, თუ ერთი წამით მაინც დავუშვებთ, რომ ეს ასეა, საქმე ეხება ერთ და არა რამდენიმე (ხუთ) ჯვარს, სხვა სიტყვებით: ეს წყარო ხუთჯვრიანი ვერსიისათვის არავითარ არგუმენტს არ გვაწვდის.

1299 წ. ცნობით, ილხანთა გამგებელს ყაზან ყაენს, რომელმაც ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ ილაშქრა, თავის ლაშქარში ჰყავდა იბერიის ქრისტიანები თავიანთი ჯვრიანი დროშებითურთ. აქაც ერთ ჯვარზეა საუბარი და არა ხუთზე. თანაც ჯვარი შეიძლება ამშვენებდა არა ალამს, არამედ აბოლოებდა ბუნს, სწორედ ისე, როგორც ეს იბნ ალ–ასირთანაა. რაც მთავარია, რა დროშაა ეს? არსად ჩანს, რომ ქვეყნის, სახელმწიფოს დროშაა. ჯარს ბევრი სხვადასხვა დროშა შეიძლება ეპყრას ხელთ. სხვათა შორის, რამდენადაც ვიცით, ჯვაროსანთაგან განსხვავებით, მართლმადიდებლური ბიზანტიის დროშებზე იერუსალიმის სიმბოლო – ხუთი ჯვარი არ ყოფილა აღბეჭდილი.

ქართულ ვექსილოლოგიურ და ჰერალდიკურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხუთი ჯვარი – ერთი დიდი და ოთხი პატარა (ჯვარცმული მაცხოვრის სამსჭვალების აღსანიშნავად) იყო იერუსალიმის სიმბოლო. ის შეითვისეს ჯვაროსნებმა, მაგრამ, რადგანაც იერუსალიმის სამეფოს თეთრ დროშაზე გამოსახული იყო ხუთი ოქროსფერი ჯვარი, ამიტომ ჯვრისა და დროშის ქსოვილის ფერებით ქართული დროშა თითქოსდა არ იმეორებს იერუსალიმისას, მაგრამ საქმე ისაა, რომ არსებობს იერუსალიმის ხუთჯვრიანი დროშის სხვა ვარიანტიც. ესაა სამოქალაქო დროშა, ხუთი წითელი ჯვარი თეთრ ფონზე, რომელიც ფრიალებდა წმინდა მიწის მეურვის საკუთარ და უცხოურ გემებზე 1333 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე... XVI ს–ში იერუსალიმის ეს დროშა ყველა ევროპულმა სახელმწიფომ და ოსმალეთმა აღიარეს ნეიტრალურად და გემებს ამ დროშით – საფრანგეთის პროტექტორატით – თავისუფლად შეეძლოთ ეცურათ ომების დროს ხმელთაშუა ზღვაში (იერუსალიმში ფრანცისკანელთა არქივის მიხედვით, 1669–1822 წლებში რეგისტრირებული იყო 738 ასეთი გემი). იერუსალიმის დროშის გამოყენება შეწყდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როცა გერმანიამ განაცხადა, რომ ეს გემები ეკუთვნოდა საფრანგეთს. იერუსალიმის სავაჭრო ფლოტმა ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა 1921 წ.

სხვადასხვა თვალსაზრისთა შორის გამოთქმულია ისეთიც, რომ, რადგანაც, თითქოს, „საქართველოს მეფეები ბაგრატიონთა დინასტიიდან თავის წარმომავლობას ბიბლიურ მეფე დავითს უკავშირებდნენ, მათ ჰქონდათ ხუთჯვრიანი დროშის ტარების უფლება“. ტარების უფლებაზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ გაუგებარია, რა კავშირშია ბიბლიური დავითი და იერუსალიმის ქრისტიანული სიმბოლო?

წერენ, რომ „ქართულ დროშაზე დიდი ჯვარი პირველი ქრისტიანი მეფის დროს გაჩნდა“, რაც თავისთავად არ არის გამორიცხული და გვარწმუნებენ, რომ „შემდეგ ქრისტიანების წინაშე დიდი დამსახურებისათვის, ჯვაროსნულ ომებში იერუსალიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ღირსეული ღვაწლისათვის, ქრისტეს ოთხი სამსჭვალის სიმბოლოდ ჩვენს დროშაზე ოთხი ჯვრის ტარების უფლება მოგვენიჭა“.

და მაინც, ვინ მოგვანიჭა დროშაზე დამატებით ოთხი ჯვრის ტარების უფლება? მართლმადიდებლურმა ბიზანტიამ, რომელიც ამ სიმბოლოს არ იყენებდა, იერუსალიმის სამეფოს მესვეურებმა, თუ რომის პაპმა? რას ვეყრდნობით – რა წყაროს, ან რა ლოგიკას? საინტერესო კითხვებია, არა?!

ხუთი წითელი ჯვარი იერუსალიმის სიმბოლოა, შემდეგ – ჯვაროსნებისა (ხუთი ოქროსფერი ჯვარი). ძალიან ბევრი რამ იმაზე მიუთითებს, რომ, თუ ჩვენ „აღვადგინეთ“ ხუთჯვრიან დროშა, ამით აღვადგინეთ არა საქართველოს, არამედ .... იერუსალიმის სიმბოლო. და თუ ეს ასეა, მაშინ სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ, რათა არ ჩავიგდოთ თავი უხერხულ მდგომარეობაში: ვის დროშას აღვადგენთ ჩვენ – ჯვაროსნებისას, იერუსალიმისას, წმინდა მიწის მეურვისას? და ვისი მემკვიდრეები ვიქნებით ამ შემთხვევაში – ჯვაროსნებისა, იერუსალიმისა? მაშინ ჩვენ უნდა აღვადგინოთ და ვიტვირთოთ საღვთო ომის იდეა წმინდა ადგილების გათავისუფლებისა (საკითხავია, ვისგან და ვისთვის). ეს ხომ პოლიტიკური აბსურდია.

ასეთი ფუნქცია ჩვენ არასოდეს გვქონია და იგი ჩვენთვის არავის მოუნიჭებია. არსებობდა გარკვეული ურთიერთსიმპათიები ქართველებსა და ჯვაროსნებს შორის, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ, ჯერ ერთი, ომის იდეოლოგია ჯვაროსნებისა და მართლმადიდებლობისა განსხვავებული იყო (მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ ქართულ ქრისტიანობას გარკვეული მსგავსება დასავლურთან აქვს, მეორეც, მართლმადიდებლურ სამყაროში საკუთრივ საღვთო ომის იდეამ (მიუხედავად გარკვეული მცდელობისა X ს. ბიზანტიაში) ფეხი ვერ მოიკიდა. მესამეც, ჩვენი მონაწილეობა ჯვაროსნულ ომებში იერუსალიმის გასათავისუფლებლად მოკრძალებული იყო და ძირითადად პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას ეხებოდა (ანტიოქიის აღება) იყო საამისო სურვილი გიორგი-ლაშას და რუსუდანის დროს, მაგრამ ის მონღოლთა და შემდეგ ხვარაზმელთა შემოსევებმა ჩაშალა.

ყველა შემთხვევაში, ისეთი სერიოზული პრობლემის გადაწყვეტისას, როგორიცაა ჩვენი სიმბოლიკა, ისტორიული სიზუსტის ნაცვლად ზღაპრების მოყოლა ყოვლად დაუშვებელია. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთმა გაზეთმა მაგალითად მოიტანა ყველასთვის ცნობილი ფაქტი, რომ ქართველები შედიოდნენ იერუსალიმში გაშლილი დროშებით, მაგრამ დაუმატეს „სიახლე“, რომ ჰქონდათ უფლება ხუთჯვრიანი დროშებით შესვლისა. ეს ყოვლად არაკომპეტენტური განცხადებაა. ქართველებს მართლაც ჰქონდათ ფატიმიანთაგან, აიუბიანთაგან და მამლუქი სულტნებისაგან ბოძებული პრივილეგიები: ჩვენ იერუსალიმში შევდიოდით ცხენებზე ამხედრებულები, იარაღასხმულნი, გაშლილი დროშებით, და რაც მთავარია, არ ვიხდიდით გადასახადს წმინდა ქალაქში შესვლისას. მაგრამ ვინ თქვა, რომ ამ დროშებზე ხუთი ჯვარი იყო გამოსახული? ან ერთი წამით დავუშვათ, რომ იყო გამოსახული, მაშინ ვინ თქვა, რომ ეს ჩვენი სახელმწიფო დროშები იყო და არა – იერუსალიმის ხუთჯვრიანი დროშები, რომლებიც ქართველებს წმინდა ქალაქში შესვლისას სხვა დროშებთან ერთად შეიძლებოდა სჭეროდათ ხელში?

საბოლოოდ, წერილობით წყაროებში ქართულ დროშებზე ხუთჯვრიანი კომპოზიცია არსად ჩანს, ეს ფაქტია. ერთ ჯვარზე თეორიულად კიდევ შეიძლება მსჯელობა (ქრისტიანული საქართველოს დროშებზე ჯვრის არსებობის გამორიცხვა კატეგორიულად, რა თქმა უნდა, არ შეიძლება), მაგრამ მთავარი ისაა, რომ, როგორც ვთქვით, ქართულ დროშაზე ხუთჯვრიანი კომბინაციის არსებობის დამადასტურებელი ცნობა არსად არ მოიპოვება. გარდა ამისა, ზემოთ მითითებული არცერთი შემთხვევა (რომელშიც ხუთი ჯვარი მაინც არ ჩანს) არ გვიჩვენებს, რომ სადმე ლაპარაკი იყოს სწორედ ქვეყნის, სახელმწიფოს დროშაზე (დროშა ბევრნაირი და სხვადასხვანაირი არსებობდა და არსებობს) და ბოლოს, ევროპულ პორტულანებზე, როგორც ითქვა, აღნიშნული ხუთჯვრიანი დროშები მთელ რიგ ქალაქებზეა აღნიშნული და ამიტომ ყველაფერი შეიძლება იყოს, გარდა საკუთრივ ქართული სახელმწიფო დროშისა.

მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ ყოველივე ამის გვერდით, რაც ასე ბუნდოვანია და დაუდგენელი, ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი, ქართული ტრადიცია, რომელიც საკითხს პირდაპირ და არა მინიშნებით ხსნის.

თეიმურაზ ბაგრატიონი ამტკიცებს, რომ ქართველი „მეფენი მარადის დროშასა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა ამის მთავარ-მოწამისა გიორგისასა“. რა გვინდა ამაზე მეტი? რომელი ინფორმაცია შეიძლება იყოს ამაზე ზუსტი? არცერთ ერს, არცერთ ქვეყანას საკუთარი ფაქტოლოგია არასოდეს არ უარუყვია. არც ჩვენ გვაქვს ამის უფლება. ყველა შემთხვევაში, ჩვენ არ გვაქვს უფლება მივანიჭოთ უპირატესობა უცხოურ წყაროებს (თუნდაც საეჭვოს, თანაც პირდაპირ არაფრისმთქმელს) და არა ქართულ ტრადიციას. ეს ტრადიცია პირდაპირ გვეუბნება, რომ ქართულ სეფე დროშაზე გამოსახული იყო საქართველოში ყველა დროში განსაკუთრებული პატივისცემით მოსილი წმინდანი.

უფრო მეტიც, მხედრობის ჩაფხუტებზეც და საჭურველზეც იგივე წმინდანი იყო გამოსახული. თანაც, იმავე თეიმურაზის ცნობით, წმიდა გიორგის გამოსახულებიანი დროშა ქართველებს წმიდა ნინომ განუწესა. აი, ასეთი გრძელი და მყარი ტრადიცია აქვს ქართულ დროშაზე წმ. გიორგის გამოსახვას. ეს ვერსია, რომელსაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უცხოური წერილობითი წყაროებიც ადასტურებენ, ჯერჯერობით ყველაზე უფრო სარწმუნო ჩანს, გაცილებით უფრო სარწმუნო, ვიდრე ხუთჯვრიანი დროშის ვერსია.

თეიმურაზ ბატონიშვილი ნამდვილად უნდა მივიჩნიოთ იმ ავტორად, რომელიც მოცემული საკითხის არსში გათვითცნობიერებული იყო. საქმე ისაა, რომ მან იცოდა და აღნიშნავს კიდეც, რომ 1811 წ., როდესაც ახალციხესთან თურქებთან ომში რუსებმა და ქართველებმა ტორმასოვის მეთაურობით მარცხი განიცადეს, თურქებმა ხელთ იგდეს „ბივრაყი დავით აღმაშენებლისა“, რომელიც თან ჰქონდათ იმერლებს. ძნელია იმის დაჯერება, რომ თეიმურაზმა, რომელმაც იცოდა „დავითიანი“ დროშის დაკარგვის ამბავი, არ იცოდა, რა იყო მასზე გამოსახული, ხუთი ჯვარი, თუ წმ. გიორგი?! მან იცოდა, რომ XIX ს-ის დამდეგს ბუნებაში არსებობდა დავით მეფის დროშა. მეორე მხრივ, მან იცოდა, რომ ეს დროშა დაიკარგა თურქებთან ბრძოლაში. მესამე მხრივ, წარმოუდგენელია, რომ, როდესაც აღწერდა საქართველოს დროშას, მან არ იცოდა ზუსტად, როგორი იყო იგი.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობის უგულებელყოფა კიდევ უფრო გასაკვირია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მას ამაგრებენ უცხოელი ავტორები.

პილიგრიმი იოანე ფონ კოტოვიკუსი 1598 წ. წერდა: „ქართველები (გეორგიანები) გიორგი მთავარმოწამეს (რომლის სახელით თავიანთთვის ეროვნულ სახელადაც კი აქვთ შეთვისებული) უაღრეს თაყვანს სცემენ და სხვა წმინდანებზე მეტად განსაკუთრებით სცემენ პატივს, თავის მფარველადაც (პატრონადაც) მიაჩნიათ, (ადიდებენ) და სამხედრო დროშებზე დახატული მისი სახე ყოველთვის დააქვთ“.

ქართული დროშის სიმბოლიკასთან დაკავშირებით ი. კოტოვიკუსი (კოტოვიჩი) პირველად დაიმოწმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც ასევე პირველად და მხოლოდ ამ ავტორზე დაყრდნობით გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართულ დროშაზე (დროშებზე) სწორედ წმ. გიორგი იყო გამოსახული. ეს თვალსაზრისი არაერთმა მკვლევარმა გაიზიარა. სამწუხაროდ, ამჟამად, ვფიქრობ განგებაც, სიმბოლიკასთან დაკავშირებული მსჯელობისა და დისკუსიის დროს, ეს შეხედულება რატომღაც მეორე პლანზე გადავიდა.

კოტოვიკუსის ცნობა არ არის ერთადერთი უცხოური ინფორმაცია. დამატებით დავიმოწმებთ ფრანც ფერდინანდ ტროილოლელის 1717 წლის ცნობას, რომელიც ასევე საყურადღებოა ქართული სიმბოლიკის შესასწავლად. ამ ცნობით, „ქართველები დიდ თაყვანს სცემენ წმ. გიორგის და ერთგულნი არიან მისი, ყოველ დროშაზე აქვთ მისი გამოსახულება“. აქ განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია გამოთქმა – „ყოველ დროშაზე“.

პილიგრიმული ლიტერატურის ჩაღრმავებულმა შესწავლამ შესაძლოა კიდევ სხვა არაერთი ანლოგიური ცნობა გამოავლინოს, მაგრამ ის, რაც ჩვენს ხელთაა, აშკარად მიუთითებს, თუ რა გამოსახულება იყო ქართველთა დროშებზე.

ერთი სიტყვით, საკითხი ძალიან სერიოზულია, არასერიოზულ მიდგომას და ხელის ერთი დაკვრით გადაწყვეტას ვერ იტანს. არასერიოზულია, მაგალითად, იმათი პოზიცია, ვინც მიიჩნევს, რომ ხუთჯვრიან დროშას ალტერნატივა არა აქვს და ოპონენტი არ მოეპოვება.

ორიოდე სიტყვა გერბის შესახებაც. როგორც ჩანს, აქაც სერიოზული დაფიქრებაა საჭირო, რადგანაც ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ იმის მიხედვით, რასაც გვთავაზობენ, ჩვენ აღვადგენთ არა საქართველოს სახელმწიფოს, არამედ ბაგრატიონთა დინასტიის საგვარეულო გერბს. ეს კი ორი სრულიად სხვადასხვა რამაა, თანაც – პრინციპულად სხვადასხვა.

გერბების შემოტანა, საერთოდ, ჯვაროსანთა ეპოქას უკავშირდება. არავინ იცის, როდის მოხდა ეს საკუთრივ საქართველოში (საუკეთესო შემთხვევაში, XII საუკუნეზე ადრე ვერ მოხდებოდა). პირველი ქართული გერბი დაფიქსირებულია XVII ს. მეორე ნახევრის უცხოურ წყაროებში. XVIII ს-ში ქართული სამეფო-სამთავროების გერბები მოგვცა ვახუშტი ბატონიშვილმა.

ვახუშტის მიერ დასახელებული გერბებიდან ერთზე წმ. გიორგი განგმირავს გველეშაპს – მოტივი, რომელიც შემდეგში რეალიზებულია დემოკრატიული საქართველოსა და საქართველოს რესპუბლიკის გერბში.

ვახუშტი ასახელებს სხვა გერბსაც – „სამეფო კვართიან-დავითიანს“. რამდენიც უნდა გვარწმუნონ, რომ ეს არის ერთიანი საქართველოს გერბი, ფაქტია, რომ ის მინიმუმ ბაგრატიონთა საგვარეულოს გერბიცაა (მაქსიმუმ – არ არის სახელმწიფო გერბი). ამაზე პირდაპირ მიუთითებს დასახელება – „დავითიანი“, დავითის ჩანგი და ქრისტეს კვართი.

გარდა ამისა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ თეიმურაზ ბაგრატიონი: „მეფენი მარადის დროშასა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა ამის მთავარ-მოწამისა გიორგისასა“.

ყველა იმ მონაცემის საფუძველზე, რომელსაც სადღეისოდ ფლობს მეცნიერება, კორექტულია შემდეგი იდეის ფორმულირება:

როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო დროშაზეც და გერბზეც გამოსახული იყო წმიდა გიორგი.

ბაგრატიონების უდიდესი როლი ქართველი ერის წინაშე ყველასათვის ცნობილია და ყველას მიერ აღიარებული, საქართველოს, ანუ ერთიანი საქართველოს, შექმნა მათი დამსახურებაა. ჩვენთვის უძვირფასესი ოქროს ხანა ჩვენი ისტორიისა, აგრეთვე მათი დამსახურებაა.

ამ დამსახურებათა, აგრეთვე ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომავლობის ლეგენდის წყალობით, რვა საუკუნის განმავლობაში ფაქტობრივად არც ყოფილა მცდელობა სხვა გვარის წარმომადგენლის, თუნდაც უფრო ნიჭიერი და ღირსეული ადამიანის, ტახტზე აყვანისა.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ, როგორც ყველაფერს, სამეფო დინასტიებსაც აქვთ აყვავებისა და დაცემის ხანა. უფრო მეტიც, მათ აქვთ აღსასრულის ხანაც.

XIX საუკუნის დამდეგისათვის ბაგრატიონებმა ამოწურეს თავიანთი პოლიტიკური პოტენციალი (კანონზომიერი შედეგი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის სრული დაკარგვა). ბაგრატიონთა შთამომავალთა უმრავლესობამ სრულიად უმტკივნეულოდ დაასრულა ცხოვრება ხელმწიფე-იმპერატორის სამსახურში. შემთხვევითი არაა, რომ მაშინ, როცა აღდგა ქართული სახელმწიფოებრიობა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, ბაგრატიონები არც კი გახსენებიათ საქართველოში და, რაც მთავარია, და, რაც საოცარია, არც უცხოეთში გაფანტულ ბაგრატიონებს გახსენებიათ მკვდრეთით აღმდგარი საქართველო. შეიძლება ვცდებით, მაგრამ არ გვახსოვს, რომელიმე მათგანს მოელოცოს საქართველოსათვის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

უნდა ვაღიაროთ რეალობა: ბაგრატიონთა, როგორც მუდმივ ლიდერთა, წასვლა საქართველოს პოლიტიკური სცენიდან ისტორიამ უკვე აღიარა, უკვე ჩაიბარა. ჩვენ გვრჩება აღიარება აღიარებულისა, ხოლო აღდგენა იმისა, რისი აღდგენაც არ შეიძლება, სრულიად უაზრო საქმეა.

აღდგენა შეიძლება სახელმწიფოებრიობისა და ჩვენ იგი გამოვაცხადეთ 1918 წელს და აღვადგინეთ 1991 წელს.

შემოტანა „სამეფო კვართიან-დავითიანი“ გერბისა, ნებსით, თუ უნებლიეთ, ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენის მცდელობაა და არა ქართული სახელმწიფოს სიმბოლიკისა.

ჯერ ერთი, ვკითხოთ ქართულ საზოგადოებას, სურს თუ არა მას ეს. შემდეგ დავფიქრდეთ, ხომ არ მოჰყვება ამას სამეფო კარის არასამართლებრივი აღდგენა, შემდეგ – ფეოდალური არისტოკრატიული გვარების პრივილეგიების აღდგენა...

ყველაფერი ეს არასამართლებრივი, არც მეტი, არც ნაკლები, ანაქრონიზმია.

ვინ ვინ და ივანე ჯავახიშვილმა (რომლის მოხსენების საფუძველზეც 1918 წ. აგვისტოში საქართველოს ეროვნული საბჭოს კომისიამ დაადგინა საქართველოს გერბის სახე) კარგად იცოდა, რომელ ტრადიციას უნდა დაყრდნობოდა ქართული სახელმწიფოს სიმბოლიკის შექმნა. გერბისათვის ეს არის ჩვენი უპირველესი წმინდანი, წმ. გიორგი. დროშისთვის ეს არ არის ხუთჯვრიანი მოტივი. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილი საერთოდ ქართული დროშისთვის წმ. გიორგის გამოსახულებას ვარაუდობდა.

ამ დროისათვის, მიმზიდველი იყო თანამედროვე სამართლებრივი იდეა სამფეროვანი დროშისა. ამ შემთხვევაშიც, დროშის შექმნისას (ავტორი – ი. ნიკოლაძე) გათვალისწინებულ იქნა ივ. ჯავახიშვილისა და ე. თაყაიშვილის კონსულტაციები. სხვათა შორის, წითელის (შინდისფერის) შეხამება შავთან, რაც ასე არ მოსწონთ ოპონენტებს, თურმე არ იყო უცხო ჩვენი წარსულისთვის.

თუ ჩვენ გვჯერა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გარკვეული თვალსაზრისით ქართულ სინამდვილესაც ასახავს, უნდა მივაქციოთ ყურადღება სიტყვებს: „ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა“. დროშები ფერთა ასეთი შეხამებით არ არსებობდა ჩვენს მეზობელ არც ისლამურ სამყაროში, არც ბიზანტიაში.

ამიტომ, იქნებ, დავჯერდეთ იმას, რაც გვაქვს და რაც ნამდვილად ვიცით. ჩვენ კი ნამდვილად ვიცით, რომ გვყავს უშუალო წინაპარი – 1918 წელს გამოცხადებული და 1991 წელს აღდგენილი ერთიანი საქართველოს სახელმწიფო.

ამრიგად, აჯობებს დავიცვათ ის ტრადიცია, რომელიც ჩვენთვის ზუსტადაა ცნობილი. ამ ეტაპზე ეს გაცილებით უფრო ლოგიკურია და, პარალელურად, გავარკვიოთ მეცნიერულად, როგორი იყო უფრო ადრე ჩვენი სიმბოლიკა, რათა მოვამზადოთ რეფორმა, თუ ეს აუცილებლად მიგვაჩნია. ყველა ეს განცხადება კატეგორიული არ არის, თუმცა, მზად ვართ დავიცვათ ყოველი მათგანი, მაგრამ კატეგორიულია აზრი იმის შესახებ, რომ ისეთი სერიოზული საქმის განხორციელება, როგორიც ახალი სახელმწიფო სიმბოლიკის შექმნაა, ზედმიწევნით ცოდნას უნდა დაეყრდნოს.

ჩვენ ასე არა მარტო მეცნიერებისა და ჩვენი ისტორიის წინაშე ვიქნებით ზნეობრივნი, არამედ ჩვენი სახელმწიფოს მომავლის წინაშეც.

უმნიშვნელოვანესია ასევე დროშის ფერთა შეხამებაც. ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა საკმაოდ დიდი ექსკურსის გაკეთება ფერთა შინაგანი ცხოვრების სფეროში – ფერთამეტყველებაში (ძირითადი წყაროებია – გოეთეს „ფერთა თეორია“, ვასილ კანდინსკის უმშვენიერესი გამოკვლევა „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“, რომელშიც საკმაოდ ვრცლადაა გაანალიზებული ფერთამეტყველების უღრმესი საკითხები და პრობლემები, ძალზე ვრცელ ინფორმაციას შეიცავს დიდი ქართველი მეცნიერის ვიქტორ ნოზაძის გამოკვლევა „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“ და ა.შ.). ამიტომ ამ რთული განხილვისაგან ამჯერად აჯობებს თავი შევიკავოთ და მცირედით დავკმაყოფილდეთ, რამეთუ, ეს მცირედი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი ცოდნაც კი გვაგებინებს ფერის შინაგან სიმბოლიკასა და სიცოცხლისუნარიანობას, ამასთან ერთად, იგი გვიხსნის კარს ადრეული საუკუნეების სამართლებრივ სიმბოლურ ფერადოვნებათა კოსმოგონური მნიშვნელობების შეცნობისათვის. ფერთამეტყველებაში გასარკვევად, პირველ რიგში, საჭიროა პირადი გამოცდილება, დაკვირვება ფერთა შინაგანი ცხოვრების კანონზომიერებასა და პრინციპებზე.

შესაძლებელია ითქვას, რომ სწორედ ამ შინაგანი კანონზომიერების აღმოჩენით და შემეცნებით გვეძლევა საშუალება, შევიცნოთ ძველი რელიგიური წარმოდგენების მიხედვით ფერთა ფარული მნიშვნელობებიც კი.

საერთოდ, ფერებს წარსულში ურთულესი და უღრმესი მნიშვნელობები ჰქონდა, ფერი რეალურად გამოხატავდა ადამიანთა მსოფლმხედველობის გაგებას, იმ ეპოქაში არსებულ წარმოდგენებს, როცა ფერი აღიქმებოდა როგორც სულიერი სამყაროს წარმოგზავნილი, გზის მაჩვენებელი არსება.

ფერები ეწევიან ძალზე კონკრეტულ ცხოვრებას და თან ერთმანეთთან ურთიერთობას აგებენ მორალური ურთიერთკონტაქტის პრინციპზე.

დროშა, უფრო ზუსტად კი ალამი, ამდაგვარად ბაირაღიც, თავისი განსაკუთრებული კანონით იქმნება. იგი უნდა გამოხატავდეს ზუსტად იმ მნიშვნელობას ნიშნითა და ფერით, როგორიც აქვს კონკრეტულ რეალობას კონკრეტულ შემთხვევაში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა თავის ფერადოვნებით უძველესი და უღრმესი ქართული კოსმოგონიის ფერადოვანი ინტერპრეტაცია გახლავთ.

ამ უძველეს კოსმოგონიაში მხატვრულ ფერთა სივრცეში გამოჰყოფდნენ სამ ვერტიკალურ და სამ ჰორიზონტალურ შრეს.

ჰორიზონტალური შრეები იყო ქვეყანა (ქვესკნელი) – შავი, ყანა (სკნელი) – წითელი და ზეყანა (ზესკნელი) – თეთრი. ვერტიკალური ორიენტაცია ტონალური გახლდათ, ე. ი. სინათლე–სიბნელის პრინციპით. უკანასკნელი – (მუქი ფერი), სკნელი – წითელი და წინასკნელი – (ღია ფერი).

საქმე გვაქვს ჯვრულ კომპოზიციურ გადაკვეთასთან, სადაც მხატვრობისათვის ვიზუალობის თვალსაზრისით ჰორიზონტალური შრე გამოიყენება. ვერტიკალური შრე, უფრო დროითი პრინციპის მაჩვენებელია, ვიდრე სივრცობრივის და ამიტომაც იგი თავისი ფერადოვნება–შინაარსით, დემოკრატიული რესპუბლიკის დროშაში არ შესულა.

ასე რომ, ეს დროშა ჰორიზონტალური ორიენტაციის ფერადოვან პრინციპზეა აგებული – შავი – ქვესკნელი – წარსული, წითელი შინდისფერი – სკნელი – აწმყო, თეთრი – ზესკნელი – მომავალი.

სავარაუდოდ, ასეთი უნდა ყოფილიყო ფერთა შინაგანი მაგიური ურთიერთობა, ლოგიკური განვითარება – მდებარეობის თვალსაზრისით. ფერებს საოცარი სიცოცხლისუნარიანობა ახასიათებს. მათი ადგილმდებარეობა, ურთიერთდამოკიდებულება საკომპოზიციო სიბრტყეზე ფატალურადაც კი მიუთითებს ძირითად საარსებო პრობლემებზე. ასე, რომ ფერთა ჟღერადობა–სიმბოლიკა, ფერთა მაგიის საშუალებით გვიჩვენებს რეალობას და შეიძლება ითქვას, რომ განსჭვრეტს მომავალსაც კი.

ზოგიერთი მხატვრის აზრით, თუკი ფერებს გადავანაცვლებთ ისე, როგორ ეს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშაზეა მოცემული და მხოლოდ კვადრატზე სიბრტყის შეკვრისა და კომპოზიციური განაწილების პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ანგარიში აღარ გაეწევა ფერთა შინაგან ლოგიკას, ძირითადი აქცენტი ლაქათა მდგომარეობასა და სიბრტყოვან სიმყარეზეა გადატანილი. ასე, რომ შავი – ის, რაც უნდა იყოს საფუძვლად, გადადის ზევით და კეტავს თეთრს, ფაქტიურად, სულიერ საწყისსა და მომავალს, რადგანაც კომპოზიციური თვალსაზრისით, იგი მოზრდილი შინდისფერის მარცხენა კუთხეში არ ამართლებდა თავის შესაძლებლობებს, იკარგებოდა. რაც შეეხება წითელს, წითელი შინდისფერი ხდება და ამდენად იქცევა ნახევარტონად. ამიტომ მისი შინაგანი ცხოვრების უნარი უფრო რთულია და კონკრეტულ შემთხვევაში რელიგიურ ჟღერადობასა და ასპექტს იძენს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ფერადოვანი შინაარსის თვალსაზრისით, შავი თრგუნავს თეთრს, შინდისფერი კი მოიცავს ყოველივეს, რადგანაც მისი სიღრმობრივი მნიშვნელობა სწორედ განწმენდილი, ტანჯვისაგან განწმენდილი სისხლის ფერია. აქედან გამომდინარე, მათივე აზრით, შეგვიძლია ავხსნათ, რომ ის, რაც დამოუკიდებელ საქართველოს და მისთვის მებრძოლთ თავს გადახდებათ ხოლმე, ერთგვარი წინასწარგანჭვრეტითაც კი მოცემული გახლავთ ამ დროშის ფერთა კომპოზიციურ წყობაში. შავი – აყვანილი სიბრტყის უმაღლეს არეში, როცა მას ესაზღვრება პირდაპირ თეთრი, არ ერწყმის შინდისფერს, სადაც იგი დაითრგუნებოდა. შავი თავად თრგუნავს თეთრს – ფაქტობრივად იგი თრგუნავს სულიერებასა და მომავალს.

თუმცა, აგერ გერმანიის დღევანდელი დროშაც ზემო არეში შავით იფარება და ამის გამო გერმანიას არაფერი დაკლებიაო. გერმანიას ნამდვილად არაფერი დაკლებია, რადგანაც ამ შემთხვევაში ფერები მართლაც განსხვავებულად არის განაწილებულიც და, რაც მთავარია, სულ სხვა ჟღერადობის ფერებია მოცემული შავის გვერდით. თუ ჩვენ გავიხსენებთ იმ ცეცხლოვან ფერადოვნებას, რომელიც მოცემულია გერმანიის დროშის ქვევითა ორ ნაწილში, მივხვდებით, რომ დომინანტი აქ არ არსებობს, წითელიც და ყვითელიც თავისი არსით აქტიური და ძირითადი ფერებია. ერთად აღებული ეს ფერები ძლიერი ნებელობის გამომხატველია და ერთად მოცემული განასახიერებს გონიერებასა და სიყვარულს.

თუ გოეთესეული შკალის მიხედვით ვიმსჯელებთ, ყვითელი ყველაზე მეტი სინათლის მატარებელია ფერთა შორის, რადგანაც თეთრი ამ შემთხვევაში ფერი კი არა, თვით სინათლეა, ე. ი. ყვითელი თეთრთან ახლოა.

ყვითელი და წითელი მშვიდი ჰორიზონტალური დენადობით უდგას შავს, რომელიც თავისი არსით ყოველგვარი ფერის საწყისს და საფუძველს წარმოადგენს, ე. ი. საქმე პირდაპირ კონტრასტთან კი არ გვაქვს, რომელიც კლასიკურ ვარიანტში შავით და თეთრით გამოიხატება, არამედ ფერთა შინაგანი პრინციპის ლოგიკურ განვითარებასა და განხორციელების პროცესთან. შავი უფერობა – ამ შემთხვევაში სინათლედ გადაიქცა, ყვითელში წითლის საშუალებით და შემდგომ უფრო ქვევით პერსონიფიცირებული სახით წარმოგვიდგა. ეს არის ფერთა განვითარების გოეთესეული სისტემის რეალური ვარიანტი.

ამიტომაც, გერმანიის დროშა აღიქმება ზემოდან ქვევით და ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იგი აღიქმება ზემოდან ქვევით ჰორიზონტალური ზოლები ბოლომდეა გავლებული, ე. ი. ფერთა ნებელობითი ძალა სრულად არის გამოვლენილი ერთმანეთის მიმართებაში. ეს ყოველივე ნამდვილად გამოხატავს რეალურ სიმბოლოს, ე. ი. ამ დროშის მიხედვით კოსმიური, მარადიული ჭეშმარიტება, სულის ღამე, იდეათა სამყარო შავის სახით კონკრეტდება ინდივიდუალურ ნათელში, წითლის გზით ყვითელში და არა თეთრში და შემდგომ ხორციელდება ყოფიერებაში. ასე რომ, გერმანიის დროშის იდეური ფერადოვანი დევიზია – „იდეა–ყოფიერებაში“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა კი, რაღა თქმა უნდა, აბსოლუტურად სხვა კომპოზიციური და ფერთა მნიშვნელობის პოზიციითა შედგენილი.

დროშა ფერთა ამ წყობით დიდი ბრძოლების და ტანჯვების – თითქმის წამების სიმბოლოდ აისახება, ალბათ ამიტომაცაა, რომ იგი ქართველების დიდ სიყვარულს იმსახურებს. თან, ამასთან ერთად, დროშა არამარტო კულტურულ–ესთეტიკური ფენომენია, არამედ იურიდიული ფაქტიც გახლავთ. ეს დროშა თავისუფალი ქვეყნის პარლამენტმა – ეროვნულმა საბჭომ მიიღო 1918 წელს და მისი მოხსნისა და შეცვლის უფლება ისევ და ისევ ამავე იურიდიული უფლების სამართლებრივ და ლეგიტიმურ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოს აქვს. ფერთა ეს წყობა და ურთიერთდაკავშირება ძალზე ზუსტად წარმოგვიდგენს იმ კოლიზიებს, ბრძოლებს და ტანჯვებს, რაც ქართველ ერს თავისუფლებისათვის ბრძოლაში განუცდია.

სულ სხვა, უარყოფითი ენერგიის მატარებელია საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის დროშა. ამ დროშით მშვენივრად ჩანს ყველაფერი, რაც საქართველოს მისი ფრიალის ქვეშ თავს გადახდა. ფერთა მაგია და შინაგანი ცხოვრება ყოველივეს საოცრად ზუსტად აშიშვლებს და აკონკრეტებს.

მზე არ შეიძლება, რომ ლურჯი იყოს. თავისი არსით ლურჯი მზე – ტყუილი მზეა, იგი მოჩვენებაა და კვდომას განასახიერებს. მზე რეალურად მანათობელი ფერია, ე. ი. ის გამოისახება როგორც მანათობელი ფერი – ყვითლის სახით. ყვითლის ბუნება არის ნათება. იგი განიფრქვევა სივრცეში, ხოლო გულში მკვრივდება და მყიფდება. რაც უფრო ვრცლად გაშლილია ყვითელი, მით უფრო ცოცხალია იგი. რაც უფრო შემოსაზღვრულია ყვითელი, მით უფრო ქრება და კვდება. ყვითელი ფერის აბსოლუტურ შინაგან და შინაარსობრივ კონტრასტს თავისი ზემოქმედებითა და ხასიათით განასახიერებს ლურჯი. ლურჯი – ვერ იფრქვევა და არც კი შეუძლია, რომ განიშალოს. იგი თავიდანვე მოცემულია და ზღვრულია. იგი ცდილობს თავის თავში ჩაკეტვას და ჩახვევას.

საერთოდ ეს თვისება მისი ძირითადი ფუნქციაა. გავიხსენოთ თუნდაც ცა – ლურჯი და მასზე ყვითელ-ოქროსფერი მზე. ყვითელი ასხივოსნებს, ლურჯი კი, პირიქით, შიგნით სიღრმეში გვიტაცებს. სწორედ ეს ანტიმზეა გამოსახული საბჭოთა დროშაზე. იგი ფერადოვნების მნიშვნელობით სიკვდილისა და დეგრადაციის სიმბოლოა. წითელი ფერი აქ მხოლოდ ხაზს უსვამს სინათლის კვდომის მნიშვნელობას, ხაზს უსვამს მომავლის უქონლობას. ფერთა სიმბოლო არც აქ გვატყუებს, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ კარგად უნდა დავუფიქრდეთ ამ მნიშვნელობებს, რადგანაც მათ მიღმა რეალური სულიერი ძალა დგას.

დემოკრატიული რესპუბლიკის დროშის შემთხვევაში კი, შინდისფერი იძენს ამაღლებულ მნიშვნელობას იმდენად, რამდენადაც ვნებათაგან დაცლილი, ნახევარტონად ქცეული ფერია და სულიერებაზე მიანიშნებს.

ქართულ დროშებს შორის ფერადოვანი და კომპოზიციური თვალსაზრისით, სულ სხვა მნიშვნელობისა ე. წ. ვითომ „გორგასლიანი“ დროშის შემორჩენილი ვარიანტი, თეთრ ფონზე წითელი (და არა შინდისფერი) დიდი ჯვრითა და ოთხი პატარა ჯვრით. კომპოზიცია აქ ძირითად ვოთომ ხატობრივ ფუნქციას იღებს თავის თავზე, თითქოს მძლავრ ფუნქციებს ანიჭებს ფერებს და ნიშნებს და ამით მატებს მოჩვენებით სახოვან დამაჯერებლობას. ამ დროშის სიმბოლური გაშლა სწორედ ასეთი კომპოზიციური ნიშნით თუ შეიძლება.

მიმდევართა აზრით, იგი განასახიერებს სამყაროს ოთხ განზომილებას, ოთხ მფარველ ანგელოზურ ძალას და თითქოს რეალური მხატვრული ზემოქმედების უნარიც გააჩნია. მათი შეხედულებით, თვით ფერთა მეტყველების პოზიციიდან გამომდინარე, ის, რაც დატანილია თეთრ სიბრტყეზე, ეს დროშა თავისი წყობით, მხატვრულ-ფერადოვანი თვალსაზრისით, თითქოს მართლაც გამოხატავს „გორგასლისეულ“ იმპულსს, რომელზეც საუბარია „ქართლის ცხოვრებაში“. დროშაზე რეალურად არის ტრანსფორმირებული ცეცხლის სიმბოლო ჯვრად. ტრანსფორმირება ხდება სწორედ იმ ცეცხლთაყვანისმცემლობის იმპულსისა, რომელიც მძაფრად მოქმედებდა სწორედ ვახტანგ გორგასლის პერიოდში და რომელსაც მეფე თავდაუზოგავად ეწინააღმდეგებოდა. ამ დროშის სახით თითქოს მოცემული გვაქვს ძლევისა და გამარჯვების, ჭეშმარიტების გამარჯვების სიმბოლო, რომელსაც ანგელოსური მფარველობის უნარიც გააჩნია და ამ ნიშნით ხაზგასმულია ერთგვარი დაპირისპირება ქრისტიანულსა და ზორიასტრულ სამყაროს შორის, სადაც ხდება ცეცხლის ტრანსფორმირება ქრისტიანული ჯვრის ხატში. ვერაა ბოლომდე დამაჯერებელი, რომ თეთრი ნათელია, კოსმიური ნათელი, მარადიული სინათლე, ხოლო წითელი, მუქი წითელი ცეცხლოვანი ჯვარი – ეს ყოველივე მარადიული სიცოცხლის, კოსმიური გამარჯვების სიმბოლური სახეა, ეს ყოველივე კი მხოლოდ ფერთა ჭრილის თეორითაა მხოლოდ განსახიერებული.

საქართველოს ისტორიამ მრავალი სხვადასხვა დროშის ტიპი იცის, განსაკუთრებით გამოყოფის ღირსია ასევე ჩალისფერი ალმები, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს ხაზგასმული, რომ ისეთი მებრძოლი იმპულსისა და ძალისხმევის დროშა, რომელიც ამასთან ერთად ძალზე თანამედროვედ ჟღერს ფერში და თან მეტად ზუსტად გამოხატავს იმ სულისკვეთებას, რომელიც ესაჭიროება ქართველ ერს დღეს, რაღა თქმა უნდა, ზემოთ განხილულ სამართლებრივ, ლეგიტიმურ და კანონიკურ სივრცეში ახლიდან შესაქმნელია, რომელიც ასევე თავისი კომპოზიციურ-ხატოვანებითა და ფერადოვნებით, არც ერთ დროშას არ უნდა ჩამოუვარდებოდეს თანამედროვე მსოფლიოში და თან თავისი დამაჯერებელი ხატოვნებით, ძალზე იოლად უნდა ამახსოვრდებოდეს ადამიანს. ამავდროულად, თანამედროვე ახალი დროშა, ტრადიციის გათვალისწინებასთან ერთად, არ უნდა იყოს რთული დასახატი, უნდა იყოს ძალზე ლაკონური ხატოვანებისა და შინაარსობრივადაც ზუსტი. ფერითი თვალსაზრისით დროშას დღეს ასევე უნდა ჰქონდეს რაიმე კონკრეტული სამართლებრივი და შინაარსობრივი ფერი.

სწორედ ასეთი დროშა ჩაითვლება როგორც მხატვრულ-იდეური თვალსაზრისითაც ძალზე თანამედროვედ ჟღერადი და ყველანაირი თვალსაზრისითაც გამართლებული.

ამრიგად, სამართლებრივად და ლეგიტიმურად ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის ყოველმხრივ მართებულად ჩაითვლება სწორედ ესეთი ერთადერთი მისაღები და მნიშვნელოვანი სახელმწიფო დროშა და მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღდგება სამართალმემკვიდრეობა და ლეგიტიმურობა საქართველოში.

საქართველოს რესპუბლიკის გერბი

1918 წლის 10 სექტემბერს, ხელოვნების კომისიის მიერ წარდგენილი კანონპროექტის საფუძველზე, ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის დროშისა“, რომელშიც აღნიშნული იყო:

საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელის (შვინდის ფერის), შავის და თეთრის ფერისა; 2) დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბირთვითა და შუბის წვერით, ალამი წითელი (შინდის ელფერისა) შავი და თეთრი თანასწორი ზოლებით ზემო კუთხეში ბუნთან; შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს“.

სწორედ ამ დროშას სცემდნენ თაყვანს პატრიოტი ქართველები და სწორედ ამ დროშისათვის სწირავდენ ისინი თავს. დროშას ხომ, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, „ყოველი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის – არამც თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი სიცოცხლეს არ ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია“.

სამფეროვან დროშას იმთავეთვე დიდი სიყვარული ერგო. სწორედ ის აცისკროვნებდა დამოუკიდებელი საქართველოს ცას XX საუკუნის შფოთიან საუკუნეში 1918–1921 და 1990–1991 წლების ლეგიტიმურ პერიოდებში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა უცვლელი სახით აღადგინა 1990 წლის შემოდგომაზე საქართველოში გამართული მრავალპარტიული არჩევნების შედეგად არჩეულმა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ. დროშის ეს ვარიანტი, 1991–1993 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდგომაც, მართალია არალეგიტიმურად, მაგრამ მაინც, 2004 წლის 4 იანვრამდე გამოიყენებოდა, როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშა. 2004 წლის 4 იანვარს, ასევე არალეგიტიმურად, დამტკიცდა საქართველოს ახალი სახელმწიფო დროშა – თეთრ ფონზე გამოსახული მეწამული ჯვარი ოთხი მცირე ჯვრით.



საქართველოს რესპუბლიკის გერბი

საქართველოს რესპუბლიკის გერბი შემოღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით 1990 წლის 14 ნოემბრის „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის საფუძველზე, რომლითაც არსებითად აღადგინეს 1918–21 წლებში არსებული სახელმწიფო გერბი.

1990 წლის 28 დეკემბერს მიღებულ იქნა „საქართველოს სახელმწიფო გერბის დებულების დამტკიცების თაობაზე“ კანონი, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის გერბის აღწერილობა და გამოყენების წესი:

> საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ოქროსფერი ჩუქურთმით შემოსაზღვრული შვიდქიმიანი ვარსკვლავი, რომელსაც ორნამენტში ქიმების გასწვრივ ჩაწნული აქვს შვიდი შავარშიანი თეთრი ბოლნური ჯვარი. როგორც ჯვრების, ასევე ვარსკვლავის ქიმების შიდა ველები ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).
>
> ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზეც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი უპყრია, ხოლო მარცხენაში – ოქროსზოლიანი ფარი. თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წაღები, შემოსილია ვერცხლისფერუჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით, ჯავშნის ქვეშ მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი. თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი, უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი – ვერცხლისა. თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ – ოქროსფერი მზე, მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.
>
> თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი.



თემა მოამზადა ნუკრი ბაღდავაძემ

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ თავმჯდომარე 2013 – 2017 წლებში

* * *

„ტყე. დიდი ცეცხლი. ცეცხლთან მეღორეები, ტყის მცველები და ჩვენ. ერთი ტყისმცველი ყვება ჭიქით ხელში:

– სპარსელებმა, თათრებმა რა, ვაზს ხო სპობდნენ, მთლიანად უნდა მოვსპოთო, საცა კი ვაზს დაინახამდნენ, პატრონებს თავებს სჭრიდნენ. დაადებინებდნენ თავს კუნძზე და მიდი!.. გააქრეს მიწის პირიდან ეს ღვთის მცენარე, ჩვენი გამხარებებელი, კაცებისა. ბოლოს ერთ კაცსღა უპოვნეს. იმასაც დაადებინეს კუნძზე თავი, მაგრამა, სანამ თავს მოსჭრიდნენ, იმ კაცმა ერთი გრძელი ვაზის რქა ქამრად შემოირტყა შარვალზედა და, რო დამარხეს, როგორ დამარხავდნენ, ხო იცით, ორ ბარისპირზე წააყრიდნენ მიწას, დამარხეს, რქამ გაიხარა მიწაში და ისევ ამოვიდა ქვეყანაზე დალოცვილი ვაზი, ისევ დაისხა დიდი-დიდი მტევნები ჩვენი მტრების ჯიბრზე. ძალიან ჯიბრობა იცის, ვენაცვალე დაბრეცილ ძირში ვაზსა, ძალიან... "

რეზო ინანიშვილის ეს გენიალური ნოველა ერთ კაცზე ფიქრმა გამახსენა. კაცზე, რომელმაც იმ მევენახესავით დასაღუპად განწირული, უმწეოდ დარჩენილი „საქართველოს ჰელსინკის კავშირი" გულში ჩაიკრა, თავისი სულის ნაწილად აქცია და აგერ 30 წელზე მეტია, ანაცვალა რა მას ყოველივე პირადული: საკუთარი ინტერესები, ჯანმრთელობა... იბრძვის მისი გადარჩენისათვის, მისი გაძლიერებისთვის. ეს კაცი, ნუკრი ბაღდავაძეა. 7 აპრილი მისი დაბადების დღეა – 65 წლის იუბილე!

გილოცავ, ჩემო ძმაო, ღმერთმა დაგლოცოს! ღმერთმა გაგამარჯვებინოს!

მოგონებები 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე

1991 წლის 8 თებერვალი, დღე, დავით აღმაშენებლის ხსენებისა. საღამოს 5 საათია. პრეზიდენტის მისაღებ ოთახში ვზივარ. ველოდები, როდის დამიძახებენ. ვღელავ, ვნერვიულობ. ახლახანს პრეზიდენტის პირადი მდივანი, ლალი მაისურაძე შევიდა ჩემ შესახებ მოსახსენებლად. აგერ, გამოვიდა. კარებიდანვე მიმიხმო და ოთახში შემიძღვა.

ბატონი ზვიადი სამუშაო მაგიდასთან ბოლთას სცემს.

ბატონო ზვიად, ნოდარ კიკნაძე, ჩვენი კანდიდატურა ცესკოში „საქართველოს ჰელსინკის კავშირის" წამომადგენლად.

პრეზიდენტი შეჩერდა. დამაკვირდა. ცხადია, მიცნო, მითუმეტეს, რომ ერთ დროს მის პირად დაცვაშიც ვიყავი.

– ესეიგი, თქვენ, არა?! კარგი, ძალიან კარგი! იმუშავეთ! – მითხრა და ხელი ჩამომართვა.

– გმადლობთ, ბატონო ზვიად!

– კარგად, წარმატებას გისურვებთ!

საარჩევო კომისიაში მუშაობა საინტერესო იყო. მაშინ საკუთარი პარტიის ინტერესების დაცვა იოლი არ იყო, ვინაიდან სახელისუფლებო პარტიებს ისეთი ხმების უმრავლესობა არ გაგვაჩნდა, რომ „საჩვენო“ გადაწყვეტილება ოპოზიციის წარმომადგენელთა მხარდაჭერის გარეშე გაგვეტანა. საბედნიეროდ, კომისიის მაშინდელი შემადგენლობა ძირითადად გონიერი, ობიექტური ადამიანებით იყო დაკომპლექტებული და ხშირად ჩვენი წინადადების განხილვისას ოპოზიციის წარმომადგენელთა მხრიდანაც მხარდაჭერა მიგვიღია. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც არასასურველი გადაწყვეტილების მიღების საფრთხის წინაშე დავდექით, მოხდა 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში, პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაციის დროს, როდესაც ოპოზიციურმა პარტიების ერთმა ნაწილმა ჯაბა იოსელიანის კანდიდატურა წამოაყენა, რომელიც ამ დროს ციხეში იხდიდა სასჯელს. აღმოჩნდა, რომ საარჩევნო კანონში ეს ვითარება გათვალისწინებული არ იყო, ხოლო ჯაბას არჩევნებში მონაწილეობა რამხელა არეულობას გამოიწვევდა, ძნელი წამოსადგენი არ იყო. მეორე მხარესთან არანაირმა მოლაპარაკებამ არ გაჭრა. ცხადია, ხელისუფლების დამხობის გეგმა არსებობდა და ჯაბა იოსელიანის საარჩევნო პროცესში ჩართვა ამ ჩანაფიქრის ერთ-ერთი ვარიანტი იყო. გაიმართა კომისიის სხდომა, რომელზეც უნდა გადაწყვეტილიყო ეს საკითხი. სასიამოვნო სურპრიზი აღმოჩნდა ის, რომ ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ „წინააღმდეგ“ მიცა ხმა. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, როდესაც „ქუჩის ოპოზიციის" ერთმა ჯგუფმა საარჩევნოს შენობა შტურმით აღო და სხდომათა დარბაზში შემოიჭრა. მათ შორის იყვნენ ირაკლი ბათიაშვილი, ლუიზა შაკიაშვილი, ირაკლი წერეთელი, ნანა კაკაბაძე... ისინი ყვიროდნენ, გვემუქრებოდნენ. შაკიაშვილმა დაიძახა:

– იმ ფაშისტური პარტიის წარომადგენელი რომელია, „საქართველოს ჰელსინკის კავშირის!“.

– მე ვარ – ვუპასუხე სიამაყით.

– ბრმა ხარ, შვილო, ბრმა! – რატომღაც „შემიცოდა" ქალბატონმა ლუიზამ.

– მე შეიძლება ბრმა ვარ, ოღონდ, სიყვარულით! მაგრამ განა სიძულვილით დაბრმავება უკეთესია?! – ვუპასუხე მას. შაკიაშვილს ყურადღება აღარ მოუქცევია. მაგიდაზე მუშტებით აბრახუნებდა და იოსელიანის პრეზიდენტობის კანდიდატად დამტკიცებას ითხოვდა. შეიქმნა საშიშროება, რომ ეს ზეწოლა აზრს შეაცვლევინებდა თუნდაც ერთ ოპოზიციონერ კომისიის წევრს, რითაც მათთვის სასურველ ნებართვას მიიღებდნენ. აურზაურისა და საშინელი დაძაბულობის გამო კომისიის თავჯდომარე არჩილ ჭირაქაძე ცუდად გახდა. ათიოდ წუთში სამედიცინო პერსონალი გამოჩნდა. სხდომა ჩაიშალა. მოგვიანებით საარჩევნო კანონში შესაბამისი ცვლილება იქნა შეიტანილი და ეს პრობლემაც გადაიჭრა. თუმცა, სამწუხაროდ, დროებით...

აქვე მინდა ვთქვა, რომ ნებისმიერი საკითხთან დაკავშირებით მაქსიმალურად ვცდილობდი ობიექტური პოზიცია დამეფიქსირებინა და ამის გამო არასდროს, არავისგან, ჩვენი პარტიის, თუ მთავრობის ხელმძღვანელთაგან გადაკრული სიტყვითაც კი, საყვედური არ მსმენია.

„საარჩევნო კომისისიის“ წევრებს ქვენის სხვადასხვა რეგიონი გვქონდა გაპიროვნებული. ჩემი ზონა აფხაზეთი იყო. საპრეზიდენტო არჩევნების წინ მე და ოპოზიციის წარმომადგენელი, რეზო შავიშვილი, სოხუმში გავემგზავრეთ. ჩასვლისთანავე ტელეფონით დაგვიკავშირდა აფხაზების არაოფიციალური ლიდერი, კონსტანტინ ოზგანი. მან ჩვენთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. –„რაც შეეხება არჩევნებს, ჩვენ არც დაგეხმარებით, არც ხელს შეგიშლით“ –იყო მისი პასუხი. ყველაზე მძიმე ვითარება ტყვარჩელში გვქონდა: იქ აფხაზები საერთოდ არ გვაძლევდნენ არჩევნების ჩატარების საშუალებას. გავემგზავრეთ ტყვარჩელში. გამოგვყვნენ ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, გივი ლომინაძე და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი. იქ შევხვდით და ვესაუბრეთ რაიკომის პირველ მდივანს დავით ფილიას. მოგვივიდა ცხარე კამათი. ერთ-ერთი მიზეზი იყო შემდეგი: წინა დღეებში ერთ-ერთ ინტერვიუში, ზვიად გამსახურდიამ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ასე მოიხსენია: „ეს ყბადაღებული არძინბა“. აფხაზებმა ეს გამოთქმა გაიგეს როგორც „ყბა დაღებული“. აფხაზებმა კი არა, ბევრმა ქართველმაც კი არ იცის, რომ გამოთქმა: „ყბად აღებული“ მიუთითებს ადამიანზე, რომელზეც ხშირად, ბევრს ლაპარაკობენ. შექმნილ სიტუაციას ამ განმარტებამაც ვერ უშველა: – ტყვარჩელში არჩევნები არ ჩატარდება – იყო კატეგორიული პასუხი. ამასობაში მოსაღამოვდა. სალაპარაკო რაღა გვქონდა, გაბრაზებულები წამოვიშალეთ წასასვლელად. –„ერთი წუთი, მეც მოვდივარ, სტუმრებს ასე ვერ გაგიშვებთ, რესტორანში უნდა წამობრძანდეთ. საქმე საქმეა, სტუმარ-მასპინძლობის წესს კი ნუ დავარღვევთ (ეს გააფხაზებული ქართველი რუსულად გვესაუბრებოდა, თუმცა ქართული იცოდა)“. ჩვენ ვიუარეთ, მაგრამ მან არ დაიშალა. დაბლა ჩამოსულებს ეზოში უამრავი ხალხი დაგვხვდა. ესენი იყვნენ აფხაზური არაფორმალური ორგანიზაციის, „აიდგილარას“ წევრები. წამსვე ალყაში მოგვაქციეს. ისინი ყვიროდნენ, მუშტებს გვიღერებდნენ, გვემუქრებოდნენ. იყო საშიშროება, რომ გავეტაცებინეთ, ან სულაც ადგილზე ჩავექოლეთ. უცებ ჩვენ გვერდით გაჩნდა ადგილობრივი უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი, ქართველი კაცი. – არ ინერვიულოთ, ახლავე ყველაფერს მოვაგვარებ – გვითხრა და გაუჩინარდა. ნელ-ნელა ჩვენს გარშემო მისი თანამშრომლების წრე შეიკრა. მათ ისე ოსტატურად გამოგვიყვანეს ეზოდან, რომ აფხაზები ვერც მიხვდნენ, ჩვენ იქ რომ აღარ ვიყავით (უკვე გვარიანი სიბნელეც იყო). ეზოს გარეთ დანჯღრეულ, ძველ „ჟიგულში“ ჩავეკვეხეთ (არა და, სახელმწიფო, შავი „ვოლგებით“ ვიყავით ჩასული). მე ძალიან გავბრაზდი, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძნი: – ორ ძალოვან მინისტრს ამას ვერ უნდა უბედავდნენ!

– ბატონო, აქაურ ქვანახშირის მომპოვებელ გვირაბებში, უამრავი იარაღი აქვთ გადამალული. ტყვარჩელში ძალიან ფეთქებადი სიტუაცია გვაქვს.

– მერე, თუ ეს იცით, რატომ არ ამოიღებთ იარაღს, რატომ არ დააპატიმრებთ მოთავეებს?! –არ ვცხრებოდი მე.

– ჯერ ამის გაკეთება არ შეიძლება, ამის დრო მოვა! – მიპასუხა იოსელიანმა. ეს დრო როგორც „მოვიდა“ სამწუხაროდ, ყველამ კარგად ვიცით.

არჩევნები მთელ საქართველოში წარმატებით ჩატარდა. საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აიჩია!

ორიოდე თვის წინ, ჩემმა ქალიშვილმა ცესკოში 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი მოიძია.

ჩემთვის დიდად საამაყოა, რომ ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის დამადასტურებელ ხელმოწერებს შორის ჩემი ხელმოწერაცაა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური
საარჩევნო კომისიის 1991 წლის 3 ივნისის სხდომის

ო ქ მ ე ბ ი

კომისიამ შეაჯამა 1991 წლის 26 მაისს ჩატარებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები.

ქვემდებარე საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

1. საქართველოს რესპუბლიკაში ამომრჩეველია სიერო რიცხვი–3[illegible]48I0,
   არჩევნებში მონაწილეობა რიცხვი – 2978247,
   კენჭისყრის მონაწილეობა რიცხვი – 2968945,
   ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი – 39318;

2. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის
   მიცემული ხმების რაოდენობა:
   ბატონი ზვიად გამსახურდია – 2565362,
   ბატონი ირაკლი შენგელაია – 26686,
   ბატონი ჯემალ მიქელაძე – 5I7I7,
   ბატონი ვალერიან ადვაძე – 240243,
   ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე– 8553,
   ბატონი ნოდარ ნადირაძე – 36265;

3. "საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ"
   საქართველოს რესპუბლიკის კანონის 25–ე მუხლის თანახმად,
   ა/ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულად
   იქნეს ცნობილი;
   ბ/ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული იქნა

ბატონი ზვიად გამსახურდია

დაბადებული 1939 წ., ფილოლოგი, საქართველოს რესპუბლიკის
პრეზიდენტი, საარჩევნო ბლოკის "ეროვნული ბაგიდა – თავისუფალი

2.

საქართველოს" სპიკერი, საქართველოს პელსინკის კავშირისა და წმინდა ილია მართალის საზოგადოების თავმჯდომარე, რომელიც წარდგენილი იყო საარჩევნო ბლოკის "მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველოს" მიერ.

კომისიის თავმჯდომარე ა.ჭირაქაძე

თავმჯდომარის მოადგილე ვ.ხმალაძე

მდივანი ლ.ეესხი

კომისიის წევრები:

I. რ.თურქაძე
2. გ.ბურჯანაძე
3. ს.თურქია
4. თ.კიკნაძე
5. ნ.კიკნაძე
6. რ.კოპაძე
7. ო.ენნაბდი
8. გ.ხიდგინიძე
9. თ.ელენტი
I0. დ.კილაძე
II. ნ.ლაზარიაშვილი
I2. ლ.სახოკია
I3. ნ.სხირტლაძე
I4. გ.სულიკაშვილ
I5. ი.ჩუბინიშვილ
I6. ს.ჭილიძე
I7. გ.ჯანდიერი
I8. დ.ჯაფარიძე
I9. გ.ზისაფშვილი
20. ნ.ელიავა
2I. კ.ბვილისიანი

ბერობანა, ანუ ყეენობა მესხეთში

ჟურნალ „მატიანეს" წინა, 2020 წლის გამოცემაში დაიბეჭდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, ქ-ნ მაია ზურაშვილის მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშრომი: „ხალხური დღესასწაულების ისტორიიდან (ბერიკაობა საქართველოში)."

გამოვხატავ რა ჩემს დიდ პატივისცემას ქალბატონ მაიასადმი, ნებას მივცემ ჩემს თავს, ჩვენი ჟურნალის მკითხველს დამატებით მივაწოდო ინფორმაცია მსგავსი ტრადიციისა მესხეთში, რაც დღეს-დღეობით, სამცხე-ჯავახეთშია შემორჩენილი.

ძველი მესხები, „ყეენობის" სახელით იცნობდნენ თათარ-მონღოლთა პერიოდის სანახაობას, რომელსაც ახლა „ბერობანას" უწოდებენ. XX საუკუნის დასაწყისიდან თანდათან მივიწყებული იქნა სახელწოდება „ყეინი" და მონღოლთა ჯარების მეთაური - „ბერად" იქნა მონათლული თავისი ასაკის გამო. „ბერობანას" შესახებ არაერთი გამოკვლევა დაიწერა, განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ დიმიტრი ჯანელიძისა და ხელოვნებათმცოდნის გივი ჯაოშვილის გამოკვლევები.

ყოველწლიურად, ყველიერის კვირაში ადიგენის სოფლებში, უდესა და არალში და ასპინძის სოფელ ხიზაბავრაში, ტარდებოდა ტრადიციული სანახაობა „ბერობანა" (წარსულში „ყეენობა") რომელიც შუა საუკუნეებში, თათარ-მონღოლთა ბატონობის ბოლო პერიოდს და კონკრეტულად, მტერზე გამარჯვების ფაქტს უკავშირდება: 1405 წლის თებერვალში გარდაიცვალა თემურ ლენგი. ამ დროს საქართველოში ჯერ კიდევ დარჩენილი იყვნენ მონღოლთა ჯარის ნაწილები. სავარაუდოდ, მათ ჩათვალეს, რომ დიდმარხვის წინა, „აღებ-ღამეს"(„ხორცის აღების ღამეს") ქართველები მთვრალები იქნებოდნენ და ამიტომ განიზრახეს, კიდევ ერთხელ, უკანასკნელად დაერბიათ მესხი მოსახლეობა. მაგრამ მათთვის მოულოდნელად, ქართველები მომზადებულნი დახვდნენ მტერს და მათ სასტიკი დამარცხება აგემეს. გაქცეულ ბერ ნოინსა და მის ამალას, სამარცხვინოდ, ბანიანი სახლებიდან ჭუჭხიან წყალს ასხამდნენ. ზოგი მონღოლი მეომარი ტყვედაც ჩაიგდეს და მხოლოდ გამოსასყიდის მიღების შემდეგ გაუშვეს. სწორედ ეს მოვლენა აისახა გაშარჟებული სახით „ყეენობაში" და მას შემდეგ საუკუნეების მაძილზე დიდმარხვის წინა პეროდში მთელ მესხეთში იმართებოდა.

უდესა და არალში „ყეენობას" წინ უძღოდა შეჯიბრი ჭიდაობაში, რომელიც ორ კვირას გრძელდებოდა და რომელშიც სამცხის სხვადასხვა სოფლებიდან მოსული ფალავნები მონაწილეობდნენ. ჭიდაობა მიმდინარეობდა მუსიკის (დიდუკი, დოლი, სალამური) თანხლებით.

ჭიდაობის უკანასკნელ დღეს, „დიდმარხვის" დადგომის წინა შაბათს, ჭიდაობის შემდეგ უდეში, „შუშანქალას" ნანგრევი ეკლესიის წინ და არალში „ტატალაშვილების კალოებზე" ფერხულს გააბამდნენ და მკლავ-მკლავ გადაჭდობილი იწყებდნენ წრიულ საფერხულო ცეკვას და თან მღეროდნენ „მუმლი მუხასაო". ფერხულის თამაშით გულს რომ იჯერებდნენ, შემდეგ იწყებდნენ სართულებიან ცეკვას „სამყრელოს" და თან მღეროდნენ:

სამყრელო, სამყრელო,
ძირს ჩამოდი სამყრელო,
ნუგეშ-ნუგეშინია,
ქვეშ ბუმბული გიგია.

როგორ არ გვეშინია,
ცაში ბეწვით ვკიდივართ,
ძირს ჩამოვალთ, სამყრელო,
მონღოლები არ სჩანან,
საქართველო დიდია!

მეორე დილით მოაწილენი მოირთვებოდნენ და შუადღიდან იწყებდნენ ინსცენირების შესრულებას.

ყეენის როლში გამოყავდათ ისეთი პიროვნება, რომელიც მაღალი და ხანშიშესული იყო. ის ჩაცმულობითაც განსხვავდებოდა სხვა მონაწილეებისგან: თავზე ეხურა ბატის ფრთებით მორთული კასრი და ყელზე ჰქონდა სიმინდის ფუჩეჩისგან დამზადებული მძივი. მოედანზე, სადაც ამ თამაშის განსახიერება ხდებოდა, იდგა ტახტი, რომელზე წამომჯდარ ყეენთანაც მის ჯარისკაცებს მიყავდათ ხარკის ურჩი გადამხდელები. ყეენის ბრძანებით მათ „სცემდნენ" და რაიმე ნივთს, ან პროდუქტს ართმევდნენ. დროდარო ყეენი ღრიალით ფეხზე წამოიჭრებოდა. „შეშინებული" ხალხი გარბოდა, შემდეგ ისევ ბრუნდებოდა. ასე მეორდებოდა რამდენჯერმე. ბოლოს განრისხებული ხალხი მიესეოდა ყეენს, ტახტიდან ჩამოაგდებდნენ. ყეენი და მისი ჯარისკაცები გარბოდნენ. გახარებული ხალხი მათ ჭუჭყიან წყალს ასხამდა, პანჩურებით უმასპინძლდებოდა. ტყვედ აჰყავდათ ნოინის მცველები და მხოლოდ რაიმე გამოსასყიდის ფასად ათავისუფლედნდნენ მათ. მრავალდღიანი სანახაობა კვლავ სიმღერით, ცეკვით და ლხინით მთავრდებოდა.

„ბერობანას" მხილველი მე თავადაც არაერთგზის ვყოფილვარ. სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე წელია, „ბერობანა" აღარ იმართება.

ვახტანგ ბახტაძე

ჟურნალისტი, პუბლიცისტი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცის ზვიად გამსახურდიას პრეს-სპიკერი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი

როსტომ ჩხეიძის ახალი წიგნის (ზვიად გამსახურდიას) შესახებ



(სიტყვა, წარმოთქმული შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, ჟურნალ „ჩვენი მწერლობისა“ და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სალიტერატურო სალონში ერთობლივი თაოსნობით ჩატარებული წიგნის „ეკლიანი გვირგვინის“ წარდგენისას 2016 წლის 29 მარტს)

ძვირფასო მეგობრებო, პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

ტრადიციულად მოგესალმებით, და ვულოცავ ყველასათვის ცნობილ ქართველ მწერალს, როსტომ ჩხეიძეს ახალი არაჩვეულებრივი წიგნის (რომანი დილოგიის), „ეკლის გვირგვინის“ გამოცემას (გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, თბ., 2015 წ. რედაქტორი თემურ ქორიძე).

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ბიოგრაფოსის მიერ დაწერილმა ამ წიგნმა გამოსვლისთანავე მიიპყრო ეროვნული თემატიკის დაინტერესებული საზოგადოების, ფილოლოგთა და ისტორიკოსთა წრის ყურადღება. წიგნი ეძღვნება მეოცე საუკუნის ერთ-ერთ გამორჩეულ ქართველ ინტელექტუალს და კულტურტრეგერს, პუბლიცისტს, ლიტერატორს, პოეტს, მთარგმნელს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას.

ზვიად გამსახურდია – გამოჩენილი ქართველი კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილი.

ზვიად გამსახურდია თავის ქრისტესმიერ ძმასთან მერაბ კოსტავასთან ერთად სამოცდაათწლიანი ჯოჯოხეთური „წითელი იმპერიის“ მარწუხებიდან შეძლო ჩვენი დიდი მამულიშვილების ორსაუკუნოვანი ოცნების აღსრულება.

მან, ვითარცა დიდი ილიას ღირსეულმა გამგრძელებელმა, შეუძლებელი შეძლო – ბოლშევიკებისაგან წართმეული დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

როსტომ ჩხეიძის წიგნში „ეკლის გვირგვინი“ გამთლიანდა სხვადასხვა დროს დაწერილი ორი თხზულება „თუ საწუთრომან დამამხოს“ (ზვიად გამსახურდიას ბედისწერა) და „ძველი ხიბულას საიდუმლოება“ (ზვიად გამსახურდიას ასი დღე) და ერთიან ქმნილებად შეიკრა – ბიოგრაფიულ რომანად, რომელიც რიგით მეთვრამეტეა ავტორის ამ ჟანრის ნიმუშთა ციკლში.

ორივე თხზულებამ – აწ უკვე ორივე ნაწილმა, მაშინ, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს (იგულისხმება 90-იან წლებში გამოცემული გაზეთი „საქართველო“) მწვავე გამოხმაურება გამოიწვია ქართულ პერიოდიკაში გამოჩენისთანავე, და, მასთან ერთად, მოწონებაც და თანადგომაც, „რადგანაც მძაფრ დაპირისპირებას იწვევდა საზოგადოებაში მთავარი გმირი ამ ბიოგრაფიული რომანისა – ზვიად გამსახურდია, ვისაც ბედად ეწერა ქართველთა ორსაუკუნოვანი ოცნების ახდენა – საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ამოგება და დაფუძნება ისეთ საძირკველზე, რაც ვერაფერმა მოანგრია, მიუხედავად ერთმანეთზე საზარელი ქარტეხილებისა ჩვენი ქვეყნის თავზე.“ – ვკითხულობთ ქართველი მწერლის მიერ დაწერილ ბიოგრაფიულ რომანში.

წიგნის ცალკეული თავების გარჩევას დღეს არ შევუდგები, რადგან პატივცემულმა ლიტერატორმა კოლეგებმა ეს მშვენივრად გააკეთეს. ყურადღებას გავამახვილებ გარკვეულ პარალელებზე, რომელიც წიგნის ავტორის ნააზრევსა და საბჭოთა სისტემის ჩინებული მცოდნის, ამერიკელი სოვეტოლოგის რიჩარდ პაიპსის შეხედულებებს შორის არსებობს.

მსურს რამოდენიმე ჩემო მოსაზრება მოგახსენოთ რიჩარდ პაიპსის, საქართველოს ამ დიდი გულშემატკივრისა და მეგობრის თვალსაზრისის შესახებ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერზე, ზვიად გამსახურდიაზე, აგრეთვე მისი თვალთახედვის შესახებ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის ბობოქარ პერიოდზე. უახლესი ისტორიის ეს მონაკვეთი როსტომ ჩხეიძის წიგნში, ვფიქრობ, შესანიშნავად აისახა.

როსტომ ჩხეიძის წიგნის 586-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ფენიქსისებრ განახლებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც განა მისივე შემოქმედებითი მონაპოვარი არ გახლდათ?!

და თუ გახსნაა, ზვიად გამსახურდიას აღსასრულიდან, მისი ცხოვრების ტრაგიკული ფინალიდან უნდა გახსნილიყო ამ იდუმალების კარიც, რასაც ეროვნული ენერგიის კიდევ ერთი ამოფრქვევა და დამოუკიდებლობის აღდგენა ჰქვია ორასწლოვანი მონობის შემდგომ.“

ოდნავ ქვემოთ ჩვენ შევეხებით პაიპსისეულ შეფასებას ზვიად გამსახურდიას შესახებ.

დღევანდელ დღეს ძალიან მინდა ორიოდე სიტყვა მის პიროვნებაზე ვთქვა, რადგანაც ამერიკელი სწავლულის რიჩარდ პაიპსის შეფასებები ეხმიანება წიგნის ავტორის შეხედულებებს.

რიჩარდ პაიპსს პირადად ვიცნობ და რამდენჯერმე შევხვდი კიდეც როგორც ამერიკაში, ისე თბილისში. ბატონი პაიპსი ახლა 93 წლის გახლავთ. ზვიად გამსახურდია მას მოიხსენიებდა, როგორც „თანამედროვეობის უდიდეს ამერიკელ სოვეტოლოგს“.

რიჩარდ პაიპსი მუდამ წინასწარმეტყველებდა გასული საუკუნის 80-იან წლებში მრავალთაგან გასაკვირად საბჭოთა იმპერიის რღვევის გარდუვალობას მეოცე საუკუნის ბოლომდე. ოკეანისგაღმელი სოვეტოლოგი მართალი აღმოჩნდა.

მხცოვანი მეცნიერი დღეს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორია. იგი 1981-82 წლებში იყო აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული პრეზიდენტის როლანდ რეიგანის პოლიტიკური მრჩეველი, რუსეთის იმპერიის ისტორიის სპეციალისტი.

პროფესორ პაიპსის პირველი წიგნი სწორედ საბჭოთა კავშირში არსებულ ეროვნულ ფორმირებებს მიეძღვნა. წერის პროცესში პირადად ხვდებოდა პარიზში ნოე ჟორდანიას, ხოლო ამერიკაში - ირაკლი წერეთელს. ჰარვარდში იგი წლების განმავლობაში უვლიდა და სწავლობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრაციულ არქივს.

80-იან წლებში იგი ასაბუთებდა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის აუცილებლობას. მას შემდეგ იგი არაერთხელ იყო თბილისში და საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

საქართველოში, 90-იან წლებში, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციაზე გამოსვლისას ამერიკელი სწავლული ამბობდა, რომ დღემდე არ იყო სრულად შექმნილი მეოცე საუკუნის რუსეთის იმპერიაში უდიდესი გადატრიალების მასშტაბური და ჭეშმარიტი ისტორია... სხვათა შორის, - ამბობდა იგი, - ამ თემაზე საბჭოთა კავშირში დღემდე არ არის გამოქვეყნებული ობიექტური ნაშრომი, თვით დასავლეთში კი ეს საკითხი გააშუქეს საბჭოთა კავშირის მიმართ კეთილგანწყობილებმა. ამ მხრივ პრინციპული სხვაობა არ არსებობს საბჭოთა კავშირსა და დასავლეთში რუსეთის რევოლუციაზე შექმნილ ნაშრომებს შორის.

რიჩარდ პაიპსი რუსეთის ხსნას ხედავდა მის მიერ ისტორიული სამშობლოს ისტორიული ჩარჩოების მოძიებაში. იგი მომხრე იყო ერთა სამართლიანი თვითგამორკვევისა. პაიპსი მხარს უჭერდა კავკასიის, კერძოდ, საქართველოს, როგორც უძველესი სახელმწიფოებრიობისა და უნიკალური კულტურის მქონე ქვეყნის, თავისუფლებასა და სუვერენიტეტს, აღიარებდა საქართველოს განსაკუთრებულ როლს ამ რეგიონში.

დღევანდელ დღეს მაქვს განსაკუთრებული სურვილი ჩემი შეხედულებების საწინააღმდეგო მოსაზრების სკეპტიკოსთათვის (ოპონენტებისათვის) გარკვეული ილუზიების გასაქარწყლებლად გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს რიჩარდ პაიპსის მიერ გაზ.“ვაშინგტონ პოსტში“ 1991 წლის 5 ივნისს გამოქვეყნებული წერილიდან - „(საბჭოთა) საქართველოს დემოკრატები“, რომელიც, ვფიქრობ, საგულისხმო გახლავთ:

„...კავკასიაში მდებარე საქართველოს რესპუბლიკა ამ დღეებში მძიმე დაწოლას განიცდის. მას მიიჩნევენ იმ ქვეყნად, რომელშიც მიმდინარეობს მწვავე სოციალური და ეთნიკური დარღვევები, რომელსაც წარმართავს რადიკალი ნაციონალების ჯგუფი. ისინი ზღუდავენ ეროვნული უმცირესობების უფლებებს და ტოტალიტარიზმის აღდგენისაკენ მიისწრაფიან. ვერც ერთი ეს ბრალდება ვერ უძლებს კრიტიკას. მისი ძირითადი წყაროა საბჭოთა კავშირის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, რომელიც განწირულ, საბოლოო ნაბიჯებს დგამს იმისათვის, რომ უცხოეთის თვალში ჩირქი მოსცხოს ქართველთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და შეინარჩუნოს ძალაუფლება ამიერკავკასიაში.

ახლახან ვიმყოფებოდი საქართველოში, სადაც 26 მაისს საპრეზიდენტო არჩევნებს დავესწარი. პირველად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოსახლეობას მიეცა საშუალება, არჩევანი გაეკეთებინა სხვადასხვა კანდიდატებს შორის. შემიძლია ვთქვა, რომ რესპუბლიკაში სიმშვიდე და წესრიგი სუფევს. ერთადერთი საშიშროება, რაც მოგზაურს ემუქრება, არის ორსაათიანი ფრენა აეროფლოტით მოსკოვიდან თბილისამდე.

ხუთმილიონნახევრიანი რესპუბლიკა მოიცვა პატრიოტულმა გზნებამ, რომლის აღწერაც შეუძლებელია. მე ეს მაგონებს ისრაელს თავისი ჩამოყალიბების ხანაში. საქართველო არის უძველესი ქვეყანა, რომლის ისტორია ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე იღებს სათავეს, ხოლო უძველესი ქართული ანბანი და ლიტერატურა მე-4 საუკუნიდან, ხოლო ორიათასი წლის განმავლობაში, იმის მიუხედავად, რომ შედარებით ძლიერი მეზობლები პერიოდულად იპყრობდნენ საქართველოს, იგი სუვერენული ქვეყანა გახლდათ, რომელიც 1801 წელს შევიდა რუსეთის შემადგენლობაში. საქართველომ 1918 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მაგრამ სამი წლის შემდეგ დაკარგა იგი ბოლშევიკური წითელი არმიის შემოჭრის შედეგად, ისევე, როგორც ერთ დროს ძლიერ და მდიდარ ლიტვაში. საქართველოს უძველესი სახელმწიფოებრიობა და კულტურა წარმოადგენს ეროვნული გრძნობების მასაზრდოებელ ძალას. მე ვესწრებოდი არჩევნებს პროვინციულ ქალაქ თელავში... არავის უჩივლია, არჩევნები არაკეთილსინდისიერად ჩატარდაო. ის ფაქტი, რომ ყველაზე წარმატებულმა კანდიდატმა ზვიად გამსახურდიამ 80%-ზე მეტი დააგროვა, აიხსნება მისი წარმოუდგენლად ძლიერი წინააღმდეგობით კომუნისტური რეჟიმისადმი და აგრეთვე იმ ფაქტით, რომ საბჭოთა სამხედრო აგრესიის საფრთხემ ქართველები გააერთიანა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეროვნული ფიგურის გარშემო. შეუძლებელია ველოდოთ, რომ საზოგადოება 70 წლიანი ტოტალიტარიზმის უკანონობისაგან უმტკივნეულოდ გადავა დემოკრატიაზე... ფართო მასშტაბის საბჭოთა ინტერვენციასაც კი არ შეუძლია შეაჩეროს საქართველოს სწრაფვა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისაკენ... თუ ზოგჯერ ამ სწრაფვას იდეალური დემოკრატიის სახე არა აქვს, იგი მაინც დემოკრატიულია თავისი არსით და დასავლეთის დიდსულოვან მხარდაჭერას იმსახურებს“, – დაასკვნის დასასრულს ამერიკელი სოვეტოლოგი.

თბილისში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე პროფესორი პაიპსი ამბობდა, რომ შეუძლებელია ადამიანის ხელახალი შექმნა მას შემდეგ, რაც იგი შექმნა მაცხოვარმა. ადამიანი უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის. მისი აზრით, რუსული რევოლუცია ყველაზე საზარელია მსოფლიო ისტორიაში, რადგან მისმა წინამძღოლებმა მოინდომეს ადამიანის განმეორებით შექმნა. უფრო დიდი უზნეობა კი არ არსებობს.

მახსენდება პატივცემული სწავლულის ერთი ფრთიანი გამოთქმა, რომელიც მის ნაშრომში წავიკითხე ყმაწვილკაცობაში, ძალიან მომეწონა და უმალ ვთარგმნე: „რუსეთის იმპერია არის დიდი ფეტიში, რომელსაც ეტრფის ცარიზმი იქნება თუ ბოლშევიზმი“.

გთავაზობთ კიდევ ერთ ამონარიდს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დევნილობაში ზვიად გამსახურდიას (1992 წლის თებერვალი) წერილიდან:

„...ზოგიერთს უჭირს იმპერიის ხელის დანახვა საქართველოში დატრიალებულ მოვლენებში. „იმპერია დაიშალა, იმპერია აღარ არსებობს“, – ამტკიცებენ ისინი, რაც უდიდესი ილუზიაა. იმპერია როდი დაიშალა... მოხდა მისი მოდერნიზაცია და თანამედროვე პირობებისადმი შეგუება. დაიშალა საბჭოთა კავშირი, მაგრამ დარჩა რუსეთის ფედერაცია, სინამდვილეში იგივე რუსეთის იმპერია, რომელიც იგივე ხალხთა საპყრობილეა, თუმც დღეს დემოკრატიული ქვეყნის ნიღბით გამოდის. რუსეთის იმპერია ცდილობს შეინარჩუნოს არა მხოლოდ ფედერაციის შიგნით მყოფი ქვეყნები, არამედ ის გარეთ არსებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიც და, უწინარეს ყოვლისა, საქართველო. ამ მიზნით მან შეაკოწიწა ე. წ. „თანამეგობრობის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანება“, სადაც რუსეთი ცდილობს თავისი დიქტატისა და პირველობის შენარჩუნებას“ (გაზ. „თავისუფალი აზრი“, N 6, 26 თებერვალი, 1992 წ.).

დასასრულ, გთავაზობთ ამონარიდს ნაკლებად ცნობილი ისტორიიდან, რომელიც დაიბეჭდა 1991 წლის 2 მარტს ცნობილ ბრიტანულ ჟურნალ „ეკონომისტში“. სტატიის ავტორი რიტორიკულად სვამს კითხვას, თუ რატომ არ აკეთებს კრემლი საქართველოში

იგივეს, რასაც ბალტიის ქვეყნებში (როგორც ეს იანვარში გააკეთა ვილნიუსში რუსული ჯარის მეშვეობით). ჟურნალი თავადვე პასუხობს: „საქართველოში ეს ქართველებისავე ხელით გაკეთდება“.

ნუ დაგვავიწყდება, ეს ითქვა თბილისში სამხედრო გადატრიალებამდე ექვსი თვით ადრე!

მოგვიანებით კი 1992 წლის 18 აპრილს გაზ. „ნეზავისიმაია გაზეტას“ ფურცლებზე პროფესორი პაიპსი არაერთგვაროვნად და სინანულით წერდა: „დასავლეთი მაშინ იქნებოდა ბრძენი, თუკი გაითვალისწინებდა საბჭოთა რესპუბლიკების იმ ლიდერების სულისკვეთებას, რომლებიც წარმოადგენდნენ პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის ოპოზიციას საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ სპექტრში.“

დაგვეთანხმებით, ამერიკელი სოვეტოლოგი პაიპსი, (9 ივნისის „ვაშინგტონ პოსტის“ წერილის პათოსს თუ გავითვალისწინებთ), ცხადია, მათ შორის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პიროვნებასაც მოიაზრებდა.

რომანის მე–9 თავში 214–ე გვერდზე ბიოგრაფოსი მწერალი წერს: „ბედისწერას ერკინებოდა, მაგრამ ახლა პირდაპირ და უშიშრად გაუსწორა თვალი და სულიერი სიმშვიდე ამით მოიპოვა. ის გახმაურებული ფრაზა – „მდინარეს მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან“ – შარავანდად დაადგა მისი პრეზიდენტობის მწუხრს, მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ სვლა ტრაგედიისა გმირის გაბრძოლებით რომ უნდა შეკრას და საკუთარი სისხლით დაჰკიროს.“ და როსტომ ჩხეიძე ყოვალგვარი ორაზროვნების გარეშე განაგრძობს: „ზვიად გამსახურდია დინების საპირისპიროდ მიდის“ – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ეს ფრაზა, ნათქვამი 1991 წლის 21 აგვისტოს, კერძო კაცის აზრს არ გამოხატავდა, არამედ პირველ ყოვლისა ამერიკისა და ევროპის დიდი ქვეყნების ხელისუფალთა ნებართვა იყო, რათა საქართველო კიდევ ერთხელ გადაეყლაპა რუსეთს, არც მაშინ ყოფილა დაფარული ვინმესთვის, ვისაც რამე გაეგება ამ ქვეყნისა, და არც დღეს არის.“

როგორც ვხედავთ, ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოვეტოლოგ პაიპსისა და ქართველი მწერლის როსტომ ჩხეიძის შეხედულებანი ერთმანეთს თანხვდებიან.

და როგორც ბატონი პაიპსი, როსტომ ჩხეიძეც იმედიანად გვეუბნება:

„...მაგრამ რომანტიკული სული, თავისუფლების წყურვილი მაინც უნდა გადარჩეს. ის ძარღვი შენარჩუნდეს ნანგრევებადქცეულ ქვეყანაში, ხელახლა რომ გამოიღებს ნაყოფს.“

როსტომ ჩხეიძის, როგორც თანამედროვე ქართული ბიოგრაფიული რომანისტიკის უბადლო შემოქმედის, განსაკუთრებულმა ხედვამ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმდგენლის ზვიად გამსახურდიას მიმართ, ესოდენ ძვირფასმა გრძნობამ მამულიშვილობისა, მისმა ქართულმა გულმა, გონმა და ალღომ, რაც, ალბათ, გენეტიკურად ერგო მისი სახელოვანი მამისაგან, ქართველი მწერლის ბატონ ოთარ ჩხეიძისაგან, განაპირობა ამ წიგნის ღირსება და მისი საჭიროება დღევანდელი ქართველებისთვის.

ჩემს მეგობარ როსტომ ჩხეიძეს ვუსურვებ, დაე, კვლავ ბევრჯერ გაეხარებინოს თავისი წიგნებით მადლიერი ქართველი მკითხველი.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების ძირითადი დებულებები

ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი,
ინჟინერ-გეოლოგი,
საქართველოს საინჟინრო
აკადემიის წევრ-კორესპოდენტი,
ვაჟა კაკაბაძე

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტის შემუშავების განმსაზღვრელი გარემოებანი და აუცილებლობის ფაქტორები

საქართველო, როგორც პატარა ქვეყანა, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულება დამოკიდებული უნდა იყოს ადგილებრივი შრომითი და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენების პრინციპზე, ხოლო საკანონმდებლო ბაზა აგებული - ეროვნულ ინტერესების დაცვის საფუძველზე, ამასთან ისე, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო მოთხოვნების ძირითად დებულებებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყანას თუ სურს შექმნას რეალური ეკონომიკური თავისუფლება საჭიროა შექმნას მოგების ზრდის პრინციპზე აგებული საკანონმდებლო ბაზა და ღია სამართლიანი საინფორმაციო ქსელი, რომელიც ყველა ბიზნესმენისათვის იქნება ხელმისაწვდომი, ხოლო ილუზიალური ეკონომიკის შექმნით შეცდომაში შეჰყავს ინვესტორები, კონკურენტი ფირმები და მომხმარებლები ანუ მთლიანად საზოგადოება.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის მოჩვენებითი ტემპი ქვეყანაში ქმნის ილუზიალურ ეკონომიკას, რაც იწვევს არა მარტო ეკონომიკური განვითარების ახალი გზების ძიების შეფერხებას, არამედ მოქმედებს ერის ფსიქოლოგიაზე და იწვევს მასში უსუსურობის გრძნობას ანუ ხდება ერში არასრულყოფილების შეგნების ჩამოყალიბება, ეს სინდრომი იწვევს ერში სოციალური აქტივობის შემცირებას. სწორედ ეს უკანასკნელი არის საფუძველი საქართველოდან ქართველების გადასახლება (ემიგრაცია) უცხოეთში.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური ზრდა 1988 წლის (საბაზისო წელი) ეკონომიკასთან შედარებით შემცირებულია 10%, გაზრდილია უმუშევრობის დონე (ფაქტობრივი მთავრობა უმუშევრობის დონის მაჩვენებლის შემცირების მიზნით თვით დასაქმებულებს, მაგალითად მზესუმზირის გამყიდველსაც კი დასაქმებულად მიიჩნევს – ეს არის გაერთიანებული ერების სტატისტიკური აღრიცხვის სახელმძღვანელოს მოთხოვნა) დასაქმების ყველაზე დაბალი დონე 2009 წელს დაფიქსირდა და 52,3% შეადგინა, რაც 3,5%–ით ნაკლებია 2018 წელთან; 2020 წელს დასაქმებულთა დონემ 40% შეადგინა რაც, კორონავირუსის პანდემიით იყო გამოწვეული. არა–და გამოვლენილი ბუნებრივი რესურსების მარაგები არ შემცირებულა (არ შეცვლილა) და მათი გამოყენებიდან შემუსული ფინანსური მაჩვენებელი გაზრდილია 5% (მინერალური წყლები, ოქრო და ა.შ.). მოსახლეობის დიდი ნაწილის მდგომარეობა სიღარიბის ზღვარზეა, ხელისუფლება ვერ ახერხებს ამ პრობლემის გადაჭრას რისი მიზეზიც შემდეგია:

1. მთავრობას არ აქვს შემუშავებული სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა). ეკონომიკის რეალური (ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებზე დამყარებული წარმოება) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საწარმოო ქსელის ჩამოყალიბების პროგრამა (ხედვა), რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის დაძლევას;

ბ). ადგილობრივი რესურსებზე დამყარებული ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების დირექტივები, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში (ადგილობრივი მოსახლეობის, დიასპორის, მიგრანტების);

დ). ადგილობრივი მოსახლეობის, დიასპორის, მიგრანტების მონაწილეობის სქემა მსხვილ პროექტებში; ამისათვის მთავრობამ უნდა შექმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის, დიასპორის, მიგრანტების უფლებას შეიძინონ მსხვილი პროექტების აქციები, რაც თავისმხრივ მოხსნის დაძაბულებას პროექტის განმხორციელებელ კომპანიებსა და მოსახლეობას შორის;

ე). ეკოლოგიური უსაფრთხოების, ბუნებრივი და ვირუსული პანდემიის უსაფრთხოების რისკების თავიდან აცილების პროგრამა.

ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედი უნდა იყოს. ამისათვის საქართველოს მთავრობამ საჭიროა უზრუნველყოს ეკონომიკის, განათლების, მეცნიერების და სოციალური გარემოს უწყვეტი განვითარება რაც ქმნის დემოკრატიის განვითარების მყარ საფუძველს და, შესაბამისად, გაზრდის ევროკავშირში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარისხს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპი უნდა გახდეს მსოფლიო ბაზარზე შეღწევა და დამკვიდრება, ამისათვის აუცილებელია ქვეყანაში ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის დანერგვა, რომელიც გულისხმობს ახალი ტექნოლოგიებზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებას და იმგვარი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, როდესაც კერძო სექტორი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, ამასთან დაცულია როგორც ეროვნული, ასევე უცხოელი მეწარმეების უფლებები, დაცულია საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და, ამასთან, სახელმწიფო უზრუნველყოფს საზოგადოების ინტერესების სრულ დაცვას.

ეკონომიკური განვითარების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა უნდა დაეთმოს რეგიონების ეკონომიკის განვითარებას. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეროვნული ეკონომიკის ზრდა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია რეგიონული განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებაზე. რეგიონული განვითარების სოციალურ–ეკონომიკური პოლიტიკის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების უპირატესობად განიხილება ამა თუ იმ რეგიონის შედარებითი უპირატესობა, მისი სპეციფიკა და ამ სპეციპიკაზე აგებული ფარდობითი უპირატესობა. ამასთან ერთად, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და განვითარება ხელს შეუწყობს რეგიონებს შორის სოციალურ–ეკონომიკური უთანასწორების შემცირებას, პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვას.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ქვეყნის წინაშე დიდი ამოცანა დადგა საბაზრო ეკონომიკის დანერგვა და სახალხო საკუთრების გადანაწილება. სახალხო საკუთრების გადანაწილება და, შესაბამისად პრივატიზაცია არასამართლიანად განხორციელდა, ამ გარემოებამ გაახანგრძლივა კომუნისტური აზროვნების მანკიერი თვისება მატერიალური დოვლათის დაგროვება სხვის ხარჯზე.

არასამართლიანი გადანაწილება:

1. არ მოხდა მოსახლეობის აღწერა და ვაუჩერების გამოშვება მოხდა ძველი მონაცემებით, შესაბამისად დარჩენილი ვაუჩერების (დიდი რაოდენობა) აღმოჩნდა რამდენიმე ადამიანის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ნომეკლატურის, ხელში;

2. პრივატიზაცია დაიყო სამ ნაწილად მცირე, საშუალო და მსხვილი ობიექტების პრივატიზაციით და ამ შემთხვევაშიც ხალხის ქონება აღმოჩნდა ზედმეტად დაბეჭდილი ვაუჩერების მფლობელების ხელში;

3. ზემოთ აღნიშნულმა (1, 2) გარემოებამ განაპირობა, რომ 1995 წლის შემდეგ პოლიტიკაში მოდიან პოლიტიკოსები, რომლებიც წარმოადგენენ არათანაბარი კაპიტალის გადანაწილების გზით გამდიდრებული ოლიგარქების ინტერესების დამცველები და რუსეთის, ასევე სომხეთის და თურქეთის პოლიტიკური ინტერესების დამცველი მარიონეტები.

ასევე: ზემოთ (1, 2, 3) წარმოშობილმა ფაქტმა დანერგა კორუფციის განვითარების საფუძველი.

ამდენად, საქართველოში დაწყებული რეფორმები რომელსაც ახალი სამართლებრივი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური საფუძველი უნდა შეექმნა თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული. 90–იანი წლების პირველი ნახევრის კრიზისის შემდეგ თითქოსდა წარმატებით განხორციელდა რეფორმა და შეიმჩნეოდა ეკონომიკური წინსვლა, მაგრამ 90–ანი წლების ბოლოს ის შეფერხდა. 2004 წელს დაწყებული რეფურმების მეორე ტალღა მიმართული იყო ბაზრის ლიბერალიზაციისაკენ, დაისვა საკითხი გადასახადების, ნებართვების და ლიცენზირების გამარტივების. მოზიდული ინვესტიციები მიმართული იყო ინფრასტრუქტურის განვითარებაში და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში, რაც ვარაუდით ექსპორტის განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობდა ხელს, მაგრამ შეცდომა იყო დაშვებული რადგანაც ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელსაყრელი გარემო არ არსებობდა და გაღვივებული კორუბცია ამის საშუალებას არ იძლეოდა. ამასთან, ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო კაპიტალტევად დარგებში, რომლებშიც მცირეა დასაქმებულთა მაჩვენებელი. ოფიციალური მონაცემებით უმუშევრობის დონემ ამ პერიოდში 16,9%–ს მიაღწია (2009 წ.), რაც რეალობას არ შეესაბამება, რამეთუ ამ პერიოდში ემიგრანტების მაჩვენებელი 1,2–ით გაიზარდა. 2012 წლის მონაცემებით უმუშევრობამ 15.0% შეადგინა.

ექსპერტების მონაცემებით, 2012–13 წლებში ქვეყანაში უმუშევრობის და თვითდასაქმებულების რაოდენობამ შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 70% შეადგენდა, 2017–2019 წლებში დასაქმებულების მაჩვენებელი 2%–ით გაიზარდა, ძირითადად მომსახურების სფეროში.

ადგილობრივი და საექსპორტო პროდუქციის წარმოება ფერხდებოდა წარმოების მიმართ არასწორი მიდგომის გამო, ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გაზარდა იაფასიანი იმპორტი და ადგილობრივი პროდუქტის რეალიზება ბაზარზე წამგებიანი გახდა, დაკნინდა სოფლის მეურნეობის დარგები, გაჩერდა ის საწარმოები რომლებსაც საბჭოთა კავშირის პერიოდში მნიშვნელოვანი შემოსავალი შემოქონდა საქარველოს რესპუბლიკისათვის, მაგალითად: ჩაის და ციტრუსების წარმოება, კარტოფილის მოყვანა, მინის წარმოების ქარხანა, ზესტაფონის ფეროსშემადნობელი ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილისში რძის საწარმო და შოკოლადის ქარხანა.

რეფორმების შემდგომმა ტალღამ ვითარება არ შეცვალა; პირიქით, მონაცემების გაყალბებამ კიდევ უფრო ილუზიური გახადა ეკონომიკა, ეროვნული ვალუტის მყიდველობით უნარიანობა დაეცა, რაც გამოწვეულია წარმოებული პროდუქციის, დანახარჯის და ფულის მასის და მისი ბრუნვის სიჩქარის უტოლობით, ეროვნული ფულის კურსის ქანქარისებულმა ცვლილებამ ბანკები და მიკროსაფინანსო ინსტიტუტები გაამდიდრა, ხალხი კი კიდევ უფრო გააღარიბა.

2020 წლის მონაცემებით (პირველი კვარტალი) ეკონომიკურმა ზრდამ 2,3% შეადგინა (ოფიციალური მონაცემები), რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან დაბალია. მეორე კვარტალში ეკონომიკა 13,2%–ით შემცირდა, რაც ეკონომიკის თითქმის მთლიანად გაჩერებით იყო გამოწვეული, ხალხი იძულებული იყო დოლარში არსებული დანაზოგი გამოეტანა, ამ პერიოდში ლარის კურსი გამყარდა, ხოლო ოლიგარქებმა შეძლეს მეტი დოლარის შესყიდვა.

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა ჩაკეტვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თუ რა მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი წარმოების განვითარებას და როგორი სარისკოა ტურიზმზე აგებული ეკონომიკა.

როგორც მსოფლიო, ასევე, საქართველოში პანდემიამ ყველაზე მეტად ტურიზმის სექტორი დააზარალა. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში შეზღუდვები მოიხსნა ადგილობრივი ტურიზმისათვის, შემოსავალმა მაინც ვერ დაფარა ის მოლოდინები რასაც მთავრობა ელოდა, პირიქით, შემდგომში კორონავირუსის პანდემიის გააქტიურებამ (მეორე ტალღა) უფრომეტი ზიანი მიაყენა ქვეყნის ფინანსურ რესურსებს.

ამდენად, ზემოთ მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით და, შესაბამისად, უახლოესი წარსულის ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი ადასტურებს, რომ ეროვნული ეკონომიკის ზრდის მიღწევის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორებია: კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი, ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ფასიანი ქაღალდების ბირჟის არ არსებობა, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე სამუშაო ძალის დაბალი მაჩვენებელი.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი საფუძველი

საქართველოს ეკონომიკის გავითერებისათვის აუცილებელია შემუშავდეს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც გაწერილი იქნება მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდზე.

ამ მიზნით აუცილებელია ბუნებრივი და შრომითი რესურსების აღწერა:

ბუნებრივი რესურსები:

1. აუცილებელია ყველა ბუნებრივი რესურსების მარაგების დადგენა, ამ რესურსების გამოყენებადობის გამოვლენა და მისი სამომავლო აუცილებლობის დადგენა.

შრომითი რესურსები:

1. უნდა მოხდეს მოსახლეობის აღწერა, ასაკობრივი ჯგუფების დადგენა, პროფესიების გამოვლენა, შრომისუნარიანი ადამიანების დადგენა.

ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს იმ საწარმოების ნუსხა, რომელიც დაიტვირთება ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსებით, ასევე აუცილებელია შესწავლილ იქნას საგარეო ბაზრის მოთხოვნები.

აუცილებელია გამოვლინდეს სიმძლავრეები, რომლიც უზრუნველყოფს საწარმოო პროცესის უწყვეტობას და ამ მიმართულებით შემუშავდეს ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული სიმძლავრების გამოყენების და მართვის პოლიტიკა.

1. მოკლევადიანი პერიოდის გეგმა (1 წელი) უნდა მოიცავდეს:
   1’1. საკანონმდებლო სისტემის მონიტორინგს:
   ა). საბანკო სისტემის;
   ბ). საგადასახადო სისტემის;
   გ). სოციალური უზრუნველყოფის სისტემის;
   დ). სამეწარმეო და სოფლის მეორნეობის საკანონმდებლო სისტემის.
   ასევე მოკლევადიანი პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს საერთაშორისო პროექტების მოზიდვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის პირობებს.
2. საშუალო ვადიანი პროგრამა (2–3 წელი) უნდა ითვალისწინებდეს:
   2’1. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობის და მსხვილი სამრეწველო ობიექტების განვითარების გარემოს შექმნას.
   ასევე: შეცვლილი საკანონმდებლო ბაზის მონიტორინგს, საერთაშორისო ბირჟის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას.
3. გრძელვადიანი პერიოდი (3–5 წელი):
   3’1. ექსპორტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის შემუშავება, ადგილობრივი რესურსების გამოყენების სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრინციპები - არსებულის დიაგნოსტიკა

ძირითადი პრინციპის პირველი აუცილებლობა

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინა პირობაა მაკრო და მიკროეკონომიკური სტაბილურობა და ურთიერთ ბალანსი, რომლის მიღწევა შესაძლებელია ფინანსური სექტორის სტაბილურობის, სტაბილური საგადასახადო სისტემის შექმნის და საგარეო რისკების ეფექტური მონიტორინგის დანერგვის შემთხვევაში.

ეკონომიკურ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფისკალური ქცევის აღსრულების წესი, სახელდობრ:

საქართველოს მთავრობამ 4 ფისკალური წესი ასახა კანონმდებლობაში:

1. საბიუჯეტო ბალანსის წესი – ორგანული კანონი განსაზღვრავს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის ზედა ზღვარს მშპ-ის 3%-ის ოდენობით, მაგრამ არ არის განსაზღრული რა ვალდებულება ეკისრება მთავრობას დეფიციტის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში;
2. ვალის წესი – საჯარო სექტორის ვალი, როგორც მუდმივი პროცენტული მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებით. არ არის განსაზღრული ზღვარი;
3. ხარჯვის წესი – ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილისათვის დადგენილია ზედა ზღვარი მშპ-ის 30%-ის ოდენობით, მაგრამ არ არის განსაზღრული პრიორიტეტები;
4. შემოსავლების წესი – ორგანული კანონი კრძალავს ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდას, გარდა აქციზისა, მაგრამ არ არის ახსნილი აკრძალვის ბუნება და ეკონომიკური სარგებელი.

ძირითადი პრინციპის მეორე აუცილებლობა
კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა

საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტიგრირების კარგი მაჩვენებელი აქვს (მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური სარტყელის მრავალფეროვნება) და მისი მიღწევა შესაძლებელია კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევით. ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს, რომლის შედეგები მოსახლეობის ფართო ფენისათვის იქნება ხელმისაწდომი, კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი უზრუნველყოფს ქვეყნის სწორი ეკონომიკური სტრატეგიის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოო ობიექტების განვითარების უზრუნველყოფას.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ზრდა შესაძლებელია ეკონომიკის ლიბერალიზაციის გზით, ისე, რომ ეროვნული ინტერესები არ დაირღვეს ანუ მოხდეს ეფექტური პრეფერენციული რეჟიმის გამოყენება ადგილობრივი საწარმოებისათვის და იმ შეღავათების გამოყენება, რომელიც საქართველოს მიენიჭა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა ქვეყნების მიერ.

ახლანდელი ვითარებით მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი დაბალია. ექსპორტი არადივერსიფიცირებულია, მცირეა მისი დამატებული ღირებულება, სუსტია ახალი ბაზარზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებელი. ამის შედეგია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დაბალი მაჩვენებელი. ეს ცხადყობს, რომ ქვეყნის ეკონომიკისა და კერძო სექტორის, როგორც მისი ძირითადი მამოძრავებელი კომპონენტის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა დაბალია.

თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბებას და მსოფლიო ბაზარზე საქართველოს ეკონომიკის ეტაპობრივ ინტეგრაციას ხელს უშლის ქვეყანაში კლანური სამეწარმეო საქმიანობის ჩამოყალიბა.

ძირითადი პრინციპის მესამე აუცილებლობა
ინვესტიციების მოზიდვისა და ბიზნესის გარემოს გაუმჯობესება

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. არაპროგნოზირებადი კონკურენციის და მისი გლობალურობის პირობებში სწრაფად იცვლება თამაშის წესები, შესაბამისად აუცილებელია საინვესტიციო პოლიტიკის ხშირი მონიტორინგი.

მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიშის (Doing Business, 2014) მიხედვით საქართველო აღიარეს ქვეყნად სადაც მიმდინარეობს რეფორმები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რამეთუ ეკონომიკის ცალკეულ სფეროში არსებობს სერიოზული პრობლემები, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. 2019, 2020 წლებში ისევ პრობლემატურ საკითხად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, პრობლემატურია კომერციული დავის გადაწყვეტის და ბაზარზე დამკვიდრების საკითხები.

არსებული სირთულეები, მთლიანობაში, აუარესებს სამეწარმეო გარემოს, ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებ ეფექტიანს ხდის სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს. ინვესტორთა ნდობის შემცირებას ასევე იწვევს ქვეყანაში მუდმივი პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც გარეშე ძალებით იმართება.

სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასება მიუთითებს, სახელდობრ: გლობალური კონკურენტუნარიან ინდექსში, 2013–2015 წლების მონაცემების მიხედვით საქართველოს შემდეგი მონაცემები აქვს:

ა). საკუთრების უფლების დაცვა – 121–ე ადგილი;

ბ). დავის სამართლიანად გადაწყვეტის ეფექტიანობა – 92–ე ადგილე;

გ). ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა – 140–ე ადგილი;

დ). კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებელი – 32,7%, მაშინ როდესაც, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საშუალო მაჩვენებელია 38,0%–ი, ხოლო OECD–ის წევრ ქვეყნებში საშუალოდ 71,6%–ია.

მაშასადამე სამეწარმეო და საინვესტიციო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად აუცილებელია რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. ძლიერი დამოუკიდებელი სასამართლო, სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს ჩემოყალიბება, ასევე საკუთრების უფლებების დაცვის სფეროში ქმედითი მექანიზმების დანერგვა.

ძირითადი პრინციპის მესამე აუცილებლობა
ახალი ტექნოლოგიები

ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის დაბალი დონე, განაპირობებს ბუნებრივი რესურსების არარაციონალურ გამოყენებას და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს, ყოველივე ამას ემატება ეკოლოგიური გარემოს დაბინძურება, რაც გამოიხატება საკვები პროდუქტის დაბინძურებაში და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესებაში.

2018 წლის ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის (EPI – Environmental Performance Index) მიხედვით კვლევის მონაწილე 180 ქვეყანას შორის საქართველო 94–ე ადგილს იკავებს რეიტინგის პირველადგილზეა შვეიცარია, ხოლო ბოლოზე ბურუნდია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩვენზე უკეთესი ვითარებაა და 30–40– ის ფარგლებში იკავებენ ადგილს.

ინოვეციების გლობალურ ინდექსში (GII 2013) საქართველო მსოფლიოში 73–ე ადგილზეა, ხოლო 2012 წლის ინოვაციების შესაძლებლობების ინდექსში (ICI) 131 ქვეყანას შორის 44–ე ადგილი უკავია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (GCI) 2013–2014 წლების მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს:

1. ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი: 118–ე ადგილი;
2. კომპანიების დანახარჯები კვლევისა და განვითარებაზე (R&D): 128–ე ადგილი;
3. უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა: 100–ე ადგილი;
4. კომპანიების მიერ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა: 117–ე ადგილი.

არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე და 124–ე ადგილზე იმყოფება.

ძირითადი პრინციპის მეოთხე აუცილებლობა
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და მობილური ლოგისტიკური ცენრების შექმნა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების და მობილური ლოგისტიკური ცენრების შექმნის აუცილებლობა ოცდამეერთე საუკუნის მთავარი მოთხოვნაა, საქართველოსათვის ის არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ დატვირთვასაც იძენს, რამეთუ საქართველო მოიაზრება როგორც ევროპა–აზიის სატრანსპორტო დერეფანი სადაც იმოძრავებს სხვადასხვა ქვეყნის ტვირთი, რომელსაც უსაფრთხოების უზრუნველყოფა სჭირდება, რაც შესაბამისად მოცემული ტერიტორიის (ქვეყნის) საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიაა.

ძირითადი პრინციპის მეხუთე აუცილებლობა
სასოფლო–სამეურნეო საქმიანობის საერთო სისტემის განვითარება

საქართველო მცირე მიწიანი ქვეყანაა ამდენად აუთვისებელი მიწის ნაკვეთები უნდა ჩამოერთვას მათ მფლობელებს და გადაეცეთ გლეხურ სამეურნეო გაერთიანებებს (ეს ჩამოსაყალიბებელია), ასევე: უნდა აიკრძალოს სასოფლო–სამეურნეო და რეკრეაციული ზონის მიწის ნაკვეთების მიყიდვა უცხოეთის მოქალაქეებზე.

სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად აუცილებელია ფართო ირიგაციული და სადრენაჟო სისტემის დანერგვა და მათზე გლეხების ხელმისაწვდომობის ზრდა. გლეხების მოტივაციის ზრდის მიზნით აუცილებელია სასოფლო–სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი და შემნახველი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ასევე საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

ძირითადი პრინციპის მეექვსე აუცილებლობა
ენერგოდამოკიდებულების მართვა

საქართველო მდიდარია წყალუხვი მდინარეების ქსელით და ჰიდროსადგურების აუზების მშენებლობისათვის ხელსაყრელი დაქანებული ხეობით (კალაპოტით) რომელიც კარგ პირობას ქმნის ჰიდროელექტრო სადგურების განვითარებისათვის, მაგრამ ამასთან გასათვლისწინებელია, რომ მსხვილი ჰიდროელექტრო სადგურების და დიდი წყალსაცავების მშენებლობა ქმნის საშიშროებას, რამეთუ საქართველო განლაგებულია მაღალ სეისმურ ზონაში, ამდენად კავკასიონის სამხრეთ ფერდის გასწვრივ სადაც გადის მსხვილი ტექტონიკური რღვევა ჰესების მშენებლობა ყოვლად დაუშვებელია და განსაკუთრებით მსხვილი. საქართველოში დასაშვებია მცირე ჰესების მშენებლობა; ამისათვის საქართველოს ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში შექმნილია ხელსაყრელი მდინარეთა სისტემის ქსელი.

საქართველოში ენერგეტიკული პოტენციალის ამაღლების მიზნით აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც შესაძლებელია მოსახლეობაზე აქციების მიყიდვის გზით, ამისათვის უნდა შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

ძირითადი პრინციპის მეშვიდე აუცილებლობა
ადამიანური რესურსების და მეცნიერების განვითარება

ეროვნული ეკონომიკის ზრდის ერთ–ერთ მთავარ ფაქტორს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს და ამ კაპიტალის განვითარებისათვის აუცილებელია ხარისხიანი საგანმანათლებლო, ფიზიკური განვითარების და სამედიცინო სისტემის შექმნა, სოციალური სამართლიანობის გარემოს ჩამოყალიბების უზრუნველყოფის კვალობაზე.

ეროვნული ეკონომიკის ზრდა დამოკიდებულია ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის დონეზე, ამდენად აუცილებელია ინვესტიციების მიმართვა ადამიანის რესურსების განვითარებაში და, ასევე, სამეცნიერო სფეროს განვითარებაში, რომ შეიქმნას ადგილობრივი ახალი ტექნოლოგიების ბაზა.

მეცნიერების და ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია უნდა მოიცავდეს:

ადამიანური რესურსები:

1. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება;
2. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა;
3. ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფა.

მეცნიერება:

1. სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით უნდა განისაზღვროს ის საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი, ასევე სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც მოახდენენ სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის დაფინანსებას და საერთაშორისო დონეზე კვლევის შედეგების გავრცელებას;
2. ქვეყნის აუცილებელი მოთხოვნიდან და მეცნიერული კვლევის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მართვის ცენტრი.

ვალდებულება

1. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესის და ადამიანის მატერიალური, სულიერი, კულტურული, ისტორიული საკუთრების განუხრელი დაცვა;
2. უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობა და კანონის უზენაესობა;
3. ხელისუფლება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო სისტემის დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან;
4. ხელისუფლება ვალდებულებას იღებს შექმნას კონკურენტული გარემო, ეროვნული ფასეულობების ინტერესების გათვალისწინებით;
5. ხელისუფლება იღებს ვალდებულებას ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შესანარჩუნებლად შექმნას ქმედითი ღონისძიებები.

თბილისი, 12 მარტი, 2021 წელი.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ისტორიულად, დაპყრობებისა და მტრების შემოსევების ყველა ეტაპს საქართველოში თან ახლდა ტერიტორიების დაკარგვა, ეროვნული ცნობიერებისა და სარწმუნოების დევნა. ამას ქართველი ხალხი, სამშობლოსა და ქართველი ერის გადასარჩენად, ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყებით პასუხობდა და იმარჯვებდა.

ასეა დღესაც. ქვეყანაში შექმნილი ვითარება კრიტიკულ ზღვარს გადასცდა. საქართველოსთვის ამ ავბედით ეტაპზე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება ქვეყანას ისე სჭირდება, როგორც არასდროს. მის დღევანდელ მიზანს, ეროვნულად მოაზროვნე ძალების გადარჩენა, კონსოლიდაცია და საქართველოს გადასარჩენად დარაზმვა წარმოადგენს.

აი, ამისთვის აგრძელებს ბრძოლას განახლებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. გამოქვეყნდა მისი მანიფესტი და მიღებულ იქნა მემორანდუმი.

ანტიქართულ-ანტიმართლმადიდებლურად მართულ ქვეყანაში, შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის მხოლოდ რამოდენიმე გზა იკვეთება:

ერთი _ საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლაში დაღვრილი სისხლიანი გზაა, რომლის არჩევითა და ქართველთა სისხლის ხელახალი დაღვრით, ცოდვების დამძიმება დაუშვებელია;

მეორე, შემოთავაზებული, ეგრეთწოდებული „დემოკრატიული არჩევნებია". ესეც, თუ მორიგ სპექტაკლთან არა გვაქვს საქმე და დღევანდელი რესურსების გათვალისწინებით გამორიცხულია;

არსებობს ქვეყნისთვის კატასტროფის აცილებისა და ნაკლებად სარისკო მესამე გზაც - სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა და მომავალი ხელისუფლების სამართლიანი, ლეგიტიმური გზით არჩევა, „ამისტებად და იმისტებად" დაყოფილი საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება, რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, ეს გზა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება. ეს ხომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სამართლებრივად სწორ გზაზე დააყენების ერთადერთი მექანიზმია, მიზანი კი, საქართველოს ყველა მამულიშვილისთვის სამშობლოს გადარჩენა, ეროვნული თანხმობის მიღწევა და ქვეყნის განვითარების სწორი ვექტორის არჩევაა.

ამ გზის დაუსაბუთებელი უარყოფა კი, მხოლოდ კვლავ კონფრონტაციის, ქვეყნის გათიშულობის, ტერიტორიული მთლიანობის არამოსურნე და საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილების ძალებსღა აწყობს.

ამრიგად, ვაცნობიერებთ რა საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის დღევანდელ მძიმე მდგომარეობასა და პასუხისმგებლობას ქართველი ერის წინაშე, ვეყრდნობით რა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მანიფესტში განცხადებულ ძირეულ პრინციპებს, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ:

სამართლიანობის, თანასწორუფლებიანობის, ქვეყნის საკუთარი განმგებლობის უფლებიდან, სახელმწიფოთა უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც მსოფლიოს ერთა კულტურათა და კოლექტიური უსაფრთხოების, მასთან ერთად ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ფუძემდებლური პრინციპიდან

გამომდინარე, დადგა გადარჩენის შესაძლებლობათა გამონახვა–გატარების აუცილებლობის გარდაუვალობა, ამისათვის ყველა საქმე უნდა ვაქციოთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად, რათა აშენდეს ერთიანი ეროვნული სხეულით გასხივოსნებული სახელმწიფო. ყოველივე ამის განსახორციელებლად კი აუცილებელია, საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის გადაჭრას უპირველესი პრობლემა _ უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალმემკვიდრეობისა და ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი. საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება მანამდე, სანამ საქართველო არ განმტკიცდება თავის თავისუფლებაში ყველა _ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გეოპოლიტიკური ასპექტით. შესაბამისად უწყვეტია მისი ისტორიულ–თემატური დრო.

საქართველოს ეროვნულ–განმათავისულებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭო გამოდის ინიციატივით იყოს ამ პროცესების წამმართავი ძალა, რომლის მიზანი იქნება დაამკვიდროს ქვეყანაში მშვიდობა, ურთიერთგაგება, მონანიებისა და მიტევების გზით ხელი შევუწყოთ ეროვნული თანხმობისა და შერიგების პროცესს. მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, ლოზუნგი, არამედ – სწორედ სახელმწიფოებრივი მიდგომა სუვერენიტეტის განმტკიცების, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და ქვეყნის აღმშენებლობის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელიც მოახდენს საქართველოს ყველა მოქალაქის გაერთიანებას მსოფლიოს ცივილიზაციაში ქართული სახელმწიფოს ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის.

მიგვაჩნია, რომ ზემოთხსენებული საკითხების გადაწყვეტა მომავალი სამართლებრივი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პრეროგატივაა.

საქართველოს ეროვნულ–განმათავისულებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭო არ იზიარებს ხელისუფლების შეცვლის სისხლიანი გზით ცოდვების დამძიმებას.

ჩვენი გზა ემყარება სამართლიანობის, სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის პრინციპებს.

საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა იწყებს კამპანიას ამ საკითხთან დაკავშირებულ მემორანდუმზე ხელმოწერების შეგროვების მიზნით.

შემოგვიერთდით!

მემორანდუმის ტექსტი ინახება საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრალურ ოფისში.

საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი
მოძრაობის საკოორდინაციო საბჭო

საქართველო, თბილისი
14. 03.2021

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოს მიმართვა საქართველოს მამულიშვილებს

ვინაიდან, ისტორიული პროცესების განვითარების დიალექტიკა თავისთავად გვკარნახობს არსებულ ნარმოდგენათა გარკვეული კორექტირების აუცილებლობას, რამეთუ დღეს, ქვეყნის დაშლასთან, ეკონომიკის რღვევასთან, ხალხის გაღატაკებასთან, განათლების, მეცნიერების, კულტურის დაცემასთან ერთად, საქართველოს ემუქრება ყველაზე საშინელი საფრთხე – თავისი ეროვნული სახის დაკარგვა და უფრო მეტიც, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ერთიანობის ფიზიკური გაქრობა;

ვინაიდან, ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა, საზოგადოების პოლიტიკური ინტრიგებით მეტისმეტად გაფაფუჭებამ, პოლიტიკოსების მხრიდან მერკანტილური ინტერესების ასრულების დაუოკებელმა ჟინმა ქართული სახელმწიფოებრიობა მოშლა-გაუქმების წინაშე დააყენა;

ვინაიდან, საქართველო და მისი თითოეული მოქალაქე იმყოფება, ერთის მხრივ, ექსტრემისტების ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, მეორეს მხრივ კი, ფსევდოდემოკრატიის, მოჩვენებითი კეთილდღეობის სამყაროში და ეს ყველაფერი არსებული გაუსაძლისი რეალობის ფონზე იმდენად ამაზრზენია, რომ პიროვნება გადაჰყავს ან რეაქციულ, ან ილუზიურ სამყაროში და ქართული საზოგადოებისათვის კი ორივე ვითარება დამღუპველია;

ვინაიდან, ჩვენი საარზოვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას, რაც მომავალში ქართველი ერის ისტორიული მეხსიერების, დროთა მიერ ტრაგიკულად დარღვეული კავშირისა და „ჩაცეხილი ხიდების“ გამთლიანების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქცეს;

ვინაიდან, თანასწორუფლებიანობის პრინციპებიდან და ქვეყნის საკუთარი განმგებლობის უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფო გარედან ჩარევის გარეშე თავადვე უნდა განსაზღვრავდეს თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას;

ვინაიდან, დადგა გადარჩენის უკანასკნელ შესაძლებლობათა გამონახვა-გაცარების აუცილებლობის გარდაუვალობა;

მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მონოდება, ლოზუნგი, არამედ – სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, საამართლებრივი, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკითა და მსოფლიო ინტერესებიდან გამომდინარე, დღევანდელი ყველა პრობლემების აუცილებელი, ოპტიმალური გადაწყვეტა.

ყოველივე ამის განსახორციელებლად კი საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის უნდა გადაჭრას უპირველესი პრობლემა: უნდა აღდგეს და მონესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, საამართალმემკვიდრეობის, ლეგიტიმურობისა და ტერიტორიული მთლიანობის საამართლებრივი საფუძველი.

ამისათვის ყველა საქმე, იქნება ეს მეურნეობრივი, ნარმოებრივი, ცხოვრებისეული, სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური თუ სხვა, უნდა ვაქცეთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად, რათა აშენდეს ერთიანი ქართული სხეულით გასხივოსნებული სახელმწიფო.

ვინაიდან, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შენყვეტილა და იგი გრძელდება მანამ, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდება ყველა ასპექტით: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, გეოპოლიტიკური და შესაბამისად უნყვეტია მისი ისტორიულ-თემატური დრო;

ვინაიდან, უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმურობის საამართლებრივი აღდგენის საკითხები, ანუ საკითხი ეროვნული კონსტიტუციის, ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ;

ვინაიდან, ეროვნული, ანუ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა, პირველ რიგში და საფუძველში, გულისხმობს მის აღდგენას – როგორც ეროვნული მოძრაობის ინსტიტუციისას, ინსტრუმენტისას და არა რაღაც განყენებული აბსტრაქციისას;

ვინაიდან, ლეგიტიმურობა და კანონიერება ეროვნულობაზეა აგებული და არა შემონერგილ რაღაც ტრანსნაციონალურ–ინტერნაციონალურ აბსტრაქტულობებზე და ლეგიტიმურობის აღდგენა პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის, ზოგადად ქართველი ერის მიზნების განმახორციელებელი ხელისუფლების აღდგენას;

ვინაიდან, ანტიქართულ–ანტიმართლმადიდებლურად მართული ქვეყანაში, შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის მხოლოდ რამოდენიმე გზა იკვეთება:

ერთი – ქვეყნის ხელისუფალთა შეცვლა–ჩანაცვლების არასამართლებრივი, არალეგიტიმური, მორიგ სახელმწიფო გადატრიალებებსა და ვითომ სახალხო ჯანყი–ბრძოლებში დაღვრილი სისხლიანი გზაა, რომლის არჩევითა და ქართველთა სისხლის ხელახალი დაღვრით, ცოდვების დამძიმება დაუშვებელია;

მეორე, შემოთავაზებული, მოჩვენებითი, ვითომ სამართლებრივ–კანონიერ ჩარჩოებში მოქცეული ეგრეთნოდებული „დემოკრატიული არჩევნებში“ მონაწილეობის მორიგი სპექტაკლები, რაც ასევე შეუძლებელი და გამორიცხულია.

საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობას კი გააჩნია და არსებობს ქვეყნისთვის კატასტროფის აცილებისა და ნაკლებად სარისკო უალტერნატივო გზა: სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა მისი ყველა ნიშნით; ხანმოკლე გარდამავალი პერიოდის გამოცხადება; სამართლებრივი, ლეგიტიმური, კანონიერი, საყოველთაო არჩევნების დანიშვნა და მომავალი ეროვნული ხელისუფლების სამართლიანი, ლეგიტიმური გზით არჩევა; „ამისტებად და იმისტებად“ დაყოფილი საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება; რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა; დევნილთა, ლტოლვილთა, ემიგრანტთა საკუთარ კერაზე, სამშობლოში აუცილებელი და უსაფრთხო დაბრუნება.

ამასთან, ეს გზა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება. ეს ხომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სამართლებრივად სწორ გზაზე დაყენების ერთადერთი მექანიზმია.

ამ გზის დაუსაბუთებელი უარყოფა კი, მხოლოდ კვლავ კონფრონტაციის, ქვეყნის გათიშულობის, ტერიტორიული მთლიანობის არამოსურნე და საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილების ძალებსღა ანყობს.

ამ მიზნების მისაღწევად, არსებული ვითარებაში, ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრივობის გადასარჩენად ერთადერთი, უალტერნატივო, აუცილებელი და გადაუდებელია საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელახალი აღმავლობა, მისი სრულად და საყოველთაოდ ამოქმედება.

ისტორიულად, დაპყრობებისა და მტრების შემოსევების ყველა ეტაპს, საქართველოში თან ახლდა ტერიტორიების დაკარგვა, ეროვნული ღნობიერებისა და სარწმუნოების დევნა. ამას ქართველი ხალხი, სამშობლოსა და ქართველი ერის გადასარჩენად, ქვეყანაში ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობის დანყებით პასუხობდა და იმარჯვებდა.

ასეა დღესაც. საქართველოსთვის ამ ავბედით ეტაპზე ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა ქვეყანას ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

აუცილებელია, მოვუხმოთ ყველა ჯეშმარიტ მამულიშვილს, გაერთიანდეს ყველა ადამიანური, ორგანიზაციული, საინფორმაცია, ფინანსური და სხვა რესურსები, არჩეულ იქნეს მიზანმიმართული, შეურიგებელი და თავგანწირული პოლიტიკური ბრძოლის ფორმები და მექანიზმები, რათა ერთად ვიხსნათ სამშობლო.

საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა მზადაა დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა ქვეყნის მონყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჯეშმარიტი ეროვნულ–სახელმწიფოებრივი – ეროვნულ–სარწმუნოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო ნყობილების შექმნა–განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და

საერთაშორისო სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცვს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, საერთაშორისო სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საერთო კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების საშშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. მთავარი ამოცანაა ისევე, როგორც სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერ-სახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივუყვართ მომავლისაკენ, სადაც ნარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფო დაეფუძნება. სახელმწიფო კი უნდა იყოს ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის გარანტი, ქართული ცხოვრების არსის განმსაზღვრელი.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი პრინციპები ასახულია მის მანიფესტში, ქარტიაში, მემორანდუმში, დეკლარაციებსა და განცხადებებში (28 ნოემბერი, 2009 წელი, 31 მარტი, 10 ივლისი 2010 წელი).

თუ ქართველი ხალხის გაერთიანებას საფუძვლად დაედება სულისკვეთება, განწყობა, რწმენა და საშშობლოს სიყვარული, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც თავის პოლიტიკურ ბრძოლის არსენალში გააჩნია ცოდნაცა და გამოცდილებაც, კონკრეტული კანონიერი მოთხოვნებით შესძლებს გადაარჩინოს განადგურებას და აღორძინოს მამული.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მამულიშვილთა ნებითა და დასტურით, მომავალი საერთაშორისო, ლეგიტიმური და საყოველთაო არჩევნებით ეროვნული ძალების ხელისუფლებაში კვლავ მოსვლამდე, მზადაა, ისევ წარუძღვეს ერსა და ქვეყანას თავის მიერვე გამარჯვებით დანყებული, საერთაშორისოდ, ლეგიტიმურად და კანონიერად მიღებული, კონსტიტუციურად გამართლებულ-გამყარებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე გარდამავალ-გარდამსახველი ეტაპის საბოლოოდ გამარჯვებით დასრულებისათვის.

უსამართლობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სამართლით!

სიცრუეს შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სიმართლით!

უკანონობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ კანონით!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქართველ ერს ჰპირდება თავისუფლებას!

ღმერთმა დალოცოს ქართველობა!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
საკოორდინაციო საბჭო

საქართველო, ქ. თბილისი
14. 03. 2021

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოს

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი - საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭო, საქართველოს პოლიტიკური პარტიები და გაერთიანებები, საზოგადოებრივი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ინდივიდუალური პირები, ვაცნობიერებთ რა საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის დღევანდელ მძიმე მდგომარეობასა და პასუხისმგებლობას ქართული ერის წინაშე, ვიზიარებთ რა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მანიფესტში განცხადებულ ძირეულ პრინციპებს, ვერთიანდებით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარშემო, მემორანდუმზე ხელმოწერით ვთანხმდებით და საქვეყნოდ ვაცხადებთ:

1991-1993 წლების შეიარაღებულმა სამხედრო-კრიმინალურმა, სახელმწიფო გადატრიალებამ შესაძლებლობა მოუსპო ეროვნულ ხელისუფლებას ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა სახელმწიფოებრივობის აღორძინებისა და განვითარების მიმართულებით, საფუძველი დაუდო ტოტალურ უკანონობას, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მასიურ დარღვევებს, დააფუძვნა რა ძალმომრეობის კულტი, მოსახლეობის ნაწილში დაამდაბლა სამართალშეგნება, ან სულაც უარყოფინა მას კანონის უზენაესობის პრინციპი. ამან კი თავისთავად დააბრკოლა საქართველოში სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების განმტკიცება, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერება და ამასთან, ქვეყნის საკაცობრიო განვითარებაც.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ არალეგიტიმური ხელისუფლების რეორგანიზების დაწყებიდან, რაც ე. წ. „დემოკრატიულ აჯანყებად“ და „ხავერდოვან რევოლუციად“ წარმოგვიდგინეს, დროებითმა ფაქტობრივმა მმართველობებმა და მათ უკან მდგარმა ძალებმა გააყალბა სახელმწიფო გადატრიალებიდან დღემდე ჩატარებული ცრუ საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობითი არჩევნები, მიიტაცა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, ქვეყანაში მოკლა პოლიტიკური პროცესები და ოპონენტებს დაუტოვა მხოლოდ ქუჩის პოლიტიკის არეალი, ციხეები გაავსო პოლიტპატიმრებით, დაიმორჩილა მედიის დიდი ნაწილი და აწარმოებს საზოგადოების ცნობიერებაზე მავნე ზემოქმედებას, ეკონომიკის „პრიორიტეტად" აქცია წართმევა, გააღატაკა მოსახლეობა, მიზანმიმართულად გაანადგურა პროფესიონალი კადრები, სამარცხვინოდ დაკარგა სამაჩაბლო და აფხაზეთი.

სამართლიანობის, თანასწორუფლებიანობის, ქვეყნის საკუთარი განმგებლობის უფლებიდან, სახელმწიფოთა უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც მსოფლიოს ერთა კულტურათა და კოლექტიური უსაფრთხოების, მასთან ერთად ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ფუძემდებლური პრინციპიდან გამომდინარე, დადგა გადარჩენის უკანასკნელ შესაძლებლობათა გამონახვა-გატარების აუცილებლობის გარდაუვალობა, ამისათვის ყველა საქმე, იქნება ეს მეურნეობრივი, წარმოებრივი, ცხოვრებისეული, სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური თუ სხვა, უნდა ვაქციოთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად, რათა აშენდეს ერთიანი ეროვნული სხეულით გასხივოსნებული სახელმწიფო. ყოველივე ამის განსახორციელებლად კი აუცილებელია, საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის გადაჭრას უპირველესი პრობლემა - უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალმემკვიდრეობისა და ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება მანამდე, სანამ საქართველო არ განმტკიცდება თავის თავისუფლებაში ყველა _ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გეოპოლიტიკური ასპექტით. შესაბამისად უწყვეტია მისი ისტორიულ-თემატური დრო და ამ დროში მის მიერ დატოვებული კვალიც, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება. ამდენად უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმურობის აღდგენის, ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საკითხები.

საქართველოს ეროვნულ-გამანთავისულებელი მოძრაობის თაოსნობით სამართლებრივი და ლეგიტიმური კონსტიტუციის თანახმად, ვიღებთ ინიციატივას ვიყოთ ამ პროცესების წამმართავი ძალა, რომლის მიზანი იქნება დაამკვიდროს ქვეყანაში მშვიდობა, ურთიერთგაგება, მონანიებისა და მიტევების გზით ხელი შევუწყოთ ეროვნული თანხმობისა და შერიგების პროცესს. მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, ლოზუნგი, არამედ – სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება და რეალურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თანხმობის მიღწევა. მხოლოდ სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით მიღწეული სრული, ჭეშმარიტი ეროვნული თანხმობა და შერიგება წარმოადგენდეს ერთადერთ სავალდებულო პოზიციას სახელმწიფოს ყველა მოქალაქისათვის, პოლიტიკური, თუ არაპოლიტიკური ორგანიზაციებისათვის და ეს ბრძოლა გავაგრძელოთ მანამ, სანამ ქართველ ხალხს არ ეყოლება ერის ნების გამომხატველი სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლება, რამეთუ მიგვაჩნია, რომ სხვა გზა არის გათიშულობის, დაპირისპირების და კონფრონტაციის გზა. მიზნად უნდა დავისახოთ: საქართველოს გათავისუფლება ქვეყნის შიდა, თუ გარე ბოროტი ძალებისაგან და ამ მიზნის მისაღწევად განვაახლოთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისულებელი მოძრაობა, გავაერთიანოდ ჩვენი ადამიანური, ორგანიზაციული, საინფორმაციო, ფინანსური და სხვა რესურსები, ავირჩიოთ მიზანმიმართული, შეურიგებელი და თავგანწირული ბრძოლის გზა, ჩვენს რიგებში მოვუხმოთ ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს, რათა ერთად ვიხსნათ სამშობლო.

საქართველოს ნამდვილ მამულიშვილს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს და სჯეროდეს, რომ უნდა ემსახუროს ქართველი ხალხის უზენაესობას, მარადიული ჭეშმარიტების მოთხოვნებს. ვუერთდებით ეროვნულ-სახელმწიფოებრივ – ეროვნულ-სარწმუნოებრივ პრინციპებზე დაფუძნებულ მოთხოვნებს, სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი წყვეტის აღმოფხვრასა და ახალი ლეგიტიმირებული, სამართლებრივი არჩევნების დანიშვნას, რამეთუ სწორედ ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებასა და გამარჯვებას აქვს აზრი. მხოლოდ მას შემდეგაა რეალური და უცილობელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ემიგრანტთა, ლტოლვილთა და დევნილთა მშობლიურ კერაზე დასაბრუნებლად ხელსაყრელი პირობების შექმნა. დიდი მიზნების მიღწევას შესაძლოა ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდეს. გამარჯვების გარანტი სწორად საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა.

მთავარი ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

ვერთიანდებით სამშობლოს გადასარჩენად!

უკანონობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ კანონით!

უსამართლობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სამართლით!

სიცრუეს კი შეიძლება მოვერიოთ სიმართლით!

საქართველომ პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქართველ ერს ჰპირდება თავისუფლებას!

ღმერთმა დალოცოს საქართველო!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
საკოორდინაციო საბჭო
საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“

საქართველო, თბილისი
14. 03. 2021

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოს

ძ ი რ ი თ ა დ ი პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი

ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა, საზოგადოების პოლიტიკური ინტრიგებით მეტისმეტად გატაცებამ, პოლიტიკოსების მხრიდან მერკანტილური ინტერესების ასრულების დაუოკებელმა ჟინმა ქართული სახელმწიფოებრიობა მოშლა-გაუქმების წინაშე დააყენა.

საქართველო და მისი თითოეული მოქალაქე იმყოფება, ერთის მხრივ, ექსტრემისტების ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, მეორე მხრივ, ფსევდოდემოკრატია-მოჩვენებითი კეთილდღეობის სამყაროში და ეს ყველაფერი არსებული გაუსაძლისი რეალობის ფონზე იმდენად ამაზრზენია, რომ პიროვნება გადაჰყავს ან რეაქციულ, ან ილუზიურ სამყაროში. ქართული საზოგადოებისათვის ორივე ვითარება დამღუპველია.

მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, ლოზუნგი, არამედ – სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი – ეროვნულ-სარწმუნოებრივი გზით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება და რეალურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თანხმობის მიღწევა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი პრინციპებია:

1. საქართველოში, დღეს, უმთავრესად, ძალიან მძიმე დემოგრაფიული პოლიტიკაა. მნიშვნელოვნად კლებულობს მოსახლეობის რაოდენობა, მეტად არასახარბიელოა დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებელი და სულ უფრო მწვავდება დემოგრაფიული პრობლემები. უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის საინტერესოა კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი უკანასკნელ წლებში, რომელიც საგრძნობლად დაირღვა. კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი ძირითადად დაირღვა საქართველოს სწორედ ხარჯზე. ნეგატიური გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ემიგრაციამაც იქონია. მეტად ინტესიური გახდა გარე მიგრაციულ პროცესები, ძირითადად მძიმე ეკონომიკური პირობების გამო უკანასკნელ წლებში ქვეყანა მილიონ ნახევარზე მეტმა ადამიანმა დატოვა და ფიზიკური არსებობისათვის სახსრის საშოვნელად საცხოვრებლად სხვა ქვეყნებს მიაშურა. ყოველივე ამის შედეგად მთელ მოსახლეობაში მცირდება ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფი. ქართველი ერი ფიზიკური წყვეტის, გადაშენების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ერთიდაიმავე რაოდენობით თაობათა განახლება სულ უფრო ძნელი ხდება, რაც სულიერი უწყვეტობის პროცესის საგრძნობ შენელებასთან შედარებით ბევრად უფრო სახიფათოა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური საგანგებო ღონისძიებები, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტრატეგიულ კონცეფციაში. მითითებულ ღონისძიებათა გატარება და მასთან ერთად, ამ მიმართულებით, სხვა აუცილებელი სამუშაოების ჩატარება, კომპლექსში კი, სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოება საწინდარი იქნება ურთულესი დემოგრაფიული სირთულეების დაძლევისა და სახელმწიფოებრივი აღორძინებისა;

2. ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, არის მოწამოებრივი გზა, ქრისტემიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა.

დიადი მიზნები კი მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან საქართველოში, ეკლესია, რომელსაც ყველაზე მეტად ჰქონდა და უნდა ჰქონდეს კიდეც

მოსახლეობის ნდობა, ყოველთვის იყო და უნდა იყოს კიდეც ძირითადი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მასაზრდოებელი ქვეყნის სამოქალაქო ეროვნული საზოგადოებისა.

ჩვენი ერი ვერასოდეს გახდება დამოუკიდებელი და თავისუფალი, თუ ის ზნეობრივად, რელიგიურად და სარწმუნოებრივად არ ამაღლდა. თუ ღვთის სჯულის დასაცავად ზნეობრივად და წესიერად ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ.

უფალმა ჩვენ მოგვცა სახელმწიფო, ეროვნული ეკლესია, უძველესი კულტურა, ენა, ჩვენ კი მხოლოდ ერთი მოვალეობა დაგვაკისრა – მათი დაცვა, განმტკიცება და განვრცობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ერი სრულყოფილი ხდება, როდესაც იგი „ეროვნულ-სარწმუნოებრივ სახელმწიფოებრიობას" აყალიბებს.

არიგად, არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება.

საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში, ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას. სწორედ ამიტომაც, ქართველი ერი მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან.

აქვე, ნიშანდობლივია იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი – ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა, ეს არა სხვადასხვა, განსხვავებული, არამედ ერთიანი, თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით.

აქედან გამომდინარე, ლეგიტიმურმა, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა მთავრობამ (ხელისუფლებამ) უნდა იღვაწოს კიდეც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად, რათა ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი დაემყაროს, არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს.

სამართლებრივი ეროვნული სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეროვნული ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას. სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებას დაემყარება.

ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, არის მოწამოებრივი გზა, ქრისტემიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა. აუცილებელია დავუბრუნდეთ მამა-პაპეულ გზას, ავაღორძინოთ დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო და საქართველოს დაუბრუნდეს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, პრაქტიკულად მისი შექმნისთანავე ატარებდა ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის ნიშნებსაც და ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამავდროულად იყო, არის და იქნება ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა. მისი ლოზუნგიც – „ენა, მამული, სარწმუნოება“ ხომ ამასვე ადასტურებს. დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით. ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაემყაროს

არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს. სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას. დროა კვლავ დავეპატრონოთ, მაღლა ავსწიოთ, ავიტაცოთ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების მამულიშვილთა სისხლით შეღებილი კეთილშობილი დროშა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებით გავაგრძელოთ ,,მამულისა ჩვეულებისამებრ სლვაჲ” ერის ხსნის გზაზე. წარმართობიდან დღემდის ქრისტიანობამდე კავკასიის ღვთისშვილები ვიყავით და უნდა ვიყოთ მუდამ.

საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული და რელიგიური თავსებადობა. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აუცილებლად უნდა დადგეს ერის გვერდით. მან მთელი თავისი სულიერ-ზნეობრივი ძლიერებით უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთო-ეროვნული აღორძინების პროცესში, რითაც უნდა გამოიკვეთოს ჩვენს ეპოქაში შექმნილი სულიერი ვაკუუმის ქრისტიანული რწმენით შევსების ტენდენცია;

3. უნდა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და უნდა მომზადდეს საფუძველი, რათა ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონი და ერთობა – კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა.

კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის, შიგა მოწესრიგების პრინციპი კი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ, მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს, რაც საქართველოს იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და ასევე შავი ზღვის ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური უპირატესობანი, დამოუკიდებლად შესძლოს პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა და კავკასიის სტაბილურ რეგიონად გადაქცევა.

მთავარი ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

საქართველოს და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" მთავარი მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა კავკასიისა და ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძვნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა და თვითმმართველობის

იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა ერთობის ამოცანაა ყველა სფეროში ჩვენი ერისა და მსოფლიოს ახალი რეგიონის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერთა თვითმყოფადობის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისა და სრულიად კავკასიისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა.

სწორედ ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფოც დაეფუძვნება. ქართული სახელმწიფო კი უნდა იყოს ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის გარანტი, ქართული ცხოვრების არსის განმსაზღვრელი. საქართველომ პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შესძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა.

საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური რეალიზმი და სამართლებრივი ტენდენციები მუდმივ თანაფარდობაში და ჰარმონიაში უნდა იყოს მომავალი მსოფლიოს სამართლებრივ წესრიგთან.

საგარეო პოლიტიკა ჩამოყალიბებული უნდა იყოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. მთავარი ამოცანაა ისტორიული ფუნქციის აღდგენა კავკასიაში და ყოველმხრივ თანაბარუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობის განვითარება, მშვიდობიანი სახელმწიფო კურსი მსოფლიო ასპარეზზე, გეოსტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთაში საქართველოს ადგილის დამკვიდრების გაღრმავება, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;

4. უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება, მანამდე, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდბა ყველა ასპექტით: ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური. შესაბამისად უწყვეტია ისტორიულ-თემატური დრო და ამ ყოველივეს დამწყები პიროვნების როლი. მის მიერ დატოვებულია კვალი ამ ისტორიულ-თემატურ დროში, რომელიც გრძელდება მომავალში. საერთოდ პიროვნებები, რომლებიც ისტორიას ქმნიან მათი მოღვაწეობა არ მთავრდება ეგზისტენციალური დროის დასრულებით. მათი მოღვაწეობა სიუჟეტურ დროში გრძელდება და ყველა სიუჟეტი, რომელიც მათ ერს შესთავაზეს განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა.

ამ დროს, მნიშვნელოვანია პირველადი განმარტება: საქართველოს სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს - სახალხო მოთხოვნით საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის მიერ სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზისა და მის საფუძველზე ქვეყანაში განხორციელებული კანონიერი საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენას.

არსებულ ვითარებაში, ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრივობის გადასარჩენად ლეგიტიმური კონსტიტუციის მიხედვით სავსებით აუცილებელი და გადაუდებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლის ხელახალი აღმავლობა, მისი ორგანიზაციების აღდგენა-აღორძინება. ამიტომაც, უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმურობის აღდგენის საკითხები, ანუ ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ჩვენ კვლავ ერად უნდა ვიქცეთ და ერს კვლავ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უნდა უხელმძღვანელოს.

ამაში მთავარი როლი, ვფიქრობ, სამართლებრივმა, ლეგიტიმურმა, კანონიერმა მთავრობამ და მისმა ლეგიტიმურმა პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იკისრონ, მათ ზუსტად უნდა იცოდნენ და იციან კიდეც, რა სჭირდება ერს და როგორ მიაღწიონ ამას. მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა.

ეროვნული, ანუ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა პირველ რიგში და საფუძველში გულისხმობს მის აღდგენას როგორც ეროვნული მოძრაობის ინსტიტუციისას, ინსტრუმენტისას და არა რაღაც განყენებული აბსტრაქციისას. დავსძენთ, რომ ლეგიტიმურობის აღდგენა პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ზოგადად ქართველი ერის მიზნების განმახორციელებელი ხელისუფლების აღდგენას.

5. ლეგიტიმურობა და კანონიერება ჩვენი თვალსაზრისით და ჩვენი სიმართლით ეროვნულობაზეა აგებული და არა შემონერგილ რაღაც ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალურ აბსტრაქტულობებზე. ამდენად, მთელი ამ ჩვენი მსჯელობების მიზანია დავასაბუთოთ და განვმარტოთ, რომ პირველადია სამართლებრივად კონსტიტუციური საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზაციები, ხოლო ეროვნული მოძრაობის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები - პარლამენტი იქნება ეს, თუ მთავრობა კი მეორეულია, დაქვემდებარებულია, ინსტრუმენტია და მეტი არაფერი და თუ ეს ასეა, მაშინ, ეროვნული ხელისუფლებისა და ზოგადად ჩვენი კანონიერებისა და ჩვენი სამართალ--სიმართლის აღდგენა შეუძლებელია მთლიანად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციების ხელახალი და მძლავრი აღმავლობისა და მომძლავრების გარეშე.

საქართველოში მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება შეიძლება იყოს კანონიერი, ლეგიტიმური და ვერავითარი ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალური ხელისუფლება ლეგიტიმური ვერ იქნება და ქართველი ერის ინტერესებს ვერ ემსახურება.

6. „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძვნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. სახელმწიფოს ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

გამოსავალი აღნიშნული მდგომარეობიდან არის ერთადერთი – რეალობიდან გამომდინარე ლეგიტიმური მთავრობის მიერ 2014 წლის 26 მაისის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული შეფასების თანახმად, რომელშიც შეფასებულია 1991–1993 წლების სახელმწიფო გადატრიალება და მისგან გამომდინარე ქვეყნის შემდგომი პროცესები, უნდა შემუშავდეს ახალი სამართლებრივი და იურიდიული საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი აქტები, სადაც გათვალისწინებული იქნება და იურიდიულად აღსდგება 1992 წლის 2 იანვარს შეჩერებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები საზღვრების ურღვევობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპების შესახებ, რაც სრულიად აღადგენს ასევე სამართლებრივ საფუძველს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

7. უნდა შემუშავდეს, მომზადდეს და რეფერენდუმის გზით მიღებულ იქნას ახალი ეროვნული კონსტიტუცია, სადაც ასევე აღნიშნული იქნება სახელისუფლო კანონიერებისა და მისი სამართლებრივი უწყვეტობის საკითხი, რითაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული მოწყობის სამართლიანობა და კანონის უზენაესობა. საქართველოს ნამდვილ მამულიშვილს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს და სჯეროდეს, რომ უნდა ემსახუროს ქართველი ხალხის უზენაესობას, მარადიული ჭეშმარიტების მოთხოვნებს. დიდი მიზნების მიღწევას შესაძლოა ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდეს. გამარჯვების გარანტი სწორად საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა.

მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, ლოზუნგი, არამედ – სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება და რეალურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თანხმობის მიღწევა.

მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შესძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა.

ამავდროულად, უთუოდ უნდა დავეყრდნოთ რა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით განცხადებულ პრინციპებს.

8. ლეგიტიმური ხელისუფლება – საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, კონკრეტულად კი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა არის ნამდვილი (ერის ნების გამომხატველი) რეალური ხელისუფლება და მთავრობა. ნებისმიერი ერი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი ერი საკუთარ მიწაზე, როცა მას ჰყავს საკუთარი ინტერესების გამომხატველი და მსახური ხელისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერი თავად ხდება მსახური, ნიჰილისტური ფსიქო-ინტოქსიკაციითა და ტერორით იქცევა ვიტალისტურ მასად, რომელსაც არ გააჩნია ეროვნება და, აქედან გამომდინარე, არც – სამშობლო.

ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზა არის ნამდვილი საშუალება და გასაღები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადაც. ეს მომენტი უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც, რადგან ამ „გასაღების", პირობითად, მოსკოვში, ვაშინგტონსა, თუ პეკინში ძებნა მიუთითებს ნიჰილისტურ მარაზმს სრული ამნეზიით, რეალობის აღქმის სრული დაკარგვითა და თვინიერობით რომ აღიწერება.

ლეგიტიმურობის „გასაღები" – უკანონოდ განდევნილი ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი კოსტიტუციური და სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზის ამოქმედება, ერთადერთია ასევე აფხაზეთისა და შიდა ქართლის დასაბრუნებლადაც. ის საქართველოშია, მის უდიდებულესობა ხალხშია და მის ნება-გადაწყვეტილებაშია.

9. ლეგიტიმური წყვეტის აღდგენის აუცილებელი ნიშანია არა მხოლოდ კანონიერი არჩევნების დანიშვნა (კანონიერმა ხელისუფლებამ – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უნდა დანიშნოს და ჩაატაროს არჩევნები და მხოლოდ ამ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი და კანონიერი) არამედ, ამ დროს, ასევე, უმნიშვნელოვანესია შემუშავებული ლეგიტიმური სამართლებრივი ბაზის ამოქმედება საქართველოს სახელმწიფოს გადასარჩენად, რითაც, საბოლოოდ მოხდება სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წყვეტის აღდგენა.

ამ მხრივ კი, აუცილებელია კონსტიტუციურად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზაცია, რათა აღსდგეს ეროვნული ცნობიერება, ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღორძინება, ქართული სახელმწიფოებრიობა და ეროვნული ხელისუფლება. ეს კი ჩვენი სამშობლოს ბრძოლის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს. ღვთისა და მამულისათვის თავგანწირვა დღეს ერთადერთი გზაა გადარჩენისა, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა.

ამრიგად, ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ-კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც, თავის მხრივ, უპირისპირდება ტოტალიტარულ, ავტორიტარულ სახელმწიფოებს.

ამ ახალ ეტაპზე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებები ისაა, რომ იგი ამიერიდან სათავეში უნდა ჩაუდგეს დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ ბრძოლას, რამდენადაც მას ენიჭება დუალისტური ფუნქცია – ის, თავის კანონიერ და სამართლებრივ სტრუქტურებთან (ინსტიტუციებთან) ერთად, წარმოადგენს, როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ასევე ეროვნული მოძრაობის წარმმართველ ცენტრსაც, ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარ იურიდიულ ინსტიტუტს. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კონსტიტუციურად თავად წარმოადგენს სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეროვნულ ხელისუფლებას, ქვეყნის პოლიტიკური სივრცის იურისდიქციის სუბიექტს.

10. რადგანაც ამ ხნის მანძილზე საქართველოში მოქმედ არცერთ ფაქტობრივ სახელისუფლებო, თუ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას რეალობასთან მიახლოებული ქართული სახელმწიფოებრიობის არანაირი კონცეფცია არ შეუქმნია, ეს ფორმულა ერთადერთი პოლიტიკური რეალობის განსახიერებად იქცა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაგანი დინამიკა უნდა იყოს ,,ახალი მსოფლიო წესრიგის” არქიტექტონიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცისა და მისი ღერძული სახელმწიფოს – საქართველოს სუვერენობის საკითხის უცილობელი ჩასმა და აღდგენა და იმ ბარბაროსული კოსმოპოლიტური ოკეანედან გამოსვლა, სადაც პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გენეზისის ეპოქაში ქართული ეროვნულობა შთაინთქა იმპერიალისტური ძალების დროებითი გარიგებებით.

უნდა გვახსოვდეს ასევე, რომ მთავარი არგუმენტი და უმოკლესი გზა მთელი კავკასიის რეკოლონიზაციისაკენ, დამოუკიდებელი და თავისუფალი კავკასიის, როგორც მსოფლიო ახალი რეგიონის ჩამოყალიბებისაკენ, საქართველოს სამართლებრივ და კანონიერ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე გადის.

თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ ისტორიულ, ეროვნულ და მართლმადიდებელ-ქრისტიანულ ტრადიციებს, მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ ეროვნული ღირებულებების ჭეშმარიტ ფასეულობათა სამართლებრივ სისტემას.

ვინაიდან, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” წარმოადგენს სამართლებრივი, კანონიერი ხელისუფლების დღემდე შემორჩენილ ერთადერთ მმართველ პოლიტიკურ ორგანიზაციას და „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" დამფუძნელ-ძირითად ორგანიზაციას, რომელსაც აღიარებს, როგორც კანონიერი ხელისუფლება, ასევე ბოლო თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში ყველა

ფაქტობრივი ხელისუფლება, აუცილებლად საჭიროებს განახლებასა და გადახალისებას, კავშირის ხელმძღვანელი სტრუქტურული რგოლების ხელმძღვანელთა გაახალგაზრდავებას, რათა კავშირმა შეძლოს თავისი მოღვაწეობის–პოლიტიკური ბრძოლის დროში გახანგრძლივება და წესდების თანახმად, მისი, დროის სივრცეში, მიზნებისა და ამოცანების შესრულებამდე, დროის გაზრდა და აქტივობების გარანტიების შექმნა.

11. ხელისუფლებისა და მის მიერ შეკოწიწებული უკანონო მთავრობის პირობებში, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობისა და ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" დამფუძვნებელმა და ძირითადმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა კვლავაც უნდაგანაგრძონ აქტიური ბრძოლა უკანონობისა და არალეგიტიმურობის წინააღმდეგ. აუცილებლობის შემთხვევაში, მათი ნაწილი უნდა გადავიდეს იატაკქვეშეთში, ხოლო ნაწილმა უნდა იმოქმედოს ღია, ლეგალური მეთოდებით.

კვლავ აქტუალური გახდა მპგ ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" 1993 წლის მონაცემებით არსებული ორგანიზაციების აღდგენისათვის და ახალი ორგანიზაციების ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება;

უნდა დაიწყოს ახალი იდეის – კმპგ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი კავკასიის“ შექმნისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება;

საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის – საქართველოს ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობის ერთიანი ფრონტის ჩამოყალიბებისათვის განისაზღვრა აუცილებელი ღონისძიებები, დაიწყო ახალ ეროვნულ ძალთა მოძიება, ერთიანობის სათანადო საფუძველის მომზადება, მათი კონსოლიდაციისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავება–ხელშეწყობა და მთავრობის მიერ დადგენილი სამოქმედო გეგმით მუშაობისა და ახალი ბრძოლის დაწყება.

საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც მისი ძირითადი, მმართველი პოლიტიკური ორგანოს – „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებისა” და საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის დამატებითი ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტებია:

ა. სამართლებრივი და კანონიერი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა–აღორძინებისათვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა;

ბ. საზღვრების ურღვევობისა და ტერიტორიული პრინციპებიდან გამომდინარე სახელმწიფოებრივ–ტერიტორიული მოწყობა, სახელმწიფოს საზღვრებისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პრობლემატური საკითხების ნორმატიული ბაზების შექმნა;

გ. ისეთი ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელშიც გაცხადდება და განივთდება ქართველი ხალხის ნება. ერი ხომ ჩვენი პოლიტიკური ფილოსოფიის უმთავრესი ცნებაა;

დ. სახელმწიფოს ეკონომიკის სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ეროვნულ–ტრადიციული ეკონომიკის თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე მოწყობას და დემოკრატიულ მმართველობას. აქედან გამომდინარე საკუთარი ეკონომიკით მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში თანამშრომლობის დამყარება. სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იყოს სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები და კომუნიკაციები, ბუნებრივი რესურსები, საჰაერო სივრცე, კონტინენტური შელფი და წიაღისეული;

სუვერენული სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ხელიუფლების უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობის მიღწევა, მათი შრომის უფლების რეალიზაცია, სიღარიბის დაძლევა, უნდა შემუშავდეს მთლიანად ქვეყნისა და ასევე რეგიონალური სოციალური პროგრამები, უნდა დამკვიდრდეს სოციალური სამართლიანობა და სოციალურად ორიენტირებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა;

ე. საფინანსო სისტემა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის განმტკიცების ერთ-ერთ საფუძვლად უნდა გადაიქცეს. საფინანსო სტრატეგიული კონცეფციების რეალიზაცია უნდა ვაქციოთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იქცეს ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის სისხლხორცეულ საქმედ;

ვ. სახელმწიფოს თავდაცვის ბაზისის შექმნასა და აღორძინებაში უმნიშვნელოვანესია ეროვნული ღირსების იდეა, რომელიც ქვეყნის ძირითად მსოფლმხედველობის პრინციპს უნდა წარმოადგენდეს;

ზ. მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის, დაშვებულ შეცდომათა, როგორც სიტყვით, ასევე საქმით აღიარება-მონანიებისა და მიტევების გზით უნდა შეიქმნას პირობები, საფუძველი და გარანტი, ქართველთა ურთიერთდაპირისპირების თანხმობა-შერიგების გზით სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის, ოკუპაცია-ანექსიის შედეგების ლიკვიდაციისა და საქართველოს ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის. საჭიროა მკაფიო, თანამიმდევრული პოლიტიკური კურსისა და მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რაც, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოებრივი საფუძვლების დამცავ მექანიზმად ამოქმედდება;

თ. სახელმწიფოს აუცილებელია ჰქონდეს შეფარდებითი სამართალი, რომლიდანაც გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ღირსების უზრუნველყოფის, თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიულ და სამართლებრივი სახელმწიფოებრივი მშენებლობის საძირკველს;

სახელმწიფოს შეფარდებით სამართალს საფუძვლად უნდა დაედოს სულიერ ღირებულებათა უპირატესობის აღიარება. ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობა, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება, საკუთარი იერ-სახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრეობა;

ი. მთლიანად გადასახალისებელია საარჩევნო სისტემა და კანონი, რომელიც უნდა ემყარებოდეს ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული აღმშენებლობის პრინციპებს, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის საფუძვლებს;

კ. უნდა განმტკიცდეს ქრისტიანული მართლმადიდებლური ქართული ტრადიციული რელიგია. ამავდროულად, ერისა და ქვეყნის სულიერი, ზნეობრივი ამაღლებისათვის აღიარებული უნდა იქნეს რწმენისა და სინდისის თავისუფლება.

ლ. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნდა იყოს უნიტარული შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სქემით, სახელმწიფო სისტემის მოწყობა კი უნდა იყოს საპრეზიდენტო.

მ. ასევე, მნიშვნელოვანია - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ერთობლივი დადგენილება-რეზოლუცია საქართველოს რესპუბლიკის, მისი მთავრობისა და მოქალაქეობის სტატუსის შესახებ.

ნ. ასევე, სასურველია, შეძლებისდაგვარად შეიქმნას „ახალი პოლიტიკური ლევილის“ სამთავრობო ფონდიც. მიიღებულ იქნა გადაწყვეტილება პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალ საქართველოს" რეკონსტრუქციისა და განახლების შესახებ;

12. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მასთან, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანიზაციები, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებები, სხვა ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს. ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს უკანონოდ შეწყვეტილი გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი. გარდამავალი პერიოდი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაში უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები. საქართველოში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს (კონსტ. მუხლი 2). ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა), რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეყრდნობა რა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის აუცილებლობის ძირითად პრინციპებს, კვლავ ხაზს უსვამს, რომ არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელი ერთადერთი გზაა ყველა ეროვნული ღირსების მქონე ჯანსაღ ძალთა გაერთიანება და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის ბრძოლა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ღიაა ყველა იმ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცალკეული პიროვნებებისათვის, რომლებიც ეთანხმებიან შემდეგ შემდეგ პრინციპებს:

ა) 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალების სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება და მომავალში ამ გზით ხელისუფლების შეცვლის გამორიცხვა;

ბ) ეროვნული თანხმობა და შერიგება სახელმწიფოებრივ პრინციპებზე დაყრდნობით;

გ) სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი წყვეტის აღმოფხვრა ახალი ლეგიმიტირებული, სამართლებრივი არჩევნების დანიშვნით. ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება და გამარჯვება;

დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ამ პროცესში სამოქალაქო დიპლომატიის აქტიურად ჩართვა;

ე) ემიგრანტთა, ლტოლვილთა და დევნილთა მშობლიურ კერაზე დასაბრუნებლად ხელსაყრელი პირობების შექმნა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობის საკოორდინაციო საბჭო

საქართველო, თბილისი
14. 03.2021

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოს

ქ ა რ ტ ი ა

ცივილიზაციის განვითარება იმ ფაზაში შევიდა, როდესაც მოწინავე ქვეყნები ერთობლივად ცდილობენ გადაჭრან ზოგად-საკაცობრიო პრობლემები. მსოფლიო პროცესები იმდენად დაჩ-ქარებულია, რომ უახლოეს ხანში ამ წინააღმდეგობათა მოუგვარებლობა უაღრესად ზრდის საყოველთაო კატასტროფის შესაძლებლობას. მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განჭვრეტა და წარმართვა. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შეძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა. კაცობრიობის, მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის უმაღლესი შეგნება ყოველთვის სახელმწიფოებრიობის ფუძემყარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, ურომლისოდაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება და განმტკიცდება როგორც სახელმწიფო, მაგრამ მარტო დასავლეთის პროგრესული დემოკრატიული აღმშენებლობის სურვილი საკმარისი არ არის ჩვენი ქვეყნის ეროვნული აღორძინებისათვის, მას ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სწორად წარმართვამაც, რომელიც დამყარებული იქნება სამართლიანობისა და კანონიერების ბაზაზე.

ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ 1991–93 წლებში საქართველოს წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება, როცა შინაგანმა და გარეგანმა ანტიეროვნულმა ძალებმა მოაწყვეს სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება, როგორც ის კვალიფიცირებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის დადგენილებაში და შემდგომ ყველა დადგენილებებში, ხოლო 1992 წლის დამდეგს ეროვნული მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა თბილისი (სადაც გრძელდებოდა მისი მხარდამჭერების მასობრივი უმძაფრესი საპროტესტო მოძრაობა) და ხელისუფლებისათვის ბრძოლა გაენგრძო უმთავრესად დასავლეთ საქართველოდან, რაც 1993 წლის შუახანებში გადაიზარდა ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენის მასობრივ, ძირითადად მშვიდობიან, შეუიარაღებელ მოძრაობაში. მაგრამ გარე საინტერვენციო ძალების შეტევის შედეგად საქართველოს შინაგან საქმეებში უხეში ჩარევით _ რისი კულმინაციაც გახდა მასშტაბური ერთობლივი შეიარაღებული ინტერვენცია დასავლეთ საქართველოში, ეს პროცესი შეწყდა და ეროვნული, ლეგიტიმური მთავრობა კვლავ იძულებული გახდა დევნილობაში წასულიყო.

საქართველოში 1991–93 წლების შეიარაღებული, სისხლიანი სახელმწიფო, სამხედრო გადატრიალების გზით დაამხეს კანონიერი ეროვნული, სახალხო ხელისუფლების ყველა შტო და შესაძლებლობა მოუსპეს ხელისუფლებას ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა და განვითარების მიმართულებით, დაამკვიდრეს ანტიქართული და ანტისახალხო კრიმინალური, ნომენკლატურული რეჟიმი.

გადატრიალებამ ძირითადი სამართლებრივი ბაზა გამოაცალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას და საფუძველი დაედო საქართველოს ტერიტორიის სამართლებრივ დანაწევრებასაც. დღეს გეოპოლიტიკური სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკით, მსოფლიო ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ოპტიმალურად გადაწყდეს დღევანდელი პრობლემები. ოღონდ ყოველივე ამის განსახორციელებლად საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის უნდა გადაჭრას უპირველესი პრობლემა: უნდა აღსდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალმემკვიდრეობისა და ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რაც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებისა შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობებს დაარეგულირებს.

1993 წლის მიწურულიდან ძალაუფლება მთელ საქართველოში ხელთ ჩაიგდეს ანტიქართულმა, ანტიეროვნულმა ძალებმა, რომლებიც არსებითად დამპყრობლებად მოგვევლინენ. მათ უმკაცრესი ზომებით, მასობრივი რეპრესიებით დათრგუნეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მისი ორგანიზაციები.

1991–1993 წლების შეიარაღებულმა სამხედრო-კრიმინალურმა, სახელმწიფო გადატრიალებამ საფუძველი დაუდო ტოტალურ უკანონობას, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა

ძასიურ დარღვევებს, დააფუძნა რა ძალმომრეობის კულტი, მოსახლეობის ნაწილში დაამდაბლა სამართალშეგნება, ან სულაც უარი ათქმევინა მას კანონის უზენაესობის პრინციპზე. ამან კი თავისთავად დააბრკოლა საქართველოში სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების განმტკიცება, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერება და ამასთან, ქვეყნის საკაცობრიო განვითარებაც. ცხადია, შექმნილმა ვითარებამ განსაზღვრა თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძველად ძალადობის მიჩნევა, რამაც მრავალ უკიდურესობას მისცა გასაქანი.

აი, ვისი სამართალმემკვიდრენი არიან დღემდე არსებული ფაქტობრივი ხელისუფალნი, რომელნიც იძულებულნი იყვნენ, სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც, ეღიარებინათ 1991–1993 წლების მომხდარი შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება: საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებით, შეფასებულია, როგორც კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფრონტაცია, ეს იყო კომუნისტურ–ნომენკლატურული რევანში, ხოლო 2004 წლის 11 მარტის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი: „საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. დაიგმოს 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება”. ფაქტობრივმა მმართველობამ და მათ უკან მდგარმა ძალებმა ასევე არავითარი ზომები არ მიიღეს პოლიტპატიმრების, პოლიტრეპრესირებულთა და პოლიტიკური დევნილების დაუყოვნებლივი სრული რეაბილიტაციისათვის. არ დაწყებულა რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებათა რაიმე გამოძიება ან შესწავლა. უმნიშვნელოვანესი და ყოვლისმომცველია საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ 2014 წლის 26 მაისის ერთობლივი დადგენილება 1991–1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და დღემდე შემდგომი პერიოდის სამართლებრივი, იურიდიულ–პოლიტიკური შეფასების შესახებ.

ასევე უშედეგოდ დამთავრდა არათანმიმდევრული ცდა ეროვნული შერიგებისა და თანხმობის ნიშნით შენიღბვისა _ ეროვნული თანხმობის დეკლარაციის სახით.

ამასთანავე, 2008 წელს ისტერიის ვითარებაში ინსპირირებულმა და მოღალატურად წარმართულმა „ომმა” გამოიწვია ქართველი ხალხის უმძაფრესი საპროტესტო მუხტი, რომლითაც სპეკულაციური მიზნებით სარგებლობენ კვლავ ის ანტიეროვნული ძალები, რომლებმაც თავის დროზე ეროვნული ხელისუფლების განდევნაში მიიღეს მონაწილეობა. გამძაფრდა ფაქტობრივი, დამპყრობლური რეჟიმის არალეგიტიმურობის საკითხი.

გადატრიალების შემდეგ არც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, არც საქართველოს უზენაეს საბჭოსა და არც მთავრობას – მინისტრთა კაბინეტს უფლებამოსილება არ მოუხსნია და დევნილობაში აგრძელებდნენ ფუნქციონირებას. დევნილობაში კანონიერი ხელისუფლების მოქმედების მთავარი მიზანი დანაშაულებრივი რეჟიმის შინაური და საერთაშორისო პოლიტიკის მხილება და იზოლაცია იყო. რეაგირების გარეშე არ დარჩენილა ამ პერიოდის არცერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი მოვლენა.

ამრიგად, ყველა უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს 1992 წლიდან, ლეგიტიმურობის დარღვევითაა გამოწვეული და დღესაც არ ძალუძთ ლეგიტიმურობაზე დაბრუნება.

1992 წლის შემდგომ, მას შემდეგ რაც განდევნეს ეროვნული ხელისუფლება, არ შემწყდარა საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემის აქტუალობა. წლები გადის და ეს საკითხი ისევ რჩება საქართველოს უმძაფრეს პოლიტიკურ პრობლემად. ლეგიტიმური, ეროვნული ხელისუფლების აღდგენა საქართველოს სტაბილური მომავლის უზრუნველყოფის ერთადერთ გარანტად რჩება. უმნიშვნელოვანესია ასევე საკითხი ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მთავარი ისაა, რომ ეროვნული ხელისუფლება საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ შექმნილი ინსტიტუცია, ინსტრუმენტი იყო საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის იმდროინდელი უმთავრესი მიზნის – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ამდენად, ლეგიტიმური უზენაესი საბჭო საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანო იყო და ასრულებდა საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნებს. ამ მიზნებს კი უშუალოდ და პრაქტიკულად საქართველოს ამ უზენაეს საკანონმდებლო ორგანოში ახორციელებდნენ საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზაციების წამომადგენლები.

უზენაესი საბჭო იყო და დარჩა კიდეც საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი, იმდროინდელი მიზნების შემსრულებელ ინსტიტუციად. უზენაესმა საბჭომ

სავსებით და სრულად შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი _ დაკვეთა ამ ეტაპისათვის _ მოიპოვა დე-იურე დამოუკიდებლობა.

შემდგომ ეტაპზე, იმისათვის, რომ განხორციელებულიყო ეროვნული მოძრაობის შემდგომი მიზანი _ საქართველოს დე-იურე დამოუკიდებლობის გადაქცევა დე-ფაქტო დამოუკიდებლობად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას (და არა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინსტიტუციას უზენაესი საბჭოს სახით) დასჭირდა სრული ზომით დაპატრონებოდა სახელმწიფოს ფაქტობრივ მართვას, ანუ აღმასრულებელ ხელისუფლებას _ უკვე ფრიად გართულებულ პირობებში. ამისათვის ჩატარდა ჯერ პრეზიდენტის არჩევნები, ხოლო შემდგომ – არსებითად და პრინციპულად შეიცვალა მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა – მთავრობის ფორმალური მეთაური გახდა პრეზიდენტი, ხოლო მინისტრთა საბჭოს მაგივრად შეიქმნა მინისტრთა კაბინეტი და დაარსდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, რომლებიც უშუალოდ და პირდაპირ ემორჩილებოდნენ მთავრობის მეთაურს, ანუ პრეზიდენტს. ამით ეროვნული ხელისუფლება ცალსახად დაეპატრონა სახელმწიფო ეკონომიკურსა და სოციალურ რესურსებს და მყარი სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი შეიქმნა საქართველოს დე-ფაქტო დამოუკიდებლობის აღსადგენად.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორივე საკვანძო თანამდებობაზე – პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისა – საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზაციების წარმომადგენლების დაფუძნებამ მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება მტკიცედ გადააქცია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინსტიტუციად (უზენაეს საბჭოსთან ერთად) – ინსტრუმენტად. შესაძლებელი გახდა ეროვნული ინტერესების დამცველი კანონების რეალურად აღსრულების შესაძლებლობა და შეიქმნა ამისი მატერიალური გარანტია.

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელ სამართლებრივ და ლეგიტიმურ 1978 წლის კონსტიტუციაში (1990-1991 წლების შესწორებითა და დამა-ტებებით) აღნიშნულია: `ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ¬რაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა, ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით. ახალი ეროვნული და სამართლებრივი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი კანონი. გარდამავალი პერიოდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაში უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.”

თუ რატომ გახდა მაინც და მაინც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ აღმასრულებელი ხელის¬უფლების სრული დამორჩილება პუტჩის ერთ-ერთი უშუალო საბაბი, ახლა ალბათ ყველასათვის გასაგებია (მაშინ ეს ძალზე ბევრისათვის ფრიად ბუნდოვანი იყო) — ახლა ყველამ იცის, რომ პარლამენტები კი არ მართავენ უშუალოდ ქვეყნებს, არამედ მთავრობები მართავენ (პარლამენტების მიღებული კანონებით). პუტჩისშემდგომ პერიოდში (მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი, პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი იძულებულნი გახდნენ დროებით ემიგრაციაში, დევნილობაში გასულიყვნენ) _ წინააღმდეგობის უპრეცენდენტო მასშტაბების თავგანწირულ და გმირულ მოძრაობას კვლავ ცალსახად და უშუალოდ ახორციელებდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზაციები, მათი გაერთიანებები, ერთიანობაში საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობა ხელმძღვანელობდნენ და არა ეროვნული, ანუ კანონიერი ხელისუფლების ორგანოები (პარლამენტი ან მთავრობა).

სწორედ ეს იყო მთავარი და ეს წარმოადგენდა ამ წინააღმდეგობის მოძრაობის ძალას.

გავიხსენოთ, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მოიცავდა ორ სტრატეგიულ დანიშნულებას, პირველი _ ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და მეორე ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება გეოპოლიტიკური ლანდშაფტის შექმნის გზით. ორივე საკითხი კომპლექსურად უნდა ამოქმედებულიყო.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება მანამდე, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდება ყველა ასპექტით: ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური. შესაბამისად უწყვეტია ისტორიულ-თემატური დრო. ზემოთქმულის შემდეგ უნდა დავძინოთ, რომ ეროვნული, ანუ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა, პირველ რიგში და საფუძველში, გულისხმობს მის აღდგენას _ როგორც ეროვნული მოძრაობის ინსტიტუციისას,

ინსტრუმენტისას და არა რაღაც განყენებული აბსტრაქციისას, ანუ ლეგიტიმურობის აღდგენა პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელი მოძრაობის, ზოგადად, ქართველი ერის მიზნების განმახორციელებელი ხელისუფლების აღდგენას. ლეგიტიმურობა და კანონიერება მხოლოდ ეროვნულობაზეა აგებული.

ამდენად, დღევანდელ ვითარებაშიც პირველადია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციები, ხოლო ეროვნული მოძრაობის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები - პარლამენტი იქნება ეს, თუ მთავრობა, კი მეორადი, დაქვემდებარებული ინსტრუმენტია და თუ ეს ასეა, მაშინ, ეროვნული ხელისუფლებისა და ზოგადად ჩვენი კანონიერებისა და ჩვენი სამართალ-სიმართლის აღდგენა შეუძლებელია მთლიანად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციების ხელახალი და მძლავრი აღმავლობისა და მომძლავრების გარეშე. არსებულ ვითარებაში, ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრივობის გადასარჩენად სავსებით აუცილებელი და გადაუდებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მისი ორგანიზაციების, დევნილი ხელისუფლების ხელახალი აღდგენა-აღორძინება და აღმავლობა. ასეთ პირობებში, აუცილებელია, კვლავ დაიწყოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოში კანონიერებისა და სამართლის აღდგენის გარდამტეხი და გარდამავალი ახალი ეტაპი.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოში მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება შეიძლება იყოს კანონიერი, ლეგიტიმური და ვერავითარი ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალური ხელისუფლება ლეგიტიმური ვერ იქნება და ქართველი ერის ინტერესებს ვერ მოემსახურება. არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად კი ერთადერთი გზაა - მშვიდობიანი და სამართლე-რივი გზით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანია ასევე, დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. სახელმწიფოს ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფო დაეფუძნება. სახელმწიფო კი უნდა იყოს ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის გარანტი, ქართული ცხოვრების არსის განმსაზღვრელი.

მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, ლოზუნგი, არამედ - სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება და რეალურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თანხმობის მიღწევა.

უპირველეს ყოვლისა, ვეყრდნობით რა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის აუცილებლობისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მანიფესტში

განცხადებულ ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, კვლავ ხაზს ვუსვამთ, რომ არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელი ერთადერთი გზაა ყველა ეროვნული ღირსების მქონე ჯანსაღ ძალთა გაერთიანება და საქართველოს სამართლებრივი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის ბრძოლა, რათა საქართველომაც პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე. ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ, და მაშინ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენს დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი და თუ არ მოინდომებს, ის ჩვენი ნაშრომი და შენაძენი ხომ ხელიდან მაინც არ წაგვივა და ისევ ჩვენ დაგვრჩება.

სიცოცხლისათვის, არსებობისათვის, გადარჩენისათვის, სიყვარულისათვის, მემკვიდრეობის დატოვებისათვის, სწავლისა და ზრდა-განვითარებისათვის, ქართველი ერის, ქართული სახელ-მწიფოებრივობის გადასარჩენად, სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, სამართლებრივი, კანონიერი, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენისათვის ბრძოლაში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაუყოვნებლივ კვლავ უხმობს საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი და კანონიერი ხელისუფლების ყველა შტოსა და ინსტიტუციებს, რათა ერთად გავაკეთოთ არჩევანი დაბალი იერარქიიდან მაღლისაკენ: წინააღმდეგობა-აჯანყებიდან, ბოროტი დამორჩილებიდან და საკუთარი სურვილის დათმობიდან ხალისიან თანამშრომლობამდე, გულსავსე ვალდებულებამდე და შემოქმედებით აღტკინებამდე. სწორედ ამიტომაც, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში ტაქტიკურ ლოიალობას, სრულ ინტოლერანტობას უკანონობისა და არალეგიტიმურთან მიმართებაში, სწორი, მიზანდასახული გეგმის გაანალიზებასა და თანმიმდევრული სამოქმედო ნაბიჯების გადადგმას. კრიტიკულმა მიდგომამ საკითხებისადმი არ უნდა გამოიწვიოს ურთიერთდაპირისპირება, რადგან ეს მხოლოდ ინტელექტის მაჩვენებელი იქნება, რაც დამარცხების ტოლფასია. მხოლოდ ეროვნული, ქართული იდეა შესძლებს, გააერთიანოს ქართველი ხალხი და აღმოფხვრას დანარჩენი საზოგადოებრივი, სოციალური და სხვა პრობლემები. ასევე, მოვუწოდებთ საქართველოში არსებულ, თუ საზღვარგარეთ მყოფ ყველა ეროვნულ ძალას გაერთიანებისაკენ გულწრფელი, გაუსვრელი ეროვნული მოღვაწეების გარშემო, ვუსურვებთ ეროვნული მოძრაობის თანდათანობით აღორძინებას ტყვეობის ურთულეს გარემოში _ რამდენადაც მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შეუძლია, იხსნას ქართველი ერი, მთელი ქართველი ხალხი ტყვეობისაგან და კვლავ შექმნას ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლება _ ქართველების, მთელი ქართველი ხალხის უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი ხელისუფლება. მხოლოდ ამ აზრით, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში არსებული და გაერთიანებული დევნილი ხალისუფლების ინსტიტუტები: უზენაესი საბჭო, მთავრობა, ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური, თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ეროვნული ადამიანები შესძლებენ ქვეყნის გამოხსნას. მხოლოდ მაშინ აღიკვეთება ცრუ თავისუფლების ინსტიტუტთა ტერორი საქართველოში, თუ ქართველი ხალხის გაერთიანებას საფუძვლად დაედება სულისკვეთება, განწყობა, რწმენა და სამშობლოს სიყვარული. პერმანენტული საერთაშორისო, თუ საშინაო მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის საშუალებებითა და კონკრეტული კანონიერი მოთხოვნებით შესძლებს ქართველი ერი, გაწმინდოს საქართველო და გადაარჩინოს მამული განადგურებას.

ამასთანავე, დავძენთ, რომ ჩვენ არ გვამოძრავებდეს შურისძიების გრძნობა, თუ არა ქვეყნის გადარჩენის წმიდათაწმიდა იდეა, რომელიც გვავალებს, მოვთხოვოთ გზააბნეულთ _ ზურგი შეაქ-ციონ მორიგ პოლიტიკურ ავანტიურას, რომელიც საქართველოს განადგურებით ემუქრება და აღიარონ საჯაროდ ქართულად, ქართველი ერის წინაშე ჩადენილი შეცდომები. მათ ვინც გაითა-ვისებს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის მოთხოვნას, მიეცემა „31 მარტის" თავისუფლების ტრიბუნა და შანსი საქმით გამოისყიდონ შეცდომები იმ ადამიანების გვერდით, ვისთვისაც თავისუფალი საქართველოს იდეა პირველადია და შეუცვლელი!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქართველ ერს ჰპირდება თავისუფლებას!

უკანონობას შეიძლება მოვერით მხოლოდ კანონით!

უსამართლობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სამართლით!

სიცრუეს კი შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სიმართლით!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
საკოორდინაციო საბჭო

საქართველო, ქ.. თბილისი
10. 07. 2010

ენა
მამული
სარწმუნოება

ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა.

ზვიად გამსახურდია

რადგან საქმე კონკრეტულად ქართველი ერის ბედს შეეხება, ისიც ავღნიშნოთ, შემთხვევით რომ არ უთქვამთ ქართველებზე „მებრძოლი შავის ბედისა".
ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, სანამ ბედისწერას ჩვენთვის ძნელად გასაძლისი გამოცდები არ მობეზრდება. ღმერთმა სიკეთე ნუ მოგვაკლოს, მაგრამ თუ მომავალში თავს გარდასახდენი ფათერაკი გარდუვალია, თუკი ისედაც ბინდისფერი სოფელი უფრო და უფრო დაგვიბინდდება, ნუმც მომხდარიყოს ის, რაც აროდეს მომხდარა. დაე, განსაცდელთან მებრძოლებად დავრჩეთ მარად, რომ შეუპოვრად კვლავ ჭუნე ჩვენი შავი ბედის წინ გამოგვიქროლდეს, უარესისათვის მზადყოფნა ხომ უკეთესის საწინდარია. ამიტომ მხიარულის გულით ამასაც ვიტყვით: უფალს ვინც უყვარს, განსაცდელსაც მას უმზადებს, ვინაიდან განსაცდელთა ემბაზში განბანილთა ჭვრეტაა მისი განცვიფრებისა და აღფრთოვანების უშრეტი წყარო.

„წილხვედრ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად,
მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო,
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,
შემდეგ ეს მიწა და საქართველო!"

მერაბ კოსტავა

ISSN 1987-7986
helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნუკრი ბაღდავაძე - კოლეგიის თავმჯდომარე; მალხაზ მუსერიძე - კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე; ნოდარ კიკნაძე - მთავარი რედაქტორი; ნონა ქევხიშვილი - პასუხისმგებელი საგამომცემლო რედაქტორი და სარედაქციო წარმომადგენელი საზღვარგარეთ.